

არქიმანდრიტი ქერუბიმი

**ღვთისმშობლის წილსვედრ  
მიწაზე**

ნოსტალგიური მოგონებები


თბილისი  
2007

იბეჭდება ბათუმის მთავარმაქისკოკოს  
ღიმიტრის (შიოლაშვილი)  
ლოცვა-კურთხევიტ

თარგმნა ნინო აბაშიძემ

გამომცემელი: ასოციაცია „კვირიაკე“

თარგმანი მცირედი შემოკლებით შესრულებულია წიგნიდან:  
Архимандрит Херувим "Из Удела Божией Матери",  
Киев 1998.



## შინაარსი

თავი 1 პირველი შთაბეჭდილებები.....	5
თავი 2 დროის მცირე მონაკვეთი.....	15
თავი 3 დიონისეს მონასტერში.....	27
თავი 4 მე წმინდა ანას სკიტის ძმობის წევრი ვარ.....	39
თავი 5 ჩემი პირველი აღსარება მთაწმინდაზე.....	48
თავი 6 ჩვენი საძმო – სულიერი სათბური.....	58
თავი 7 ეპიზოდები ჩვენი კალივის ცხოვრებიდან.....	67
თავი 8 სულიერი ბრძოლა.....	77
თავი 9 ჩვენი სკიტის გაცნობა.....	93
თავი 10 დაუვიწყარი შეხვედრები.....	114
თავი 11 „იშუებდინ უდაბნო და ყუაოდენ ვითარცა შრომანი“.....	124
თავი 12 წმინდა ბასილის უდაბნოში.....	145
თავი 13 კავსოკალივის სკიტში.....	157
თავი 14 სამ სახელგანთქმულ კინოვიაში.....	185
თავი 15 ათონის მიტროპოლიაში.....	196
თავი 16 მთაწმინდის ჩრდილოეთში.....	209
თავი 17 ექვსი თვე კარულში.....	225
თავი 18 ნოსტალგია.....	234

## ავტორის შესახებ

არქიმანდრიტი ქერუბიმი (კარამბელასი) დაიბადა 1920 წელს, მესინიის რაიონის სოფელ კონსტანტინში. ნათლობისას მას გიორგი დაარქვეს. მამამისი ჯერ კიდევ მის დაბადებამდე დაიღუპა საბერძნეთ-თურქეთის ომში, მცირე აზიაში, და მამის ნაცვლად ბავშვს ზრდიდა ბიძა, რომელიც საკმაოდ მკაცრი აღმზრდელი იყო. მონაზვნობის სურვილი გიორგის თოთხმეტი წლის ასაკში გაუჩნდა. ეს სურვილი ნელ-ნელა მომწიფდა და 1938 წელს, თვრამეტი წლისამ, მან მიატოვა მშობლიური სახლი და ათონის წმინდა მთაზე გაემგზავრა. აქ იგი დამკვიდრდა წმინდა ანას სკიტში, ღვთისმშობლის შობის კალივიაში, და ორი წელიწადი მორჩილი იყო, შემდეგ კი, 1940 წლის 14 ოქტომბერს, იგი აღკვეცეს დიდ სქემაში. 1942 წელს, მძიმე ავადმყოფობის გამო, მამა ქერუბიმი თავისი ბერის (მოდვრის) — მამა გრიგორის ლოცვა-კურთხევით ათენში გაემგზავრა საოპერაციოდ. ღვთის განგებით, იგი მთაწმინდაზე აღარ დაბრუნებულა, მხოლოდ ერთხელ ჩავიდა იქ, რვა წლის შემდეგ, 1950 წლის სექტემბერში, რათა სასიკვდილო სარეცელზე მოენახულებინა თავისი თანამომძე და მასწავლებელი — მამა იოაკიმი.

ათენის მახლობლად, ოროპოსში, მამა ქერუბიმი დააარსა პარაკლიტის (სული წმიდის — ნუგეშინისმცემელის) მონასტერი, სადაც მან დაამკვიდრა მკაცრი ათონური ტიპიკონი, და თავის გარდაცვალებამდე, 1979 წლის 22 აგვისტომდე, იყო ამ მონასტრის ილუმენი.

წინამდებარე ნაშრომის წერა ავტორმა გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიწყო და ძლივს მოასწრო მისი დასრულება. ამ ნაშრომს ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ XX საუკუნის „ლავსაიკონი“ ან „ლიმონარი“. თავისი მთაწმინდაზე ყოფნის ოთხი წლის მანძილზე მამა ქერუბიმი, როგორც ფუტკარი, კრებდა ათონური ყვავილებიდან იმას, რაც ყველაზე ძვირფასი იყო, ფასდაუდებელი, და ამ სულიერ ნექტარს საკუთარი გულის სიღრმეში ღვრიდა, იცავდა მას წმინდად და ხელშეუხებლად, რათა შემდეგში მზის სინათლეზე გამოეტანა ეს უძვირფასესი საგანძური, და რათა მომავალ თაობებსაც შეძლებოდათ შეეგრძნოთ მისგან გამომავალი კეთილსურნელება.

## თაზი 1

### პირველი შთაბეჭდილებები

1938 წლის 6 აგვისტო. გემი „სამოსი“ მიემგზავრება თავისი რეისით: პირეა — ალექსანდროპოლისი — კავალა — თესალონიკი. მან უნდა გაიაროს მრავალი კუნძული, შეჩერდეს მრავალ ნავსადგურში. მისი ერთ-ერთი მგზავრი მე გახლავართ.

როდესაც კავალას მოვცილდით და უკვე თესალონიკისკენ ავიღეთ გეზი, სადღაც, შორს, გამოიკვეთა უზარმაზარი კონუსისებური ათონი. გემის ქიმზე დაყრდნობილი, მე მას დაჟინებით მივაჩერდი, და იგი ჩემ თვალწინ ნელ-ნელა ამოტივტივდა ზღვიდან მთელი თავისი სიდიადით. აი, მიუუახლოვდით კიდევ ათონს. ერთმანეთის მიყოლებით იკვეთებოდნენ მონასტრები, დიდებული ციხე-სიმაგრეები, რომლებიც გამოხატავდნენ მრავალსაუკუნოვან რწმენასა და ადამიანის სწრაფვას ღმრთისადმი.

მას შემდეგ, რაც თოთხმეტი წლის ასაკში ორი მთაწმინდელი მღვდელ-მონაზვნის — პაისისა და ქრისანტეს მონათხრობი მოვისმინე ათონის მთის შესახებ, ჩემს სულში გამოისახა წმინდა მთა, როგორც ადგილი მიწაზე, რომელიც სწვდება ზეცას. ამ ადგილისადმი მხურვალე სიყვარულით აღძრულმა, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: „წავალ და სამუდამოდ იქ დავსახლდები“. და, მართლაც, ჩუმად წამოვედი სახლიდან — ისე, რომ არავისთვის არაფერი მითქვამს.

მივაღექით დაფნის. ჩვენს გემს რამდენიმე ნავი მოუახლოვდა, რომ მგზავრები ნაპირზე გადაესვა. როგორც კი ნაპირზე ფეხი დავადგი, პირველ რიგში მუხლი მოვიყარე და კრძალ-

ვით ვეამბორე წმინდა მიწას. თავიდანვე ასეთი აღთქმა მქონდა დადებული: „თუ ღვთისმშობელი ოდესმე ღირსს გამხდის, მთაწმინდაზე დავადგა ფეხი, პირველი, რასაც გავაკეთებ — ვემთხვევი მის მიწას“.

თავდაპირველად ათონის დედაქალაქ კარიესისკენ გავემართე. იქ უნდა ამელო დიამონტირიონი<sup>1</sup> — აუცილებელი საბუთი ყველა მომლოცველისთვის. მივდიოდი და ვერ ვძლებოდი თვალუწვდენელი, ხშირი ტყეებისა და ანკარა ნაკადულების ჭვრეტით. მოუთმენელი სურვილი დამეუფლა, რაც შეიძლებოდა მეტი გამეგო ამ წმინდა ადგილის შესახებ — ასე რომ მაღეღვებდა, ასე რომ მიზიდავდა ბავშვობის ასაკიდან.

მონაზვნები, რომლებიც გზაში მხვდებოდნენ — მახალაკებით მხრებზე, სკვნილებით ხელში — ჩემს ცნობიერებაში აცოცხლებდნენ ყველაფერ იმას, რაც პატარაობიდანვე მსმენოდა მათზე.

კარიესი მწვანეში ჩაფლულიყო. აგვისტოს სიცხე იდგა, მაგრამ დრო და დრო წამობერილ ნიავს სიგრილე მოჰყვებოდა. ის ღამე სასტუმროში გავათენე. ეს იყო ჩემი პირველი ღამე მთაწმინდაზე.

ღლით ისევ დაფნიში წავედი. იქ თავი მოეყარათ მეთევზეებს, მონაზვნებს, ჟანდარმებსა და მუშებს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა თეთრწვერა ოფიცერმა — აწ განსვენებულმა ძია გიორგიმ. დაფნის ცხოვრებამ, მისმა მაჯვისცემამ, ერთგვარი სევდა აღმიძრა, მაგრამ მიზეზს ვერ მი-

---

<sup>1</sup> დიამონტირიონი — მთაწმინდის მონაზულების წერილობითი ნებართვა, რომელსაც იძლევა ათონის მთის წმინდა კინოტი და რომელიც აუცილებელია ყველა მნახველისათვის.

ვაკვლიე. ხალხის ბრბოში კეთილშობილური გარეგნობის მონაზონს მოკვარი თვალი, სახე სიხარულით უბრწყინავდა. ის მომიახლოვდა და გულთბილად მითხრა:

— დახმარება ხომ არაფერში გჭირდებათ?

თავიდან არ მინდოდა ჩემი განზრახვა მისთვის გამემხილა, მაგრამ ვერ შეეძელი და ვუთხარი, რომ კავსოკალივის სკიტში ვაპირებდი წასვლას ძველი მეგობრის სანახავად. რამდენიმე წლის წინ იქ ერთი ჩემი მეგობარი ჩავიდა და სქემამში აღიკვეცა, და ახლა მისი მონახულება მინდოდა. მონაზონს გაეხარდა; მითხრა, რომ თვითონაც კავსოკალივიდან იყო და წმინდა მეთოდეს სენაკში<sup>1</sup> ცხოვრობდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მასაც მეთოდე ერქვა.

სულ მალე კატერზე ავედით და წმინდა ანას სკიტისკენ გავემართეთ. მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ სკიტს მივუახლოვდებოდით, მე ხან ბუნების სილამაზით ვტკბებოდი, ხან კი ცნობისმოყვარედ მივჩერებოდი კატერში მყოფ მგზავრებს: მონაზვნებს, მუშებსა და მომლოცველებს. ჩემს ყურადღებას განსაკუთრებით ასკეტი მონაზვნები იპყრობდნენ. მათს სახეებზე ღრმა მღუმარება იყო აღბეჭდილი. როგორც ჩანდა, მოგზაურობის დროსაც კი ისინი საკუთარი თავის შეცნობაზე, საკუთარ თავში ჩაღრმავებაზე მუშაობდნენ.

პირველად წმინდა გრიგორის მონასტერი (გრიგორიუ) გამოჩნდა. რამდენი რამ მსმენოდა მასზე! ეს იყო ათონის მთის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო კინოვია. აქაური მონაზვნები

---

<sup>1</sup> სენაკი — 1) მონაზვნის ცალკეული ოთახი კალივაში ან მონასტერში; 2) რამდენიმე ოთახისგან შემდგარი ცალკეული შენობა, რომელიც არ ექვემდებარება სკიტს.

მკაცრი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მალე მარცხნივ გადავუხვიეთ და ჩემ თვალწინ გამოიკვეთა სიმონოპეტრას გიგანტური ნაგებობა; გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ უცბად გამოჩნდა წმინდა დიონისეს მონასტერი (დიონისიუ). მღელვარებამ მომიცვა: აქ ინახება იოანე ნათლისმცემლის მარჯვენა, აქ განისვენებენ კონსტანტინოპოლის პატრიარქ წმინდა ნიფონტის ნაწილები.

— ღმერთო ჩემო, — ვამბობდი გულში, — სადა ვარ? ნუთუ ეს ყველაფერი სინამდვილეა?

ყველა მონასტრის წინ, ხმელზე, ვილაც დადიოდა — ერისკაცი ან მონაზონი. როგორც კი მონაზონს მოგკრავდი თვალს, ვცდილობდი დამედგინა, იყო თუ არა ეს ერთ-ერთი იმათგანი, ვის შესახებაც ასე ბევრი კარგი რამ მსმენოდა.

დიონისეს მონასტრის შემდეგ, ათონის ყველაზე მაღალი მწვერვალის ძირში, წმინდა პავლეს მონასტერი გამოიკვეთა. ზღვიდან შეგეძლოთ დაგენახათ მონასტრის ნაგებობების ჯგუფი, ძველი ვენეციის ციხე-სიმაგრეს რომ მოგაგონებდათ. ამ მონასტერში, როგორც უძვირფასესი საუნჯე, ინახება მოგვების ძღვენი, რომელიც მათ ახლადშობილ იესოს მიართვეს.

სულ მალე დავინახეთ „ახალი სკიტი“ — მონაზვნების პატარა ლამაზი ქალაქი, მშვენიერი მომცრო სახლებითა და თვალწარმტაცი ბალებით. ეს სკიტიც უკან მოვიტოვეთ და დაახლოებით ათ წუთში ჩვენი მოგზაურობის საბოლოო წერტილს — წმინდა ანას სკიტს მივუახლოვდით. მე მას ხარბად მივჩერებოდი, ჩემი მზერა ქვედა შენობებიდან ზედა შენობებზე გადარბოდა: იყო თუ არა ის ისეთი, როგორც მამა პაისიმ და მამა ქრისანთემ დამიხატეს?



ნავმისადგომში ჭადრების ჩრდილს მივაგენი და დასასვე-  
ნებლად ჩამოვჯექი. ცოტა მოშორებით ვიღაც მონაზონი ქვი-  
შაში რაღაცას მსუბუქად თხრიდა. შემდეგ კონსერვის ქილა  
აიღო და წყლის ამოსაღებად დაიხარა. მე ახლოს მივედი, მინ-  
დოდა მენახა რას აკეთებდა. ვთხოვე ჩემთვისაც მოეცა გასა-  
სინჯად წყალი. ეს იყო ალბათ ყველაზე გემრიელი წყალი,  
რაც კი ოდესმე დამიღევია ცხოვრებაში. ცოტა მოშორებით,  
ზღვიდან დაახლოებით ას მეტრში, გრილი ნაკადული მოედინ-  
ებოდა.

წმინდა ანას სკიტს რომ მივალწიეთ, მე და ჩემმა მეგზურმა  
მონაზონმა იოანე ნათლისმცემლის კალივისკენ ავიღეთ გეზი:  
მინდოდა ბერი აზარია და მისი ორი მორჩილი — ორი ღვიძ-  
ლი ძმა — იოანე და ამბერკი მომენახულებინა. მონაზონს მთე-  
ლი მსვლელობის მანძილზე ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს.  
ზურგზე მახალაკი ჰქონდა მოკიდებული, ერთ ხელში კვერ-  
თხი ეჭირა, მეორეში კი — გაცრეცილი სკენილი. ის წინ მი-  
დიოდა, მე უკან მივეყვებოდი. მისი ბაგეები მოძრაობდნენ: რა  
თქმა უნდა, იესოს ლოცვას ამბობდა. რაკი ვხედავდი, რომ  
მთლიანად საკუთარ თავში იყო ჩაფლული, მეც აღარაფერს  
ვეკითხებოდი, თუმცა კი სურვილი მტანჯავდა, ბევრი რამე  
გამომეკითხა მისთვის.

მე წმინდა ანას სკიტში ვარ! ეს დაუჯერებელია, თავი სიზ-  
მარში მგონია! გადავუხვეით პატარა ბილიკზე, ჩავიარეთ  
ხშირ ჯაგნარს შორის, — სადაც მურტის ხისა და ვაზის კე-  
თილსურნელება იგრძნობოდა, — გვერდი ავუარეთ ლობიოს  
ნათესებს და კალივის კართან აღმოვჩნდით. ზარი დავრეკეთ.  
კარი შუახნის მონაზონმა გაგვიღო. მას ძველი კვართი ეცვა,  
ფეხშიშველი იყო, თავზე გაცვეთილი სკუფია ეხურა. მისი სა-

ხე ბავშვური უბრალოებით ბრწყინავდა. ყურადღებით დამაკვირდა და შემდეგ მკითხა:

– შენ გიორგი ხომ არა ხარ?

– დიახ. საიდან მიცნობთ?

– ჩემმა ძმამ – მამა იოანემ აღმიწერა შენი თავი და მივხვდი, რომ ეს შენა ხარ.

ცოტა ხანს რომ გავისაუბრეთ, მაღლობა გადავუხადეთ ჩემს მეგზურს და გავისტუმრეთ. იმ დღის შემდეგ ის აღარასოდეს მინახავს, თუმცა კი ძალიან მინდოდა მისი ნახვა. მე მას ყოველთვის საკუთარ თავში ჩაძირულს ვიხსენებ.

მამა ამბერკიმ, – ასე ერქვა იმ მონაზონს, რომელმაც მიმიღო, – პირველ რიგში კალივის ეკლესიაში შემიყვანა. ეკლესია წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობისა იყო. ძრწოლით ვემთხვოე კანკელის ყველა ხატს. ჩემი ყურადღება მიიპყრო ტაძარში მარჯვენა მხარეს მდგარმა პირველივე სტასიდამ, რომელიც ანალოგიის როლს ასრულებდა, აგრეთვე ფანოსმა<sup>1</sup> და ძველმა ბიზანტიურმა ხატებმა. საკმეველი, სანთელი და ზეთი განსაკუთრებულ კეთილსურნელებას გამოსცემდნენ.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: მე ვხედავდი მამა ამბერკის, რომლის შესახებაც მისი ძმისგან ამდენი რამ მსმენოდა. იგი ათონზე ცხრა წლის ასაკში მოვიდა და მას შემდეგ ერი აღარასოდეს უნახავს, აღარასდროს დაბრუნებია წუთისოფლის ამოებას. ეს ძალზე შთამბეჭდავი ფაქტი იყო ჩემთვის.

---

<sup>1</sup> ფანოსი – ანალოლიასთან ჩამოსაკიდი ზეთის ლამპა.

ეკლესიიდან უბრალო, ღარიბულ არქონდარიკში გავვლით. მამა ამბერკიმ ცოტა ხანს დამტოვა და ტრადიციული ათონური სემსის – ლუქუმის, ყავისა და არყის მოსატანად წავიდა. იმავე წამს კიბეზე ფეხის ნაბიჯების ხმა მომესმა, კარი გაიღო და ოთახში მამა იოანე შემოვიდა.

– წმინდა მთა გეგებება თავისი მშვენიერი ყვავილებით! – მითხრა მან და ხელში ყვავილების თაიგული გადმოძცა.

ასეთმა შეხვედრამ ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა და ვიფიქრე, რომ კარგი მონაზონი, სხვა ყველაფერთან ერთად, კეთილშობილური სულის პატრონიცაა.

ცოტა ხანში მამა აზარიაც გამოჩნდა – დაუვიწყარი ბერი. იგი სამოცდათხუთმეტ წელს იყო გადაცილებული, მაგრამ გაცილებით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. თანაც ისე იქცეოდა, როგორც პატარა ბავშვი. ასეთი ხალხი, მაცხოვრის სიტყვისაებრ, საკუთარ თავს ცათა სასუფეველს უმზადებს: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე 18,3).

მამა აზარია ორიოდ სიტყვით მომესალმა, შემდეგ კი ხარი დარეკა და ყველანი ლოცვაზე წავედით.

ვიჯექი სტასიდაში და ვგრძნობდი, რომ ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. ჩემი ახალგაზრდული სული პირთამდე სავსე იყო. უბრალო გალობამ და მამების კეთილკრძალულმა ქცევამ ისეთი განწყობა დაბადა ჩემში, რომ საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „ამაზე მეტს და ამაზე კარგს რაღას უნდა ელოდეს ადამიანი?“

მწუხრის შემდეგ ვახშამი შემოგვტავაზეს: უბრალო, მაგრამ კარგად დამზადებული სადილი და ბალის მშვენიერი ატ-

მები. მამა აზარიას საქმიანობა, როგორც მისმა მორჩილებმა მითხრეს, მებაღეობა და მეთევზეობა იყო.

როცა სერობაც დამთავრდა, ბერს მეტანია გავუკეთეთ და კურთხევა ავიღეთ მისგან. ღამით, თუმცა კი ძალიან დაღლილი ვიყავი, მოუთმენლად ველოდებოდი ზარის ხმას: მინდოდა კვლავ მალე შევსულიყავი ეკლესიაში, სადაც მკრთალად ანათებდნენ კანდელები, ფანოსის შუქზე კი მოჩანდა წმინდა წიგნები და სამი მამის ფიგურა, რომლებიც გარშემო სიმშვიდესა და შინაგან სიხარულს ასხივებდნენ.

ეს იყო ჩემი პირველი ცისკარი წმინდა მთაზე და იგი სამუდამოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ახლაც კი, ორმოცდაერთი წლის შემდეგ, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მეჩვენება, თითქოს კვლავ იმავე სულიერ სიხარულს განვიცდი.

ცისკრის ლოცვა რომ დამთავრდა, ყავა დავლიეთ, შემდეგ კი მამა ამბერკიმ ბალის დასათვალისწინებლად წამიყვანა. იქ იყო ნაყოფით დახუნძლული ატმის ხეები, გულმოდგინედ დამუშავებული კვლები და სხვადასხვა ნათესები. ყველაფერში წესრიგი და ჰარმონია იგრძნობოდა — ისევე როგორც ამ სამი მამის სულსა და გონებაში. რამდენიმე ატამი მოვწყვიტეთ და უკანვე გამოვბრუნდით. ამის შემდეგ ხატწერის სახელოსნოში შემიყვანეს, ბოლოს კი მთელი კალივა<sup>1</sup> დამათვალისწინებინეს. მათი კალივა სოფლის ძველ, კარგად მოვლილ სახლს მოგაგონებდათ.

---

<sup>1</sup> კალივა — ცალკეული ნაგებობა თავისი მიწის ნაკვეთით, სადაც ცხოვრობს ერთი ან რამდენიმე მონაზონი. თითოეულ კალივას, ჩვეულებრივ, აქვს საკუთარი შიდა ეკლესია. რამდენიმე კალივა ერთად ქმნის სკიტს.

ის იყო, აივანზე ჩამოვჯექი, რომ უკნიდან ფეხის ხმა მომესმა. მივტრიალდი და მამა აზარია დავინახე. მას მეთევზის ტანსაცმელი ეცვა, ხელში თევზით სავსე კალათა ეჭირა. წინა საღამოდან ბაღე ჩაშვებულნი ჰქონდა და მხოლოდ ახლად ამოჰყვა თევზი.

ხუთი-ექვსი დღე გავატარე ამ წმინდა საკრებულოში და მთელი ამ ხნის მანძილზე აღფრთოვანებას, სიხარულსა და სულიერ სისავსეს განვიცდიდი. მე და მამა იოანე კირიაკონშიც<sup>1</sup> ვიყავით. სკიტის დიკოსი<sup>2</sup> ამ დროს იყო აწ განსვენებული მამა ხარლამპი – წმინდა მოდესტის სენაკის მკვიდრი. ტამარში სრული სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. დრმა მოწიწების გრძნობით ვემთხვიე წმინდა ანას ნაწილებს, მის სასწაულმოქმედ ხატს და ჩურჩულით გადავუხადე მადლობა იმისთვის, რომ ღირსი გამხადა ამ წმინდა ადგილზე მოვხვედრილიყავი – რომელიც ჯერ კიდევ მანამდე შევიყვარე, ვიდრე თვალთ ვიხილავდი.

კირიაკონი დაახლოებით სკიტის ცენტრში მდებარეობს. აქედან შეგიძლიათ დაინახოთ სკიტის ორმოცდაათობმეტივე კალივა. მე ვუყურებდი ბაღებს, ხეებსა და პატარა ნაკადულებს, კალივებს შორის რომ მოედინებოდნენ, და ჩემი სული კვლავ აღმაფრენას განიცდიდა. მაგრამ ყველაზე საოცარი

---

<sup>1</sup> კირიაკონი – სკიტის ცენტრალური ტამარი, სადაც კვირაობით და დიდ დღესასწაულებზე საერთო ღვთისმსახურებისთვის იკრიბებიან მთელი სკიტის ძმები. აქვე მდებარეობს სკიტის არქონდარიკიც.

<sup>2</sup> დიკოსი – სკიტის ერთ-ერთი კალივის ბერი, რომელსაც ერთი წლით ირჩევენ სკიტის უფროსად. სხვა მოვალეობების გარდა, მას აკისრია სკიტის კირიაკონის მეთვალყურეობა.

იქაური სიმშვიდე და მღუმარება იყო. რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ სკიტში და ერთ ბგერასაც კი ვერ მოჰკრავთ ყურს; არავითარი ხმაური, არავითარი შფოთი. სიმშვიდე ყველაზე საუკეთესო მეგზურია მონაზვნისთვის.

კირიაკონიდან მობრუნებულები, კარცონასების კალივას ვესტუმრეთ. მე იქ ვიხილე მონაზვნური დიდსულოვნება და უშუალობა. კალივის ძმებმა გულწრფელი სინარულით მიგვიღეს. ეს იყო ოთხი ღვიძლი ძმა: მამა გაბრიელი — კალივის ბერი, მამა სერაფიმე, მამა დიონისე და მამა ოქროპირი. მთაწმინდაზე ეს ძმები ჯერ კიდევ ბავშვობაში მოხვდნენ: ისინი აქ ხორციელმა მამამ მოიყვანა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მიუძღვნა. მოხუცი კარცონასი მესინიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალაქის მთავარი იყო. ძმების სახის ნაკვეთები მათს კეთილშობილურ ჩამომავლობაზე მეტყველებდნენ. ისინი ყველანი ხატმწერები იყვნენ და თანაც საკმაოდ კარგი ხატმწერები. სიცოცხლის ბოლომდე ძმები ერთგულად აღასრულებდნენ იმ აღთქმებს, რომლებიც აღკვეცის დროს ჰქონდათ დადებული. მათ არასოდეს უღალატიათ მთაწმინდური ცხოვრების პრინციპებისთვის.

წამოსვლა რომ დავაპირეთ, ძმები სიყვარულით გამოგვემშვიდობნენ, და ეს სიყვარული სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ღმერთმა განუსვენოს მათ სულებს და ჩვენც შეგვეწიოს მათი ლოცვა.

## თავი 2

### დროის მცირე მონაკვეთი

დადგა დრო, როდესაც მე უნდა გამოვმშვიდობებოდი წმინდა ანას სკიტს და კავსოკალივში გავმგზავრებუდიყავი. იქ, როგორც ვთქვი, მინდოდა მომენახულებინა ერთი ჩემი მეგობარი და თანაკლასელი, რომელიც იოასაფის კალივაში ცხოვრობდა. შუადღეზე წმინდა ანას ნავმისადგომში ჩავედი და სარეისო კატერზე დავჯექი.

მალე ჩვენმა კატერმა ჩაუარა კარულისა და კატუნაკის უდაბნოებს. ეს არის გამომხმარი, კლდოვანი ადგილები.

— აქ, — მითხრა ერთ-ერთმა მგზავრმა, — ასკეტები ცხოვრობენ.

მათი სიმხნევე და მოთმინება რომ წარმოვიდგინე, მღელვარებისგან სუნთქვა შეემკრა. ერთ-ერთმა მონაზონმა მგზავრმა პატარა ქოხმახი დამანახა და მითხრა:

— აი იმ ქოხში რუსი თავადი ცხოვრობს — მღვდელ-მონაზონი პართენი.

ვიგრძენი, როგორ ამითრთოლდა გული, მაგრამ გადავწყვიტე, ამ ადგილის მონახულება შემდეგისთვის გადამედო.

კავსოკალივის ნავმისადგომში ჩემ გარდა სხვა მგზავრებიც ჩამოვიდნენ. მათ შორის რამდენიმე მონაზონი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, დახმარებოდნენ და მომსახურებოდნენ მგზავრებს. ერთ-ერთმა მათგანმა, მამა ტიმოთემ, სამოც წელს გადაცილებულმა ბერმა, გულწრფელი მოშურნეობით გამომტაცა ხელიდან ტვირთი და თვითონ აიკიდა! ჩვენ დავადექით ბილიკს და ავედით ერთ-ერთ მალლობზე, საიდა-

ნაც მოჩანდა მწვანეში ჩაფლული კავსოკალივის სკიტი. სკიტის შუაგულში იოასაფების ხატწერის სახელოსნო იყო, ცოტა მოშორებით კი — კირიაკონი, თავისი მშვენიერი მაღალი სამრეკლოთი. ჩემმა აღფრთოვანებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა: მე კავსოკალივში ვარ!

ნელ-ნელა მივიწვევდით წინ, და ბოლოს იოასაფების არქონდარიკის ეზოსაც მივადექით. კარი ჩემმა ნაცნობმა მონაზონმა გაგვიღო და მოულოდნელობისგან ადგილზე გახევდა. მამა ტიმოთეს დახმარებისთვის მაღლობა გადავუხადე; მან ჩემი ტვირთი დაღო და წავიდა, ჩვენ კი ეკლესიაში შევედით. მე განმაცვიფრა მისმა სიმშვენიერემ. კანკელი თითქმის მთლიანად მოქროვილი იყო; რუსულ სტილში დაწერილი ხატები ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენდნენ. მათი ავტორები იმ დროისათვის უკვე განსვენებული დიდი მხატვრები — იოასაფები იყვნენ. ყველაფერი ბრწყინავდა ირგვლივ, იდეალური სისუფთავე და წესრიგი სუფევდა.

ამის შემდეგ არქონდარიკში შევედით. ეს ნამდვილად არქონდარიკი<sup>1</sup> იყო! ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს აქ ყველაფერი თავადებისთვის იყო განკუთვნილი. როგორც კი დავსხედით, მაშინვე შემოვიდა კალივის ბერი — მამა არტემი; მას შემოჰყვნენ მამა იოანე და მამა გიორგი: ეს უკანასკნელი მე ჯერ კიდევ პირეაში გავიცანი.

---

<sup>1</sup> არქონდარიკი — მონასტრის სასტუმრო. სიტყვა-სიტყვით „არქონდარიკი“ თავადების განსასვენებელს ნიშნავს.



სადილის შემდეგ მე და ჩემი მეგობარი კირიაკონის მოსალოცად წავედით. სკიტის დიკეოსი იმ დროს იყო აწ განსვენებული მამა დამიანე, რომლის ბიბლიური გარეგნობა უნებურ მოკრძალებას აღძრავდა თქვენში, მისი რჩევები კი დიდ სულიერ სარგებელს მოგიტანდათ.

მეჩვენებოდა, რომ კი არ მივდიოდი, მივფრინავდი სკიტის ბილიკებზე. კირიაკონიდან აკაკი კავსოკალიველის ასკიტირიონში შევიარეთ. აქ, ამ პატარა ქოხში, ჩემდა გასაოცრად და სასიხარულოდ, მე ვიხილე მამა ტიმოთე — მონაზონი, რომელიც ტვირთის ზიდვაში დამეხმარა; აგრეთვე მისი თანამოღვაწენი: მამა აკაკი და მღვდელ-მონაზონი მამა იეროთეოსი.

მამა აკაკი უკვე ოთხმოც წელს იყო გადაცილებული. მისი დანახვისას იფიქრებდით, რომ ძველ ბიზანტიურ ფრესკაზე გამოსახული რომელიღაც ღირსი მამა გაცოცხლდა და თქვენ წინაშე წარდგა. მამა იეროთეოსი წმინდა გრიგორის მონასტრის ყოფილი იღუმენის — მამა თეოდორეს ხორციელი ძმა იყო. იგი გამოირჩეოდა უსაზღვრო სიკეთითა და უბრალოებით.

მალე დაწესებული ხემსიც მოგვართვეს. ვისხედით სუფრასთან და ვტკბებოდით ეგეოსის ზღვის უსასრულობის ჭვრეტით. წმინდა აკაკის ასკიტირიონიდან ულამაზესი ხელი იშლებოდა.

ამის შემდეგ წმინდანის მღვიმეში ჩავედით და მე ვემთხვიე ხის საწოლს, რომელზეც ოდესღაც ხანმოკლე განსვენებას პოულობდა წმინდა ასკეტი ბერი. მღვიმის გარეთ იდგა უზარმაზარი ხე. ამ ხის ტოტებზე, როგორც წმინდა აკაკის ცხოვ-

რების აღმწერელი გვაუწყებს, ხშირად ჯდებოდა ხოლმე პატარა უმშვენიერესი ჩიტი და თავისი ტკბილი გალობით მოწყინების ბრძოლას უმსუბუქებდა წმინდანს.

იმავე დღეს ჩვენ ვეწვიეთ კეთილკრძალული ბერის — მამა მიქაელის კალივას. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ყოველთვის ყველაფრისთვის ჰმადლობენ ღმერთს, ყოველთვის გულწრფელნი და უშუალონი არიან.

კავსოკალივში დაახლოებით ათი დღე დავყავი და მრავალი მამა გავიცანი. ვეწვიე წმინდა მეთოდეს კალივასაც. ეს იყო სერიოზული საძმო. აქ ცხოვრობდნენ მამა კოზმა და მისი მორჩილები: მონაზონი — მამა ეგნატე და მღვდელ-მონაზვნები — მამა დამიანე და მამა მეთოდე.

არასოდეს დამავიწყდება მამა არსენი — ხეზე მჭრელი, რომლის ნამუშევრებსაც კარგად იცნობდნენ საბერძნეთის, ევროპისა და თვით ამერიკის სულიერ სამყაროშიც კი. თხუთმეტი წელიწადი იგი მოთმინებით მუშაობდა ხელოვნების ერთ შედეგრზე. ეს იყო ხეზე ამოკვეთილი მეორედ მოსვლის გამოსახულება; დაახლოებით ათი წელიწადი კი მეორე შედეგრზე — ჯვარცმაზე. ამ ხელოვანი ბერის სული ასკეზით იყო განწმენდილი; მის შრომას ყოველთვის თან სდევდა ლოცვა და მარხვა. მასში თქვენ შეგეძლოთ ამოგეცნოთ ადამიანი, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ ღმერთისთვის და ემსახურება ღმერთს თავისი ნატიფი, უდახვეწილესი ხელოვნებით.

კავსოკალივში ყოფნისას მე ორჯერ-სამჯერ ვესტუმრე მამა არსენის — მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ დავმტკბარიყავი მასთან საუბრით. იმ დროს იგი სამოცდაათ

წელს იყო მიღწეული. თვალები პატარა ბავშვივით უბრწყინავდა; მის თეთრ, გასხვივოსნებულ სახეზე ვერც ერთ ნაოჭს ვერ შეამჩნევდით, მისი ქათქათა წვერი კი ღრმა მოწინების გრძნობას აღძრავდა თქვენში. ამ ადამიანის განწმენდილი გულიდან მუდამ ბრძნული სიტყვები მოედინებოდა. ბერის ერთადერთი საქმიანობა ხეზე ჭრა და ლოცვა იყო, სენაკის საქმეებს კი მისი მორჩილი — მამა ეპიტანე ასრულებდა.

მე მქონდა აგრეთვე ბედნიერება, გავცნობოდი ღრმად პატივცემულ მამა ანტონის — „ღირსი მამების“ კალივის ბერს. ეს იყო ნამდვილი წმინდა მამა, ნამდვილი ასკეტი, რომელიც ბრწყინავდა კავსოკალიველებს შორის, — მუდამ დაფიქრებული და მკაცრი. მასთან ურთიერთობა პირველი საუკუნეების ეგვიპტესა და თებაიდას გაგახსენებდათ, როცა ბერ-მონაზვნობა თავისი განვითარების კულმინაციას აღწევდა.

კავსოკალივის ყველა მამა უაღრესად კეთილი იყო. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ, ვინ წამიყვანდა პირველი თავის კალივაში, ვინ შემომთავაზებდა თუნდაც მხოლოდ ერთ ჭიქა ყავას. „სტუმრის მოყუარებასა ნუ დაივიწყებთ“ (ებრ. 13,2). თუკი ეს ქრისტიანული ტრადიცია, ეს თბილი ურთიერთდამოკიდებულება, საერთოდ ბერძნების ხასიათის თვისებაა, მაშინ უნდა ითქვას, რომ მთავმინდელ მონაზვნებში მან განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა.

მე საკმაო ხანი დავყავი კავსოკალივში. და აი, დადგა დრო, როცა ათონის მთის მონაზვნობის ცენტრი — დიდი ლავრა უნდა მომენახულებინა. ჩემმა მეგობარმა მონაზონმა ამიხსნა, საითაც უნდა წავსულიყავი; მანვე მითხრა, რომ ლავრისკენ

მიმავალ გზაზე შემხვდებოდა დიდი სიწმინდე – წმინდა ნილოს მირონმდინარის საფლავი.

ვისაც ამ სიწმინდის მოლოცვა სურს, მან ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს: ღირსი მამის ასკიტირიონის მარტო შეხედვაც კი შიშის ზარს დაგცემთ. როგორც ამბობენ, რამდენიმე ხანს წმინდანის ნაწილებიდან მირონი გადმოდიოდა და ზღვაში ჩაედინებოდა. დინების ადგილზე გარკვევით ჩანს მირონის ნაკვალევი. აქ სწეული ადამიანები ჩამოდიონდნენ მომცრო იალქნიანი გემებით და მრავალ მათგანს კურნება ენიჭებოდა. ამით ისარგებლეს მეკობრეებმა: ისინი თავს ესხმოდნენ კურნების მისაღებად ჩამოსულ მორწმუნეებს, მიჰყავდათ ტყვეებად და აღმოსავლეთის მონების ბაზარზე ყიდდნენ. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად ნილოს მირონმდინარის გამოქვაბულის მახლობლად მცხოვრებმა ბერმა – აკაკიმ – სთხოვა წმინდანს, შეეწყვიტა მირონის დენა და ხალხის განკურნება. მას შემდეგ მირონი დაშრა.

სიმწრის ოფლში გაღვრილმა მოვილოცე ღირსი მამის საფლავი, – მეშინოდა არ გადავჩეხილიყავი ციცაბო კლდიდან. შემდეგ ავედი კალივაში და ვემთხვიე წმინდანის თავის ქალას, აგრეთვე ფილონს, რომლითაც იგი მსხვერპლშეწირვის დროს იმოსებოდა. ამ კალივაში ცხოვრობდა რამდენიმე ძმა მამა ნილოს მიტილინელის წინამძღვრობით. როდესაც მე მივედი, მამა ნილოსი ლელვს კრეფდა, და მან შემომთავაზა ლელვი ყავასთან და ცივ წყალთან ერთად. დიდხანს დარჩენის დრო აღარ მქონდა, მალევე გამოვემშვიდობე ბერს და კვლავ ლავრისკენ მიმავალ გზას დავადექი.

საკმაო მანძილი რომ გავიარე, რომელიღაც მონასტრის წინ აღმოვჩნდი. ოდესღაც ყურმოკრულის მიხედვით მე მივხვდი, რომ ეს ნათლისმცემლის სახელობის რუმინელთა სკიტი უნდა ყოფილიყო. სურვილი გამიჩნდა, მესარგებლა შემთხვევით და თავყვანი მეცა იოანე ნათლისმცემლისთვის, თანაც სკიტის ძმობაც მომენახულებინა.

ჭიშკარში შევედი და ტაძრისკენ გავემართე. ეს ტაძარი, როგორც მთაწმინდის ყველა დანარჩენი კათოლიკონი,<sup>1</sup> საკმაოდ კარგად იყო მოვლილი, მთლიანად შენობების კომპლექსი კი არცთუ ისე სახარბიელოდ გამოიყურებოდა.

ერთ-ერთმა ძმამ არქონდარიკში შემიყვანა. ეს იყო დიდი დარბაზი, რომლის კედლებზეც გამოფენილი იყო პატრიარქების, მეფეებისა და მონასტრის ილუმენების ფოტოსურათები. დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში მონაზონი იჯდა. მან მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება: მახალაკი, სუფთა ანაფორა, უხეში მონაზვნური ფეხსაცმელები, თეთრი შალის წინდები, შალის სკუფია. მისი სადა, მოკრძალებული გარეგნობა მისსავე უაღრესად მორჩილ ხასიათზე მეტყველებდა. საოცარი შინაგანი მოთხოვნილება ვიგრძენი, გამეცნო ეს კეთილკრძალებული მონაზონი და მისთვის ჩემი ფიქრები გამეზიარებინა. მივუახლოვდი და ვკითხე, რომელი მონასტრიდან იყო. მან მშვიდად და მდაბლად მიპასუხა:

— დიონისეს მონასტრიდან.

---

<sup>1</sup> კათოლიკონი – მონასტრის ან საერთო საცხოვრებელი სკიტის მთავარი ტაძარი.

ამ ცნობილი კინოვიის სახელის გაგონებაზე მე შევკრთი. მინდოდა რაც შეიძლებოდა მეტი გამეგო მასზე. მონაზონმა, თითქოს ღმრთისაგან შთაგონებულმა, – რამეთუ კარგ მონაზვნებს ყოველთვის ეძლევათ ამგვარი შთაგონება, – ამოიცნო ჩემი სურვილი და ყველა შეკითხვაზე დაწვრილებით მიპასუხა. ჩვენ მთელი ღამის განმავლობაში ვსაუბრობდით დიონისეს მონასტრის ყოფა-ცხოვრებასა და ჭეშმარიტ მონაზვნობაზე. შემდეგში იგი მეუბნებოდა, რომ თვითონაც იგრძნო შინაგანი მოთხოვნილება, გამსაუბრებოდა და, რაც მთავარია, გაეგო, მქონდა თუ არა მონაზვნობისადმი მისწრაფება.

სახე ანგელოზივით უბრწყინავდა. მისი საუბრის ტონი საოცრად შთამბეჭდავი იყო. „იქნებ ეს სწორად ის მონაზონია, – ვეუბნებოდი საკუთარ თავს, – ვისაც განუსჯელად უნდა მივენდო?“ მაგრამ ჯერ მაინც ვყოყმანობდი. „შევხედავ კიდევ, – ვფიქრობდი, – და მერე გადავწყვეტ“.

დილით ცისკრის ლოცვაზე წავედით. ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც იმ დღეს წირავდა, განსაკუთრებული კეთილკრძალულებით გამოირჩეოდა. წირვის შემდეგ, სიხარულითა და აღფრთოვანებით აღსავსემ, მე კურთხევა ავიღე მამა ლაზარესგან, – ასე ერქვა დიონისიატელ მონაზონს, – გამოვემშვიდობე მას და შევპირდი, რომ მალე მოვინახულებდი.

ნახევარ საათში უკვე დიდ ლავრას მივაღეჭი. იგი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეს ჩამოჰგავდა: სათოფურები, მაღალი კოშკები, ციხეები, ტაძრები, ეგვტერები, უშველებელი მოკირწყლული ეზო; ყველაფერ ამას მეფურად დაჰყურებს თვით წმინდა ათანასეს მიერ აშენებული კათოლიკონი, რომლის წინ საუკუნოვან გუშაგებად აღმართულა ორი უზარმა-

ზარი კვიპაროსი. გადმოცემა გვაუწყებს, რომ ერთი მათგანი, შედარებით დიდი, საკუთარი ხელით დარგო წმინდანმა, მეორე კი – მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ.

ლავრაში რაღაცნაირი კეთილშობილური ატმოსფერო სუფევდა. იგრძნობოდა წესრიგი და სისუფთავე. ლავრის მონაზვნები – მეკარიდან, მესტუმრიდან და მნათედან დაწყებული, იღუმენით დამთავრებული, თითქოს ამაცობდნენ თავიანთი წარმომავლობით: ისინი ხომ წმინდა ათანასეს სულიერი შვილები იყვნენ და, ერთგვარი გაგებით, იმპერატორ ნიკიფორე ფოკას<sup>1</sup> თანამოძმეებიც. მონასტრის ეზოში ხეტიალისას ასე მეგონა, რომ სადღაც, რომელიღაც კუთხეში, წმინდა ათანასეს გადავეყრებოდი.

საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ლავრის ერთ-ერთმა წეს-ჩვეულებამ: მებაღე ხილსა და ბოსტნეულს სახეობების მიხედვით გროვებდა აწყობდა, ხოლო მამები მოდიოდნენ და თავ-თავიანთთვის იღებდნენ, რაც სჭირდებოდათ. ამ სანახაობას განსაკუთრებულად შთამბეჭდავს ხდიდნენ მეუღაბნოე მამები. ისინი იკრიბებოდნენ ახლომდებარე კალივებიდან, რამდენიმე დღის სამყოფი ბოსტნეულით ავსებდნენ თავიანთ ასკეტურ მახალაკებს და უკანვე ბრუნდებოდნენ. გული მომიღბო ამ სურათის ხილვამ!.. ასეთი წეს-ჩვეულება მთაწმინდის სხვა მონასტრებშიც იყო დამკვიდრებული.

ლავრაში დიდხანს არ დავრჩენილვარ, მეჩქარებოდა კავსოკალივში დაბრუნება: იქიდან წმინდა ანას სკიტში უნდა შე-

---

<sup>1</sup> ნიკიფორე ფოკა – ბიზანტიის იმპერატორი 963-969 წლებში. იგი იყო დიდი ლავრის კტიტორი. მისი შემწეობით დააარსა ეს ლავრა წმინდა ათანასე ათონელმა 963 წელს.

მევლო, შემდეგ კი დიონისეს მონასტერს ვწვეოდი და არაჩვეულებრივი მონაზონი — მამა ლაზარე მომენახულებინა.

ორი დღე კავსოკალივში გავატარე. შემდეგ წავედი წმინდა ანას სკიტში და კვლავ მამა აზარიას კალივაში დავბინავდი. სწორედ იმ დღეებში ღვთისმშობლის შობის დღესასწაული დაემთხვა. და აი, ერთ ნაშუადღევს ჩვენ გვესტუმრა ჭაღარა, მკაცრი გარეგნობის ბერი: როგორც შემდგომ შევიტყვე, ეს იყო ღვთისმშობლის შობის კალივის წინამძღვარი — მამა გრიგორი. იგი იმისთვის მოვიდა, რომ აქაური მამები დღესასწაულზე საგალობლად მიეპატიჟებინა. მე ამ დროს დივანზე ვიჯექი. მამა გრიგორიმ გამომცდელად შემომხედა და არქონდარიკში შევიდა. მამებმა მიპატიჟება მიიღეს, ოღონდაც ბერს უთხრეს, რომ ჩემი სახით მათ ჰყავდათ სტუმარი. მაშინ ბერმა მეც დამპატიჟა თავის კალივაში.

გამოვიკითხე მისი საძმოს შესახებ და შევიტყვე, რომ იგი შედგებოდა რამდენიმე ძმისგან, რომლებიც ამერიკიდან იყვნენ ჩამოსული და აქ ბერის ხელმძღვანელობის ქვეშ ცხოვრობდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა ერთი ძალიან განათლებული და კეთილკრძალული არქიმანდრიტი. საკუთარი სულის სრულყოფისათვის იგი ზეადამიანურ ღვაწლს ეწეოდა. მას იოაკიმე ერქვა. მე გამახსენდა ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ პირეაში მსმენოდა მისი სათნოებების, მისი განათლებულობისა და, საერთოდ, მისი ცხოვრების წესის შესახებ.

რვა სექტემბრის წინა საღამოს ჩვენ, ყველანი, ღვთისმშობლის შობის კალივას ვესტუმრეთ. მე ისევ და ისევ ყველაფერს ვაკვირდებოდი: მინდოდა მომენახა ყველაზე საუკე-



თესო სამომო და საკუთარი თავი მთლიანად ღმრთისთვის მიმეძღვნა.

იქაური ძმების მკაცრი, ასკეტური გარეგნობა ჩემთვის მეტად მიმზიდველი იყო. მამა იოაკიმე მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა ძმებისგან. თითქოს ყველაფერი მის გარშემო ბრუნავდა. სანამ ღამისთვის ლოცვა დაიწყებოდა, ის მომიახლოვდა და არისტოკრატული თავაზიანობით მკითხა, სადაური ხართ და მონაზვნობას ხომ არ აპირებთო. მაგრამ მე მას დავუმაღლე ჩემი სანუკვარი ოცნება და ვუთხარი, რომ ჯერ კიდევ მოფიქრება მჭირდებოდა.

— თუ გადაწყვიტოთ, — მითხრა მან, — ჩვენ გვჭირდება ერთი ადამიანი.

ცოტაც და დავთანხმდებოდი ამ კეთილშობილურ სამომოში სამუდამოდ დარჩენაზე, მაგრამ მამა ლაზარეზე ფიქრმა შემაკავა.

ღამისთვის ლოცვაზე მრავალი მამა მოვიდა. მათ შორის იყო რამდენიმე მეუღაბნოე. საოცრად კეთილკრძალული ატმოსფერო სუფევდა. მამები თავიანთ სტასიდებში იდგნენ და საკუთარ თავში ჩაღრმავებულები ლოცულობდნენ, ან კიდევ მდაბლად, მშვიდად და მოკრძალებით გალობდნენ. საკითხავი მე ჩამებარა. მახსოვს, ვკითხულობდი წმინდა გრიგოლ პალამას სიტყვას ღვთისმშობლის შობის შესახებ. იგი ორიგინალში იყო და ცოტათი გამიჭირდა. ლიტურგიის ბოლოს ბევრი მამა ეზიარა.

ღილის ტრაპეზის შემდეგ გამოვემშვიდობეთ კალივის მამებს და წამოვედით. უკანა გზაზე მე ჩუმად ვლოცულობდი:

„ღმერთო, თუ შენი ნებაა, მაკურთხე, რომ დავბრუნდე და სამუდამოდ დავრჩე ამ საძმოში“.

რამდენიმე ხანს კვლავ მამა აზარიასთან ვცხოვრობდი. ეს ჩემთვის მძიმე დღეები იყო; დაბნეული და გაორებული ვიყავი: დიონისეს მონასტერში მამა ლაზარესთან თუ ღვთისმშობლის შობის კალივაში მამა იოაკიმესთან? თუმცა მჯეროდა, რომ ბოლოს და ბოლოს ღმერთი იქ მიმიყვანდა, სადაც ჩემთვის ყველაზე უმჯობესი იქნებოდა.

## თავი 3

### დიონისეს მონასტერში

ცამეტ სექტემბერს დიონისეს მონასტერში გავემგზავრე. როდესაც კატერი მონასტერს მიუახლოვდა, მე განმაცვიფრა მისმა ნაგებობებმა. სენაკები თითქოს ზღვისა და კლდეების თავზე ძაფით არის ჩამოკიდებული; ციხე-სიმაგრეებს, სათოფურებსა და კოშკებს თქვენ გადაჰყავხართ იმ სახელოვან ღროში, როცა მონასტრები შენდებოდა და მდიდრდებოდა ბიზანტიის იმპერატორების მიერ.

მონასტრის მოკირწყლულ გზაზე რომ ავდიოდი, მარცხენა მხარეს დავინახე ისტორიული ეგვიპტური, რომელიც უკავშირდება უწმინდეს პატრიარქ ნიფონტის სახელს. როდესაც პატრიარქი მონასტერში მოვიდა, საკუთარი თავის დამდაბლების მიზნით მან დამალა თავისი ვინაობა და დაემორჩილა მონასტრის წესდებას, რომლის მიხედვითაც ყველა ახალმოსული პირველი ექვსი თვის მანძილზე ინიშნებოდა ჯორების მწყემსად. მაგრამ მალე ღმერთმა მონასტრის ილუმენს გამოუცხადა, თუ ვინ იყო სინამდვილეში მორჩილი-მეჯორე, და როცა ის ჯორებთან ერთად სავანეში ბრუნდებოდა, ძმებმა ამ ადგილზე საპატიო შეხვედრა მოუწყვეს: სამწერობლებით, ბაირალებითა და საკმევლის კმევით. ასე განადიდებს ღმერთი თავმდაბლებს — მათ, ვისაც სურს იყოს „ყოველთა უკუანა“. რასაკვირველია, ღმერთი მათ ზეცაშიც უმზადებს შეხვედრას, ოღონდაც უფრო დიდებულს და საზეიმოს.

მე ჭიშკარში შევედი და კათოლიკონისკენ გავემართე. კატერმა ადრე ჩამომიყვანა და წირვის დასასრულს მივუსწარი.

წირვა ტარდებოდა ღვთისმშობლის პატარა ტაძარში. ამ მონასტრის მიმართ ისეთი საოცარი კრძალვა მქონდა, რომ აქ ყველაფერს ზეციური მადლით გასხვივოსნებულს ვხედავდი — არქიტექტურიდან დაწყებული, საღმრთო ლიტურგიით დამთავრებული. განსაკუთრებული სიხარული კი მაშინ ვიგრძენი, როდესაც კლიროსზე ჩემთვის დიდად პატივცემულ მამა ლაზარეს მოკვარი თვალი. იგი „განიცადენს“ გალობდა. დამთავრდა თუ არა ჩამოლოცვა, მაშინვე მასთან მივირბინე და ხელზე ვემთხვიე. მან ტაძრის სიწმინდეებთან მიმიყვანა. მოკრძალებით ვეამბორე იოანე ნათლისმცემლის მარჯვენას. „განიჰყარ ხელი შენი და შეახე უხრწნელსა თხემსა მეუფისასა“, — ჩუმი ხმით წავიგალობე.

ჩვენ უკვე ვჩქარობდით, რადგან ტაძარი უნდა დაკეტილიყო. ის კვლავ გაიდებოდა საღამოს, ღამისთვის ლოცვის წინ.

ტაძრიდან რომ გამოვედი, მამა ლაზარეს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მეუბნებოდა: „ამიერიდან შენ იოანე ნათლისმცემლის სულიერი შვილი ხარ“. ამის შემდეგ მან მონასტრის ილუმენთან — არქიმანდრიტ გაბრიელთან მიმიყვანა. ეს იყო გონიერი და ბრძენი ადამიანი, თავმდაბალი, მშვიდი, უსაზღვროდ კეთილი, — პიროვნება, რომელიც იმსახურებდა ყოველგვარ პატივს. იმ ხნიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე ის ღირსეულად ატარებს თავის მხრებზე მთაწმინდის ავტორიტეტს და ამდიდრებს ამ წმინდა ადგილს თავისი სათნოებებით, ნიჭებითა და ტალანტებით, რითაც იგი ღმერთმა უხვად დააჯილდოვა. ესაა ათონის მთის მონაზვნობის ნამდვილი ბურჯი. წარმოშობით თესალიიდანაა — სადაც მრავალი რჩეული და ღირსეული მონაზონი იშვა. მე რომ გა-

ვიცანი, იმ დროს ორმოცდაათი წლისა იყო. გაცნობისთანავე აშკარად დაინტერესებულმა მკითხა:

– სადაური ხარ? გინდა, რომ მონაზონი გახდე?

– კი, მამაო, – ვუპასუხე მე, – მთაწმინდაზე იმისთვის მოვედი, რომ მონაზონი მინდა გავხდე.

– ღმერთმა ისე წარგიმართოს, შვილო, როგორც შენთვის უმჯობესი იქნება. უკვე ისიც საკმარისია, რომ ღმრთის განგებამ მამა ლაზარესთან შეგახვედრა.

ამ საუბრის შემდეგ მამა ლაზარემ მონასტრის სასნეულოში წამიყვანა. იქ იგი ექიმის მორჩილებას ასრულებდა.

იმ დღეს მონასტერში მარხვა იყო, რადგან მეორე დღისთვის ყველანი საზიარებლად ემზადებოდნენ. მამა ლაზარემ სამარხო საჭმელი მომიტანა და თან ამიხსნა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მონაზვნის ცხოვრებაში მარხვას. ჩემი გონება ხარბად ისრუტავდა მის სიტყვებს.

საუბარში ისე გავერთეთ და იმდენად საინტერესო იყო ეს საუბარი, რომ არც კი გაგვხსენებია, ცოტა მაინც მოგვესვენა, – თუმცა საღამოს ხანგრძლივი ღამისთევა გველოდებოდა.

რამდენიმე ხანში ცოტაოდენი ხილი შევჭამეთ, რათა მშვიდრები არ ვყოფილიყავით, შემდეგ სასნეულოს ტახტზე ჩამოვსხედით და მამა ლაზარემ გადამიშალა თავისი სულის საგანძური. როგორ აზროვნებდა! ან რა ცხოვრება ჰქონდა გავლილი ამ ადამიანს! მთაწმინდაზე თვრამეტი წლის ასაკში ჩამოვიდა ამერიკიდან. მას წმინდა ცხოვრება და ჭეშმარიტი მოღვაწეობა სწყუროდა და თავისი მაღალი ასკეტური მისწრაფებებით მონასტერი რთულ მდგომარეობაშიც კი ჩააყენა.

ასეთი ადამიანების ცხოვრება არის სინათლე, და ეს სინათლე მათი გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო ელვარე ხდება.

გავიდა რამდენიმე საათი და მოულოდნელად მამა ლაზარეს საუბარი შევაწყვეტინე, რადგან მომეჩვენა, თითქოს ერთ წამში ზეცაში აღმოვჩნდი: ჩემს ყურთასმენას მოსწვდა საოცრად ჰარმონიული ზეციური ჰანგები, რომლებიც მონასტრის სამრეკლოდან მოისმოდა. ასეთი ჰანგები პირველად მესმოდა ჩემს სიცოცხლეში.

— მამაო, ეს რა არის?! — შევძახე აღფრთოვანებულმა და გაოცებულმა.

— ზარებია, ღამისთევის ზარები.

— ზარები?! ასე რეკავენ მთაწმინდაზე ზარებს?! ეს ზარები კი არა, ზეციური მუსიკაა!

შემდეგში შევიტყვე, რომ რეკავდნენ მნათეები, რომლებსაც მუსიკალური განათლებაც ჰქონდათ და საგანგებოდაც იყვნენ განსწავლული ამ საქმეში.

ცოტა ხანში ჩვენ უკვე კათოლიკონის კიბეებზე ავდიოდით. ბინდბუნდში ყოველი მხრიდან ჩნდებოდნენ მამები — შავი, მღუმარე აჩრდილები, ეკლესიაში შედიოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით სხდებოდნენ თავიანთ სტასიდებში.

ღამისთევა დაიწყო. იღუმენი ჩინებულად უძღვებოდა ჯვართამაღლების სადღესასწაულო ღვთისმსახურებას. პირველდაწყებითი ფსალმუნის შემდეგ იგალობეს გამორჩეული მუხლები ამავე ფსალმუნიდან. დროის გარკვეულ შუალედებში მგალობლები ერთმანეთს ცვლიდნენ, რადგან ღამისთევის

ლოცვა ძალიან ხანგრძლივი იყო. კანანარხი<sup>1</sup> და ეკლესიარხი,<sup>2</sup> თავიანთი სამონაზვნო მანტიებით ანგელოზებს რომ ჰგავდნენ, ერთი კლიროსიდან მეორეზე გადადიოდნენ. თითქოს ჭეშმარიტ სამოთხედ გადაექციათ ეს წმინდა ადგილი აქ მყოფ ცოცხალ მონაზვნებსა და კედლებზე გამოსახულ ღირს მამებს. დიაკონს ერთ ხელში საცეცხლური ეჭირა, მეორეში კი – პატარა მინიატურული ოქროს ეკლესია<sup>3</sup> და საგალობლის ტაქტში აკმევედა. ყველაფერი საუკეთესოდ იყო მომზადებული, ყველაფერში იდეალური წესრიგი იგრძნობოდა. და მაშინ ვიფიქრე, რომ, ჭეშმარიტად, კინოვია<sup>4</sup> – ეს არის სასუფეველი დედამიწაზე, სადაც მონაზვნები ანგელოზთა მსგავსად განადიდებენ ღმერთს. სასწორის ისარი ჩემში აშკარად იქითკენ იხრებოდა, რომ დიონისეს წმინდა მონასტერში

---

<sup>1</sup> კანანარხი – მონაზონი, რომელიც კანანარხობს, ანუ ღვთისმსახურების დროს ნაწილ-ნაწილ კარნახობს მგალობლებს ტროპრებსა და დასდებლებს და ისინი იმეორებენ.

<sup>2</sup> ეკლესიარხი – მონაზონი, რომელიც უკლის ეკლესიას და წესრიგს ამყარებს ღვთისმსახურების დროს.

<sup>3</sup> აქ საუბარია კაციაზე, რომლითაც დიაკვნები აკმევენ. ხშირად მას აქვს ტაძრის ფორმა.

<sup>4</sup> კინოვია – საერთო საცხოვრებელი მონასტერი, რომლის სათავეშიც ღვთისმსახურება იღუმენი. საბერძნეთში იღუმენს ირჩევენ თვითონ ძმები და არავის არა აქვს მისი გადაყენების უფლება. კინოვიური ტიპის მონასტრებში ძმებს აქვთ საერთო ტრაპეზი, საერთო და ყველასთვის სავალდებულო ღვთისმსახურება, საერთო საკუთრება. ხოლო იდიორიტმულ მონასტრებში, რომლებიც ათონის მთაზე ამჟამად უკვე აღარ არსებობენ, არა ჰყავთ იღუმენი და თითოეული ძმა ცხოვრობს თავისი განაწესით, თვითონვე ზრუნავს საკუთარ კვებაზე.

დავრჩენილიყავი. ვფიქრობდი, რომ, ერთი მხრივ, მონასტერი, რომელშიც შეიძლებოდა განგეცადა ასეთი დიდი სულიერი სიხარული, და, მეორე მხრივ, მამა ლაზარე – საუკეთესო არჩევანი იქნებოდა ჩემი მონაზვნური ცხოვრებისთვის.

ამასობაში ლიტიაც დაიწყო. პირველად ილუმენი გამოვიდა სტოვაში. მას გალობით გამოჰყვნიენ მამები. ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიკავა. გავიგონე, როგორ იხსენიებდა დიაკონი მეფეების, დედოფლების, მეფისწულების, ქტიტორებისა და მონასტრის განმაახლებლების სახელებს. ამ სახელებისა და ლოცვების გაგონებამ ბიზანტიის ეპოქაში გადამიყვანა.

„გიხაროდენ, ცხოველსმყოფელო ჯვარო...“ – მესმის მამა ლაზარეს გალობის ხმა და ვხედავ მთელ ამ დიდებულ პროცესიას, რომელიც კვლავ საზეიმო სვლით მოემართება ტაძრის მთავარი ნაწილისკენ.

ლიტიას მოჰყვა საკითხავი, საკითხავს კი – ექვსფსალმუნება; მას, როგორც ყოველთვის, ილუმენი კითხულობდა: კრძალვით, აუჩქარებლად, სევდანარევი სიხარულით აღსავსე ხმით; თითქოს ყოველი სიტყვა გააზრებული ჰქონდა. იმ დღიდან მოყოლებული, ვცდილობდი ხშირად დავსწრებოდი ცისკარს დიონისეს მონასტერში და მომესმინა, როგორ კითხულობდა ილუმენი ექვსფსალმუნებას.

„აქებდითის“ დროს ლიტანიობის სრული წესით გამოასვენეს პატიოსანი ჯვრის ნაწილი და ჩვენ ღირსი გავხდით თაყვანი გვეცა მისთვის – თანაც მისივე ამაღლების დღეს! ცისკრის შემდეგ მამები, ჩვეულებრივ, მოსასვენებლად წავივინდნენ. გრძელი „უფალო ღალად-ვყავ“-ის, „დიდება მალა-



ლიანისა“ და სადიდებლიანი მსახურების გამო ცისკარმა რვა-ცხრა საათს გასტანა.

გავიდა ორი საათი და ზარების მელოდიურმა რეკვამ საღმრთო ლიტურგიაზე მოგვიხმო. ეს იყო სადღესასწაულო მსახურება, რომელსაც უძღვებოდა ილუმენი. მისი თანამწირველები იყვნენ მონასტრის მღვდელ-მონაზვნები და დიაკვნები. მამების მონაწილეობა ზიარების საიდუმლოში ღმრთის ლოცვა-კურთხევის გვირგვინს წარმოადგენდა. ისინი უაღრესი კრძალვით მიეახლებოდნენ საიდუმლოს და ამ კრძალვას ცრემლებითაც კი გამოხატავდნენ. რა ღრმად აღიბეჭდა ჩემს სულში ეს რამდენიმე წუთი!

ილუმენს ხელში წმინდა ბარძიმი ეჭირა. ისმოდა ვიღაცის მოკრძალებული გალობა: „სერობასა საიდუმლოჲსა შენისასა...“ მამები ორივე კლიროსის მხარეს მეტანიას აკეთებდნენ და საზიარებლად გადიოდნენ, – მიეახლებოდნენ ცხოვრების ბარძიმს, რათა „ცხოვრება საუკუნო“ დაემკვიდრებინათ, შეეწყნარებინათ ქრისტე, რომელიც მკვიდრობდა მათ გულებში. იგივე ბარძიმი განამტკიცებდა წმინდა მოწამეებს ქრისტიანობის ადრეულ ხანაში და ისინი მტერზე გამარჯვებულები გამოდიოდნენ. ეს ბარძიმი ახლაც განამტკიცებს სინდისის მოწამეობისათვის მებრძოლებს – მოწამეებს მონაზვნურ ღვაწლში...

ასეთ დიდ დღესასწაულებზე ტრაპეზის წინ ზარები ირეკება. მამები ეკლესიიდან გამოდიან და სახეიმო სვლით მიემართებიან სატრაპეზოსკენ. ხელში სანთლები უჭირავთ. მამებს

უკან მოჰყვებიან მაგალობლები, შემდეგ კი ილუმენი მოდის, მანტიით შემოსილი, კვერთხით ხელში.

როცა ყველამ ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ სატრაპეზოში, ილუმენმა პატარა ზარი დარეკა, რითაც მკითხველს ანიშნა, ლოცვა ეთქვა. მკითხველმა მაღალი ამბიონიდან თქვა ლოცვა; ამის შემდეგ ილუმენმა ტრაპეზი აკურთხა და ყველანი სუფრას მივუსხედით. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, რომ საჭმელი ზეთიანი იყო. ერში ჯვართამაღლების დღეს ზეთით გახსნილება სერიოზულ ცოდვად ითვლება. იმედი მქონდა, რომ ამ გაურკვეველობიდან მამა ლაზარე გამომიყვანდა.

მკითხველი კითხულობდა დინჯად, აუჩქარებლად. მამები თავიანთ თევზებზე დახრილიყვნენ და უხმაუროდ ჭამდნენ, თან ჯვართამაღლებისადმი მიძღვნილ სიტყვას უსმენდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ილუმენმა ხელმეორედ დარეკა ზარი. მკითხველმა კითხვა შეწყვიტა და წარმოთქვა: „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთაათა უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალებ და გვაცხოვნენ ჩვენ“; ამის შემდეგ კი კვლავ თავის საკითხავს დაუბრუნდა. იმავე წამს მამებმა პირჯვარი გადაიწერეს და ხელში ღვინით სავსე ჭიქები აიღეს.

სატრაპეზოს კედლების საუცხოო მონატულობა, ხის ძველი, მოჩუქურთმებული ამბიონი, ასკეტური სკამები, საჭმლის მიღების ხანმოკლე დრო – ყველაფერი ეს ქმნიდა ლოცვის, მღუმარებისა და თავშეკავების განწყობას, დაახლოებით ისეთს, როგორიც არის ეკლესიაში. განსაკუთრე-

ბულ მისტიურ ელფერს სატრაპეზოს კუნკულ-ბარტყულიანი მღუმარე მამები აძლევდნენ.

როცა ილუმენი დარწმუნდა, რომ უკვე ყველამ დაამთავრა ჭამა, კიდეც ერთხელ დარეკა ზარი. მკითხველმა კითხვა შეწყვიტა, ამბიონიდან ჩამოვიდა და ილუმენისკენ გაემართა. გზაში სამჯერ წარმოთქვა: „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთაჲთა...“; შემდეგ თაყვანი სცა ილუმენს და მისი ხელიდან მიიღო დაწესებული კურთხევა — პურის ნაჭერი და ჭიქა ღვინო. უკანასკნელ ზარზე ჩვენც წამოვდექით და ვთქვით სამადლობელი ლოცვა.

ამას მოჰყვა „პანაგის წესი“. მეტრაპეზე-მონაზონი, რომელსაც ხელში ღვთისმშობლის ბეჭდიანი სეფისკვერი ეჭირა, მიუახლოვდა შუაგულ სატრაპეზოში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს, მის წინაშე ჰაერში სეფისკვერით ჯვარი გამოსახა და თქვა: „დიდ არს სახელი წმიდისა სამეხისაჲ და — „ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ“. ამის შემდეგ სეფისკვერი დატეხეს და ძმებს გაუნაწილეს. მგალობლები ამ დროს გალობდნენ „ღირს არსის წილს“: „საიდუმლო სამოთხე ხარ, ღვთისმშობელო“, ეკლესიარხი კი კაცით აკმევედა.

ამით მთავრდება ტრაპეზის მთელი წესი. ილუმენი გადის პირველი, დგება შესასვლელის წინ და აკურთხებს გამსვლელებს; მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მუხმოდრეკილები დგანან მზარეულები, მეტრაპეზე და მკითხველი. როგორც მამა ლაზარემ ამიხსნა, ისინი ითხოვენ შენდობას, თუ რაიმე კარგად ვერ გააკეთეს.

დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ყველაფერი მიწნარდა. ძმები მოსასვენებლად წავიდნენ თავიანთ სენაკებში. მე კი მინდოდა მამა ლაზარესგან გამეგო, თუ რატომ იყო ტრაპეზი ზეთით ხსნილი. მან ამიხსნა, რომ ეს ნებადართულია „შრომისათვის ღამისთევისა“. მისმა პასუხმა სრულიად დამაკმაყოფილა. მაღლობა გადავუხადე და, დაქანცული, შინაგანი განცდებით სავსე, დასაძინებლად წავედი.

სადილის შემდეგ ჩემში საბოლოოდ მომწიფდა გადაწყვეტილება, დავრჩენილიყავი დიონისეს მონასტერში, ოღონდაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ილუმენი ნებას დამრთავდა, ორი წელიწადი მამა ლაზარესთან მეცხოვრა სასნეულოში და მას მოვმსახურებოდი. ეს იყო, ასე ვთქვათ, თავისებური გამოცდა: თუკი ილუმენი მიიღებდა ჩემს წინადადებას, დარწმუნდებოდი, რომ ჩემი დარჩენა დიონისეს მონასტერში ღმრთის ნება იყო, ხოლო თუკი არ მიიღებდა, მაშინ წავიდოდი წმინდა ანას სკიტში, მამა გრიგორის კალივაში.

გახარებული იმით, რომ საშუალება მეძლეოდა, გამოვსულიყავი გაურკვეველი მდგომარეობიდან, მე გავიქეცი მამა ლაზარესთან. ის ჩემს მოლოდინში სასნეულოს ტახტზე იჯდა. ეზოში გავედით და ხის სკამზე ჩამოვსხედით. ჩვენ წინ გაწოლილიყო სექტემბრის წყნარი ზღვა. თავდაპირველად ბერს ღამისთევის შთაბეჭდილებები გავუხიარე, შემდეგ კი ჩემი განზრახვის შესახებ ვუთხარი. მან ყურადღებით მომისმინა და მიპასუხა:

— დაელაპარაკე ამის შესახებ ილუმენს და თუ ღმრთის ნებაა, ის შენს წინადადებას მიიღებს.

ერთი საათის შემდეგ მე უკვე ილუმენის მისაღებში ვიჯექი.

— მამაო, მაკურთხეთ, ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა დაგელაპარაკოთ.

მან მამაშვილური სიყვარულით მომიხმინა; საუბარი რომ დაგამთავრე, ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია, შემდეგ კი მიპასუხა:

— შეილო, ჩვენ წინასწარი მორიგებით არ ვიღებთ მონაზვნებს. ვინც აქ მოდის, ის თავის ნებას მონასტერს უქვემდებარებს და მონასტერი თვითონ წყვეტს, რა მორჩილებაზე დაადგინოს იგი. ძალიან ვწუხვარ, რომ არაფრით შემიძლია გაგახარო. თუ გინდა, დარჩი ჩვენთან საცხოვრებლად და წმინდა ნათლისმცემელი ყველაფერს მოაგვარებს.

— დიდი მადლობა, მამაო, გულწრფელი პასუხისთვის. ეს პასუხი კიდევ უფრო ღრმა პატივისცემით განმაწყობს თქვენდამი და თქვენი მონასტრისადმი. მაგრამ ღმრთის წინაშეც და საკუთარი თავის წინაშეც რომ მართალი ვიყო, ამისთვის წმინდა ანას სკიტში უნდა წავიდე საცხოვრებლად.

მეტანია გავუკეთე მას და დამწუხრებული დავბრუნდი მამა ლაზარესთან. როცა ილუმენის პასუხი გადავეცი, მან მითხრა:

— მე სწორედ ასეთ პასუხს ველოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ შეწუხდებოდი და ამიტომაც არაფერი გითხარი თავიდან. თუმცა ისიც დასაშვებია იყო, რომ ილუმენს მიეღო შენი წინადადება.

იმ წუთიდან უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი გზა წმინდა ანას სკიტისკენ მიემართებოდა. სადამოს მამა ლაზარე კვლავ გამესაუბრა სკიტური ცხოვრებისა და საერთოდ

ათონური ცხოვრების წესზე. საქმის ასეთი დასრულების გამო ჩვენ ცოტა დამწუხრებულები დავშორდით ერთმანეთს.

დილით ლიტურგიაზე შევხვდი მამა ლაზარეს, შემდეგ კი საბოლოოდ გამოვემშვიდობე მას და ლოცვებში მოხსენიება ვთხოვე.

ცოტა ხანს მონასტრის ნავმისადგომში ვიცდიდი, სანამ რომელიმე ნავი გამოჩნდებოდა; და აი, სულ მალე მეთევზეების ხომალდით წმინდა ანას სკიტისკენ გავემგზავრე. ახლა მთელ ჩემს იმედებს ამ სკიტზე ვამყარებდი.

მე წმინდა ანას სკიტის ძმობის წევრი ვარ

ვზივარ მამა გრიგორის მისაღებში. მამა იოაკიმე მიმასპინძლდება დაწესებული ხემსით და იმავე წამს ეძლევა დავალება, დამაბინავოს სენაკში, რომელიც მდებარეობს მამა გრიგორის სენაკის გვერდით. მალე ყველაფერი გამზადდა. მოუთმენლად გადავწიე კარის სახელური და, ბედნიერი, ჩემს პატარა სენაკში აღმოვჩნდი. აქ მამა იოაკიმემ პირველი რჩევა-დარიგება მომცა:

– შვილო, სენაკი მონაზვნისთვის – ეს ბრძოლის ველია. აქ შენ უნდა შეეჭიდო ღემონსა და საკუთარ ვნებებს, და უნდა ეცადო, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოხვიდე. მაშინ შენი მფარველი ანგელოზი სიხარულით აღივსება და ღმერთი აკურთხებს შენს ბრძოლას. მაშ ასე, აქედან – სამოთხეში!

– თქვენი ლოცვით, მამაო, – ვუპასუხე აღელვებულმა, – დაე, ნურასდროს გაემარჯვებინოს ჩემზე ღემონს.

შემდეგ კარი დაკეციე და მარტო დავრჩი. „ღმერთო ჩემო, – ვამბობდი, – აქედან – სამოთხეში!“ თვალი მოვაავლე ჩემს პატარა სენაკს. მისი ზომა დაახლოებით ორი – ორნახევარზე იქნებოდა, მეტი არა. ავეჯიდან აქ მხოლოდ ერთი ხის ტახტი იყო და ერთი პატარა მაგიდა. მაგიდაზე იდგა კანდელი; კედელზე ღვთისმშობლის ძველებური ხატი ეკიდა. ჩემი ფანჯრიდან, როგორც დიდი ამფითეატრის ყველაზე მაღალი ადგილიდან, თითქმის მთელი სკიტი მოჩანდა. ჩემ წინ იშლებოდა პანორამა. ზღვა ჰორიზონტამდე იყო გადაჭიმული. გარეგარის ხე ჩემს ფანჯრამდე აღწევდა.

ცოტა მეტი ყურადღებით რომ შევათვალიერე ჩემი სენაკი, რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამიჩნდა: იგი იყო დაბალჭერიანი, ვიწრო, სევდის მომგვრელი... მაგრამ სულ მალე მივხვდი, თუ რა აზრი იდო სენაკის ამგვარად გამართვაში და დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც თავისთავად გამიქრა. მთაწმინდის ყველა კინოვიასა და კალივაში სენაკები პატარა და დაბალჭერიანია, როგორც სორო. ასეთი ვიწრო საცხოვრებელი ადგილი ეხმარება მონაზონს, ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს და გონება საკუთარი გულისკენ მიმართოს.

მაშ ასე, ეს არის ჩემი სენაკი. აქ უნდა ვიცხოვრო. აქ ჩემი ლოცვა იქნება, ჩემი ღვაწლი, ჩემი ორთაბრძოლა... აქ იქნება ჩემი ცრემლები, ჩემი სიხარული — ყველაფერი იქნება აქ. ვიწყებ დღევანდელი დღიდან, არ ვიცი როდის დავასრულებ. ჩემი მეგობარი ამ სენაკის სიღარიბე იქნება, ჩემი ძალა — მისი წარსული. რამდენ ადამიანს უცხოვრია აქ! რამდენი ლოცვა, მუხლმოდრეკა, რამდენი მწუხარება, რა ორთაბრძოლები გამოუვლიათ! იქნებ იმ მონაზვნებმა, რომლებიც ოდესღაც ჩემს სენაკში ცხოვრობდნენ, ღუაწლი კეთილი მოიღუაწეს, სრბაჲ ადასრულეს და სარწმუნოებაჲ დაიმარხეს, და ახლა მოზეიმე ეკლესიის წევრები არიან, მოზეიმე ეკლესიის წმინდანები!

როგორც კი ცოტა მოვწესრიგდი, მაშინვე ბერთან წავედი, მისაღებში. ის იყო მშვიდი, მომლიმარი. ღიმილს საერთოდ იშვიათად შენიშნავდით მის სახეზე.

— ცოტა ხანს დაჯექი, — მითხრა მან, — სანამ მწუხრის ზარი დაირეკებოდეს.



მალე მისაღებში ერთი ახალგაზრდა მონაზონი შემოვიდა, დაახლოებით ჩემი ხნის. როგორც გავიგე, სახელად გრიგორი ერქვა. მან ბერის წინ მეტანია გააკეთა, შემდეგ კი მომიტრიალდა და ძალიან გულთბილად მითხრა:

– დაე, ღმერთმა სიმტკიცე და მოთმინება მოგცეს!

მწუხრის ზარმა კალივის ეკლესიაში მოგვიხმო. ეკლესია ღარიბულია, მაგრამ შთამბეჭდავი: ძველი სტასიდები, ძველებური ხატები, უბრალო კანდელები. აღსავლის კარსა და ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილს ორი გახუნებული ფარდა ფარავს. ბერმა ჩემს სტასიდასთან მიმიყვანა. ამიერიდან ამ სტასიდაში უნდა ვიდგე ღვთისმსახურების დროს. მომდევნო სტასიდა მამა იოაკიმეს ეკუთვნის. მისი უმოძრაო, ლოცვითი პოზა, მისი ასკეტური სახე, ხშირი, გრძელი წვერები – ისე ამშვენებს ამ წმინდა ადგილს, როგორც რომელიმე ღირსი მამის ბიზანტიური ფრესკა.

პატარა, ცნობისმოყვარე და ჯერ კიდევ უცხო, მე გადავრობდი მზერით ერთი ადგილიდან მეორეზე და ვცდილობდი შევჩვეოდი ახალ გარემოს. ვერც კი გავიგე, როგორ დამთავრდა მწუხრი: უბრალო, მოკლე, რიტმული, მაგრამ კეთილკრძალული მსახურება. მამა გრიგორი, ყველაზე უმცროსი ძმა, ტრაპეზის მოსამზადებლად გაიქცა. მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო, სავანშემოდ რომ დავსხედით. ყველაფერი რაღაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ბევრი რამ გამეგო პირველივე დღეს. ტრაპეზზეც სკრუპულოზური დამკვირვებელი ვიყავი. ყოველი წვრილმანი მაინტერესებდა: რას ჭამდნენ, როგორ ჭამდნენ, ან როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ საჭმლის მიმართ.

მზის ჩასვლამ მე და ბერს კალივის გარეთ მოგვისწრო: ქვის სკამებზე ვისხედით, ერთ-ერთი ისინასტური სენაკის მახლობლად. ეს სენაკი განმარტოებით იღვა და ამიტომ „განმარტოებულს“ უწოდებდნენ.

— როგორ მოგწონს ჩვენი საცხოვრებელი ადგილი, გიორგი? — მკითხა ბერმა.

— ძალიან, მამაო.

— და აი, აქედან — ზეცაში, შვილო.

— თქვენი ლოცვით, მამაო, თუ თქვენ დამეხმარებით.

— უსათუოდ დაგეხმარებით, ღმრთის შეწევნით. სწორედ იმისთვის მოდის აქ ადამიანი, რომ ძმებს შორის იცხოვროს; ბერი და ძმები ეხმარებიან მას თავისი მიზნის მიღწევაში.

ყურადღებით, კმაყოფილების გრძნობით ვუსმენდი ბერს.

— ახლა, — განაგრძობდა ის, — უნდა მოვაწყოთ პატარა გასეირნება, რომ შენ მთელ ჩვენს სკიტს გაეცნო. აი იქ, ქვემოთ, წმინდა ევსტათის კალივია, შემდეგ — წმინდა ნათლისმცემლის; უფრო ქვემოთ — წმინდა სერაფიმე ფანურიელის; მარჯვნივ — წმინდა მოციქულების; მის პირდაპირ — მირქმის; ზუსტად ჩვენს პირდაპირ, იქ, ქვემოთ, მთავარანგელოზების კალივია; იქვე, სკიტის კირიაკონის ქვემოთ — ამაღლების კალივია, რომლის წინამძღვარიც მამა ნიკოდიმოს კვიპრელია; იქით, მარჯვნივ, კიდეში, ხატმწერები — კარცონასები ცხოვრობენ, იმის ქვემოთ კი, პატიოსანი ჯვრის კალივაში, ანანიას საძმოა, სადაც თერთმეტი ძმა მოღვაწეობს; ცენტრში, როგორც იცი, წმინდა ანას სახელობის კირიაკონია. მისი წმინდა ნაწილები და მისი სასწაულმოქმედი ხატი განსაკუთრებულად საგრძნობს ხდიან, რომ ის უხილავად ჩვენ შო-

რის იმყოფება. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შემდეგ წმინდა ანა ჩვენი პირველი მეოხია.

ბერი კიდევ ღიღხანს მესაუბრებოდა: სკიტზე, წმინდა მთაზე, მონაზვნობაზე, მართლმადიდებლობაზე. მე მთელი გულისყურით ვუსმენდი და უდიდეს სიამოვნებას განვიცდიდი; ხან მის აღფრთოვანებულ სახეს ვუყურებდი, ხან კი ჰორიზონტს მივაპყრობდი მზერას და ვფიქრობდი: „ეს რა საშინელი ჭუჭყი დავტოვე ერში“; შემდეგ იმ მიწას დავხედავდი, რომელზეც დავდიოდი, და გავიფიქრებდი: „რა ფასდაუღებელი ბრილიანტი ვიპოვე აქ“.

„რა სარგებელს მიიღებს ადამიანი, — განვაგრძობდი ფიქრს, — თუკი იგი მთელ ქვეყანას შეიძენს, საკუთარ სულს კი ავნებს? ან რას გაიღებს კაცი საკუთარი სულის სანაცვლოდ?“ მონაზვნები ყველაზე საუკეთესო ვაჭრები არიან: ცოტას კარგავენ და ბევრს იძენენ. დროებითს არაფრად აგდებავენ, მარადიულისკენ კი მთელი არსებით ისწრაფიან, ზურგს აქცევენ მიწიერს და აგროვებენ საუნჯეს ცათა შინა.

\* \* \*

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უკეთ ვეცნობოდი ჩემს თანამოძმეებს. მამა გრიგორი, ჩვენი წინამძღვარი, იყო მკაცრი მონაზონი, საკუთარი თავის მიმართ — უწყალო და შეუბრალებელი; მტკიცე, შეურყეველი ადამიანი; არაფრის გამო არ უღალატებდა მონაზვნურ პრინციპებს. ამაში მნიშვნელოვან როლს ისიც ასრულებდა, რომ ადრე იგი იყო ასეულის უფროსი საბერძნეთის არმიაში. მაგრამ მას ჰქონდა საოცრად კეთილი, მოსიყვარულე გული.

მამა იოაკიმე მღვდელ-მონაზონი იყო. როგორც არისტოკრატი, იგი გამოირჩეოდა უზალო ყოფაქცევით. ამ ადამიანის ზრდილობა ჩემში აღფრთოვანებას იწვევდა. ბერი ხშირად მეუბნებოდა: „პატარავ, შეხედე მამა იოაკიმეს, დღეს ბევრი აღარაა ასეთი მონაზონი – ასე ერთგულად რომ მისდევდეს მონაზვნური ცხოვრების წესებს“.

შემდეგ – მამა სტეფანე: ახალგაზრდა მონაზონი, წარმოშობით სპარტიდან. ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები ამერიკაში გაატარა. იქ გაიცნო მამა იოაკიმე და ისეთი რწმენითა და ნდობით განიმსჭვალა მისდამი, რომ ამერიკიდან მთაწმინდაზე წამოჰყვია. იგი გვეუბნებოდა, რომ როდესაც პირველად შეხვდა მამა იოაკიმეს, უხორცო არსება ეგონა და ვერ წარმოედგინა, რომ ისიც დედის მუცლიდან იყო გამოსული. მამა სტეფანეს ძლიერი აღნაგობა ჰქონდა, ამიტომაც ბერი ხშირად მძიმე სამუშაოებს ავალებდა.

მამა პაისიც ამერიკიდან იყო, ისიც მამა იოაკიმეს სულიერი შვილი, – გაუნათლებელი, მაგრამ მოშურნე მონაზონი. კალივაში მებაღის მორჩილებას ასრულებდა.

მამა გრიგორი ჩემზე ცოტათი უფროსი იყო. ბერს იგი განსაკუთრებულად უყვარდა და თავისი სახელიც კი დაარქვა. ახალგაზრდა, სულიერი ცხოვრებისადმი მხურვალე მოშურნეობით აღსავსე, მკაცრი მოღვაწე, თავის უარყოფის არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული – ის რწმენით მიჰყვებოდა მამა იოაკიმეს.

იმ დროს ჩვენ ორ მოხუც ბერს ვუვლიდით. ეს ბერები ჩვენმა მამებმა მოიყვანეს კალივაში, რომ მცირედი ნუგეში მაინც მიეცათ მათთვის ცხოვრების მიმწუხრში: ისინი ხომ

ძალიან დიდი ხნის მანძილზე განმარტოებულად ცხოვრობდნენ. ასეთი ძმათმოყვარეობა მთაწმინდელებისთვის ჩვეულებრივი ამბავია. როცა ვინმე ისე მოხუცდება ან დასწეულდება, რომ საკუთარი თავის მომსახურება აღარ შეუძლია, ის მოსაველელად მიჰყავთ სხვა მამებს და, ვიდრე აღესრულებოდეს, მთელი გულით ემსახურებიან მას. თანაც ამ სამსახურს ღმრთის უდიდეს წყალობად მიიჩნევენ.

\* \* \*

კალივაში ჩემი მოსვლიდან ოცი დღის შემდეგ მე და ბერი დილაადრიან გავემართეთ კარიესისკენ და მივაღექით კარამანლიდების სენაკს, სადაც იკერებოდა შესამოსელი. მათი წინამძღვარი, სახელად ქრისტეფორე, აღმოსავლეთიდან იყო სერიოზული, მეგობრული სამმო; განუწყვეტელი ლოცვა, შრომა და მღუმარება. მათ ზომები ამიღეს და დაიწყეს ჩემი ანაფორის, კაბისა და სხვა სამოსის კერვა. სამი დღე იქ დავყავით, გვინდოდა ყველაფერი ერთად წაგველო, რომ მეორედ აღარ დაგვჭირვებოდა მოსვლა. ჩვენი სკიტიდან კარიესამდე ფეხით ექვსი საათის სავალი იყო.

როცა შესამოსელი გამზადდა, დავემშვიდობეთ ძმებს და კვლავ წმინდა ანას სკიტიისკენ გამოვემართეთ. საშინლად ვლელავდი. ჩემი შესამოსელი ისე მომქონდა, როგორც რაღაც ძვირფასი განძი.

ჩვენი ეპოქის მამები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გარეგნულ მხარეს. მათთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა მონაზონს ჰქონოდა რაიმე ისეთი, რაც მას წარსულ ცხოვრებას მოაგონებდა: თუნდაც ფეხსაცმელი, ან წინ-

დები, ან შიდა საცვალი, საათი ან სხვა რაიმე ნივთი, რაც სულ უმნიშვნელოდ მაინც იქნებოდა დაკავშირებული ერულ ცხოვრებასთან, – ყველაფერი უნდა ყოფილიყო მონაზვნური. რამხელა სიბრძნე იმალება ამგვარ დამოკიდებულებაში! დღევანდელ მონაზვნებსაც რომ მიექციათ ამისთვის ყურადღება, რამდენად უფრო გაუადვილდებოდა ახალმოსულს ცხოვრება.

მაშ ასე, ერთ შაბათ საღამოს, მწუხრის ლოცვის დროს, მე გავაკეთე დაწესებული მეტანია და ჩავიცვი სამონაზვნო შესამოსელი. მამები, როგორც ასეთ შემთხვევებში იყო მიღებული, ყველანი ერთხმად გალობდნენ სადღესასწაულო დოგმატიკონს: „ყოვლისა სოფლისა დიდებასა, კაცთაგან გამოსრულსა...“

მე ახლა ღმრთის ლაშქარში ახალწვეული ჯარისკაცი ვარ, თუმცა ჯერ კიდევ არაოფიციალური. ჯერ მხოლოდ მორჩილის წოდება მაქვს. ოფიციალურად ჩემი სახელი სკიტის სიაში უნდა შევიდეს ცოტა მოგვიანებით.

როგორც კი ანაფორა ჩავიცვი, ბერმა მოისურვა მასთან ერთად გადამელო სურათი და გამეგზავნა ჩემს ოჯახში: იმის ნიშნად, რომ უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე მონაზვნური ცხოვრება. სურათს თან ახლდა ასეთი შინაარსის წერილი: „გადავწყვიტე ღმრთის მთავრად მთავრად. ამისთვის ჩავიცვი ანაფორა. ნუ გაილაშქრებთ ღმრთის წინააღმდეგ, რათა ცოცხალი ღმრთის რისხვა არ დაგატყდეთ თავს“. ამ წერილს ბოლო უნდა მოელო იმ პერიპეტეებისთვის, რომლებიც წლების მანძილზე მტანჯავდნენ მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც.

მამაჩემი, მიქაელი, მოკლეს მცირე აზიაში – საბერძნეთის არმიის ცნობილი უკანდახვეის დროს. ამგვარად, დაქორწინე-

ბიდან ოცდაათოხმეტი დღის შემდეგ დედაჩემი დაქვრივდა, ჩემი მეურვეობა კი ბიძაჩემმა აიღო თავზე: ეს იყო ფლოტის მოხელე. მახსოვს გამუდმებული ცემა-ტყეპა, ქამარი, მუქარა — როგორც დედისგან, ასევე ბიძისგან; და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ დაჟინებით მინდოდა გავმხდარიყავი მონაზონი. თუმცა, როგორც ეს არცთუ იშვიათად ხდება, ბიძაჩემმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება და ცხოვრების ბოლომდე ჩემ მიმართ პატივისცემით იყო გამსჭვალული. მაგრამ ჩემთვის ღმრთის განსაკუთრებული წყალობა დედაჩემის შემობრუნება იყო. იგი არა მხოლოდ დაემორჩილა ღმრთის ნებას, არამედ გადაწყვიტა, თვითონაც მიეღო ანგელოზებრივი სქემა! მისი ცხოვრების მიმწუხრში მე წილად მხვდა ბედნიერება, აღმეკვეცა იგი მაკარიას სახელით და გავმხდარიყავი მისი ბერი და მოძღვარი.

ასე რომ, ახლა მშვიდად ვარ, რადგანაც ვიცი, რომ „ჟამნი იგი [მათისა] უმეცრებისანი უგულებელს-ყვნა ღმერთმან“ (საქმე 17,30). და საუკუნო ცხოვრება მიჰმადლა მათ.

## თაზი 5

### ჩემი პირველი აღსარება მთაწმინდაზე

– რაკი ჩვენთან დარჩენა გადაწყვიტე, – მითხრა ერთ დღეს ბერმა, – უნდა წახვიდე და აღსარება თქვა მოძღვართან.

ჩვენი მოძღვარი, მამა ქრისტეფორე, კარულის უდაბნოში ცხოვრობდა განმარტობით. ეს ის ადგილი იყო, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა ათონური ცხოვრების სიმკაცრე. ბერმა ერთ-ერთი ძმა გამაყოლა და ჩვენ გავემართეთ კარულის უდაბნოსკენ. თან ჩანთებით უამრავი სანოვაგე მიგვქონდა იქაური ასკეტებისთვის. ისინი ხომ ყველაფერს მოკლებული იყვნენ, ჩვენ კი, მაღლობა ღმერთს, უხვად გვქონდა საკვები.

პირველად მამა გერასიმე ჰიმნოგრაფის კალივას მივადექით. ამ ადამიანთან შეხვედრამ ძალიან გამახარა. მე ის ჯერ კიდევ 1935 წელს გავიცანი პირეაში. ეს იყო ჩემთვის მეტად პატივცემული და საყვარელი პიროვნება. მას თვითონაც ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა მთაწმინდაზე, და თანაც მონაზვნურ შესამოსელში – მთელი თავისი ათონური თავისებურებებით: კვერთხით, მახალაკით, უხეში ფესსაცმლით, რომლის ძირებიც ავტომობილის სქელი საბურავისგან იყო გამოჭრილი; მაგრამ ბერმა კიდევ უფრო მეტად გაიხარა, როცა გაიგო, რომ მკაცრ ასკეტურ საძმოში ცხოვრება მხვდა წილად.

მე მას აღფრთოვანებით შევყურებდი. იგი იყო ჩვენი ეკლესიის თანამედროვე ჰიმნოგრაფი. მისი საგალობელთშემოქმედებითი ტალანტი უფრო მეტად იმით ფასდებოდა, რომ ის ამ



ტალანტს აღრმავებდა და ზრდიდა „მცირე წმინდა ანას უდაბნოს“ ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში.

– ესე იგი, ეს შენი პირველი აღსარებაა მთაწმინდაზე? – მითხრა მან. – შენ მიდიხარ მოძღვართან, რომელიც დიდი სიწმინდითა და განსჯის უნართაა დაჯილდოებული. ახლა უნდა ეცადო, რომ ღმრთის ნიჭის მიღების ღირსი გახდე.

ჩვენ მას ლოცვებში მოხსენიება ვთხოვეთ, მაღლობა გადავუხადეთ და კარულის სიღრმისკენ ავიღეთ გეზი. მალე იმ ადგილს მივუახლოვდით, რომლის იქითაც მხოლოდ ჯაჭვების დახმარებით შეიძლებოდა გზის გაგრძელება: უხარმაზარი კლდეები, ციცაბო ფლატეები, ქვემოთ ზღვა – შავი, ველური, ღრმა. მე ნამდვილად არ გამაჩნდა იმდენი სიმტკიცე, რომ ასეთ სარისკო გზებზე მევლო, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემი მეგზური დამეხმარა გადასვლაში, რამაც სრულიად გამიფანტა შიში. როგორც კი პირველ სახიფათო გადასასვლელს გავცდით, სამი პატარა ქოხი დავინახეთ.

– ეს წმინდა გიორგის კალივია, – მითხრა ჩემმა თანამოძემ. – აქ ერთი ძალიან განათლებული რუსი მონაზონი ცხოვრობს, მამა ნიკონი. ადრე რუსეთის არმიის ოფიცერი იყო.

კარზე დავაკაკუნეთ და ცოტა ხანს მოვიცადეთ. მალე გამოჩნდა სათნო გარეგნობის ჭალარა მონაზონი, რომლის სახეც ზეციურ სიხარულს გაეცისკროვნებინა. ჩვენ მას ცოტა სანოვაგე დავუტოვეთ, ხელზე ვემთხვიეთ და გზა განვაგრძეთ.

ცოტა მოშორებით იდგა მეორე კალივია, რომელშიც აგრეთვე რუსი მეუდაბნოე ცხოვრობდა.

– ამ ასკეტს მღუმარების ღვაწლი აქვს აღებული, – მითხრა ჩემმა მეგზურმა.

და მართლაც, როდესაც ბერმა კარი გაგვიღო, მას ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, მხოლოდ და მხოლოდ წელში მოიხარა და მოსალმებისა და მადლიერების ნიშნად თითქმის მიწამდე დაგვიკრა თავი. ლოცვასა და სიმშვიდეში ჩაძირული, იგი ღმრთის საიდუმლოებებს ჭვრეტდა. ვინ იცის, რამდენი წელიწადი იყო, რაც ხმა არ ამოელო! ჩვენ მოწიწების გრძნობით გამსჭვალულები დავემშვიდობეთ მას და კვლავ თავის მღუმარებაში დავტოვეთ. რა მკვეთრად განსხვავდება ასკეტური მღუმარების საიდუმლო წუთისოფლის შვილების დაუოკებელი მრავლისმეტყველებისაგან! მღუმარებაში ხომ სული წმიდა პოულობს თავის განსასვენებელს.

მეორე რუსული კალივის ოდნავ მარჯვნივ, უზარმაზარი კლდის განაპირას, ბერძენი ასკეტის — მამა ბართლომეს კალივა იდგა. ეს იყო მგზნებარე ადამიანი, გამორჩეული საოცარი უშუალობითა და მოყვასისადმი დაუდგრომელი სიყვარულით. ჭეშმარიტად მრავალფეროვანია ღმრთის ნიჭები! ღმერთი განისვენებს სხვადასხვა ხასიათის ადამიანებში და ყველას ანიჭებს თავის მადლს. მამა ბართლომე იმდენად გამხდარი იყო, რომ ცარიელი ჩონჩხი გეგონებოდათ — მხოლოდ ძვალი და ტყავი იყო, ხორცის გარეშე; მაგრამ ჰქონდა საოცრად ნათელი თვალები, ბავშვური გულუბრყვილობით სავსე. მე იგი პირველად ჩვენი კალივის დღესასწაულზე ვნახე, 1938 წლის 8 სექტემბერს.

მისი სენაკის წინ ნუშის ხე იდგა. გარშემო, კლდეებს შორის, აბზინდის სურნელი იფრქვეოდა; ველური ჩიტები თავიანთი ტკბილი, მხიარული ჭიკჭიკით უდაბნოს მღუმარებას უსვამდნენ ხაზს; ქვემოთ — ზღვა, დრო და დრო მშვიდი, დრო

და დრო კი მშფოთვარე და ბობოქარი; და ყველაფერი ამის ფონზე — მამა ბართლომე — ჩონჩხის მსგავსი მეუღაბნოე.

— მშვიდობით ძმაო, — მეუბნება იგი გამოთხოვებისას. — წადი, განიწმინდე სული ამსოფლიური ცოდვებისაგან, რომ ღვთისმშობლის ღირსეული შვილი გახდე.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ მივაღექით მოძღვრის სენაკს. იგი მაცხოვრის შობის სახელობისა იყო. როდესაც სენაკის წინა ბაქანზე გავედით, აუტანელმა შიშმა და ძრწოლამ შემიპყრო: პირდაპირ ჩვენს ქვემოთ იყო ქაოსი და ზღვა — შავი ზღვა!

ახალგაზრდა მორჩილმა მამა ქრისტეფორეს სენაკში შეგვიყვანა. ის ტახტზე იწვა, რადგანაც საერთოდ ფეხები აწუნებდა.

— მობრძანდით, შვილებო, დასხედით. — იგი წამოდგა და წელში მოხრით თაყვანი გვცა. შემდეგ მე მომიბრუნდა: — კეთილი იყოს შენი მობრძანება, შვილო! აღსარებისთვის მოხვედრი?

— დიახ, მამაო, მთაწმინდაზე ჩემი პირველი აღსარებისთვის.

მე ახლა პირველად ვხედავდი ჩვენს მოძღვარს და მის ისიხასტირიონს, რომელიც პატარ-პატარა სენაკებისგან შედგებოდა. მისი სენაკის აღმოსავლეთ კედელზე ქალაღდის ხატებით სავსე კიოტი ეკიდა; ხატების წინ კანდელი ენთო. მაგიდაზე ეწყო რაღაც ხელნაწერები: ეს იყო ამონაწერები წმინდანთა სწავლებებიდან და ცხოვრებებიდან. ყველაფერში იგრძნობოდა უპოვარება.

– აი აქ ვცხოვრობთ, ამ სასახლეში, – მითხრა მან, როდესაც მარტონი დავრჩით. – აქედან ზღვასაც ვხედავთ, სწორედ ჩვენ წინ ეგეოსის ზღვაა. ხანდახან დიდი თევზები მოდიან ხოლმე: ვეშაპები, ზვიგენები, დელფინები. ამ კლდეს კარგ ამინდებში მზე ადგება. მაგრამ ეს ადგილი ძალიან მოუსავლიანია. რამდენიმე ოპუნციისა და ველური ნუშის გარდა სანუგემო არაფერი გვაქვს. შეშასაც კი ზურგით ვეზიდებით ამ კლდეებზე... შენ აღსარება ნათქვამი გაქვს, შვილო?

– დიახ, მამაო, პირველად თორმეტი წლის ასაკში ვთქვი აღსარება ერთ რუს ლტოლვილ მღვდელ-მონაზონთან, მაგრამ შემდეგში ჩემი მოძღვარი მამა პაისი ფინიოკალიოთაკისი გახდა.

– ა, მაშინ კარგი. თუმცა დღევანდელი აღსარება მაინც დიდმნიშვნელოვან მოვლენად დარჩება შენს ახალ ცხოვრებაში. მოხურე, თუ შეიძლება, ფანჯარა და მაცხოვრის ხატის წინ დაიჩოქე.

მე დავიჩოქე ხატის წინ. ამ აღსარებაში უნდა მომენანიებინა ჩემი ცხოვრების მთელი თვრამეტი წლის მანძილზე ჩადენილი ცოდვები. მოძღვარმა ოლარი გადაიცვა, სანთელი აანთო და დაიწყო აღსარების საიდუმლოს ლოცვების კითხვა. როცა დაამთავრა, რაღაც უცნობი ლოცვები მომცა, რომლებიც აგრეთვე აღსარების საიდუმლოს ეხებოდა, ალბათ ძველი ხელნაწერებიდან თუ ჰქონდა გადმოწერილი. მე ყურადღებით შევუდექი კითხვას. მაგრამ ეს ლოცვები იმდენად ამაღელვებელი იყო, ისე ზუსტად შეესატყვისებოდა იმ წუთებში ჩემს ემოციურ და ფსიქოლოგიურ გაწყობას, რომ ბოლომდე მათი ჩაკითხვა ვეღარც კი შევძელი. ჩემს ცხოვრებაში არც ერთი

აღსარების დროს არ გამომიცდია გრძნობების ასეთი მოზღვა-  
ვება. ცრემლები ნაკადულივით ჩამომდიოდა თვალებიდან,  
სიტყვის სათქმელად ენა აღარ შემორჩილებოდა, ხელები მი-  
კანკალებდა.

– ნუ ჩქარობ, შვილო, დაგელოდები, – მითხრა მოძღვარ-  
მა.

მაგრამ მე აღარ შემეძლო კითხვის გაგრძელება. ჩემი სუ-  
ლი ძირფესვიანად იყო შეძრული. მაშინ მოძღვარს ვთხოვე,  
ნება მოეცა, გამეწყვიტა ლოცვა, რომ ცოტათი მაინც გონს  
მოვსულიყავი. იმ დროში, სანამ დავწყნარდებოდი, იგი მოთ-  
მინებით ლოცულობდა სკვნილზე, შემდეგ კი, როცა დარჩენი-  
ლი ლოცვებიც წავიკითხე, მითხრა:

– ახლა, შვილო, აღიარე ღმრთის წინაშე, რა ცოდვები  
გაქვს ჩადენილი: იმ დროიდან, რაც ცნობიერებაზე მოხვედი,  
დღევანდელ დღემდე.

ღმერთო ჩემო, რა აღსარება იყო ეს! მე მისმენდა და მხე-  
დავდა ღმერთი ათონის კარულზე, და მხედავდა მოძღვარი,  
რომელიც გამორჩეული იყო თავისი ასკეტიზმით. გულისტკი-  
ვილით გადაუშალე მას „მწიკული ცოდვათა ჩემთა“, და  
აღსარების ბოლოს შევნიშნე, რომ იგი ტიროდა. ჩემთვის  
არაფერი უკითხავს, არავითარი ახსნა-განმარტება არ მოუთ-  
ხოვია. როცა ყველაფერი მოვუყევი, მითხრა:

– ახლა შენდობის ლოცვას წავიკითხავ.

– არაფერს მეტყვი? არ მირჩევთ რამეს?

– არა. აქ, მთაწმინდაზე, რჩევები და ხელმძღვანელობა ბე-  
რებს ეკუთვნით. ისინი აგებენ პასუხს თავიანთ მორჩილებზე.

ჩვენ მხოლოდ საიდუმლოს აღვასრულებთ. მოემზადე, რომ შობისთვის ეზიარო.

ამის შემდეგ მოძღვარმა მითხრა, რომ ახალმოსულებს ის საერთოდ დიდ კანონს აძლევდა და კარგა ხანს განაყენებდა ზიარებისგან, მაგრამ როცა გულწრფელ ტკივილსა და სინანულს ხედავდა, კანონსაც ამცირებდა. იმ დროს ოქტომბრის შუა რიცხვები იყო, საშობაოდ კი მე უკვე შემემძლო ზიარება.

ცოტა ხანში მან თავისი სამძმოს წევრებს დაუძახა და სიხარულით აუწყა:

– გიორგი განიწმინდა. ახლა ვუსურვოთ, რომ კარგი მონაზონი დადგეს.

ჩვენ ერთხანს კიდევ ვისხედით მოძღვრის ისიხასტირიონში და ვტკბებოდით მის სულიერ სამძმოსთან სიახლოვით. შემდეგ დავლიეთ ბალახის ცხელი ჩაი და ფრთაშესხმულები გამოვემართეთ სკიტისკენ. „მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროდს თოვლისა განსვპეტაკნე“. მე ახლა ვიწყებდი ახალ ცხოვრებას, განბანილი სულით.

\* \* \*

მოძღვრის პატარა ქოხი ჩვენთვის იყო სულიერი ძალების, სულიერი სიმტკიცის წყარო. არ შემეძლია არ გავინსენო ერთი საკმაოდ საყურადღებო შემთხვევა, რომელიც მოძღვართან მეორედ მისვლისას გადამხდა თავს.

ჯაჭვით რომ ჩამოვდიოდი ფლატედან, გზაში ერთი ნაცნობი მონაზონი შემომხვდა. ბერი, რომლის მორჩილებაშიც ის ცხოვრობდა, საოცარი განსჯის უნარით იყო დაჯილდოებული.

ლი. ჩვენ ჩვეულებრივ მივესალმეთ ერთმანეთს: „მაკურთხეთ – ღმერთმა“.<sup>1</sup>

სულ მალე მოძღვრის კალივის ჭიშკარზე დავაკაკუნე და მივხვდი, რომ ის თვითონ მოდიოდა გასალებად. კოჭლობის გამო მას სიარულის განსაკუთრებული მანერა ჰქონდა. ძალიან გულთბილად მიმილო. ჩვეულებრივ, კარულის ხემსით გამიმასპინძლდა.

აღსარების შემდეგ სენაკიდან გარეთ გამოვედით. მოძღვარი თითქოს რაღაცნაირად გადაღლილი და შეწუხებული ჩანდა.

– დღეს დიდი სირთულის წინაშე დავდექი, – მითხრა მან. – შენამდე აქ ერთი მონაზონი იყო, რომელმაც ძალიან მატკინა გული. მან რაღაცა შესცოდა და აღსარების სათქმელად მოვიდა: ისე, რომ თავის ბერს არ გაუძნილა ეს ცოდვა. მე, რა თქმა უნდა, არ მივიღე მისგან აღსარება. „წადი, – ვუთხარი, – ჯერ შენს ბერს გაუძნილე ყველაფერი და მერე მოდი ჩემთან“. და იგი ძალიან განაწყენებული წავიდა.

ეს ეპიზოდი საშუალებას მაძლევდა, ჩავწვდომოდი ჩემი მოძღვრის აზრთა მსვლელობას. ვიცოდი, რომ აქედან რაღაცა ძალიან კარგი უნდა გამოსულიყო.

– წმინდაო მოძღვარო, – ვკითხე მე, – როგორ უდგებით საერთოდ ამ საკითხს ან რა მნიშვნელობას ანიჭებთ მას მონაზვნურ ცხოვრებაში?

– მომისმინე, შვილო, – მიპასუხა მან, – ღმერთი წესრიგის ღმერთია, და არა უწესრიგობის. ამ შემთხვევაში საგნების წესრიგს ასეთი წყობა აქვს: ღმერთი – ბერი – მორჩილი.

---

<sup>1</sup> ანუ – „ღმერთმა გაკურთხოს“.

ამ წესრიგს მას შემდეგ მისდევს ჩვენი ეკლესია, რაც სული წმიდამ მამების მეშვეობით განსაკუთრებულ სულიერ სისტემად ჩამოაყალიბა მონაზვნობა. ეს სამობითი თანმიმდევრობა: ღმერთი – ბერი – მორჩილი, გაიგივებულია ძველი აღთქმის სამობით თანმიმდევრობასთან: მამა ღმერთი – მოსე – ისრაელი ერი. რასაც ღმერთი ისრაელ ერს აძლევდა, ყველაფერს აძლევდა მოსეს მეშვეობით; ასევე ერიც: რისი მიღებაც უნდოდათ ღმერთისგან, ყველაფერს მოსეს მეშვეობით ითხოვდნენ.

შვილო, – განაგრძობდა მოძღვარი, – თუ დაინახავ, რომ რომელიმე საძმო ან მონასტერი სულს დაფავს, ჩათვალე, რომ ეს მათ ამ ღვთივობებზე უწესრიგის დარღვევის გამო დაემართათ. ნეტარია ის მონაზონი, რომელიც თავის ბერს „ღმერთის შემდეგ ღმერთს“ უწოდებს. როცა ძმას აღსარებაზე უარი ვუთხარი, ის ძალიან დანალვლიანებული წავიდა. მაგრამ მე არც მინდოდა, რომ გახარებული წასულიყო. მისი სურვილი რომ დამეკმაყოფილებინა, ანუ უფლება რომ მიმეცა, ელიარებინა ჩემთან თავისი ცოდვა, ბერისგან კი დაემალა, ეს მონაზვნური წესის დარღვევა იქნებოდა და, ცხადია, ასეთ შემთხვევაში სატანის ხელმწიფებას გადავცემდი მას. ახლა კი იმედი მაქვს, რომ ის მალე გონს მოეგება და თავის საქციელს შეინანებს. მაშინ შენც გაგხდი ჩემი სიხარულის თანაზიარს, რადგანაც შენც ხომ დანალვლიანდი ამ ამბით, მიუხედავად იმისა, რომ მას არ იცნობ.

არ მინდოდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა ჩემი მოძღვარი, ამიტომ აღარ გაეუმხილე, რომ ძმას ვიცნობდი და გზაშიც კი შევხვდი მას. ვიცოდი, რომ ამით მოძღვრის სულს



ტრავმას მივაყენებდი. ის ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ჩვენ ერთმანეთს შევხვედროდით, რადგან წესით ძმა სულ სხვა გზით უნდა წასულიყო, და არა იმ გზით, რომლითაც მე მოვედი; და მოძღვარიც ფიქრობდა, რომ სხვა გზით წავიდოდა, ამიტომაც გამანდო მისი ამბავი.

თუმცა, როდესაც კალივაში დავბრუნდი, ჩემს ბერს ყველაფერი მოვუყევი, რადგანაც ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, მისგან რამე მქონოდა დაფარული.

## თავი 6

### ჩვენი საძმო – სულიერი სათბური

ჩემი ცხოვრება კალივიაში, ღმრთის კურთხევითა და ღრმად პატივცემული ბერის ლოცვით, მშვიდად მიედინებოდა. ვგრძნობდი, რომ აქ ყველაფერი მშობლიური იყო ჩემთვის. ჩემი სული წადიერად ისრუტავდა ყველაფერს. თითოეული ძმა თავისებურად კეთილ ზეგავლენას ახდენდა ჩემზე. მათი სიტყვა, მათი მოქმედება, მათი გამომეტყველება – ყოველივე ეს ღრმად იბეჭდებოდა ჩემს გულსა და გონებაში და ვცდილობდი, რამდენადაც შემიძლო, მიმებაძა მათთვის.

ყოველ საღამოს მივდიოდი ბერთან აზრების გასახსნელად და იგი დიდი ინტერესით აკვირდებოდა ჩემს სულიერ მდგომარეობას. მე ჯერ კიდევ ახალდამწყები ვიყავი, პირველ ნაბიჯებს ვდგამდი მონაზვნურ ცხოვრებაში და ამიტომაც მჭირდებოდა ყოველდღიური დახმარება. ჩემი სენაკი, როგორც ვთქვი, ბერის სენაკის გვერდით იყო. ბერს ჩვეულებად ჰქონდა, სერობის შემდეგ წიგნი წაეკითხა. ხშირად, როცა რაიმე ისეთ ნაწყვეტს შეხვდებოდა, რომელიც ჩემს დასამოძღვრად გამოდგებოდა, დამიძახებდა ხოლმე და მიკითხავდა.

მანსოვს ერთი ასეთი შემთხვევა. ბერმა დამიძახა; როდესაც შევედი, დავინახე, რომ ის რაღაცას გატაცებით კითხულობდა. ცოტა ხანს ფეხზე ვიდექი, მერე კი ბერმა მანიშნა, დაჯექიო.

– შენც მომისმინე, შვილო, რას ვკითხულობ. იქნებ არ წაგიკითხავს ეს, ან, თუ წაგიკითხავს, ყურადღება არ მიგიქცევია.

მან წამიკითხა ერთი მშვენიერი ნაწყვეტი წმინდა ანდრიას — ქრისტესთვის სალოსის ცხოვრებიდან. აქ წმინდა ანდრია აღწერს, თუ როგორ იხილა სამოთხე, როცა ერთ ზამთრის სუსხიან სადამოს, თოვლში ჩაწოლილი, მოულოდნელად ატაცებული იქნა ზეცაში. წმინდანი ცდილობს, ადამიანის ენით გადმოსცეს ენით უთქმელი ზეციური სიმშვენიერე და გამოხატვის ადამიანური საშუალებებით დახატოს მერმინდელი საუკუნის სურათი.

ამ მონაკვეთის წაკითხვამ იმდენად ააღელვა ბერი, რომ მან კითხვა შეწყვიტა, წიგნი დახურა და ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია; შემდეგ ცრემლები მოიწმინდა და მითხრა:

— წარმოიდგინე, შვილო, რა გველოდება! „რომელი თუ-ალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა ცნობად“. რა ცხოვრება გვექნება ზეცაში! რას ვიხილავთ! რას გავიგონებთ! რა სიტკბოებას შევიგრძნობთ! ჩვენ კი სურვილიც არა გვაქვს, მოვიპოვოთ ეს ყველაფერი, ან ძალიან მცირე სურვილი გვაქვს. არასოდეს დაკარგო ეს ორიენტირი: რასაც იტყვი, რასაც გააკეთებ, რასაც იფიქრებ — ყველაფერი გაზომე მარადისობის საზომით. ნუ მიეცემი სულმოკლეობას, ნუ შეგაშინებს ნურავითარი სიძნელე, შრომა, ოფლი. ჩვენ უნდა გავილოთ ბევრი, გავილოთ ყველაფერი, რაც გაგვაჩნია და რაც არ გაგვაჩნია, რათა, როგორც კეთილგონიერმა ვაჭრებმა, მოვიყიდოთ ერთი ფასდაუდებელი მარგალიტი — ცათა სასუფეველი.

ბერმა თავისი საუბრით განამტკიცა ჩემი ნებელობა, ზეცაში აიყვანა ჩემი გონება და მხოლოდ ამის შემდეგ გამიშვა დასასვენებლად.

ზამთრის წვიმიანი ღამე იყო. ცივი ქარი ქროდა. ყველა მამა ისვენებდა, მე კი რა დამაძინებდა! თვალწინ მეღვაწე ვიყავი ანდრია, ქრისტესთვის სალოსი. გონებაში ბერის სიტყვები მიტრიალებდა, ბერის ცრემლები, და კიდევ მრავალი რამ: ზეცისკენ სწრაფვა, წინააღმდეგობები, სასტიკი ბრძოლა დემონთან და საკუთარ ვნებებთან, ეკლიანი გზა ზეციური იერუსალიმისაკენ, ჩემი სამო, სკიტი, ვიყავი მთა, ჩვენი მებრძოლი და მოზვიემე ეკლესია, მარადისობა...

გავიდა რამდენიმე საათი, მე კი მაინც არ მეძინებოდა. ფანჯრიდან ვხედავდი მთელ ჩვენს სკიტს, სიბნელეში ჩაძირულს. „აქ მე მოწინავე ხაზზე ვარ აზრებთან ბრძოლაში, — ვფიქრობდი, — მაგრამ ჯერ ახალწვეული ვარ, მხოლოდ ახალა და ვიწყებ ბრძოლა. ვნახავ კი ბრძოლის დასასრულს, გამარჯვებას, რომელზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი?“ ვიგრძენი, როგორ ჩაითესა ჩემს გულში ეჭვი. ჭეშმარიტმა მონაზვნებმა სისხლი მისცეს და სული მიიღეს. შევძლებ კი მე ამას? არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ბრძოლა — ჩვეულებრივი აზრებთან ბრძოლა, რომელიც შედის ასკეტური მოღვაწეობის პროგრამაში. იგი მხოლოდ მაშინ ჩამომშორდა, როცა მთელი ჩემი იმედი ღმრთის მოწყალეობაზე დავამყარე. თან მის სახელს მოვუხმობდი დაუდუმებლად.

ვიგრძენი, როგორ გამიტაცა მსუბუქმა ძილმა. თითქოს ბოლომდე არც ვიყავი დარწმუნებული, რომ მეძინა, როცა მოულოდნელად, დამის უსაზღვრო მღუმარებაში, მომესმა ხმა-შეწყობილი, ტკბილი, საზეიმო გალობა: „მეუფესა ცათასა, რომელსა უგალობენ გუნდნი ანგელოზთანი, უგალობდით...“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> მე-8 ხმის მე-8 გალობის ძლისპირი.

განცვიფრებული და უზომო სიხარულით შეპყრობილი, იმავე წამს წამოვხტი ლოგინიდან. ღმერთო ჩემო, რა დიდებული იყო ეს ჰიში, ეს ზეციური ჰანგები! ერთხანს ვერც კი გავაცნობიერე, რომ საკუთარ სენაკში ვიმყოფებოდი. ჩემი თვალებიდან ნიაღვარად მოედინებოდა კრძალვისა და სიხარულის ცრემლები. დილით, როგორც კი ლოცვა დამთავრდა, ბერთან გავიქეცი და ყველაფერი ვუამბე.

— ერთადერთი ის შემიძლია გითხრა, — მიპასუხა ბერმა, — რომ ეს გამოიწვია ჩვენი გუშინდელი საუბრის შთაბეჭდილებებმა.

მაღლობა გადავუხადე მას და, ჩვეულებრივ, მორჩილების შესასრულებლად გავემურე; თუმცა ის არაამქვეყნიური მელოდია კიდევ დიდხანს ატკობდა ჩემს სულს, — მიუხედავად იმისა, რომ იგი სუბიექტური წარმოსახვის ნაყოფი იყო.

\* \* \*

ძმების ყოველდღიური სულიერი ხელმძღვანელობა მამა იოაკიმეს ჰქონდა დავალებული. ის იყო შესანიშნავი მასწავლებელი. მისი სიყვარული ყოველ ნაბიჯზე თან გვდეგდა. თითოეულ მარჯვე შემთხვევას იგი იმისთვის იყენებდა, რომ სულიერად განვემტკიცებინეთ. უაღრესად დიდსულოვანი იყო, მაგრამ თავის პრინციპებს არასოდეს ღალატობდა.

როგორც ყველაზე უმცროსს, მე დამევალა ისეთი მორჩილება, რაც ჩემს ძალებში შედიოდა: ჭურჭლის რეცხვა, იატაკის დაგვა და ა.შ. მამა იოაკიმეს უნდოდა, ყველანაირი სამუშაო განსჯითა და წესრიგის დაცვით შესრულებულიყო; ამავე დროს კი მისი სწრაფვა იქითკენაც იყო მიმართული, რომ სა-

მუშაო ჩვენთვის ქცეულიყო ჩვენივე ხასიათის საჭრელ იარაღად. ხშირად, როცა ნიჟარაში თეფშებს ვრეცხავდი, ამ დროს კი სუსხიანი ზამთარი იდგა და ცივი წყლისგან ხელები მიშეშდებოდა, ის მოვიდოდა ჩემთან და სიყვარულით მეტყვოდა:

– პატარავ, ზამთარი ულმოებელია, მაგრამ სასუფეველი – ტკბილი. ტკივილი და წრთობა ჩვენში ჩაბუდებულ სიბოროტესა და ვნებებს სპობს.

მამა იოაკიმეს ეს სიტყვები აცოცხლებდნენ ჩემს ახალგაზრდულ, მებრძოლ სულს. რა აღარ ხდება ახალდამწყების სულში! რა გამოცდებს, რა ბრძოლებს, რა განსაცდელებს, რა თავდასხმებს უმზადებს მას დემონი – იმისათვის, რომ ჩამოაშოროს ანგელოზებრივი ცხოვრების გზას!.. ახალდამწყებნი, როდესაც ისინი მოღვაწეობენ და ბრძოლაში იმარჯვებენ, ნამდვილი გმირები არიან.

მანსოვს, პირველ წელიწადს, ზეთისხილის ადების დროს, მე ძალიან ცუდად ვიყავი. თანაც ეს სამუშაო დაემთხვა იმ პერიოდს, როცა გაძლიერებული შინაგანი ბრძოლა მქონდა საკუთარ ეგოიზმთან, ძველ ჩვეულებებთან და ნაკლოვანებებთან. ყოველდღე, სადილის შემდეგ, საშინელი თავის ტკივილი მტანჯავდა. ამის გამო ვთხოვე ბერს, სხვა მორჩილებაზე გადავეყვანე. ის ძალიან ადვილად დაჰყვა ჩემს თხოვნას და საჭმლის მომზადება და კალივის დასუფთავება დამავალა. როცა ნეტარმა მამა იოაკიმემ ამის შესახებ შეიტყო, მან შეადგინა ასეთი გეგმა. ზეთისხილის ხეები ჩვენი კალივის ტერიტორიაზე იყო. სამუშაოს დროს მამა იოაკიმეს იქ უწევდა ყოფნა და ცოტა ხნით ჩემთანაც შემოდრიოდა ხოლმე და მამხნევებდა.

– პატარავ, გტკივა ხო თავი? – მითხრა ერთხელ. – წადი, ცოტა ზეთი წამოიღე ღვთისმშობლის კანდელიდან და ჯვრის სახით იცხე. მისი შობის ტროპარიც წაიკითხე.

– მაკურთხეთ, – ვუპასუხე მე და როგორც მითხრა, ისე გავაკეთე.

– გაგიარა ტკივილმა?

– არა, მამაო.

– ე, მაშინ თავი არ ყოფილა დამნაშავე. ეტყობა, აქ სხვა რაღაც ხდება, თორემ ღვთისმშობელი ყველაზე საუკეთესო მკურნალია. იქნებ შენთვის კარგიც იყოს, ნახევარი საათით მაინც წახვიდე ზეთისხილის შესაგროვებლად?

თავიდან მისი ნათქვამისთვის არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ საღამოს, აზრების გახსნის დროს, ამის შესახებაც ვუთხარი ბერს.

– წადი, შვილო, ნახევარი საათით, მამა იოაკიმეს მორჩილებისთვის, – მიპასუხა მან.

და აი, მეორე დღეს სხვა ძმებთან ერთად მეც წავედი ზეთისხილის შესაგროვებლად. ნახევარი საათის შემდეგ მამა იოაკიმე მომიხსლოვდა. მიუხედავად თავისი ავადმყოფობისა, ის ზამთრის სასტიკ ყინვაში აგროვებდა ზეთისხილს.

– როგორა გაქვს თავი, პატარავ?

– არ მტკივა.

– მაშინ კიდევ ნახევარი საათი იმუშავე და მერე წადი.

ნახევარ საათში ისევ შემეკითხა:

– გტკივა?

– არა. უცნაურია.

– კარგი, ახლა წადი კალივაში და სხვა მორჩილებები შეასრულე.

მამა იოაკიმეს თანამიმდევრულობისა და სიყვარულის წყალობით, თვენახევარი ვიშრომე ზეთისხილის მორჩილებაზე და თავის ტკივილს ერთხელაც კი აღარ შევეწუხებოვარ! ამას მოჰყვა ზეთისხილის გადაზიდვა ზეთსახდელში – ზურგზე მოკიდებული ტომრებით, შემდეგ კი ზეთის გამოხდა. ზეთსახდელში, ჩვენ თვითონ, დღე და ღამე ვატრიალებდით დოლაბს და ამგვარად ვამზადებდით ზეთუნის ზეთს მთელი წლისთვის.

ჩვენი ზეთსახდელი წარღვნამდელი იყო. მამებს არ უნდოდათ შეეცვალათ ზეთის გამოხდის ძველი წესი, ერჩივნათ მძიმე პირობები მოეთმინათ. აქ თქვენ შეგეძლოთ დაგენახათ, თუ როგორ ატრიალებდა ერთი ან ორი ძმა დოლაბს, მესამე კი ამ დროს იქვე, გვერდით იჯდა და შეუსვენებლივ ლოცულობდა სკენილზე: „უფალო იესუ ქრისტე...“ ეს იყო რაღაც არაამქვეყნიური სანახაობა: გარეგნულად მიმზიდველი, მაგრამ უწყალო და მკაცრი – თავისი არსით. სხვა მამები საწურებთან და კურკებთან ტრიალებდნენ, დამტვრეული ზეთისხილის გასაცხელებლად წყალს ადულებდნენ. ამასობაში კი იქაურობა ნელ-ნელა იძირებოდა ღამის წყვდიადში...

ასე ხდებოდა ყოველ წელიწადს. ეს იყო სურათი, რომელიც რაღაცით მოგაგონებდათ „კლემაქსში“ აღწერილ მონაწილთა საპყრობილეს...

\* \* \*



ჩვენს კალივას ჰქონდა დიდი ვერანდა, საიდანაც მოჩანდა მთელი სკიტი და გაშლილი ზღვა. აქ შუქი კარგად ეცემოდა, ამიტომაც მამა იოაკიმე და მამა გრიგორი ამ ვერანდას ხატ-წერის სახელოსნოდ იყენებდნენ.

ერთხელ მეც მოვისურვე, გავმხდარიყავი ხატმწერი. ჩემი ხელმძღვანელი ამ საქმეში აწ განსვენებული მამა იოაკიმე გახდა. მე ვაკეთებდი პირველ ესკიზებს: პირს, ცხვირს, თვალებს, ყურებს. მამა იოაკიმეს ერთხელაც არ უთქვამს, რომ ჩემი ნამუშევრები ულამაზოდ გამოიყურებოდნენ, ყოველთვის მამხნევებდა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, სულ რამდენიმე დღის შემდეგ მე მივატოვე ეს წამოწყება.

შემდეგში მამა იოაკიმეს კვითხე:

— მამაო, იმ უაზრო ესკიზებს რომ ვაკეთებდი, ნამდვილ კარიკატურებს, რატომ არ მეუბნებოდით, რომ არ ვარგოდა?

— ახალდამწყებს, პატარავ, არასდროს არ უნდა გაუტეხო გული. ამ პედაგოგიური პრინციპების შესახებ მე ამერიკის ერთ-ერთ კოლეჯში ვასწავლიდი; და, შენ წარმოიდგინე, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ეს დასკვნები, — მეცნიერთა მრავალწლიანი კვლევის შედეგს რომ წარმოადგენენ, — შემდეგში აქ, მთაწმინდაზე ჩამოსულს, წმინდა მამათა თხზულებებში შემხვდა. ამ თხზულებების ავტორები კი ძირითადად მონაზვნები არიან. ისინი საუკუნეების წინ ცხოვრობდნენ. ოღონდაც მათი ეს დასკვნები ფურცელზე დაწერილი არ ღარჩენილა, არამედ პრაქტიკულადაც ხორციელდებოდა და ახლაც ხორციელდება იმ მამების მიერაც კი, რომლებმაც წერა-კითხვა ძლივს იციან, თუმცა დიდ მონაზვნურ გამოცდილებას ფლობენ. აქაც შევხვდი, მთაწმინდაზე, თანამედროვე

მონაზვნებში, ამ მეთოდის პრაქტიკული გამოყენების შემთხვევებს.

მამა იოაკიმე ხშირად მირჩევდა, სიყვარულით მოვკიდებოდი სამეურნეო საქმეს.

— პატარავ, — მეუბნებოდა იგი, — როცა რაიმე ჭურჭელს ან იარაღს იხმარ, მაგალითად, აი ამ დანას, რომელიც ჭუჭყიანი დაგიტოვებია, ხმარების შემდეგ აუცილებლად უნდა გარეცხო და თავის ადგილზე დადო.

სიზუსტე და წესრიგი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მამა იოაკიმეს წყალობით, თავის აბსოლუტიზმს აღწევდა. ჩვენი დევიზი იყო: „ყველაფერი წესრიგიანად და მართებულად“.

ეპიზოდები ჩვენი კალივის ცხოვრებიდან

ტვირთის საზიდად ჩვენ არ გვყავდა კალივაში არანაირი პირუტყვი, მაგრამ სამაგიეროდ გვყავდა „შეკაზმული სიყვარული“, რომელსაც ერქვა მამა სტეფანე! იგი უზარმაზარი ტომრით მოუყვებოდა ხოლმე გზას ნავმისადგომიდან სკიტისკენ, თან ხმამაღლა ამბობდა იესოს ლოცვას. სკიტის მამები ხვდებოდნენ, რომ ეს მამა სტეფანე მოდიოდა, რადგანაც შორიდანვე მოესმოდათ კარგად ნაცნობი ხმა: „უფალო იესუ ქრისტე, შემიწყალე მე“. ხშირად, როცა ვინმე რაიმე თემაზე ესაუბრებოდა, ის გულუბრყვილოდ ჩაურთავდა თავის ლოცვას და სრულებით არ წუხდა იმაზე, რომ თანამოსაუბრეს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა.

ერთხელ მე მას აღფრთოვანებულმა ვთხოვე, რაიმე სულის სასარგებლო რჩევა მოეცა ჩემთვის.

— მთავარი ის არის, მამა გიორგი (თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი მონაზონი), რომ სასუფეველი არ დაგკარგოთ, ყველაფერი დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია; — და მაშინვე გააგრძელა: — უფალო იესუ ქრისტე, შემიწყალე მე...

თავისი ხასიათით ის უხეში იყო, საქციელით კი — გულუბრყვილო, პირდაპირი და გაუღიმარი. „მკაცრი მონაზონი“, — იტყოდა მასზე ის, ვისაც ჯერ კიდევ კარგად ვერ მოესწრო მისი გაცნობა. და, მიუხედავად ამისა, იგი იყო არაჩვეულებრივად მგრძნობიარე, სათუთი და მოსიყვარულე. მთაწმინდაზე ხასიათები ნელ-ნელა უბრალოვდებიან, ერთმანეთთან თანაბრდებიან, თავისუფლდებიან ყოველგვარი მოჩვენებითობი-

საგან, ერული განაზებულობისაგან და მსახიობური თავაზიანობისაგან, და, სიწრფელის ემბაზში განბანილნი, შეიმოსებიან არათვალთმაქცური, უანგარო სიყვარულით, რომლის ძებნითაც ერში ტყუილად დაიხარჯებით.

მე არასოდეს დამავიწყდება მამა სტეფანეს სიყვარული და თავის უარყოფა. ის ყოველთვის ცდილობდა, ჩაეცვა ყველაზე უვარგისი ტანსაცმელი მთელს სამძოში, შეესრულებინა ყველაზე მძიმე მორჩილება და ეჭამა ყველაზე უხეირო საჭმელი. პატარა ჯამში მოათავსებდა წინა დღის მორჩენილ საჭმელებს, დაასხამდა ცოტა წყალს და უხმოდ ჭამდა. ხშირად მას გულს უწუხებდა მამა პაისი, ჩვენი კალივის „ანცი ბავშვი“:

— ეი, მამა სტეფანე, აი ახლა შენ მიირთმევ მაგ ბალანდას. მაგრამ გახსოვს კი, რა საუცხოო სადილებს შევექცეოდით ამერიკაში? რა მეფურ განცხრომაში ვიყავით?

მამა სტეფანე დამყოლად, თითქმის უაზროდ უქნევს თავს, თან კი ისეთი კმაყოფილებით ასუფთავებს თავის ასკეტურ ჯამს, თითქოს მდიდრულ სადილს მიირთმევდეს! კალივა მისთვის იყო ზეციური სასახლე, რომელიც ამერიკის ცათამბრჯენებს აღემატებოდა, კალივაში დამზადებული საჭმელი კი ყველაზე გემრიელი იყო მთელს მსოფლიოში. ასეთი სულიერი განწყობა ჰქონდა მას, ასე აღიქვამდა ყველაფერს.

როცა მამა სტეფანე დაფნიში მიდიოდა — მთაწმინდის პორტში — ჩვეულება ჰქონდა, ჩემთვის რაიმე საჩუქარი მოეტანა, რადგანაც ჩვენს კალივაში მე ისე ვიყავი, როგორც ბენიამინი ძმებს შორის. ვერც კი ვიგებდი, როდის მოდიოდა: დატოვებდა საჩუქარს სენაკში და უკან გაბრუნდებოდა. ფიქ-

რობდა, რომ ამით ჩემს ბრძოლებს შეამსუბუქებდა და მონაზუნურ ცხოვრებასთან შეგუებაში დამეხმარებოდა.

მამა სტეფანეს ჩემთვის მოჰქონდა აგრეთვე დედაჩემის, ჩემი ნათესავებისა და ნაცნობების ამანათები. იმ დროს რეისით „პირეა – თესალონიკი – კავალა“ – დადიოდა გემი „კერკირა“, რომლის ბოცმანი იყო ბატონი სპირიდონ ღურაცინოსი, ჩემი ოჯახის ნაცნობი. სხვათა შორის, მისი და – ილუმენია სვინკლიტიკია, წმინდა ქრისტეფორეს ისინასტირიონს წინამძღვრობდა კუნძულ ეგინაზე. ყოველთვის, როცა გემი დაფნის ნავმისადგომში შემოვიდოდა, ბატონი სპირიდონი ტოვებდა რაღაც საჩუქარს ჩემი ოჯახისგან. ეს იყო ძირითადად გამომცხვარი ტკბილეული: ბაკლავა ან კატაიფი, – რადგანაც ისინი საერთოდ დიდხანს ინახება. როდესაც ამანათი ჩვენს კალივაში მოვიდოდა, ბერი თითო ნაჭერ ტკბილეულს დაგვირიგებდა, დანარჩენს კი მამა სტეფანეს ხელით სკიტის მამებსა და მარტომყოფ ბერებს უგზავნიდა. უკან დაბრუნებული მამა სტეფანე გვიყვებოდა, თუ რა სიხარულით იღებდნენ ბერები ამ უჩვეულო საჩუქარს. სად ნახავენ და, მით უფრო, სად გასინჯავენ ასეთ ტკბილეულს ისინი, ვისაც მთაწმინდაზე მოსვლის შემდეგ ერისკენ აღარც კი გაუხედავს!

ერთხელ მამა სტეფანე კარულის უდაბნოშიც წავიდა, – კურთხევა ჰქონდა, ასკეტებისთვისაც მიერთმია დედაჩემის ნობათი. მაგრამ უკან ჩაფიქრებული და გაოცებული დაბრუნდა: ასკეტებმა არ მიიღეს მისი ძღვენი; თითქმის ყველა ეუბნებოდა, რომ ეს კარულისთვის შეუფერებელი საკვებია. ერთერთმა შემჩნევაც კი მისცა იმის გამო, რომ მან გაბედა ასკეტებისთვის ასეთი ძღვენი მიერთმია. ჩვენ ყველანი განცვიფ-

რეზულეები დავრჩით. ღმერთს მადლობას ვწირავდით, რომ ჩვენს დროშიც არსებობენ მეუღაბნოე მონაზვნები, რომლებიც ამ დონეზე უარყოფენ საკუთარ თავს.

ერთხელ მამა სტეფანე დაფნიში წავიდა რალაცის საყიდლად, მაგრამ იმის ნაცვლად, რაც დააბარეს, სხვა რამე იყიდა. როცა ბერმა ეს შეცდომა აღმოაჩინა, დაუძახა მას და მკაცრად გაკიცხა. მამა სტეფანე იღვა უძრავად, მღუმარედ, თავდახრილი; ბოლოს კი ბერის წინ დაემხო და შენდობა სთხოვა.

– მაკურთხე, მაკურთხე, მაკურთხე, – იმეორებდა თავისი რკინისებური ხმით: თითქოს საკუთარ ჯიუტ ხასიათს ურტყამდა. მამა სტეფანეს სინანულმა გული მოუღობო ბერს. მას საერთოდ ძალიან სწყინდა, როცა ჩვენი მხრიდან თუნდაც სულ უმნიშვნელო დარღვევას დაინახავდა. მაგრამ თუკი შეცდომას ვალიარებდით, მისი ჩვენდამი დამოკიდებულება სრულიად იცვლებოდა: იგი არა მხოლოდ გვაპტიობდა, არამედ უფრო და უფრო მეტი სიყვარულით გვექცეოდა.

ჩვენი სკიტის სანაპიროზე სამოცი წლის კოჭლი მეთევზე – ძია იანისი ცხოვრობდა. იგი წარმოშობით მიტილინიდან იყო; სამონაზვნო სკუფიას ატარებდა, ჰქონდა გრძელი თმები და წვერები და ემსახურებოდა მამებს.

ერთხელ ძია იანისმა რამდენიმე ოკა<sup>1</sup> თევზი მოგვიტანა. ბერმა მადლობა გადაუხადა და გვაკურთხა, რომ რომელიმე ჩვენგანს თევზი კალივის გარეთ გაეწმინდა, რათა ქერცლი წყალსადენში არ გაჭედილიყო. მე, როგორც ყველაზე უმცროსმა, მაშინვე გამოვთქვი მზადყოფნა, თუმცა არ გამხსენე-

---

<sup>1</sup> ოკა – წონის საზომი ერთეულია. ერთი ოკა უდრის 1280 გრამს.

ბია, რომ ძალიან ციოდა, გარშემო ყველაფერი გაყინული იყო, წყაროს წყალი კი ძლივსლა მოწანწკარებდა. მუშაობის დროს ხელები გამეყინა და საშინლად ამტკივდა, რის გამოც იძულებული გავხდი, კალივაში შემოვბრუნებულიყავი და აქ გამეგრძელებინა თევზის გასუფთავება.

მამა იოაკიმემ დამინახა და მკითხა:

– პატარავ, რატომ შემოხვედი?

– ვერ გავუძელი სიცივეს და ყინულიან წყალს.

– მაგრამ ბერმა კალივის გარეთ დაგვაავალა თევზის გაწმენდა, მისი დავალება კი ყოველგვარი შეპასუხებისა და თავის მართლების გარეშე უნდა შესრულდეს.

ეს საუბარი ესმოდა მამა სტეფანეს – ყოველი ჩვენგანის ერთგულ მსახურსა და მონას. მას დრო არ დაუკარგავს, მაშინვე გამომართვა თევზით სავსე ჯამი, გარეთ გავიდა და გულმოდგინედ და მარჯვედ გაასუფთავა მთელი თევზი – ისე, რომ სიცივისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მამა სტეფანეს ეს გმირული საქციელი არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. ხელები სრულიად გაეყინა, მაგრამ ბიბლიური სიყვარული, რომელი „ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენ“, მისი ცხოვრების წესად იყო ქცეული. მე გატრუნული ვუმზერდი მას, ერთი სიტყვის თქმაც კი არ შემეძლო, ასეთ თავის უარყოფას რომ ვხედავდი. ამ დროს მამა იოაკიმემ მითხრა:

– მონაზონი, შვილო, დღეში რამდენჯერმე უნდა მოკვდეს, როცა კი ამას მორჩილება მოითხოვს. შენ ახლა შენი სასყიდელი დაკარგე, იგი მთლიანად მამა სტეფანემ მიიტაცა.

ღიას, ამას მეც ვხედავდი. მაგრამ კიდევ უფრო უკეთ იმას ვხედავდი, რომ მამა სტეფანე იყო „მკვლრეთით აღმდგარი“ მონაზონი, და რომ ვიდრე აღდგებოდა, იგი მოკვდა სოფლისთვის.

მთაწმინდის ყველა მონასტერს, ყველა სენაკსა თუ კალივას აქვს თავისი ბაღი, რომელშიც ზამთრისა და ზაფხულის ხილი და ბოსტნეული მოდის. მებაღის მორჩილებას იმ მონაზონს აკისრებენ, ვისაც ამ საქმეში შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება გააჩნია. ჩვენი მებაღე მამა პაისი იყო.

მამა პაისიმ თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამერიკაში გაატარა. ჯერ კიდევ ერისკაცობისას იგი მკაცრი ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრობდა. ამ ადამიანისთვის დამახასიათებელი იყო გულწრფელი სიყვარული. მასთან მრავალი თანამემამულე-ბერძენი მიდიოდა და თავის გასაჭირს უზიარებდა. მას მიმართავდნენ ყველანაირი პრობლემის გადასაჭრელად, განსაკუთრებით კი ეკონომიურის. ბერძენი ემიგრანტი მართლმადიდებლების წრეში იგი ცნობილი იყო „ძია იანისის“ სახელით. ოჯახური მოვალეობებისგან თავისუფალი, უქორწინებელი, ის მთლიანად, მთელი სულითა და გულით მიენდო მამა იოაკიმეს, და როცა ეს უკანასკნელი მთაწმინდაზე წამოვიდა, მამა პაისი რწმენითა და მტკიცე გადაწყვეტილებით გამოჰყვა მას. ურთიერთობაში ფაქიზი იყო, დაუხარელი, მშვიდი და მდაბალი. როდესაც მე მთაწმინდაზე მოვედი, ის სამოცი წლის იქნებოდა და, როგორც ვთქვი, მებაღის მორჩილება ჰქონდა დავალებული.

მამა პაისის დროს ჩვენმა ბაღმა სახელი გაითქვა. იგი დაუღალავად შრომობდა. ასევე შრომობდნენ სხვა მამებიც სკი-



ტის ბალებში. მოხუც მონაზვნებს ზურგით მოჰქონდათ შორიდან მიწა. მათი შრომის წყალობით ჩვენ ახლა უხვი მოსავლით ვტკბებოდით. მამა პაისი ბევრს ზრუნავდა მიწის განოყიერებისათვის, — ტყეში ადიოდა, აგროვებდა ნეშომპალას, შესაფერის ნიადაგს, და საკუთარი ზურგით ეზიდებოდა. ასე რომ, ჩვენი ბაღი საუკეთესო ნაყოფს იძლეოდა.

მამა პაისი გამოირჩეოდა თავისი უბრალოებითა და ბავშვურობით. გულმოდგინედ, სულიერად მოწყურებული უსმენდა კითხვას ტრაპეზზე და ლოცვას — ეკლესიაში. იესოს ლოცვა არასოდეს შორდებოდა მის ბაგეებს, — ეს იყო მისი საყვარელი საქმიანობა.

არ შემიძლია არ გავიხსენო, თუ როგორ იგერიებდა მამა პაისი დემონის თავდასხმებს. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, ჩვენ იძულებული გავმხდარვართ, სწრაფად მიგვერბინა მისი ბაღის გალავანთან და გაგვეგო, რა ხდებოდა — ანუ რა დამართა მამა პაისის: იქნებ მრისხანებაში ჩავარდა და ვიღაცას ეჩხუბება?

— ეი, მამა პაისი, — ეკითხებოდა ბერი, — რა გაყვირებს?

— რა ვქნა, მამაო, არ მანებებს თავს ეს მავნებელი!

ეშმაკს გულისხმობდა. ამის გარდა, მის ლექსიკონში ეშმაკის სალანძღავი სხვა ეპითეტებიც მოიპოვებოდა. იგი ეტლიდან უმღეროდა<sup>1</sup> მას და აფურთხებდა.

---

<sup>1</sup> ერთ-ერთი ანტიკური გადმოცემის მიხედვით, ორმა გმირმა ერთმანეთში იჩხუბა. ერთი მათგანი ეტლზე ახტა და იქიდან ლანძღავდა და აგინებდა მეორეს. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ეტლს ვერ დაეწეოდა. იმ დროიდან მოყოლებული, გამოთქმა — „ეტლიდან უმღერის“ ნიშნავს „ლანძღავს“, „აგინებს“.

– ფუი, მომწყდი თავიდან, – ამბობდა გულუბრყვილოდ, – ფუი, შე მავნებელო!

– კარგი, მაგრამ რა გაგიკეთა? – ირონიულად ეკითხებოდა ბერი.

– რა და, მოვიდა და გამახსენა... და მერე რა გამახსენა! ამერიკის ლამაზი ცხოვრება, გემრიელი საჭმელები, კეთილმოწყობილი ბინა, ყველაფერი – კარგიც და ცუდიც, სახეები და ქცევები... ფუი, შე მავნებელო!

– კარგი, – ეუბნებოდა ბერი, – მოითმინე. ეს ეშმაკის სამუშაოა: ყველანაირად ცდილობს, წინააღმდეგობა შეუქმნას იმას, ვინც ღმრთის გზას ადგას; და რითი შეუქმნის წინააღმდეგობას, თუ არა იმით, რომ გაახსენოს ნაცნობი ადამიანები და წარსულში ჩადენილი საქმეები?

მე თვალყურს ვადევნებდი და ვსწავლობდი იმ მზაკვრულ ფანდებსა და ხრიკებს, რომლებსაც გონიერი ამაღლეკი, ანუ, როგორც მამა პაისი უწოდებდა, „მავნებელი“ იყენებდა ჩემ წინააღმდეგ აზრებთან ბრძოლის დროს, და მახსენდებოდა წმინდა ანტონი დიდის სიტყვები: „ვიხილე ეშმაკის ბადე, გადაჭიმული მთელს დედამიწაზე, და შევძრწუნდი...“

არც ერთი მონაზონი არ დარჩენილა თავისუფალი ამ ბრძოლისაგან და, მამასადამე, არც მე. ხშირად უმოწყალოდ მესხმოდა თავს ეშმაკი და მიათკეცებდა დედაჩემთან განშორების სიმძიმეს. მით უმეტეს, რომ არ მყავდა არც ძმა, არც და, მამაჩემის გაცნობაც კი ვერ მოვასწარი, ნახევრად ობოლი ვიყავი. მაგრამ ღმრთის მადლითა და ჩემი ბერის ლოცვით, ვერ შემარყია ვერც ერთმა განსაცდელმა, ვერც ერთმა

აზრმა ვერ შეძლო ჩემი მოდრეკა და არჩეული გზიდან გადაყვანა. თუმცა მტერი იარაღს არ ყრიდა.

მასხოვს, გაზაფხული იყო. ერთ დღეს, სადილის შემდეგ, სენაკში ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. უცბად ფანჯრიდან მომესმა დედაჩემის ხმა: „გიორგი! გიორგი!“ იმავე წამს მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ავტომატურად გავაღე ფანჯარა და გარეთ გავიხედე. არც კი დავფიქრებულვარ, რომ დედაჩემის ყოფნა მთაწმინდაზე ფიზიკურად შეუძლებელი იყო. აღელვებული, მაშინვე ბერთან გავიქეცი და ყველაფერი ვუამბე მას. იგი განცვიფრდა, თავი ველარ შეიკავა და ჩემთვის დაუვიწყარი სიტყვები აღმოხდა:

– უკეთურო ეშმაკო! ამ ხერხსაც მიმართავ ახალდამწყების საცთუნებლად?! წადი, შვილო, სენაკში და ღვთისმშობლის დაუჯდომელი წაიკითხე.

ეშმაკის ამ თავდასხმის შემდეგ, სენაკში დაბრუნებულმა, მე გადავიტანე ყველაზე მძიმე წუთები, რაც კი მთაწმინდაზე ყოფნისას გადამიტანია. სანამ დაუჯდომელს ვკითხულობდი და ვცდილობდი ჩავწვდომოდი მის სიღრმეს, ღმრთის განკაცებისადმი მიძღვნილი სტრიქონებისთვის მიმედევნებინა აზრი, ყურებში განუწყვეტლივ ჩამესმოდა დედაჩემის ხმა: „გიორგი! გიორგი!“ როცა ეს სისხლიანი ლოცვა დავამთავრე, ისევ ბერთან მივედი.

– კარგი, ნუ გეშინია, – მითხრა მან, – სალამოს ყველა მმა სკვნილზე ილოცებს შენთვის, რომ ღმერთი შეგეწიოს. უნდა გამოვტყდე, ეს მტრის ერთ-ერთი ყველაზე მუხანათური თავდასხმა იყო შენზე.

ამის შემდეგ გავიდა საკმაო ხანი და ბერმა მიიღო დედაჩემის წერილი. იგი ატყობინებდა, რომ ზუსტად იმ დღეს (ჩვენი გამოთვლით), სადილის შემდეგ, ჭიშკრიდან მოესმა ჩემი ხმა: „დედა! დედა!“ განცვიფრებული გამოვარდა გარეთ, ეგონა ათონიდან თუ დავბრუნდი, მაგრამ ვერავინ დაინახა და ტირილით შეტრიალდა უკან. ახლა კი სთხოვდა ბერს, განემარტა მისთვის ეს მოვლენა, რომელსაც თვითონ ვერავითარი ახსნა ვერ გამოუძებნა. მისი წერილი ბერმა ძმების თანდასწრებით წაიკითხა, და ჩვენ გაგვაცოცა ეშმაკის ხრიკებმა: როგორ ცდილობს ხელი შეუშალოს იმას, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, ღმერთს მიუძღვნას თავი.

„ბრძოლა მიმდინარეობს განუწყვეტლივ, და ჩვენც, ქრისტეს მხედრები, მუდამ იარაღით უნდა ვიყოთ აღჭურვილი, ვინაიდან ჩვენი მტრები უხორცონი არიან...“ (წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი).

## თავი 8

### სულიერი ბრძოლა

მამა იოაკიმეს, მამა პაისისა და მამა სტეფანეს გარდა, ჩვენს სამშოს განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა მამა გრიგორი – ახალგაზრდა, კურთხეული მონაზონი. იგი წარმოშობით მესენიიდან იყო: მამა იოაკიმეს და ჩემი – ჩვენი სამშოს „პატარას“ – სამშობლოდან. ბერი ხშირად მესაუბრებოდა მამა გრიგორის მიღწევებზე, მის ასკეტურ ბრძოლებზე და ამ ბრძოლებში მოპოვებულ გამარჯვებებზე. ეს საუბრები მეტისმეტად მახარებდა, სულიერად განმამტკიცებდა, ცოტა ხანში კი საკუთარი გამოცდილებით ვიგებდი იმას, რაზეც ბერი მესაუბრებოდა. ასაკითაც და სამონაზვნო ხარისხითაც მამა გრიგორი ჩემზე ორი წლით უფროსი იყო. მე მაოცებდა მისი გმირობა: იგი მორჩილების ნამდვილ ეტალონს წარმოადგენდა; შეუპოვრობა, მარხვა, ლოცვა და მორჩილება – ეს მისი სამკაულები იყო. მამა იოაკიმე ხშირად მიმითითებდა მასზე, როგორც მისაბამ მაგალითზე.

– პატარავ, გინდა, რომ კარგი მონაზონი გახდე? ისეთი, როგორსაც წმინდა მამები აღწერენ? აილე მაგალითი მამა გრიგორისგან.

ღიახ, გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამა გრიგორი თავისი მარხვით უტოლდებოდა არა მხოლოდ თანამედროვე ასკეტებს, არამედ ძველ დიდ მამებსაც კი. თავს უფლებას არ აძლევდა, დაეღია თუნდაც ერთი წვეთი ზედმეტი წყალი; მარხვაში ჭამდა დღეში ერთხელ; ტკბილეულს, მამა იოაკიმეს მიბაძვით, გემოსაც კი არ უსინჯავდა. ასევე, რო-

გორც მამა იოაკიმეს, მასაც მიწაზე დამჯდარს ეძინა — თავისი სენაკის ერთ-ერთ კუთხეში, ტანსაცმლიანად, სკუფიასაც კი არ იხდიდა, ზემოდან პლედეები ეხურა.

სამონაზვნო წესების მიხედვით, მონაზონს უნდა ეძინოს კაბაში, ქამარშემორტყმულს, სკუფიითა და წინდებით — როგორც ჯარისკაცს. ჯარისკაცი ხომ ვალდებულია, ყოველთვის მზადყოფნაში იყოს, სანამ საგუშაგოზე წასვლის ბრძანებას მიიღებდეს. ასევე მონაზონი მუდამ მზად უნდა იყოს ლოცვისთვის: დაუძახებენ თუ არა, მაშინვე გადაიდრობს საბანს და ერთი ნახტომით უკვე ფეხზეა.

ლოცვა მამა გრიგორისთვის — ეს გულისა და გონების განუწყვეტელი ღვაწლი იყო. იგი მთელი დღე მდუმარედ ლოცულობდა. ყოველთვის, როცა კი მინდოდა რაიმე მეკითხა მისთვის, ან, ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩემს თანატოლს, განცალკევებით დავლაპარაკებოდი, ის მეუბნებოდა:

— მოდი, ჯობია ვილოცოთ. რა ვიცით, გაგვითენდება თუ არა ხვალინდელი დღე.

მას მუდამ ახსოვდა სიკვდილი.

ხშირად, შუალამისას, მიუხედავად იმისა, რომ დასვენების დრო იყო, მისი სენაკიდან მოისმოდა „იესოს ლოცვა“ ან დაუჯდომლის მუხლები. „რატომ ლოცულობს ხმამაღლა? — ვფიქრობდი მე. — ნუთუ ვერ ხვდება, რომ ძმებს დასვენება უნდათ?“ ამ გაურკვეველობიდან ბერმა გამომიყვანა.

— მამა გრიგორი ფხიზელ მდგომარეობაში კი არ ლოცულობს, — მითხრა მან, — არამედ ძილში. მისი გონება მთელი დღის მანძილზე ლოცვის ველ-მინდვრებში დანაგარდობს, ამიტომაც ღამით, თუმცა სხეული ისვენებს, გული მეტისმეტი

სითბოსგან და სულიერი აღმაფრენისგან კვლავ ფხიზლადაა. იგი ბაგეებსაც აიყოლიებს და ისინიც არაცნობიერად წარმოთქვამენ ლოცვის სიტყვებს.

მაშინ მე, აღფრთოვანებულმა, ნელ-ნელა დავიწყე იმის შემჩნევა, თუ როგორ აღესრულებოდა ჩემს გმირ ძმაზე წმინდა იოანე კიბისალმწერლის სიტყვები: „თუ სული განუწყვეტლივ და ყოველდღიურად სწავლობს ღმრთის სიტყვას, მაშინ ისინი (სიტყვები) ძილის დროსაც განმსჭვალავენ მას. მეორე წარმოადგენს პირველის საზღაურს“. ჩემს თანამოდმეს, ღმრთისადმი მხურვალე სიყვარულით აღნთებულს, შეეძლო ჭეშმარიტად მდაბლად ეღიარებინა: „მე მძინავს ბუნებისათვის ხორცთაჲსა, ხოლო გული ჩემი მღვიძარე არს სიმრავლისა მისთვის სიყუარულისა“ (კიბე, თავი 30, XIX).

მძიმე შრომისგან ის ძალიან მოუძღურდა და ადვილად ცივდებოდა, მაგრამ ოღნავაც არ ინდობდა საკუთარ თავს: ასრულებდა ყველაზე დამძლეულ სამუშაოებს და მზად იყო გაეღო ყველანაირი მსხვერპლი, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა. როცა ელაპარაკებოდი, არასოდეს გიყურებდა თვალებში, — მისი მზერა მუდამ მიწისკენ იყო მიქცეული. ისეთ გონივრულ პასუხებს იძლეოდა, თითქოს ხანდაზმული მონაზონი ყოფილიყოს, ერთ ზედმეტ სიტყვასაც კი არ იტყოდა. ცდილობდა ყველაფერში მამა იოაკიმესთვის მიეხატა. ხშირად მეუბნებოდა:

— რომ იცოდე, რა ძვირფასი განძი გყვავს კალივაში, — მამა იოაკიმეს გულისხმობდა, — სულ მის გვერდით მოგინდებოდა ყოფნა.

და მართლაც, მთელი დღის განმავლობაში ის ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა მამა იოაკიმეს, სულ მასთან იყო, ბერის კურთხევით. მამა გრიგორი იყო ერთ-ერთი საუკეთესო მორჩილი ჩვენს სკიტში. მის გვერდით იდგნენ: მამა გიორგი და მამა იოანიკე. ეს სამნი პირველები მიაბიჯებდნენ სკიტის სულიერი ცხოვრების გზაზე.

\* \* \*

გავიდა რამდენიმე ხანი და ერთ დღეს, სადილის შემდეგ, ბერმა კირიაკონში წამიყვანა. სკიტის დიკეოსი იმ დროს იყო მღვდელ-მონაზონი ხარლამპი — სიტყვაძუნწი, სერიოზული ადამიანი. იგი წმინდა მოდესტის კალივის საძმოს ეკუთვნოდა. ეს კალივა კირიაკონის უკან მდებარეობს. საძმოში შედიოდა ოთხი მღვდელ-მონაზონი და ერთი იეროდიაკონი. ძმები პერანგებსა და შალის სკუფიებს კერავდნენ.

— წმინდაო დიკეოსო, — მიმართა ბერმა მამა ხარლამპის, — აი, ჩემი მორჩილი მოგიყვანე და გთხოვ, რომ სიაში შეიტანო.

იმ დროისათვის ჩვენს სკიტში დაახლოებით ას ოცდაათი მონაზონი ცხოვრობდა. მე ვემთხვიე წმინდა ანას სასწაულმოქმედ ხატს, შემდეგ კი მეტანია გავუკეთე დიკეოსს, რომელიც მთელი სკიტის წარმომადგენლად ითვლებოდა. საოცარ სიხარულსა და მღვლვარებას განვიცდიდი: ჩემი სახელი ხომ სკიტის სიაში უნდა შესულიყო, წმინდა კატალოგში, ეს კატალოგი კი გამოიარა მრავალმა ცნობილმა თუ უცნობმა წმინდანმა, რომელთა სახელებიც „ცხოვრების წიგნშია“ ჩაწერილი.



ახლა მე უკვე ოფიციალური მორჩილი ვარ, ახალწვეული მხედარი ქრისტესი. ალექმის დადება კი, ჩემი საბოლოო და მუდმივი ჩარიცხვა — ეს დიდებული და წმინდა საქმე — უნდა აღსრულდეს შემდეგში, მონაზვნად აღკვეცის დროს.

ამიერიდან მე უფრო დაკვირვებით და მოფიქრებულად უნდა ვუთხრა ბერს მთელი დღის აღსარება, აზრები და ბრძოლები, და მისგან რჩევა-დარიგება მივიღო. მისმა გამოცდილებამ უნდა შემმატოს გამოცდილება, მისმა ძალამ — ძალა, მისმა განათლებამ — განათლება. ჩემი გულისა და გონების არც ერთი მოძრაობა არ უნდა იყოს მისთვის დაფარული. ამ შემთხვევაში ის შეძლებს მართოს ჩემი სულის საჭე — როგორც კაპიტანმა, რომელიც კარგად იცნობს გემის მოწყობილობას და იცის, რა ამინდი ელოდება მოგზაურობის დროს.

ერთ დილას ვხედავ, მამა იოაკიმეს რაღაც ტომარა უჭირავს და ხან ერთი მხრიდან ათვალიერებს, ხან მეორე მხრიდან. შემდეგ იღებს მაკრატელს და აჭრის ქვემოთ ორ კუთხეს; კეცავს ტომარას სიგრძეზე და ჭრის კუთხეს გადანაკეც ადგილზე. ამის შემდეგ კი მეძახის და მეუბნება:

— აბა მოდი, შენც ხომ უნდა გაიარო ის გზა, რომელიც ყველამ გავიარეთ. ჩვენი კალივის ყველა ახალმოსული ძმა პირველი ექვსი თვე ამ „კოსტიუმს“ ატარებდა, მარტო ეკლესიაში გადაიცვამდნენ ხოლმე ზემოდან ანაფორას.

მე, ცოტა არ იყოს, დავიბენი. ყველაფერს ველოდი, ასეთი სამოსით შემოსვას კი — არა. მაგრამ მამა იოაკიმეს სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო: „ითქვა — უნდა გაკეთდეს“.

— მაკურთხეთ, — ვუთხარი და მაშინვე გადავიცვი ტომარა.

მამა იოაკიმემ ხელი ჩამჭიდა და ბერთან შემოიყვანა. ჩემს დანახვაზე ბერს გაელიდა.

— ეს რა გიყვეს?

— ე, მამაო, — უთხრა მამა იოაკიმემ, — ეს იმისთვის, რომ ესეც არ მოჰკლებოდა ტომრის პატივს. ჩვენ ხომ თავის დროზე ყველას გვხვდა წილად ეს პატივი.

— მოხარული ვარ, ძალიან მოხარული, — ამბობდა ბერი და თან კმაყოფილად ილიმებოდა. — დაე, ეს სამოსი დაგეხმაროს იმაში, რომ განდე ღირსეული მონაზონი, თავისუფალი პატივმოყვარეობისა და ურჩობისაგან. აბა შენ იცი, ჩემო კარგო!

კურთხევა ავიღე ბერისგან და წამოვედი; თან გულში ფარული სინარულის განცდა მქონდა იმის გამო, რომ შესაძლებლობა მეძლეოდა, ჩვენი კალივის ძმების ხვედრი გამეზიარებინა. ის ტომარა ხუთ თვეზე მეტხანს მეცვა — კალივაშიც და კალივის გარეთაც, მხოლოდ ღვთისმსახურების დროს გადავიცვამდი ხოლმე ზემოდან ანაფორას.

ჩვენს კალივაში მორჩილს ასეთი კანონი ჰქონდა: ექვსი სკვნილი და სამოცი მუხლმოდრეკა. მისი დარღვევა არანაირი მიზეზით არ იყო გამართლებული.

„მონაზონი, რომელიც არ ასრულებს თავის კანონს, არ ესწრება საერთო საღვთისმსახურო ღოცვებს და საკუთარ თავს ხორცის ჭამის უფლებას აძლევს, ვერასოდეს დადგება მტკიცედ და ვერ მიაღწევს ვერავითარ წარმატებას. მიაჩვიე შენი თავი, რომ რასაც დაგავალევენ, ყველაფერი გულმოდგინედ, პატიოსნად და თანამიმდევრულად შეასრულო. ყოველი სიტყვა და ყოველი საქმე გაზომე მონაზვნის საზომით:

ისაუბრე, როგორც მონაზონმა; იხედე, როგორც მონაზონმა; იჯექი, როგორც მონაზონი; იარე, როგორც მონაზონმა; ჭამე, როგორც მონაზონმა; იძინე, როგორც მონაზონმა; იფიქრე, როგორც მონაზონმა; ილოცე, როგორც მონაზონმა“.

ხშირად მიმეორებდა ამ ფრაზებს პირველ ხანებში ჩემი მასწავლებელი — მამა იოაკიმე, სანამ ისინი საბოლოოდ არ განმტკიცდნენ ჩემში.

\* \* \*

1938 წლის 20 ოქტომბერს, დიდმოწამე არტემის ხსენების დღეს, ჩვენ, ყველანი, მთელი საძმო, წავედით წმინდა არტემის სახელობის კალივის დღესასწაულზე. მე პირველად მივდიოდი დღესასწაულზე, როგორც მორჩილი. არასოდეს დამავიწყდება იქაური გარემო. კალივის მამებმა — ბერმა და მისმა მოწაფემ — ყველაფერი მოამზადეს დღესასწაულისთვის. ტაძარი საზეიმოდ იყო მორთული. იატაკზე ვაზის ფოთლები ეფინა.

სალამოს, ვახშმის დროს, ფიცრებისგან ნაუცბადეკად შემზადებულ მაგიდაზე დაგვიდეს კალმარები — რითაც, ჩვეულებრივ, სკიტელები ტაძრის დღესასწაულზე უმასპინძლებიან ხოლმე მომსვლელებს. სუფრის გარშემო ისხდნენ მამები. მათს ფერმიხდილ სახეებს ნავთის ლამპის მკრთალი შუქი ანათებდა. ყველაფერი იყო ბუნებრივი, ძალდაუტანებელი; ყველაფერი ღმობიერებას აღძრავდა ჩემში და მახსენებდა იმას, რაც ძველი დროის მონაზვნებზე მქონდა წიგნებში წაკითხული. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა: ნუთუ მეც ამ კურთხეულ საკრებულოს ვეკუთვნი? კი. ეს უკვე აღარ

არის ყმაწვილური ოცნება, ეს აღარ არის მრავალი წლის აუსრულებელი ნატვრა, ეს რეალობაა.

პროტოფსალტები იყვნენ ძმები იოანე და ამბერკი – ბერ აზარიას მორჩილები. მწირველი მღვდელი, ერთმანეთის მონაცვლე მგალობლები, კანანარხი, მკითხველი, ეკლესიარხი, წმინდანისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ჰიმნები, მთაწმინდის უცვლელი, მრავალსაუკუნოვანი ბიზანტიური ტიპიკონი – ყველაფერი ეს ერთ ჰარმონიულ მთლიანობას წარმოადგენდა.

ლიტურგიაზე ბევრი მამა ეზიარა. ზიარებამდე თითოეული მათგანი ჯერ კანკელის ხატებს ემთხვეოდა, შემდეგ კი, ხალხისკენ მობრუნებული, მეტანიას აკეთებდა მარჯვნივ და მარცხნივ და ითხოვდა შენდობას.

წირვას მოჰყვა საერთო ტრაპეზი და ამით დასრულდა სადღესასწაულო შეკრება.

მამები თავიანთი ისიხასტირონებისკენ გაემართნენ.

ისინი მთელი ღამის მანძილზე ფსალმუნებს უგალობდნენ ღმერთსა და მის წმინდანს, და ახლა შინ ბრუნდებოდნენ ზურგზე მოკიდებული მახალაკებით. გული სიხარულით ჰქონდათ სავსე. ბრუნდებოდნენ თავიანთ კალივებში, რათა განახლებული ძალებით გაეგრძელებინათ ბრძოლა დემონის წინააღმდეგ.

\* \* \*

ჩემი პირველი ზამთარი მთაწმინდაზე წვიმიანი, თოვლიანი და ქარბუქიანი იყო, ამიტომაც განუწყვეტლივ გვენთო ღუმელი. შეშის ჩეხვის მორჩილება მე დამევალა. შეშას ამზადებ-

დნენ სადღაც შორს და აწყობდნენ ჩვენი კალივის გარეთ. მამა იოაკიმემ, რომელსაც ყველა სხვა სიკეთესთან ერთად პრაქტიკული ალლოც ჰქონდა, შეშის შემოზიდვის იოლი გზა გამოგვინახა.

— როცა აქეთკენ მოგიწევთ გამოვლა, — გვითხრა მან, — ცარიელი ხელებით ნუ შემოხვალთ კალივაში, თითო ნაპობი შემა ყველამ წამოიღეთ.

მიუხედავად ზამთრის ასეთი სიმკაცრისა, ჩვენი დღის განრიგი უცვლელი რჩებოდა. ბიზანტიური დროით ექვს საათზე, ანუ ღამის თორმეტ საათზე საერო დროით, ერთ-ერთი ძმა აკაკუნებდა ყველა სენაკის კარზე: „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა...“ — ეს იყო გაღვიძების სიგნალი. ჩვენ კი, სულიერი საგუშაგოს — ლოცვის საგუშაგოს მეომრები, მაშინვე გადავიძრობდით საბანს და ვდგებოდით. ღამე სამონაზვნო შესამოსელში გვეძინა — როგორც ჯარისკაცებს, რომლებიც საგუშაგოზე გასვლის თავიანთ რიგს მოეღიან. ადგომისთანავე ხელში სკვნილს ავიღებდით და ვიწყებდით სენაკის კანონის შესრულებას. ეს გრძელდებოდა დაახლოებით ერთ საათს. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეგვიწყალებ ჩვენ“ — ასე იწყებოდა ყველაზე ტკბილი და ყველაზე ძლიერი ლოცვა, რაც კი ამქვეყანაზე არსებობს. იესოს ლოცვის შემდეგ ვასრულებდით ღვთისმშობლის კანონს: „ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ“.

შუაღამე ჩვენც, როგორც მთაწმინდის ყველა მონასტრის მამებს, გულითა და გონებით ღმერთთან აღტაცებულებს გვისწრებდა.

ახალდამწყებმა, ძილი რომ დასძლიოს, განსაკუთრებულად უნდა იბრძოდეს. ეს არის მისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ბრძოლა. თავდაპირველად მთელი დღის მძიმე შრომისაგან დაქანცული სხეული ძნელად ნებდება სულის მოთხოვნებს, მაგრამ სულ მალე მისი საუკეთესო მორჩილი ხდება, — და ეს თვით ზამთრის გაუსაძლის ღამეებშიც კი, როცა სენაკშიც და სენაკის გარეთაც ყველაფერი გაყინულია, და როცა სახლის სახურავებიდან კრისტალური მახვილებით ეშვებიან „სტალაქტიდები“.

რაც შეეხება ჩემი ლოცვის ხარისხს, მახსოვს, ამ საქმეში ძალიან მცირე წარმატებებს ვაღწევდი.

— მე ვერ ვგრძნობ ღმერთს საკუთარ თავში, — შევჩივდი ბერს.

— ჯერ აღრეა, შვილო, მამშვიდება იგი, — გავა დრო და ალბათ წლებიც, ვიდრე ღმერთი შენც გამოგიგზავნიდეს მცირედ ნუგეშსა და სიხარულს. ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ რჩეული ადამიანებიც კი მრავალი ბრძოლითა და ცრემლით ითხოვდნენ ღმერთისაგან ამ ნუგეშს, ამ ღვთაებრივ მოხილვას, ეძებდნენ მას მგზნებარე სურვილით, სულთქმითა და გოდებით, როგორც სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი წერს თავის ჰიმნში:

„როდესაც შენ მეცხადები, ყოველთა მეუფეო,  
და ვუმზერ შენს დიდებულ სახეს,  
მე მიპყრობს შიში: შიში შენი სიდიადისა.  
გხედავ შენ, მეუფეს სპეტაკს და უმწიკვლოს,  
რომელსა გუნდნი ანგელოზთანი  
მსახურებენ კრძალვით და მოშიშებით.“

როდესაც ვიტყვი ამ ყოველივეს და თვალს დავხუჭავ,  
ანუ მივაქცევ ჩემს გონებას დედამიწისკენ, –  
ვინაფთვან არ შემწევს ძალა,  
ვუმზერდე შენს ცეცხლებრივ სახეს,  
რომელიც არ მწვავს, ფერფლად არ მაქცევს, –  
მაშინ ვგოდებ და ვტირ, ღმერთო, ღმერთო ჩემო,  
შენს სიმშვენიერეს მოკლებული,  
არ ძალმიძს უხმოდ დავითმინო შენთან განშორება,  
მხოლოდ მრავალმოწყალეო...  
როდესაც ამას ყველაფერს გეტყვი ქვეყნის შემოქმედს,  
მომხილველს ჩემსას მალლით თვისით და დამტევებელს,  
და შემდგომ კვლავაც მომცველს ჩემსას ელვარე ნათლით,  
მაშინ ვჭვრეტ ჩემში შენს ხატებას,  
განცხადებულს მთელი თვისი დიდებულებით,  
მომხილველს ჩემსას მალლით თვისით,  
მაგრამ კვლავ ღრუბლებს მიფარებულს,  
როგორც მზე, სრულად დამფარველი თვისის სხივების...“

ცისკრის ზარი რომ დარეკავდა, პატარა ტაძარში ვიკრიბებოდით და ერთად აღვუვლენდით ღმერთს სამადლობელ და სადიდებელ ჰიმნებს: „ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე, უფალო, გონებაჲ და გული ჩემი განანათლენ და ბაგენი ჩემნი აღახუნენ გალობად შენდა, წმიდაო სამებაო: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო...“

„ნეტარ არიანს“ მოსდევდა რამდენიმე ლოცვა და ამით მთავრდებოდა შუალამიანი. შემდეგ იწყებოდა ცისკარი. ექვსფსალმუნებას, ჩვეულებრივ, ბერი კითხულობდა, მისი არყოფნის დროს კი – მამა იოაკიმე. ამ დროს ყველაფერი ჩამ-

ქრალი იყო, მხოლოდ კანკელის ხატებთან ანათებდნენ მკრთალად კანდელები. ასეთ ატმოსფეროში, სრულ სიჩუმეში, ჩვენი სული უჩვეულო ტკობას განიცდიდა. ცისკარს მთაწმინდის სრული ტიპიკონით ვატარებდით. „აქებდითისა“ და „დიდება მაღალიანის“ შემდეგ ვკითხულობდით ჟამნებს, ბოლოს კი — კანონს ღვთისმშობლის დაუჯდომელით.

კანონს რომ დავასრულებდით, თუ რაიმე მიზეზის გამო საღმრთო ძღვენი არ გვქონდა, ანტიდორსა და ნაკურთხ წყალს მივიღებდით, ბერს ხელზე ვემთხვეოდით და ამგვარად განახლებულები ვეგებებოდით დილას. ისე კი, ჩვეულებრივ, ყოველდღე ვეზიარებოდით, — თუმცა, რა თქმა უნდა, საღმრთო ლიტურგია არ ტარდებოდა, რადგანაც უკეთილკრძალულესი მამა იოაკიმე, თავისივე სურვილით, სამღვდლო ხარისხისგან გათავისუფლებული იყო. ასე იქცევა მთაწმინდის მრავალი კეთილკრძალული მღვდელ-მონაზონი: რამდენიმე წელიწადს რომ იმსახურებენ ხარისხში და ღრმად გააცნობიერებენ მღვდლობის სიმძიმეს, გადაწყვეტენ მიატოვონ ეს უმაღლესი მსახურება და თავიანთი ცხოვრების დარჩენილი დრო უბრალო მონაზვნებად ემსახურონ ღმერთს. მათ სწამთ, რომ ამ მსხვერპლის შეწირვით საკუთარ სინდისს ზედმეტი ტვირთისგან გაათავისუფლებენ და თავს მთლიანად მიუძღვნიან გულისა და გონების განწმენდას.

ამიტომაც, ცისკარს რომ დავამთავრებდით, მამა იოაკიმე, უბრალოდ, ოლარს გადაიცვამდა და გვაზიარებდა. ამგვარად, ჩვენი ყოველი დღე იყო „სრული“ და გადიოდა ბრძოლაში. როგორ შეგვეძლო უარი გვეთქვა ქრისტეს მიღებაზე? ამავე დროს კი, როგორღა შეგვეძლო ცოდვებით დაგვემძიმებინა ის



დღე, რომელიც საღმრთო საიდუმლოს მეშვეობით იყო გან-  
წმენდილი?

ბერი და მამა იოაკიმე განუწყვეტლივ აკვირდებოდნენ ჩვენს სულიერ მდგომარეობას, ეს იყო მათი მუდმივი ზრუნვის საგანი. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მათ ცხებდა მამა იოაკიმეს მოღვაწეობა, ბერის ცხოვრების სიმკაცრე და ძმების სიმამაცე.

ყოველ შაბათ საღამოს ჩვენს კალივაში ტარდებოდა ღამისთევის ლოცვა. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ეს პატარა ღამისთევები. მარჯვენა კლიროსზე ბერი გალობდა, მარცხენაზე — მამა იოაკიმე, ჩვენ კი, ყველანი, ვეხმარებოდით. მე ვგალობდი მეორე „პოლიელეოსს“ და „გამოკრებულ ფსალმუნებს“ მამა გრიგორისთან ერთად. კვირა დილით სხვა კალივაში მივდიოდით, სადაც მღვდელი წირავდა. თუმცა ჩვენთანაც ხშირად მოდიოდა ჩვენი მოძღვარი — მამა ქრისტეფორე — „საშინელი“ კარულიდან. ყოველთვის, როცა კი ის მოვიდოდა, ჩვენ ვატარებდით ღამისთევას და შემდეგ მივაბამდით წირვას. წირვაზე ყველას გვეძლეოდა ღვთაებრივი მარგალიტი — პური ცხოვრებისა. ჩვენი მოძღვარი საერთოდ მკაცრი მოღვაწე იყო: ძალიან ცოტა ეძინა და ცოტას ჭამდა. სასტიკად, დაუნდობლად ექცეოდა საკუთარ თავს. მოვიყვან ერთ სახასიათო მაგალითს.

ერთ-ერთ ღამისთევაზე, ცისკრის ლოცვის შემდეგ, ლიტურგიის დაწყების წინ, მომესმა ძალიან მაგარი სილის გაწვნის ხმა, რამაც სრულიად ამიბნია თავგზა. აღელვებულმა მიმოვიხედე აქეთ-იქით, თუმცა სხვა ძმებს ოდნავი მღელვარებაც კი არ დატყობიათ, — ისე აგრძელებდნენ ლოცვას,

თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ბერმა შეამჩნია ჩემი აფორიაქება და მანიშნა, დამშვიდდო. შუა წირვის დროს ისევ მომესმა სილის გაწვნის ხმა. „უცნაურია, – კამბობდი გულში, – ეს რა ხმები ისმის...“

წირვის შემდეგ ბერს ვთხოვე აეხსნა ჩემთვის, რას მოასწავებდა ეს დარტყმები, ან ვინ იყო ამაში დამნაშავე. ბერმა მშვიდად მიპასუხა:

– მოძღვარი ღვთისმსახურების დროს, იგრძნობს თუ არა, რომ ძილი ერევა, თავის თავს სცემს სახეში. ის ყველანაირად ცდილობს, მისი ღმრთისადმი მსახურება სრულყოფილი იყოს, სულისა და სხეულის ყველა ძალა ჩართოს ამ მსახურებაში, გესმის? ამ პრინციპიდან სულ მცირე გადახრასაც კი არ პატიობს საკუთარ თავს. ამიტომაც მიმართავს ასეთ მტკივნეულ, მაგრამ შედეგიან საშუალებას.

თუმცა, მიუხედავად საკუთარი თავისადმი ასეთი სიმკაცრისა, ის სხვების მიმართ უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული – გულწრფელი, მდაბალი, მოკრძალებული, სანიმუშო სიყვარულით. ყველას, ვინც არ უნდა შეხვედროდა – მონაზონი თუ ერისკაცი, ხანშიშესული თუ ახალგაზრდა – მისალმების ნაცვლად ღიდ მეტანიას უკეთებდა. ეს ჩემზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა: მის სიმდაბლეს არ ჰქონდა საზღვარი.

ერთხელ, როცა მოძღვართან ერთად ჩვენი კალივის ეზოში ვისხედით, კარზე ვილაცამ დააკაკუნა. გლახაკი იყო, დახმარებას ითხოვდა ჩვენგან. დაინახა თუ არა იგი მოძღვარმა, მაშინვე მისკენ გაექანა და ღიდი მეტანია გაუკეთა. რა უცნაურად მომეჩვენა ეს! გლახაკი რომ წავიდა, ბერისგან ლოცვა-

კურთხევა ავიღე და მოძღვარს ვკითხე, რატომ მოიქცა ასე, რამ აღძრა მასში ეს სურვილი. იგი პასუხის გასაცემად მოემზადა, მაგრამ უცბად ტირილი წასკდა და მხოლოდ ესლა აღმოთქვა:

— შვილო, ის უფლის ძმაა...

ასეთი მოძღვრის გვერდით ყოფნა ღმრთის უდიდესი წყალობა იყო ჩვენთვის. მას შეგროვილი და ამოწერილი ჰქონდა უამრავი ნაწყვეტი წმიდა მამების თხზულებებიდან. ხშირად ყველას ერთად შეგვკრებდა ხოლმე და თავის მრავალწიან შრომას გვიკითხავდა. და ჩვენ ვეწაფებოდით „ცხოველ წყალს“, რომელიც გამოედინებოდა წმინდა მამათა აზრებისა და გამოცდილებებისაგან.

\* \* \*

კარგა ხნის გასვლის შემდეგ ბერმა გადაწყვიტა, რომ უკვე დადგა ჟამი ჩემი მონაზვნად აღკვეცისა და ამ დიდებული საქმისთვის მზადებას შეუდგა. მაგრამ იმ დროს აღკვეცა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ჩვენი სკიტი დიდ ლავრას ეკუთვნოდა. ადრე, ჩემს მოსვლამდე, სკიტელებს ლავრის ნებართვის გარეშეც შეეძლოთ ძმების აღკვეცა, მაგრამ სწორედ ჩემი მოსვლის პერიოდში ლავრამ წმინდა ანას სკიტს ეს პრივილეგია ჩამოართვა. „ავიოანიტელები“ (წმინდა ანას სკიტის ძმები) თავდაპირველად უარს ამბობდნენ ლავრის ამ გადაწყვეტილების მიღებაზე, მათი უარი კი ჩემს აღკვეცას აფერხებდა. მაშინ ბერმა დახმარება სთხოვა აწ განსვენებულ მონაზონ ანტონი მუსტაკასს, რომელიც მოურიგდა კიდევ მონასტერს და ჩემი აღკვეცაც გადაწყდა.

ამგვარად, მე აღვიკვეცე 1940 წლის 14 ოქტომბერს ღირსი ათანასეს ერიმიტირიონში.<sup>1</sup> ჩემს აღკვეცას ჩვენი კალივის ყველა ძმა დაესწრო. ეს იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა – გადასვლა მორჩილის წოდებიდან სქემონაზვნის წოდებაში. მაგრამ მე ვერ განვიცდიდი სრულ ბედნიერებას, რადგანაც, სკიტსა და ლავრას შორის არსებული უთანხმოების გამო, საშუალება არ მომეცა აღვკვეცილიყავი ჩემს საყვარელ კალივაში.

---

<sup>1</sup> ერიმიტირიონი – სენაკები და მღვიმეები, რომლებშიც მოღვაწეობენ მონაზვნები და რომლებიც მღებარეობენ უდაბნოში. აქედან მოდის სახელწოდებაც: „ერიმოს“ ბერძნულად ნიშნავს უდაბნოს.

## თავი 9

### ჩვენი სკიტის გაცნობა

ჩვენი კალივის ოდნავ ქვემოთ მდებარეობდა წმინდა ევსტათის კალივა, რომლის წინამძღვარი იყო მამა ანტონი — კეთილმორწმუნე, მდაბალი მონაზონი. იგი თავის კალივაში იყო დაყუდებული და ჰქონდა თავისი ხელსაქმე. მას ჰყავდა ორი მორჩილი, რომლებიც ერთმანეთის ღვიძლი ძმები იყვნენ. ისინი ყველასთვის შეუმჩნეველად ცხოვრობდნენ, თითქოს არც კი არსებობდნენ ქვეყანაზე. გაურბოდნენ ყველანაირ ხმაურსა და გაფანტულობას და მთელ დროს მღუპარებასა და ლოცვაში ატარებდნენ.

ჩვენგან ცოტა ზემოთ ორი ქსეროკალივა<sup>1</sup> მდებარეობდა. ერთ-ერთ მათგანში ცხოვრობდა მამა არსენი მეწინდე. მისი ხელსაქმე წინდებისა და პერანგების ქსოვა იყო. ჩემი ბერი დიდ პატივს სცემდა მამა არსენის და ყოველთვის ეხმარებოდა გაჭირვების დროს, — ის ხომ სრულიად მარტო ცხოვრობდა. მას მონაზვნური ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა. მისი სახე იყო ნათელი, სიტყვა — „მარილითა შეზავებული“; იგი ღრმა პატივისცემასა და მოკრძალებას აღძრავდა მნახველში. ხშირად, სკიტისკენ მიმავალი, ჩვენთანაც შემოვივლიდა ხოლმე. ვუყურებდი ამ ადამიანს და აღფრთოვანებას ვეღარ ვძალავდი: ის წააგავდა ნაყოფით დახუნძლულ ხეს, მის

---

<sup>1</sup> ქსეროკალივა — კალივა, რომელსაც არ ეძლევა წყალი სკიტისგან, არამედ იყენებს წვიმის წყალს, საგანგებო რეზერვუარში დაგროვილს. ქსეროკალივის მკვიდრი არ შეიძლება გახდეს დიკეოსი.

მიერ გამოღებული ნაყოფი კი — ეს იყო სათნოებები და მონაზვნური გამოცდილება. თვალები უბრწყინავდა, ჰქონდა თეთრი წვერი, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მის ახალგაზრდულ, მუდამ მომდიმარსა და მხიარულ სახეს.

— მონაზონო, — მეტყოდა ხოლმე იგი, — შენ ახლა უნდა შეუდგე შენს გზას. გაფრთხილდი, კალათიც არ დაკარგო და კვერცხებიც. შენ მიერ არჩეული გზა მოლიპულია, რაღაცას აუცილებლად უნდა ჩაეჭიდო, რომ არ დაცურდე. მაგრად ჩაეჭიდე ბერის ხელს, ის საიმედო საყრდენი იქნება შენთვის.

ბერი ხშირად მაგზავნიდა მასთან, ქსეროკალივიაში, საჭმლის წასაღებად. ის მარტო ცხოვრობდა და თითქმის არასოდეს იკეთებდა თავისთვის საჭმელს. ჩვენი საძმო კი დიდი იყო, ამიტომაც ბერს არ ავიწყდებოდა, ენუგეშებინა მამა არსენი, შეემსუბუქებინა მისთვის სიმარტოვე და გასაჭირი.

მეორე ქსეროკალივიაში ცხოვრობდნენ მამა ელეფთერი და მისი მორჩილები — პახომი და აქილა. გასაოცარი იყო მამა ელეფთერის სიწირფელე და გულუბრყვილობა. იგი „მოიქცა“, ქრისტეს მცნებისაებრ, და „იქმნა ვითარცა ყრმა“. ამ სათნოებას მან თავისი მორჩილებიც აზიარა. ამგვარად, მის საძმოში, ისევე როგორც პირველ ქრისტიანებში, სუფევდა „სიწირფელე გულისა“. ამ სამ მონაზონს ერთი გული და ერთი გონება ჰქონდა. მათს სახეებზე აღბეჭდილი იყო ქრისტიანული სიკეთე და სიყვარული, რაც სიმშვიდის გრძნობას ბადებდა მნახველში, მათთან ურთიერთობისას კი ეს გრძნობა გულის სიღრმეებს სწვდებოდა. მართლაც, რა საოცრად მოქმედებს ბერის — სულიერი მამის — ცხოვრება და შინაგანი მდგომარეობა.

რეობა მთელი საძმოს ცხოვრებასა და შინაგან მდგომარეობაზე!

კიდევ ცოტათი მოშორებით მაცხოვრის ფერისცვალების კალივა მდებარეობდა. ამ კალივაში ცხოვრობდა სკიტის „ექიმი“ — მამა არტემი, და მისი ორი „სანიტარი“ — ორი მორჩილი — მამა ოქროპირი და მამა ილია. მამა არტემი შესანიშნავი ექიმი-პრაქტიკოსი იყო. მას ჰქონდა ის დიპლომი, რომელსაც იძლევა ცხოვრებისეული გამოცდილება და უანგარო სიყვარული მოყვასისადმი. როცა რომელიმე მამა ავად გახდებოდა, ის უსვამდა ზედმიწევნით ზუსტ დიაგნოზს და ყველაზე აუცილებელ წამლებსაც უნიშნავდა.

მაგრამ განსაკუთრებული წარმატებები მამა არტემს ქირურგიაში ჰქონდა. არც ერთ ჭრილობას არ დატოვებდა განუკურნებელს. მისი ლანცეტი და მის მიერ დამზადებული მალამოები, ლოცვის თანხლებით, სასწაულებს ახდენდნენ.

მისი სახელი სულ მცირე დროში მთაწმინდის ფარგლებს გარეთ გახდა ცნობილი. კასანდრის სოფლების ავადმყოფები სხვა ექიმებზე მეტად მამა არტემს ენდობოდნენ და მასთან ამჯობინებდნენ მკურნალობას.

წმინდა ანას სკიტის „ექიმის“ შესახებ თესალონიკის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშიც შეიტყვეს და გადაწყვიტეს გამოეძახებინათ იგი, რათა გასცნობოდნენ მის თერაპიულ და ქირურგიულ მეთოდებს. მას ჩააცვეს თეთრი ხალათი და დაავალეს, ოპერაცია გაეკეთებინა ერთ-ერთი ავადმყოფისთვის. მამა არტემმა მიმართა მთელ თავის პრაქტიკულ მეთოდებს და ოპერაციამ იმდენად წარმატებით ჩაიარა, რომ პროფესორებმა და დამსწრეებმა არა მხოლოდ მხურვალე

მადლობა გადაუხადეს ბერს, არამედ ოფიციალური ნებართვაც კი მისცეს, რომ დაუბრკოლებლად აღმოეჩინა ქირურგიული დახმარება მთაწმინდის მონაზვნებისთვის.

მე საკუთარ თავზე გამოვცადე მამა არტემის საექიმო ხელოვნების კეთილი შედეგი, როდესაც მისი ოპერაციის მეშვეობით განვიკურნე ერთი კარგა ხნის შეუხორცებელი ჭრილობისაგან.

კარცონასების კალივაში ოთხი ხორციელი ძმა ცხოვრობდა. წინამძღვარი იყო უფროსი ძმა — მამა გაბრიელი, რომლის აზრიც დიდად ფასდებოდა სკიტის საერთო საკითხების გადაწყვეტისას.

კარცონასების ამ სულიერ ოჯახში იგრძნობოდა ცხოვრების სიმკაცრე, ამავე დროს კი — დაუშრეტელი სიყვარული მოყვასისადმი. მათი კალივა თავისი სტუმართმოყვარეობით ხშირად კირიაკონსაც კი ცვლიდა. ვისაც ამ კალივაში გაუმასპინძლებოდნენ, მას აღარასოდეს ავიწყდებოდა ძმების სტუმართმოყვარეობა.

ისინი იყვნენ საუკეთესო ხატმწერები. მათი სახელი მთელს საბერძნეთში იყო ცნობილი. თითოეული მათგანი სწორი მონაზვნური ცხოვრებითა და პელოპონესური გულუხვობით გამოირჩეოდა. წარმოშობით მესინიის არფარიდან იყვნენ.

ყველასთვის შთაბეჭდავი იყო ის ფაქტი, რომ ამ ძმებმა, ოთხივემ ერთად, მიატოვეს თავიანთი მამის — ქალაქის მთავრის სახლი, სავსე ამქვეყნიური სიკეთეებით, და მთაწმინდის მკაცრი ცხოვრება აირჩიეს. ამ შემთხვევამ შეიძლება მოგვა-



გონოს ეპიზოდები პატერიკებიდან და წმინდა მამათა ცხოვრებებიდან.

ზოგიერთები, ვინც მხოლოდ გარეგნულ მხარეს აქცევს ყურადღებას, ფიქრობდნენ, რომ კარცონასები გაფანტულად ცხოვრობდნენ და მზერა შინაგანისკენ არ ჰქონდათ მიმართული: იმ აურაცხელი მნახველის გამო, რომლებსაც ისინი აბრაამისეული სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ. მაგრამ რა ადვილად შევდივართ შეცდომაში, როდესაც ვსჯით არა „სამართალი სასჯელით“, როგორც ამას სახარება გვასწავლის, არამედ „თუალებით“. რამეთუ საკმარისი იყო, ცოტა ახლოს გაგეცნოთ ეს ძმები, რომ მაშინვე დაინახავდით მათი ცხოვრების სიმკაცრესა და მათს სწორ მონაზვნურ მიმართულებას. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს. ერთხელ ბერმა ასაკით მეორე ძმა — მამა სერაფიმე — მორჩილების შესასრულებლად ნავმისადგომში გააგზავნა: მას უნდა ამოეტანა ორი ტომარა ცემენტი. დიდი მზადყოფნით გაემართა მამა სერაფიმე ნავმისადგომისკენ. მან გადაწყვიტა, ერთ ჯერზე ორივე ტომარა წამოეღო (რომელთაგან თითოეული ორმოცდაათ კილოგრამს იწონიდა), რათა სკიტიის აღმართზე ორჯერ არ გამხდარიყო ამოსასვლელი. როგორც ხალხში იტყვიან, უნდოდა „ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა“. მაგრამ ბერმა ის ზემოდან დაინახა, მის შესახვედრად გაიქცა და შუა გზაში მიუსწრო.

— რატომ მოგაქვს ორი ტომარა? მე ხომ გითხარი, რომ ცალ-ცალკე წამოგეღო?

მამა სერაფიმეს თავის გამართლება უნდოდა, მაგრამ ბერმა შეაჩერა:

– დატოვე აქ ერთი ტომარა, მეორე კი ისევ ნავმისადგომში წაიღე, და როცა ამ ერთს ამოიტან კალივაში, მერე გაბრუნდი მეორის ამოსატანად. სხვა დროს კი ისე მოიქეცი, როგორც გეტყვიან.

მამა სერაფიმემ თავდახრილმა უპასუხა:

– მაკურთხე, მამაო, – და მაშინვე გაიქცა მორჩილების შესასრულებლად.

მან კარგად იცოდა, რომ მონაზვნის მორჩილება უნდა ყოფილიყო ზუსტი: არც არაფერი უნდა დამატებოდა და არც არაფერი მოჰკლებოდა. აი ასეთი იყო კარცონასების სიზუსტე!

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც თვალნათლივ დაგვანახებს მათი მონაზვნური ცხოვრების ხასიათს.

ჩემი მთაწმინდაზე ყოფნის დროს რამდენიმე მონასტერმა გადაწყვიტა, თავიანთ ნავმისადგომებამდე გზა გაეყვანათ. ამ ფაქტის გავლენით, ჩვენი სკიტის დიკეოსმა ბერების კრება მოიწვია და მათ წინაშე ასეთი საკითხი დააყენა: ჩვენთვისაც ხომ არ არის საჭირო, შევარემონტოთ სკიტის გზები, რადგანაც მამები საშინლად წვალობენ: ყოვლად აუცილებელი ნივთების გადატანის დროსაც კი ვერ სარგებლობენ პირუტყვით.

მაშინ ფეხზე ადგა ბერი გაბრიელ კარცონასი და მტკიცედ წარმოთქვა შემდეგი ღირსსახსოვარი სიტყვები:

– მამანო! ჩვენი სკიტის ეს ციცაბო, მკაცრი და ძნელად სავალი გზა დაეხმარა ჩვენს წინაპარ მამებს, მოეპოვებინათ სიწმინდე: მასზე დაღვრილი ოფლისა და მასზე გადატანილი ბრძოლების წყალობით. ამიტომ ჩვენც ნუ დავიწყებთ შეღავათების ძებნას, თუკი გვინდა, რომ მათ კვალს მივსდეთ.

მაშინ უკლებლივ ყველა მამამ ერთხმად გაიზიარა გაბრიელ-მოძღვრის აზრი. თითოეული მათგანი იხსენებდა რომელიმე ადგილს პატერიკიდან და ღირსი მამების ცხოვრებიდან. ერთ-ერთმა ბერმა პახომი დიდის ცხოვრებიდან მოიყვანა მაგალითი: „ის ადგილი, სადაც წმინდანი ცხოვრობდა, უდაბური და ეკლიანი იყო. ყოველთვის, როცა კი შეშის მოსატანად აგზავნიდნენ, ეკლები მას ფეხის გულებს უსერავდა, რადგანაც იგი ფეხშიშველი იყო, მაგრამ მოთმინებით იტანდა ამ განსაცდელს და მუდამ თვაწლინ ედგა ჯვარზე დამსჭვალული მაცხოვრის ლურსმნები“; მეორე მამამ მოიყვანა ეფრემ ასურის პოეტური გამონათქვამი: „შეწუხდი სასიკეთო ტკივილით, რომ გაექცე ამაო ტკივილთა ტკივილებს“; ვილაც სხვამ აბბა ესაიას მცნება გაიხსენა: „შეიყვარე ყველანაირი ძვირისხილვა და შენი ვნებები დამდაბლდებიან“; კიდევ სხვას გაახსენდა შემდეგი ადგილი პატერიკიდან: როდესაც აბბა იოანე მოკლეს ჰკითხეს, რა არის მონაზვნობაო, მან უპასუხა: „შრომა, რამეთუ მონაზონი ყოველ საქმეში შრომობს, — ეს არის მონაზვნობა“.

გზის გარემონტების წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს შორის ზოგიერთმა ისიც აღნიშნა, რომ მონაზონი ამსოფლად ისე უნდა ცხოვრობდეს და იქცეოდეს, როგორც უცხო, სტუმარი.

— მას შემდეგ, რაც მონაზვნური ცხოვრება დავიწყეთ, — ამბობდნენ ისინი, — ვირწმუნეთ, რომ თვით ჩვენი სენაკიც კი არ არის მთლიანად ჩვენი, არამედ ჩვენ ვართ, ასე ვთქვათ, მისი სტუმრები, დროებით გვაქვს დაქირავებული: იმდენი ხნით, რამდენ ხანსაც ღმერთი ამქვეყნიურ გადასახლებაში

ჩვენს დატოვებას ინებებს, რათა შევინანოთ ჩვენი ცოდვები და განვიწმინდოთ. ამიტომაც ბევრი ჩვენგანი სულ მცირედი ცვლილების შეტანასაც კი ვერ ბედავს სენაკში: იმდენად რამდენადაც სენაკი – ეს ჩვენთვის წმიდათაწმიდა განძია; იგი წინაპრებისგან გვაქვს გადმოცემული და გვსურს, ხელუხლებლად გადავაბაროთ მომავალ თაობას. ეს შეხედულება, მით უფრო, მთელ კალივას, მთელ სკიტსა და მთელ მთაწმინდას ეხება. ისინი მამა-პაპისგან გადმოცემულ უძვირფასეს მემკვიდრეობას წარმოადგენენ ჩვენთვის – წმიდასა და ხელშეუხებელს. ის, რაც ჩვენს სენაკთან მიმართებაში გვწამს, ათასჯერ მეტად გვწამს ჩვენს სკიტთან და მთელს მთაწმინდასთან მიმართებაში – როგორც სულიერ პლანში, ასევე ფიზიკურშიც: ჩვენ არა ვართ მისი მფლობელები, რომ შეგვეძლოს რაიმე შევცვალოთ; ამგვარ უფლებას ვერ მივცემთ საკუთარ თავს. როცა მთაწმინდაზე წამოსვლა გადავწყვიტეთ, კარგად ვიცოდით, რა პირობებიც დაგვხვდებოდა აქ, და, მიუხედავად ამისა, მაინც წამოვედით – და თანაც დიდი სიხარულითა და მოშურნეობით. შეღავათები და კეთილმოწყობილი ცხოვრება რომ მოგვესურვებინა, მაშინ აქ კი არ წამოვიდოდით, ამ წმინდა ადგილზე, სადაც ოფლის უწყვეტი მდინარეები მოედინებიან და სადაც არავითარ კეთილმოწყობაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი, არამედ ჩვენი ქვეყნის რომელიმე სხვა მონასტერს ავირჩევდით და იქ გზაც გვექნებოდა და ყველანაირი შეღავათი და შემსუბუქებაც. ჩვენ საკუთარი ნებით გამოვირჩიეთ წმინდა მთა და უფლება არა გვაქვს, სულ ოდნავ მაინც შევცვალოთ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მისი სულიერი წყობა თუ გარეგნული სახე, და შევცვალოთ

მხოლოდ იმისთვის, რომ შევიმსუბუქოთ საკუთარი ცხოვრება.

მამების ამ მოსაზრებების მოსმენის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვენარჩუნებინა ჩვენი სკიტის ტრადიციული სახე და გაგვეგრძელებინა ძველებური ცხოვრება, როგორც მძიმე და მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო იგი.

სკიტის კირიაკონის ოდნავ აღმოსავლეთით ორი ერთმანეთზე უკეთესი საძმო იყო: ერთი — მამა ხარლამპისა და მეორე — მამა თეოდოსისა. ისინი ხორციელი ძმები იყვნენ.

მამა თეოდოსი იყო მაღალ სულიერ საზომს მიწევნული, განსჯის უნარის მქონე სერიოზული მონაზონი; არ უყვარდა უქმი საუბარი. წმინდა ანას სკიტში მოსვლამდე იგი უდაბნოში ცხოვრობდა. როგორც ჩანს, მას გონებისმიერი ლოცვა ჰქონდა. წირვის დროს იგი მოგაგონებდათ ცაში მონავარდე ფრინველს: თავისუფლად და, ამავე დროს, თავდაჭერილად, დარბაისლურად წირავდა. სიკეთითა და სიყვარულით სავსე, ის სკიტის მტკიცე საყრდენი იყო. მთელ დამეებს ტირილში ატარებდა, როგორც ბუკიოტი, და ცრემლებით ითხოვდა ღმრთისაგან შეწყალებას.

მას ჰქონდა მხურვალე სურვილი, წმინდა მთაზე დაესრულებინა სიცოცხლე, თავის კალივაში, და ლოცულობდა კიდევ ამისთვის. მისი სურვილი მართლაც აღსრულდა. ერთხელ, როცა მთაწმინდის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა, სერიოზულად დაავადდა ჰეპატიტით და სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მაშინ, მიუხედავად ექიმების მკაცრი წინააღმდეგობისა, მან თავის ნაცნობებს მთაწმინდაზე გადაყვანა სთხოვა.

– ორმოცდაათ წელიწადზე მეტია, იქ ვცხოვრობ და მინდა იქვე აღვესრულო, – ამბობდა იგი.

სკიტიის ნავმისადგომიდან კალივამდე მამებმა საკაცით მიიყვანეს. იქ კიდევ ერთი თვე იცოცხლა და ბოლოს, მხურვალე მადლობით, ღმერთს მიაბარა სული.

მამა ხარლამპის საძმო მაღალი სულიერებით გამოირჩეოდა. თვითონ მამა ხარლამპი მამა პანტელეიმონის მემკვიდრე იყო. მღუპარე და მდაბალი აზრის მქონე, იგი კალივის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად იქცა. მისი საძმოს წევრები იყვნენ მამა ისიხი, მამა სოფრონი-დიაკონი, მორჩილი დიმიტრი და მამა დანიელი, რომელიც იმ დროს ერში იმყოფებოდა. მათი ხელსაქმე სამონაზვნო სკუფიების ქსოვა იყო. იმდენად მკაცრი ცხოვრების წესი ჰქონდათ კალივაში, რომ ზოგიერთი სტუმარი მათთან მეორეჯერ მისვლას ვეღარც ბედავდა. ამ საძმოს წევრებიდან უმეტესობა ახლა უკვე აღარ არის ცოცხალი. მათი ლოცვით ღმერთმა ჩვენც შეგვიწყალოს.

პატიოსანი ჯვრის კალივის საძმო ათ კაცზე მეტს ითვლიდა. აქ იყო საკმაოდ მკაცრი ტიპიკონი და სერიოზული სულიერი ცხოვრება. მათ ხელსაქმეს ხატწერა წარმოადგენდა; ცხოვრობდნენ ყველასთვის შეუმჩნეველად. იშვიათად თუ შევხვდებოდი ნავმისადგომზე რომელიმე უფროს ძმას ამ კალივიდან, რომელსაც ყოველთვის თან ახლდა უმცროსი ძმა – სახელად იოანიკე. მათ ჰყავდათ ნავი და იჭერდნენ თევზს. ზღვის ჩრდილოეთი ნაწილი, მთაწმინდას რომ აკრავს, საერთოდ მდიდარია თევზით, და ესეც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წყალობაა.

მამა იოანიკე იყო ახალგაზრდა მონაზონი, დაახლოებით ოცდახუთი წლის, – სერიოზული და სიტყვაძუნწი. იგი გამოცდილ ბერს მოგაგონებდათ; ერთ სიტყვასაც კი ვერ ათქმევინებდით: როგორც კი სამუშაოს დაამთავრებდა, დააბამდა ნავს და სკიტისკენ მიმავალ დაღმართზე დაეშვებოდა. მასთან შეხვედრისას უნებურ გაოცებას იგრძნობდით: ეს იყო ჭაბუკი, დაჯილდოებული სხვადასხვა ნიჭებით, რომლებიც მან მთლიანად ქრისტეს მიუძღვნა. ასეთივე მოღვაწეები იყვნენ მისი სამძოს სხვა წევრებიც, მაგრამ ისინი არასოდეს სცილდებოდნენ თავიანთი კალივის საზღვრებს.

ეს მონაზონი ახალგაზრდა გარდაიცვალა, დაახლოებით ოცდარვა წლისა. ღმერთმა ადრიანად მოუხმო მას თავისთან. სრულმა მორჩილებამ და კალივის მკაცრმა პირობებმა შეარყიეს მისი ჯანმრთელობა, ამავე დროს კი სამარადისო, ნათელი ადგილი განუზღადა ღმრთის სასუფეველში. ღმერთმა ჩვენც შეგვიწყალოს მისი ლოცვით.

მამა გაბრიელი სკიტის მეწისქვილე იყო. ყოველთვის, როცა კი ან მე, ან რომელიმე სხვა ახალგაზრდა ხორბლის დასაფქვავად წისქვილში მივიდოდით, ის დაგვიძახებდა ხოლმე და გატაცებით გვიმეორებდა:

– ძმაო, ფხიზლად დაიმარხე შენი ქალწულება. ყოველდღე ევედრე ღვთისმშობელს, დაიცვას იგი, თორემ ამის გარეშე როგორ შევალთ სასუფეველში?

მას ჰქონდა წვრილი, თავისებური ხმა. ყურში ცუდად ესმოდა, რის გამოც მთელი ძალით გაჰყვიროდა. ამ დროს მისი სუსტი ხმა განსაკუთრებულად ლამაზ ჟღერადობას იძენდა და უკიდურესად მაღლდებოდა.

ზღვის მახლობლად მამა ეგნატე ცხოვრობდა თავის საძმოსთან ერთად. ამ საძმოში თითქმის ყველანი წარმოშობით ქიოსიდან იყვნენ. არაჩვეულებრივი იყო მათი ღვთისმოსაობა და ასკეტიზმი. მამები — მინა, ოქროპირი, ხარლამპი და სხვები — მთელი გულმოდგინებით, მოთმინებითა და მორჩილებით შრომობდნენ თავიანთი კლდოვანი ტერიტორიის დასამუშავებლად, ამასთან ერთად კი თავიანთ სულებსაც ამუშავებდნენ და ამზადებდნენ ღმერთის მისაღებად.

ცოტა მოშორებით, კირიაკონის დასავლეთ მხარეს, მდებარეობდა ყოვლადწმინდა სამების კალივა. იქ ორი მონაზონი ცხოვრობდა: ბერი პეტრე და მისი მორჩილი — მამა ანდრია. ერთხელ მე და ჩემმა აწ განსვენებულმა ბერმა მათ კალივასთან ჩავიარეთ. მამა პეტრე აივანზე იჯდა და რაღაცას კემსავდა, თან მზის თბილი, მაღლიანი სხივებით ტკებოდა.

— ხედავ ამ მონაზონს? — მკითხა ბერმა. — რას აკეთებს, იცი? ფარულად ალასრულებს სიყვარულის საქმეს. ამის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის. ძმების წინდებს აგროვებს და ახლა, ამ ზამთარში, ზის აივანზე და მღუმარედ კემსავს, ლოცვის თანხლებით, თანაც ისე მოხერხებულად, რომ გაგიკვირდება: ის ხომ ოთხმოცდათხუთმეტ წელსაა გადაშორებული. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, დაფარულად რომ აკეთებს ამას. არ უნდა მისმა მარცხენამ იცოდეს, რას სჩადის მისი მარჯვენა. მე ეს ამბავი ერთ-ერთი იმ მონაზვნისგან შევიტყვე, რომლისთვისაც მან ასეთი მშვენიერი, კეთილშობილური მოწყალების საქმე ალასრულა.

ამ საუბარმა გამახსენა აბბა მოსე ეთიოპელი, რომელსაც იმხელა სიყვარული ჰქონდა, რომ ღამე ბერებისთვის ჩუმად



ეზიდებოდა შორი მანძილიდან წყალს და ყველა მათგანის ჭურჭელს ავსებდა. ახლაც კი, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ღმრთისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობა მეუფლება იმისთვის, რომ საკუთარი თვალით ვიხილე სიყვარულის ამგვარი გამოხატულება ჩემს თანამედროვე მონაზვნებში.

როგორც ყველა დროის წმინდანები გამოირჩეოდნენ თავიანთი უბრალოებით, ასევე ეს თვისება ამშვენებდა კურთხეულ მამა დიონისე-მოძღვარს, რომელიც მთაწმინდაზე ჯერ კიდევ ბავშვი მოვიდა. ის კარგი მოძღვარი იყო. ნათელი გონება და წრფელი გული ჰქონდა. ლოცვამ, მარხვამ, დაყუდებამ და ცრემლებმა სავსებით გააკეთილშობილეს მისი სული.

ერთხელ ბერმა მასთან კალივაში გამაგზავნა სამუშაოდ. როდესაც ტრაპეზის დრო მოვიდა, მამა დიონისემ შემომთავაზა, მის საძმოსთან ერთად მეტრაპეზა. მაგრამ მე უარი ვთქვი ამ დიდსულოვან მიპატიჟებაზე. მაშინ, რთული მდგომარეობიდან რომ გამოვეყვანე, მან თავისი მორჩილი გააგზავნა ჩემს ბერთან და ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა, დავრჩენილიყავი მათთან სადილზე. ბერი დიდ პატივს სცემდა მამა დიონისეს და ძალიან უყვარდა, ამიტომაც სიხარულით მომცა დარჩენის უფლება.

ტრაპეზის დროს ერთ-ერთი ძმა კითხულობდა. საკითხავი ძალიან საინტერესო იყო. რაღაც მომენტში აწ განსვენებულ მოძღვარს დამატებითი შენიშვნის გაკეთება უნდოდა, მაგრამ იმდენად აღელვებული იყო, რომ ცრემლები წამოსცვივდა, მერე სლუკუნნი აუტყდა, ბოლოს კი ტრაპეზი დატოვა და თავის სენაკში წავიდა. ჩვენც, ვინც სუფრასთან ვისხედით, ვერ

შეუძებელით გულგრილი დავრჩენილიყავით ბერის ღრმა გრძნობების მიმართ და, ბუნებრივია, ტირილით მივყევით მის კვალს.

ნეტარხსენებულო მამაო დიონისე! ვინ ამოავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც შენ დატოვე ჩვენს სკიტში?

სკიტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა ორი კალივა: მამა იოასაფ-მოდღვრისა და მამა კონსტანტინესი. კალივები იმ კლდის ძირში იყო აშენებული, რომელიც მრისხანედ გადმოჰყურებდა ჩვენს სკიტს. ერთი კალივა მეორეს ცხოვრების სიმკაცრესა და ფიცხელ მონაზვნურ დვაწლში ეჯიბრებოდა. აქ მცხოვრები მამების ლოცვა და მარხვა, შეერთებული სხეულის დათრგუნვასთან, ჩვენში გაოცებას იწვევდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მონაზვნების გმირული თავგანწირვა გვიკვირდა.

სკიტის ჩრდილოეთ ნაწილში მამა ხარლამპი-მეწაღე ცხოვრობდა. იგი ყველა იმ სათნობით იყო შემკული, რაც კი მოღვაწე მონაზონს შეიძლება გააჩნდეს. თავისი ასკეტურობით, მღუმარებით, ცხოვრების სიმკაცრით, სრულყოფილები-საკენ სწრაფვით, გულგრილი დამოკიდებულებით ყოველივე ამქვეყნიურისადმი — ის ყველა ჩვენგანს აღემატებოდა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მამა ხარლამპი თავისი ასკეტური ცხოვრების მიმწუხრში იმყოფება.

მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი მასთან ჩემი ფეხსაცმლის შესაკეთებლად. იგი თავის ხელსაქმეში იყო ჩაფლული — სადგისით, კანაფით და დანით ხელში. შიგნით რომ შევედი, მუშაობა არ შეუწყვეტია, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს, თავიც არ აუწევია ზემოთ. და მე მივხვდი, რომ მას მღუმარებისა და

ლოცვის ღვაწლი ჰქონდა აღებული, და რომ იგი ღმერთში იყო დანთქმული: ვერ გრძნობდა, რა ხდებოდა მის გარშემო, ან ვინ იმყოფებოდა მის გვერდით. როდესაც კალივაში დავ-ბრუნდი და ბერს ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარე, მან მითხრა:

– შვილო, მამა ხარლამპი არ ეკუთვნის ჩვენი ღრვის მონაზონთა რიცხვს!

სკიტის ზეთსახდელის ზემოთ მდებარე კალივაში მამა კირილე და მისი მორჩილი – მამა ექვთიმე მოღვაწეობდნენ. მამა კირილე მკაცრი მონაზონი იყო.

როგორც ჩემი ბერისგან შევიტყვე, მამა კირილემდე იქ ცხოვრობდა ვინმე კესარი-მოძღვარი, რომლის აღსასრული ყურადსაღებ მოვლენად იქცა მთელი სკიტისთვის. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ლოგინში მწოლიარემ, მან დაიწყო ყვირილი, საშველად მოუხმობდა სკიტის ყველა მამას. ამასთან ერთად, საშინელი სენიც შეეყარა: მისი კისერი ისე გასივდა, რომ თავი საერთოდ აღარ გამოიყოფოდა სხეულისგან.

სკიტის მამები დამწუხრდნენ და შეეცადნენ რალაცით აეხსნათ ეს მოვლენა, რადგანაც მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ აღესრულებოდა ადამიანი. მამა კესარიც შესახებ მათ იცოდნენ, რომ იგი იყო ძალიან ღმობიერი მოძღვარი, მაგრამ არ გააჩნდა განსჯის უნარი. ყოველი აღსარების შემდეგ ის, როგორც წესი, ეუბნებოდა აღმსარებელს: „შენი ცოდვები შენდობილია, მე ვიღებ მათ ჩემს კისერზე“. ასე რომ, აქ მამებმა ღმრთის ხელი დაინახეს: ღმერ-

თმა ეს იმისთვის დაუშვა, რომ ავადმყოფობითა და ტკივილით განეწმინდა იგი.

ჩვენი სკიტი ორმოცდაათოხმეტ კალივას ითვლიდა. თითოეულში ორი ან მეტი მამა ცხოვრობდა. მაგრამ იყო რამდენიმე კალივა, სადაც თითო მამა მოღვაწეობდა განცალკევებით. მე ორი მათგანი მინდა გავიხსენო: მამა სამუელი და მამა ბიკენტი.

პირველი თითქმის სულ თავის კალივაში იყო ჩაკეტილი. მისი ნახვა დიდ წყალობად ითვლებოდა. მთელი ჩემი სკიტში ცხოვრების მანძილზე მე ის მხოლოდ რამდენჯერმე ვნახე. რითი არსებობდა ეს ადამიანი, რას ჭამდა, ცხოვრების როგორი წესი ჰქონდა — ეს ყველასთვის დაფარული იყო. იგი გაურბოდა ურთიერთობას სკიტის მამებთან. მამების უმეტესობა მას მკაცრ ასკეტად და მოღვაწედ თვლიდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ის ხიბლის გზაზე იდგა.

მამა ბიკენტი თანდაყოლილი უბრალოებით გამოირჩეოდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო — გზაზე თუ კირიაკონში — ყველგან ხმამაღლა ამბობდა ლოცვას: „მაცხოვრე მე, ღვთისმშობელო, მაცხოვრე მე, შემიწყალე მე“. მის ხმაში იგრძნობოდა ტკივილი და ბრძოლა, თითქოს დაჭრილი გულიდან ამოდიოდა ეს ხმა. მისი მტკივნეული შეძახილები წმინდა მაკარი დიდის ბრძნულ გამონათქვამს მოგაგონებდათ: „თუ სული გოდებს და ღმრთისადმი ღალადებს, ღმერთი მას უგზავნის სულიერ მოსეს, რომელიც ეგვიპტის მონობისაგან იხსნის სულს. ოღონდაც თავდაპირველად ის გოდებს და ღალადებს და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა თავისუფლება“.

მამა ბიკენტის მუდმივი ინტერესის საგანი ცხოვრება იყო, და ამ საგანზე ფიქრი მას ანიჭებდა სულიერ წუხილს. როდესაც გზაში ვინმე შეხვდებოდა, „მაკურთხეს“ შემდეგ თავისი მძიმე რუმელიოტური აქცენტით ეკითხებოდა:

– რას იტყვი, მამაო, ვცხონდებით?

სხვას არაფერს ამბობდა, არაფერი აღელვებდა ამის გარდა. თავისი კეთილკრძალებით ის ეფრემ ასურს წააგავდა.

„მაცხოვრე მე, ღვთისმშობელო, – ამბობდა და თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები, – ნუ დამტოვებ, ნუ დამაგდებ, რომ სულ არ ამერიოს გზა-კვალი. მე ჯერ კიდევ ბავშვი მოვედი აქ, შენი ძის – იესო ქრისტეს სიყვარულით. მაცხოვრე მე, ღვთისმშობელო, მაცხოვრე მე...“

შრომობდა თუ სკიტის გზას ადგა, ის განუწყვეტლივ ლოცულობდა და თითქმის შეუჩერებლად ტიროდა: „მაცხოვრე მე, ღვთისმშობელო...“

მეჩვენებოდა, რომ მამა ბიკენტის წრფელ გულში, რომელშიც თავის ძესთან ერთად განისვენებდა ღვთისმშობელი, ეს გლოვა რაღაც ენით უთქმელ, იდუმალ სიხარულს ბადებდა.

მე ყველას ვეკითხებოდი მის შესახებ, მაინტერესებდა როგორ ცხოვრობდა ეს კურთხეული ადამიანი. თვით სიკვდილამდე არ მიუტოვებია მას თავისი ჩვეული ლოცვა, თავისი გლოვა და წუხილი. მისი აღსასრული, როგორც ძმებმა კარცონასებმა გადმოძვეს, ჭეშმარიტად ღირსეული იყო: აღსასრული ცრემლიანი ლოცვის გმირისა.

კარცონასების კალივის ცოტა ზემოთ წმინდა მოციქულების კალივა მდებარეობდა. იქ ცხოვრობდა ორი კურთხეული ადამიანი: ბერი ანთიმოზი და მისი მორჩილი – მამა იეროთე-

ოსი. ორივე სამოც წელს იყო გადაცილებული, ორივე შესანიშნავი მგალობელი იყო. მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ გვაოცებდა ამ ადამიანების სიყვარული და მამა იეროთეოსის უსიტყვო მორჩილება ბერისადმი. მათი გალობა, მათი უსაზღვრო კეთილკრძალებულება განსაკუთრებულ სულიერ ელფერს აძლევდა ღამისთევის ლოცვას.

კირიაკონის ზუსტად ქვემოთ მდებარეობდა ამაღლების კალივია, რომელშიც ცხოვრობდა ბერი ნიკოდიმოს კვიპრელი. მისი საძმოს ცხოვრება – ეს იყო ლოცვა და შრომა. მას ჰყავდა ოთხი მორჩილი: მამა იოანე და ძმები – პეტრე, ექვთიმე და აბრაამი. სწორედ ამ კალივის მკვიდრი იყო ღირს-მოწამე ნიკოდიმოსი, რომელიც თურქების ბატონობის დროს ევნო.

იქვე, მეზობლად, მდებარეობდა „პატრიარქის კალივა“. ეს სახელწოდება მან იმის გამო მიიღო, რომ აქ ადრე მოღვაწეობდა კირილე V კარაკალოსი. ჩემს დროს ამ კალივაში ხუთი-ექვსი მამა ცხოვრობდა. ისინი, თავიანთი წინმორბედის მსგავსად, მკაცრ მონაზვნურ ღვაწლს ეწეოდნენ.

კირიაკონის ზემოთ იყო მამა მელეტის კალივა. მის საძმოში შედიოდა მთაწმინდის ცნობილი პროტოფსალტოსი – მამა ოქროპირი.

„პატიოსანი ჯვრის“ ცოტა ქვემოთ მდებარეობდა ყოველთა წმიდათა კალივა, რომელშიც ცხოვრობდა სამი ღვიძლის ძმა: სერაფიმე, ოქროპირი და გრიგორი. სამივენი მკაცრი მოღვაწეები იყვნენ.

ყოველთა წმიდათა კალივის ზემოთ მამა აგათანგელოზის საძმო ცხოვრობდა. ამ საძმოს ჰყავდა კარგი სულიერი მოძ-

ღვარი — მამა ნეოფიტე. კალივის ერთ-ერთი ძმა სკიტის მღვიანის იყო.

ამ ორი კალივის შუაში მდებარეობდა მამა აზარიას კალივა. მის შესახებ ჩვენ უკვე წიგნის პირველ ნაწილში ვისაუბრეთ.

\* \* \*

ერთხელ, როდესაც ნავმისადგომიდან კალივაში ვბრუნდებოდი, ხმამაღალი ყვირილი შემომესმა და დავინახე, რომ ზღვასთან ახლოს, იმ ადგილზე, სადაც წყლით სავსე დიდი რეზერვუარი იდგა, ერთი მენავე ერისკაცი და მამა პ. ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. ყვირილი თანდათან ძლიერდებოდა. „ეს საქმე სასიკეთოდ არ დამთავრდება“, — გავიფიქრე მე.

ჩხუბის დროს მენავემ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი აუგად მოიხსენია. მაშინ აღშფოთებულმა მამა პ-მ ხელი დასტაცა მენავეს და ერთი ძლიერი ბიძგით რეზერვუარში ჩააგდო. თან ამბობდა:

— არამზადა! ღვთისმშობლის სიყვარულით მე მშობლებიც დავტოვე, ერიც და საკუთარი თავიც უარყავი. შენ კი აქ, მის საბრძანებელში, შეურაცხყოფ მას?!

მაშინვე მივირბინე რეზერვუართან, რომ კიდევ უარესი რამე არ მომხდარიყო. საბედნიეროდ, მენავემ პირი მოკუმა და ჩემი დახმარებით წყლიდან ამოაღწია.

კალივაში რომ დავბრუნდი, ბერსა და ძმებს ვუამბე ყველაფერი და ვთხოვე აეხსნათ ჩემთვის, იყო თუ არა ღმრთისთვის სათნო მამა პ-ს საქციელი.

ბერმა ასეთი რამე მიპასუხა:

– წმინდა იოანე ოქროპირი წერს, რომ თუ ვინმე ღმრთის სახელს შეურაცხყოფს, ჩვენ ვალდებული ვართ, ხელი შევეუშალოთ მას. ის კი არა, დარტყმის უფლებასაც გვაძლევს: „გააწანი მას სილა, შემუსრე მისი პირი, რათა იკურთხოს შენი მარჯვენა“. წმინდა მამები ამბობენ, რომ მორჩილს ევალება დაიცვას თავისი ბერი, თუ მას ვინმე შეურაცხყოფს ან ცილს სწამებს; და რამდენად მეტად გვმართებს, დავიცვათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელი, როცა ზოგიერთები, ვისაც ღმრთის შიში არ გააჩნია, შეურაცხყოფენ მას.

\* \* \*

ჩვენი სკიტის, ამ პატარა ქალაქის, სულიერი გარემო, რომელსაც სიცოცხლესა და სინათლეს ჰფენდნენ ღირსი, ღვაწლმოსილი მამების სახეები, ჩინებულად ერწყმოდა ამავე პატარა ქალაქის სწორუპოვარ ბუნებას. მისი მჩქეფარე წყლები, ნაყოფიერი ხეებით სავსე ამწვანებული ბაღები, ბუღბუღები და შავი შაშვები, კლდეები, ზღვა, სიჩუმე – ყველაფერი ეს მეტად მომხიბვლელ ატმოსფეროს ქმნიდა.

ზაფხულობით, ყოველ საღამოს, მწუხრის ლოცვის შემდეგ, ჩვენ ვიწყებდით ბაღის მორწყვას. რეზერვუარებიდან წყალი ჩუხჩუხით გადმოდიოდა და სწრაფად მიედინებოდა ბაღისკენ, თან რაღაც არაჩვეულებრივ მელოდიას ღუღუნებდა.

ჩვენი კალივის ოღნავ ქვემოთ, წმინდა სერაფიმეს კალივაში, ცხოვრობდა აწ განსვენებული მამა დიონისე, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. მასთან ერთად ცხოვრობდნენ მისი მორჩილები – მამა სერაფიმე და მამა გელასი. ისე ხდებოდა, რომ როცა ჩვენ ბაღში ვმუშაობდით, ისინიც ზუსტად



ამ დროს მუშაობდნენ თავიანთ ბაღში, ასევე სკიტის ზოგიერთი სხვა კალივის მამებიც. მაგრამ ყველანი ვშრომობდით მღუმარედ, ლოცვით; და მაშინ სკიტი ემსგავსებოდა ხოლმე ფუტკრების სკას, მშვიდ, ერთსულოვან სულიერ ოჯახს.

დაუვიწყარი შეხვედრები

ბერი ხშირად მაგზავნიდა ხოლმე სკიტის ნავმისადგომში ამანათების წამოსაღებად, ან დაფნიში — გემით შეკვეთების გასაგზავნად; აგრეთვე ფოსტის მისაღებად.

აქ თქვენ შეხვდებით სკიტის თითქმის ყველა კალივის მამებს, რომლებიც ამავე მიზნით მოდიოდნენ ნავმისადგომში. ამ გასვლების დროს მე „თვალეზად და ყურებად“ ვიყავი ქცეული. საღმრთო ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი თითოეულ მამას. ისინი, ყველანი, ძია იანისის ქონში იყრიდნენ თავს, თუმცა ეს თავყრილობა ოდნავაც არ ჰგავდა ერის ხალხის თავყრილობას. აქ არ ისმოდა ხმამაღალი, მღელვარე ხმები, ღრიანცელი ან უქმი საუბარი; არავინ ეჯიბრებოდა ერთმანეთს, ვინ იტყოდა ყველაზე მეტს; პირიქით, იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკათ და მეტად ჩაკეტილიყვნენ საკუთარ თავში.

აქ მოდიოდნენ მცირე წმინდა ანასა და ჩვენი სკიტის, კარულის, კატუნაკისა და წმინდა ბასილის უდაბნოს მამები, — შროშანები, რომლებიც კეთილსურნელებას გამოსცემდნენ: ლოცვის, მარხვისა და მღუმარების ცოცხალი შროშანები, აღბეჭდილნი სულიწმიდის ბეჭდით! როდესაც ჩემს კალივაში ვბრუნდებოდი, ბერს ვეუბნებოდი, რომელი მამები ვნახე, და ვთხოვდი, ცალ-ცალკე მოეთხრო თითოეულის შესახებ. ჩვენ, ახალგაზრდა მონაზვნებს, არც უფროს მონაზვნებთან, არც ერთმანეთთან საუბრის უფლება არ გვქონდა, მხოლოდ თავის დაკვრასა და „მაკურთხეს“ უნდა დაგვჯერებოდა.

მამები მოთმინებით ელოდებოდნენ კატერს, – წმინდა, კურთხეული მამები! ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა მათი ხატება: მდაბალნი, მღუმარენი, მიწისკენ თავდახრილნი, თავიანთი ძველი კაბებით, თეთრი შალის წინდებით, ფართო ფეხსაცმელებით, კვერთხებით, მახალაკებით, გაცრეცილი სკვნილებით ხელში... მე ვერასოდეს შევძლებ მათ დავიწყებას. აგერ უკვე ორმოცი წელიწადი გავიდა და ახლაც აღფრთოვანებას იწვევს ჩემში მათი ფარული მღუმარება, მათი ყოველდღიური „სიკვდილი“, მათი მცდელობა, დარჩენილიყვნენ ყველასთვის შეუმჩნეველნი. ეს აღფრთოვანება ოდნავაც არ ნელდება, თითქოს ჯერ კიდევ გუშინ მენახოს ისინი – სული წმიდის ცოცხალი ჭურჭლები! მათ უარყვეს ყველაფერი გარეგნული, ყველაფერი პირობითი, ფუჭი და უსარგებლო; ჩაულრმავედნენ საკუთარ თავს, დაამუშავეს თავიანთი შინაგანი კაცი, და ასე მიაგნეს უძვირფასეს საუნჯეს – ცათა სასუფეველს. დიახ, რას ეტყოდა თანამედროვე გონებაგაფანტულ, მშფოთვარე მსოფლიოს მათი ეს თვითუარყოფა, მათი უსიტყვო გმირობა, მათი განდმრთობა იესო ქრისტეში!

იმ მამებს შორის, რომლებსაც ამ შეკრებების დროს ვხვდებოდი წმინდა ანას ნაემისადგომში, გამოირჩეოდა მამა ათანასე – იოსებ ისინასტის ხორციელი ძმა. მისი კაბა, ძლივს რომ უფარავდა სხეულს, სხვადასხვანაირი საკერებლებით იყო აჭრელებული. ხელში ყოველთვის დიდი, გაცრეცილი სკვნილი ეჭირა და იესოს ლოცვას იმეორებდა. მის ტვირთს წარმოადგენდა სხვადასხვა ნივთებით სავსე დიდი მოცულობის ტომარა. ეს ტომარა მას ზურგით მიჰქონდა და ნელ-ნელა მიუყვებოდა თავისი მღვიმისკენ მიმავალ ბილიკს.

მამა იოსებმა, ამ თანამედროვე მეუღაბნოე ბერმა, გარდაცვალების შემდეგ თავისი ხსოვნა შემოუნახა წმინდა მთას. მისი საძმო შვიდი-რვა რჩეული, მკაცრი მონაზვნისგან შედგებოდა. ისინი ლოცულობდნენ გონებისმიერი ლოცვით და ჩვენი სკიტიის მოწინავე რიგებში იდგნენ. მხოლოდ დილის საათებში იღებდნენ მნახველებს, ან გადიოდნენ კალივიდან რაიმე საქმეზე, მთელ დანარჩენ დროს კი, თითქმის ოცდაათხ საათს, მღვიძარე ლოცვას უთმობდნენ – ჭეშმარიტი მონაზვნების ამ უმთავრეს საქმიანობას.

მათი კანონი იწყებოდა შუადღის დასვენების შემდეგ. თითოეული ლოცულობდა და კითხულობდა თავის სენაკში შუაღამემდე, ანუ ბიზანტიური დროით ექვს საათამდე; შემდეგ მიდიოდნენ ეკლესიაში და აღასრულებდნენ საღმრთო ლიტურგიას. დილით ისინი ისვენებდნენ და თავიანთ ხელსაქმეს აკეთებდნენ, თან განუწყვეტლივ და მღუძარედ ლოცულობდნენ. ამ განაწესის შესახებ მე მრავალი წლის შემდეგ შევიტყვე მამა იოსების მოწაფეებისგან, რომლებიც დღემდე ამავე წესს მისდევენ მცირე ცვლილებით.

მამა იოსებს მე საერთოდ არ ვიცნობდი, ვინაიდან ჩვენ, ახალგაზრდებს, კურთხევა არ გვქონდა, გვევლო სხვა საძმობის ბერებთან. მისი მორჩილის – მამა ათანასეს შესახებ ჩემი ბერი ხუმრობით ამბობდა: „ეს მონაზონი – წმინდანია“. მათი მღვიმის არსებობა ძალზე ცოტა მამამ თუ იცოდა. მამა იოსების მორჩილები სულიწმიდისმიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ცდილობდნენ XIV საუკუნის მისტიკოსი მამებისთვის მიებაძათ. ახლაც კი, როცა ამ სტრიქონებს ვწერ,

წმინდა მთას ჭეშმარიტად ამშვენებენ ბერ იოსებ ისიხასტის სულიერი შთამომავლები.

სკიტის ნავმისადგომი — ეს იყო თითქმის ერთადერთი ადგილი, სადაც საშუალება გვეძლეოდა, გვენახა ჩვენი თანამოღვაწენი. კატერის გასვლის შემდეგ მამები ბრუნდებოდნენ თავიანთ კალივებში. ისინი სკიტისკენ მიმავალ აღმართს მიუყვებოდნენ და თან მიჰქონდათ ჩანთები — ზოგს დიდი, ზოგს პატარა: თითოეულ მათგანს ყველა შემთხვევაში რაღაცა უნდა ეტარებინა ზურგით.

ნავმისადგომიდან ას ორმოცდაათ მეტრს რომ გავივლიდით, გვხვდებოდა სამლოცველო, მის გვერდით კი — ქვის სკამი. აქ ტვირთს ცოტა ხნით ჩამოვიხსნიდით ხოლმე, რომ დაგვესვენა და აღმართზე ასასვლელად ძალები მოგვეკრიბა. აქედან უკვე რთული აღმართი იწყებოდა; ნაკადულებად გვასხამდა ოფლი...

ამ ადგილზე მოხდა ერთი სასწაული, რომლის შესახებ იქვე, ჯვარცმის ქვემოთ შეგიძლიათ წაიკითხოთ. მოვიყვან ტექსტს:

„ერთ-ერთი ბერის მორჩილს, რომელსაც მხრებით მოჰქონდა ზღვიდან ტვირთი და დიდი გაჭირვებით ამოდიოდა აღმართზე, დაეწყო ბრძოლა: იგი ფიქრობდა, რომ მისი შრომა ამო იყო. ამ აზრებით გარემოცული, ცოტა ხნით დასასვენებლად ჩამოჯდა. და აი, მოულოდნელად მას მოესმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხმა: „რატომ სწუხარ და რატომ აპყობიხარ ეჭვებს? იცოდე, რომ იმ შრომას, რომელსაც ძმები მოთმინებით თავს იდებენ, ისე შეიწირავს ღმერთი, როგორც კეთილმითვალულ მსხვერპლს, და რომ ის ოფლი, რომელსაც

ისინი ამ აღმართზე ასვლისას ღვრიან, მოწამეობრივ სისხლად შეირაცხება; რომ ვინც აქ უღრტვინველად თავს იდებს მოღვაწეობისა და მორჩილების სიმძიმეს, უდიდეს სასყიდელს მიიღებს ცათა სასუფეველში“. ძმამ ეს სიტყვები მთელი გულით ირწმუნა და ძმებსა და მამებს მოუთხრო ყველაფერი. თავისი ცხოვრების დარჩენილი წლები მან მოღვაწეობასა და მორჩილებაში გაატარა და ასე გადასახლდა ზეციურ სავანეებში, რათა, ღვთისმშობლის დაპირებისაებრ, თავისი შრომის სასყიდელი მიეღო“.

გარდა ამისა, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამ გამოცხადების შესახებ შეიტყო კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კირილე V კარააკალოსმა, რომელიც იმ დროს წმინდა ანას სკიტიში მოღვაწეობდა. მანამდე მას პირუტყვის მეშვეობით გადაჰქონდა თავისი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ზეთისხილის ტყეში, მას შემდეგ კი, რაც ამ სასწაულის შესახებ შეიტყო, პატრიარქმა შეწყვიტა პირუტყვის გამოყენება და უკვე საკუთარი მხრებით ეზიდებოდა ყოველგვარ ტვირთს, რათა თვითონაც არ მოჰკლებოდა იმ გვირგვინს, რომელსაც სკიტის ძმები და მორჩილები იღებდნენ თავიანთი მოწამეობრივი ოფლის სანაცვლოდ.

მთელი გზა ჩვენ ხელში გვეჭირა სკვნილი და ვამბობდით იესოს ლოცვას, აგრეთვე ვკითხულობდით დაუჯდომელს. ჩვენს კალივას რომ მივალწევდით, თავდაპირველად ხატის წინ ვაკეთებდით მეტანიას, შემდეგ კი ბერის წინ, და ვატყობინებდით, როგორ შევასრულეთ მორჩილება.

ერთხელ, როცა „ახალი სკიტიდან“ ჩვენი სკიტისკენ მოვდიოდით, გზაში შუა ხნის მონაზონი შემომხვდა. ჭაღარა თმები

ჰქონდა, მიმზიდველი გამომეტყველება. როგორც კი დამინახა, ძალიან უბრალოდ მომესალმა და მითხრა:

— დაჯექი, გავიცნოთ ერთმანეთი, ქრისტეს ახლო მეომარო!

უარის თქმა ვერ შევძელი, თუმცა, როგორც ზემოთაც ვითხარით, ახალგაზრდებს კურთხევა არ გვქონდა, უცხო მონაზვნებთან გვესაუბრა. მე დამატყვევა მისმა კეთილშობილურმა გარეგნობამ.

— საიდანა ხარ, ძმაო, — მკითხა მან.

— ღვთისმშობლის შობის კალივიდან.

— ო! — შესძახა გაკვირვებულმა. — ამ რჩეული სამძოდან? ღმერთმა გაკურთხოს!

შემდეგ მან საუბარი დაიწყო მონაზვნური ცხოვრების ღირსებასა და მონაზვნურ ბრძოლებზე.

— შვილო, თუ გინდა, რომ სულ მცირედი წარმატება მაინც გქონდეს მონაზვნურ ცხოვრებაში, ერთ რამეს გეტყვი. იღვაწე იმისთვის, რომ მთელი სულით, მთელი არსებით შეიყვარო ზორციელი შრომა. ეს კლდეები, ეს აღმართები და დაღმართები, ეს დაუსრულებელი საფეხურები, ეს მახალაკები და აბგები, ეს ოფლი, ეს დამქანცველი გზა — ყველაფერი ეს შენი ეგოიზმის შხამსაწინააღმდეგო წამლებია; ესენი გაანადგურებენ მას და გაგათავისუფლებენ ამ საშინელი ურჩხულისგან, შენი სული რომ დაუპყრია. მე ბავშვობიდან მთაწმინდაზე ვარ და ბევრ ღირსეულ და ბრძენ მონაზონს შევესწარი აქ. მე წავიკითხე უამრავი წიგნი და ვნახე, რომ მამები ერთ რამეში სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს: კერძოდ იმაში, რომ ქრისტიანისთვის, და განსაკუთრებით კი მონაზვნის-

თვის, ყველაზე საშიში მტერი — ეს მისი ეგოიზმია. მაგრამ მჯერა, რომ შენი ბერის მეშვეობით სულ მალე დააღწევ თავს ამ საზარელ მხეცს და სიმდაბლით განშვენებული შეხვალ ღმრთის სასუფეველში.

ამ ადამიანის აზრები იყო პოხიერი, მწიფე, არომატული, შვიდგზის განწმენდილი სულიდან გამომავალი; გამომეტყველება ჰქონდა ბავშვური, წრფელი და უმწიკვლო. „ღმერთო ჩემო, — ვამბობდი გულში, — ვინ არის ეს ბერი?“

— შვილო, — განაგრძობდა იგი, — ნუ დაელოდები მოწიფულ ასაკს, რომ მერე დაიწყო სერიოზული მოღვაწეობა. ყოველდღე იღვაწე იმისათვის, ქრისტეს ცხოვრებას რომ მიუახლოვდე. ქრისტესთან ერთად იგრძენი თავი. ქრისტეს მიმართ შენი სიყვარულის თერმომეტრზე ყოველდღე უნდა იმატებდეს ტემპერატურა. ტემპერატურის მომატებას კი მაშინ დაინახავ, როცა ამქვეყნიური საგნები ყოველგვარ ფასს დაკარგავენ შენს თვალში და შენი გულგრილობა მათდამი უფრო და უფრო შესამჩნევი გახდება. კიდევ ის დაგეხმარება ამის დაინახვაში, თუ რა საზომით გიყვარს შენი ბერი, რომელიც ქრისტესთან გაერთიანებს. მორჩილისთვის ბერი — ეს არის ღმერთი ღმერთის შემდეგ. მე თვითონ აქამდე, თუმცა უკვე ხანდაზმულობის ასაკს მივალწიე, ჯერ კიდევ ბერის მორჩილი ვარ.

აი ეს არის ძირითადად, რაც ამ არაჩვეულებრივი მონაზვნის საუბრიდან დამამახსოვრდა.

— მამაო, შენდობას ვითხოვ, მაგრამ თქვენ საიდანა ხართ? რა გქვიათ?

— მე ვიგლადან ვარ და მამა ვარლამი მქვია.



– თქვენ მამა ვარლამი ხართ?! – შეეძახე და იმავე წამს მის წინ მუხლებზე დავემხე.

როცა წამოვიწიე, დავინახე, რომ ბერი თვითონაც მიწაზე იყო დამხობილი. ამან ძალიან დამაბნია, მაგრამ მან სრულიად ბუნებრივად ამიხსნა, რომ მსგავს შემთხვევაში მიჩვეულია ასე მოქცევას...

რა აღარ მსმენოდა ჩემი ბერისგან და მამა იოაკიმესგან მამა ვარლამის მაღალი სულიერების შესახებ! და ახლა მე მას ჩემ თვალწინ ვხედავდი, ნუთუ ეს ღმრთის წყალობა არ იყო? ჩვენ ხმაამოუღებლად დავშორდით ერთმანეთს, რადგან ამ კეთილკრძალულმა ატმოსფერომ ორივე აგვადელვა. მას შემდეგ მე ის უკვე აღარასოდეს მინახავს.

როდესაც კალივაში დავბრუნდი და ყველაფერი ვუამბე ბერს, მთელი ძმობა შემოიკრიბა ჩემ გარშემო, რათა ყველას გაეგო ამ სულიერი არწივის მაღლმოსილი საუბრის შესახებ.

კიდევ ერთი ასეთი კურთხეული შეხვედრა მქონდა მამა დიონისე კატუნაკელთან და მის საკვირველ მორჩილთან – მამა არსენისთან. მამა დიონისე სამწერლობო მოღვაწეობასაც ეწეოდა და ხანდახან ძმებსაც უკითხავდა თავის ჰიმნებს. მოთმინებით, მთელი გულმოდგინებით ეძებდა იგი ცათა სასუფეველს. მას არ უყვარდა კომპრომისები.

მამა არსენი „დამონებული“ მონაზონი იყო. მისმა ბერმა ეს იცოდა და ცდილობდა ყოველდღე დაეღა მისთვის მორჩილებისა და მოთმინების გვირგვინი. რამდენჯერ მოქცევიდა მკაცრად, უპატივცემულოდ, და თანაც სხვა მამების თანდასწრებით! ის კი ყველაფერს ითმენდა, მუხლს მოუდრეკდა და შენდობას სთხოვდა.

ერთხელ, წირვის დროს, „განიცადენში“, ყველა ჩვენგანი, ჩვეულებრივ, თავის ბერთან მიდიოდა შენდობის სათხოვნელად; როცა მამა არსენიც მივიდა მამა დიონისესთან, ამ უკანასკნელმა მკვეთრი მოძრაობით მოიშორა იგი და უთხრა:

– შენც კურთხევის აღებას ბედავ, შე ზარმაცო?! სავსე ხარ უწმინდურებით და ეგოიზმით!

ამ სცენამ IV-V საუკუნეებში გადაგვიყვანა – იმდროინდელი მონაზვნობა მოგვაგონა. მამა არსენიმ შენდობა ითხოვა და სადღაც, კუთხეში განმარტოვდა. ამ დროს, ვხედავ, სამი-ოთხი ბერი მიდის მამა დიონისესთან და სთხოვენ მას, ზიარების ნება დართოს თავის მორჩილს. შემდეგ მესმის, თუ როგორ მიმართავს მამა დიონისე მამა არსენის:

– წადი და მადლობა თქვი, რომ ბერებმა მთხოვეს, ზიარების ნება მომეცა შენთვის. გავწევ მათ მორჩილებას და მწამს, რომ ღმერთი შეგინდობს და შეგიწყნარებს.

მაშინ მამა არსენი თვალცრემლიანი, „შემუსვრილი და დამდაბლებული“ უახლოვდება ბარძიმს და იღებს წმინდა ზიარებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მამა დიონისე თავისი მორჩილის ყოველი ასეთი მკაცრი დატუქსვის შემდეგ სავსე იყო სიხარულითა და განცვიფრებით, და როცა მამა არსენი მას გაშორდებოდა, იგი ხშირად კიდეც ტიროდა.

ჩვენთვის, მორჩილებისთვის, მამა არსენის საქციელი საუკეთესო გაკვეთილი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მე კვლავ შევხვდი ამ გმირული სულის მქონე ადამიანს და კკითხე:

– მამაო, როგორ განეწყვეთ თქვენი ბერის საქციელისადმი ამასწინდელ ღამისთვის ლოცვაზე?

– ძმაო, – მიპასუხა მან, – ამ ღამისთვის ლოცვაზე, ზიარების დროს, მე ვიგროძენი ღმრთის სიახლოვე, რაც მხოლოდ რამდენჯერმე მიგროძენია ცხოვრებაში. და მე მაღლობელი ვარ ჩემი ბერის, ამის საშუალებას რომ მაძლევს. დაე, ცხოვრების ბოლომდე შემეწეოდეს მისი ლოცვა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მამა არსენი უკვე ღრმად მოხუცებულია და სულ მარტო ცხოვრობს, დახუნძლული თავისი კურთხეული მორჩილებისა და მოთმინების ნაყოფით.

„იშუებდინ უდაბნოდ და ყუაოდენ ვითარცა  
შროშანი“

ჩემს ბერს, სხვა ჩვეულებებთან ერთად, ერთი კარგი ჩვეულებაც ჰქონდა: დროის გარკვეულ შუალედებში იგი აგზავნიდა მეუღაბნოე მამებთან ჩვენი სამძოს ერთ რომელიმე წევრს, დატვირთულს „კურთხევებით“. ერთ დღეს, როგორც მახსოვს, შობის წინაღღესასწაულზე, ბერმა დამიძახა და მითხრა, რომ ჩემთვისაც უნდოდა დაევალებინა ეს კურთხეული მორჩილება. სინარულისგან გული ამიჩქარდა. ჩანთა მოვიკიდე, ავიღე კვერთხი და კარულისკენ მიმავალ გზას დავადექი.

ახლა მეორედ მივდივარ კარულში. მთაწმინდის სხვა ადგილებისგან განსხვავებით, აქ თქვენ ვერ შეხვდებით ვერც მოჩუხჩუხე წყლებს, ვერც ნაყოფით დახუნძლულ ხეებს, ვერც ამწვანებულ ტყეებს, ვერც ველურ მცენარეებს. აქ არის მხოლოდ ციცაბო ხეობები და შვეული კლდეები; ეს კლდეები ქმნიან უფსკრულებს და ეშვებიან ზღვაში. შეიძლება აქა-იქ შეგხვდეთ მურტის ხე, მუხა ან რაიმე ბუჩქნარი, რომლებზეც უდაბნოს ჩიტები იდგამენ ბუდეს და აქაურობას თავიანთი ჟღურტულით ატკბობენ.

გზაში მრავალი მამა მხვდებოდა. მღუმარედ მოდიოდნენ, თვალეი ძირს ჰქონდათ დახრილი. ჩვენ ერთმანეთს ვესალმებოდით: „მაკურთხეთ – ღმერთმა“, და ისინი აგრძელებდნენ თავიანთ გზას, მთლიანად დანთქმულნი საკუთარ თავში, გონებისმიერ ღოცვასა და მღვიძარებაში. არც მოგზაურობისას, არც ხელსაქმის დროს, არც დღე, არც ღამე – ისინი არ

ივიწყებდნენ თავიანთ უმთავრეს საქმეს. „ყველაზე მეტად გიყვარდეთ მღუმარება“, – სმენოდათ მათ ასკეტური ცხოვრების მასწავლებლის – ისააკ ასურის სიტყვა. მღუმარება – მღვიძარება – ლოცვა.

რაიონი, რომელსაც უდაბნო ეწოდება, მცირე წმინდა ანას სკიტიდან იწყება. იქითკენ მიმავალს, პირველად მამა გერასიმე ჰიმნოგრაფის კალივა შემხვდა. ბერმა ძალიან გულთბილად მიმიღო და წმინდა იოანე ნათლისმცემლის პატარა ტაძარში შემიყვანა. აქ ყველაფერი იყო სადა, უბრალო და მეტიხმეტად ღარიბული. შემდეგ მამა გერასიმე ლუქუმითა და წვიმის წყლით გამიმასპინძლდა. ამ უდაბურ რაიონში წყალს ვერსად შეხვდებით, ამიტომაც მამები დასალევადაც კი წვიმის წყალს იყენებენ.

ბოლოს ბერი შემიძღვა თავის სახელოსნოში, რომელიც ამავე დროს მისი სენაკიც იყო. ჩემი ყურადღება მაშინვე მიიპყრო მაგარმა ხის საწოლმა და მასზე დაგებულმა გაცრეცილმა ქვეშაგებელმა: ჩვეულებრივი სარეცელი მონაზვნების „განსასვენებლად“. პატარა სარკმლიდან სუსტი სინათლე ეცემოდა მაგიდას, რომელზეც ეწყო წიგნები, ქალაღები და წერისთვის განკუთვნილი სხვა საგნები. ეს საგნები ბერს იმ დროს სჭირდებოდა, როცა პოეტური აღმაფრენა ეწვეოდა ხოლმე. თავისი შემოქმედებით იგი ამდიდრებდა ჩვენი ეკლესიის ჰიმნოლოგიას.

– აქ ვმუშაობ, – მითხრა მან, – და აქვე ვისვენებ.

– ძალიან მინდოდა, მამაო, მცოდნოდა ზოგიერთი წვრილმანი თქვენს ხელსაქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა დრო არა მაქვს. იქნებ შემდეგ მოსვლაზე გამოვნახო დრო.

მაღლობა გადავუხადე ბერს, კურთხევა ავიღე მისგან და კარულისკენ მიმავალი გზა გავაგრძელე. ჩემს მარჯვნივ დარჩა აღდგომის კალივა, რომელშიც ადრე დიდი მოძღვარი — მამა საბა ცხოვრობდა. ამ არაჩვეულებრივი ადამიანის შესახებ მე ვსაუბრობ „თანამედროვე მთაწმინდური სახეების“ მეექვსე ტომში. მარცხნივ ნეტარხსენებული მოძღვრების — გრიგორისა და კოზმას კალივები მოჩანდა. მე ვიმყოფებოდი რაიონში, სადაც ჩემამდე ცხოვრობდნენ წმინდანები. ჩემს სულს შიში დაეუფლა, რაღაც უცნაური ნოსტალგია ვიგრძენი: როგორ მინდოდა მეცხოვრა ასეთი გმირების, ასეთი სულიერი გიგანტების სიახლოვეს!

მამა გერასიმეს კალივის ოდნავ ქვემოთ ცხოვრობდა ღრმად მოხუცებული მონაზონი — მამა აბიმელეჩი. კეთილშობილმა და ტკბილად მოსაუბრემ, მან შემიყვანა თავის კალივაში. მე ბევრი მსმენოდა ამ ადამიანის შესახებ, და ახლა დადგა დრო, როდესაც პირადად უნდა გამეცნო იგი და დავრწმუნებულიყავი ყველაფერ იმაში, რასაც მასზე მიყვებოდნენ.

ჩვენ დავსხედით და მან, ისე, რომ ჩემთვის არც კი შემოუნედავს, საუბარი დაიწყო მონაზვნურ ცხოვრებაზე, — თითქოს რაღაც შინაგანი მოთხოვნილება უბიძგებდა, ესაუბრა ამის შესახებ. შემდეგ შეეხო გულისა და გონების განწმენდას, და აქ ცხადად გამოჩნდა მისი მაღალი სულიერება, მისი აზრების სიმწიფე. ეს იყო ჭეშმარიტი მეუღაბნოე მამა, რომელიც შინაგანი განწმენდის განუწყვეტელ ღვაწლს ეწეოდა. და მაშინ ვიფიქრე, რომ ნეტარია მამა მელქისედეკი — ჩემი მეგობარი ჯერ კიდევ პირეადან: ის ხომ ასეთი ადამიანის გვერდით ცხოვრობს! მამა აბიმელეჩი იცნობდა და თანამშრომ-

ლობდა თავისი ეპოქის ისეთ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ წმინდა ნექტარიოსი, პაპადიამანტიისი, მორაიტიდისი და სხვები.<sup>1</sup>

როდესაც ჩვენ, ახალდამწყები მონაზვნები, მამა აბიმელექს ვხედავდით, ჩვენს გულში შემოდის მგზნებარე სურვილი, ოდესმე მაინც მოგვეპოვებინა ის სრულყოფილება და გონებისმიერი ლოცვა, რომელიც მას გააჩნდა. მაგრამ ამის მოსაპოვებლად გრძელ, სისხლიან, ეკლებით სავსე გზას უნდა დაადგე...

ერთ-ერთი შეხვედრის დროს მე ვკითხე მამა აბიმელექს:

— მამაო, როგორ არის თქვენი საქმეები?

მამობრივი სიყვარულით აღვსებულმა, მან მხოლოდ ორი სიტყვით მიპასუხა, მაგრამ ეს ორი სიტყვა მღვიძარების ფილოსოფიის მთელ ბიბლიოთეკას შეიცავდა:

— ჩვენ, შვილო, „გონების დაცვის“ სადარაჯოზე ვღვავართ. შენც მიაქციე ყურადღება, რომ წმინდად დაცვა შენი გონება.

მამა აბიმელექსის კალივის ცოტათი ქვემოთ მამა თომა იუველირი ცხოვრობდა თავის სამძოსთან ერთად.

---

<sup>1</sup> 1) წმინდა ნექტარიოს ეგნელი — პენტაპოლისის მიტროპოლიტი, ბოლო დროის წმინდანი (†1920). კანონიზირებულია საბერძნეთის ეკლესიის მიერ.

2) ალექსანდრე პაპადიამანტიისი — ცნობილი ბერძენი მწერალი.

3) ალექსანდრე მორაიტიდისი — ალექსანდრე პაპადიამანტიისის ბიძაშვილი, თვითონაც მწერალი. ცხოვრების ბოლოს აღიკვეცა მონაზვნად.

საკმაო მანძილი რომ გავიარე, მარცხენა მხარეს გამოჩნდა ნეტარხსენებული ბერის – დანიელ სმირნელის კალივა. მისი ცხოვრება აღწერილია „თანამედროვე მთაწმინდური სახეების“ მეოთხე ტომში. იმ დროს, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, კალივის წინამძღვარი იყო ბერის ღირსეული შვილი – მამა დანიელი. ღმერთს იგი სხვადასხვა ნიჭებით დაეჯილდოებინა. მისი აზრების წყობა მკაცრად ტრადიციული იყო.

კატუნაკის განაპირას, მამა დანიელის კალივის მახლობლად, მოღვაწეობდა მონაზონი ანთიმოზი და მისი ორი მორჩილი – იოანე და ნიფონი. თავისი მონაზვნური ცხოვრების პირველი წლები მამა ანთიმოზმა დიონისიატის მკაცრ საძმოში გაატარა. მე მას დავახასიათებდი, როგორც ჭეშმარიტ ისიხასტს. მისი მორჩილებიც მისსავე კვალს მისდევდნენ. შრომა, მღუპარება და ლოცვა – ეს იყო მათი საქმიანობა.

ყოვლადმოწყალე ღმერთმა ღირსი გამხადა, ახლოს გავცნობოდი მამა ანთიმოზს. ეს ძირითადად იმის ხარჯზე მოხდა, რომ ჩვენს კალივას მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა მასთან. მთელი თავისი სიმკაცრისა და სერიოზულობის მიუხედავად, იგი საუბრობდა და ურთიერთობდა თვით ახალდამწყებ მორჩილებთანაც კი. მისი საუბარი სიყვარულით იყო გაჟღენთილი.

მათს კალივაში, კარულის მხარეს, გადიოდა ერთი პატარა აივანი. იქ, ასკეტურ სკამებზე ჩამომსხდარნი, ჩვენ ვუღრმავდებოდით იმ ღვთაებრივ ფილოსოფიას, რომელსაც თავის თავში შეიცავს მონაზვნური ცხოვრება. მე მატკობდა ეს საოცარი წუთები, ამ კურთხეულ ადამიანთან საუბრით ვერ ძღებოდა ჩემი სული... და როცა კი მეუდაბნოე მამებისთვის



სანოვაგე მიმქონდა, ყოველთვის ვისარგებლებდი ხოლმე შემთხვევით და მამა ანთიმოზსაც ვესტუმრებოდი. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს მე მის კარზე დავაკაკუნე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე; კარი ბოქლომით არ იყო ჩაკეტილი, ამიტომაც ვიფიქრე, რომ რაკი აქამდე მოვედი, უკან გაბრუნება აღარ ღირდა. ფრთხილად მივაწევი კარს და გასაოცარი სურათი ვიხილე: მამა ანთიმოზი ლოცვაში იყო დანთქმული; ხელში სამასიანი სკვნილი ეჭირა და „ზარმაც ხეს“<sup>1</sup> ეყრდნობოდა. მე ის ამალღებული და გაბრწყინვებული მომეჩვენა. ჩემი შესვლა არ შეუმჩნევია, გვერდით ჩავუარე და იმ აივანზე გავედი, სადაც, ჩვეულებრივ, ვსაუბრობდით ხოლმე. ვიჯექი და ველოდებოდი, როდის დაამთავრებდა ამ იღუმალ, ამ წმინდა ღალადის ღმრთისადმი...

როცა მოულოდნელად თავის კალივაში დამინახა, ის განცვიფრდა. შემდეგ დაჯდა და საუბარი დაიწყო ლოცვის მნიშვნელობაზე. მისი საუბრის მთავარი აზრი ის იყო, რომ იესოს ლოცვა განაღმრთობს ადამიანს, ხოლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი ვედრება — ეს არის მომზადება განღმრთობისათვის. როგორც უძვირფასესი შენაძენი, ისე დავიმარხე გულში მისი წმინდა ბაგეებიდან გამოსული ეს სიტყვები, და ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ღირსი გავხდი მიმეწოდებინა ისინი ჩვენი ეპოქის ახალღამწეები მონაზვნებისთვის, რომლებსაც, ვფიქრობ, გაცილებით ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ჩვენ, უფროსებს გვქონდა, ამიტომაც ჩვენ პასუხსაც უფრო მკაცრად მოგვთხოვენ.

---

<sup>1</sup> „ზარმაცი ხე“ — T ასოს ფორმის ჯოხი, რომელზეც ღვთისმსახურების დროს მონაზვნები ხანდახან მკერდით ეყრდნობიან.

მამა ანთიმოზთან ურთიერთობისას იმ ჭეშმარიტებასაც შეიცნობდით, რომ როდესაც სული წმიდა ადამიანის სულში დამკვიდრდება, ხდის მას საოცრად კეთილშობილს, დახვეწილს, ამალღებულს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ერთხელ, როცა მამა ანთიმოზს სხვა ძმებთან ერთად ვესტუმრე, კოკისპირული წვიმა დაიწყო, ხოლო წამოსვლა რომ დავაპირეთ, წვიმამაც გადაიღო. ბერმა სურვილი გამოთქვა, გავეცილებინეთ. ის წინ მიგვიძლოდა, თითქოსდა იმისთვის, რომ ბილიკი ეჩვენებინა ჩვენთვის, მაგრამ მალე მივხვდით, რომ მას სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა. თავის ასკეტურ კვერთხს იგი ხან მარჯვნივ ურტყამდა ბუჩქის ტოტებს, ხან მარცხნივ, და ტოტებზე შემორჩენილ წვიმის წვეთებს ძირს ყრიდა. ამ გზით ჩვენ ბერმა გადაგვარჩინა დასველებას. აი კეთილშობილური ჟესტი განწმენდილი გულისა!

ერთხელ, როდესაც მამა ანთიმოზს ვეწვიე, მასთან დამხვდნენ ბერი დიონისე კატუნაკელი, ბერი ანტონი მუსტაკასი და ჰიმნოგრაფი ბერი — გერასიმე მიკრაიანტიისი. ეს დღე ჩემთვის ბედნიერი აღმოჩნდა. მე დავინახე, თუ როგორი უნდა იყოს უდაბნოს მამების შეხვედრა; ვიხილე და მოვისმინე, რაზე მსჯელობენ ისინი, როგორ იქცევიან ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, როგორი პატივისცემით ეკიდება თითოეული მათგანი მეორის აზრებსა და შეხედულებებს. მათი საუბარი თავისი შინაარსითაც განსაკუთრებული იყო. ჭეშმარიტად იგრძნობოდა, რომ ღმერთი იმყოფებოდა ამ სულიერ მამებთან. წასვლის წინ მამა დიონისემ თქვა:

— დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ განვიცადეთ ჩვენი მამების სიყვარული.

მოვიყვან აგრეთვე ერთ მეტად საყურადღებო მაგალითს, რომლის დავიწყების უფლებას დღემდე ვერ ვაძლევ საკუთარ თავს. ერთხელ, როცა მამა ანთიმოზს ვესტუმრე და ცოტა ხანს გავესაუბრე, მან თავისი მორჩილის – მამა იოანეს თანდასწრებით უცბად მხიარულად მითხრა:

– მამა იოანე ძლიერი მონაზონია, მაგრამ თუ მისი ბერი შეცდომას დაუშვებს და შემთხვევით კუღზე ფეხს დააბიჯებს, ის კატასავით აყვირდება ხოლმე და აღარ ვიცი ასეთ დროს როგორ მოვიქცე. თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ როცა კნავილით გულს კარგად მოიჯერებს, ამის შემდეგ მაინც დაწყნარდება და ყოველგვარი პროტესტის გარეშე მოითმენს კუღზე ფეხის დაბიჯებას, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ იგი ნამდვილი მონაზონი გახდა.

მამა იოანე თავდახრილი უსმენდა ბერს და ამბობდა:

– მაკურთხეთ, მამაო, თქვენი ლოცვით ვეცდები გამოვსწორდე.

ამ სცენამ იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ ცრემლები ვეღარ შევიკავე, ავიღე ჩემი მახალაკი და ტირილით დავტოვე იქაურობა...

კატუნაკის მთავარი ნაწილი მდებარეობდა მამა ანთიმოზის კალივის გადაღმა, ფართო ხევში, რომლის ფერდობებზეც დაშენებული იყო ისიხასტების კალივები – ამ ჭეშმარიტი სულიერი მოღვაწეების! თითოეულ კალივაში წმინდანი ცხოვრობდა, და მათი აღმოჩენა არ იყო ძნელი. როდესაც ამ ადგილებში გაივლი, გეჩვენება, თითქოს მამა კალენიკე კვლავ ცოცხალია და ბრძოლებში განაძლიერებს მოღვაწე მონაზვნებს.

ამ დიდებული ასკეტის სულიერ არენას წარმოადგენდა ერთი ისინასტური კალივა, რომელშიც ამჟამად მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ეწევა მისი მორჩილი – მამა ქრისტოდულე. მამა კალენიკეს ცხოვრების აღწერას შეხვდებით „თანამედროვე მთაწმინდური სახეების“ მესამე ტომში.

ერთ-ერთ მომცრო კალივაში, რომელიც მღვიმეს უერთდებოდა, ჩემ დროს ცხოვრობდა დიდი მოღვაწე ბერი – მამა რაფაელი. საჭირო არ არის მის შესახებ ბევრი საუბარი. საკმარისი იყო, მხოლოდ შეგეხედა მისთვის, დაკვირვებოდი მის ქცევას, მიმოხრას, მოგესმინა მისი პასუხები, რომლებსაც ის ყოველთვის თავდახრილი იძლეოდა, და უკვე ღრმა მოწიწების გრძნობით განიმსჭვალეოდი მის მიმართ. მასზე ღრმად იყო ამოტვიფრული ასკეტიზმის ბეჭედი. ის თავისი წინამორბედების, ისინასტების – კალენიკესა და გერასიმეს კვალს მისდევდა. ღმერთთან საუბარმა სულით ხორცამდე განაპოხინერა იგი და უხორცო არსებად აქცია. მას ჩვეულება ჰქონდა, ასე მიემართა საკუთარი თავისთვის: „სულს ჩემო, რასაც აქნედავ, ყველაფერი წარმავალია, ხოლო რაც იქ არის – ყველაფერი მარადიული“. ის ახლა ზეცაში იმყოფება. დაე, ჩვენც შეგვეწიოს მისი ლოცვითი მეოხება.

მამა ნიკიფორეს კალივაში, „ღირს არსის“ კალივის ოდნავ ზემოთ რომ მდებარეობდა, ჭეშმარიტად მოღვაწე მონაზვნები ცხოვრობდნენ.

ჩემს მეხსიერებას შემორჩა აგრეთვე მამა სტაქოს კატუნაკელი. პირველად მე იგი ჩვენს კალივაში ვნახე, ეს კი შემდეგნაირად მოხდა. ერთხელ, დილით, ზარმა დარეკა და ჩემმა თანამოძმე მამა გრიგორიმ ჭიშკარი გააღო. იქაურობა მოვათ-

ვალიერე, მინდოდა გამეგო, ვინ გვესტუმრა, მაგრამ ვერავის მოგკარი თვალი. მე ბალის პირველ ტერასაზე ვიდექი. გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი ჭიშკრისკენ და დავინახე უცნობი მონაზონი, რომელიც ქანდაკებასავით გაუნძრევლად იდგა — გულხელდაკრეფილი, თავდახრილი. მამა გრიგორიმ მისი მახალაკი სანოვაგით გაავსო. მონაზონს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ, მადლიერების გამოსახატავად, თითქმის მიწამდე დახარა თავი და წავიდა. ეს იყო იშვიათი, უნიკალური, ამაღელვებელი სცენა, რომელმაც გულის სიღრმემდე შემძრა. მაშინვე გავიქეცი ბერთან, რომ რაც შეიძლებოდა მეტი რამ გამეგო მისგან ამ უჩვეულო ადამიანის შესახებ.

— ეს მამა სტაქოსია, შვილო, კატუნაკში ცხოვრობს თავის ბერთან ერთად, რომელიც ლოგინსაა მიჯაჭვული და თითქმის პარალიზებულია. მთელ დღესა და ღამეს ბერის მოვლას ანდომებს, ერთი წუთიც კი არ რჩება ხელსაქმისთვის, რომ საარსებო პური მოიპოვოს. ამგვარად, ბერისადმი სიყვარულის გამო ის მთხოვნელად გადაიქცა, — ჩვენი სკიტიის მოწყალე მამებს სთხოვს დახმარებას. ძალიან ყურადღებიანია, კეთილკრძალული და, რაც მთავარია, თავმდაბალი. მოწყალეობას თავისებურად ითხოვს: კარზე აკაკუნებს, მაგრამ როცა გაუღებენ, ხმას არ იღებს, მდუმარედ ელოდება დახმარებას და მიიღებს თუ არა, მაშინვე გაეცლება ხოლმე იქაურობას — ისევ უხმოდ, რომ არავინ შეაწუხოს. ძალიან ფაქიზი სულის პატრონია, არ უნდა, რომ თუნდაც ერთი სიტყვით დაღალოს ვინმე. სიმდაბლე, შვილო, საოცრად აკეთილშობილებს ადამიანს. მამა სტაქოსი კარგი მორჩილიცაა: თავისი ბერის სიყვარულით იგი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიდის სათხოვნელად, ეს კი სამაგალითო საქციელია მონაზვნისთვის. ის ამით

იმ მამების ცხოვრებას იმეორებს, რომელთა შესახებ ჩვენ პატერიკებში ვკითხულობთ. ასეთივე სახით ითხოვს დახმარებას ჩვენი სკიტის სხვა სამძობისგანაც, და მისი საქციელი ამაღელვებელია მამებისთვის.

\* \* \*

ყველა გზა და ყველა ბილიკი, რომლებსაც „საშინელი“ კარულისკენ მიჰყავხართ, მე ჯერ კიდევ ჩვენი მოძღვრის — მამა ქრისტეფორეს პირველი მონახულებიდან მახსოვდა. ამ გზებზე, ამ ბილიკებზე მე ჩავდიოდი შიშით და ძრწოლით, რომ შემთხვევით არ წავტყეულიყავი და პირქუშ კლდეებს არ დავსკდომოდი — კლდეებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ასკეტების ოფლით იჟღინთებოდნენ. კარგა ხნის სიარულის შემდეგ მე მივაღეჭი უზარმაზარ კლდეს. მისი ერთი მხარე ციცაბოდ ეშვებოდა ზღვაში, მეორე მხარეს კი კიბეები და ჯაჭვები იყო ჩამოკიდებული, და ისინი დასავლეთ კარულისკენ მიემართებოდნენ. აქ სასიარულოდ ალპინისტური ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო. ფრთხილად ჩავდიოდი საფეხურებზე, განცვიფრებული იმ სულიერი „არწივების“ თვითუარყოფითა და სოფლისთვის გაუცხოების გრძნობით, რომლებმაც ამ კლდეებზე სამუდამოდ დაიდგეს ბუდე.

თავდაპირველად მამა ბართლომეს ისინხასტირიონს<sup>1</sup> მივაღეჭი. ეს ისინხასტირიონი ლოკოკინასავით ეკვროდა ერთ ციცაბო ფლატეს. ბერი ძალიან გულთბილად შემხვდა და თავის პატარა კალივაში შემიძღვა.

---

<sup>1</sup> ისინხასტირიონი — განსაკუთრებული ტიპის მონასტერი, რომელიც ექვემდებარება დედა მონასტერს.

– დაჯექი, – მითხრა მან, – აბზინდის ნაყენს დაგაღვეინებ.

მაგრამ დასაჯდომად დრო აღარ მრჩებოდა.

– ამას ჩემი ბერი გიგზავნით, როგორც საშობაო ლოცვა-კურთხევას, – ვუთხარი და ცოტაოდენი სანოვაგე გადავეცი, რათა შობის დღესასწაულზე მცირეოდენი ნუგეში ჰქონოდა და ერთი დღით მაინც შეეცვალა თავისი ასკეტური საკვები – ორცხობილა.

შემდეგ მივედი რუსი ასკეტის – მამა ნიკონის ისიხასტირიონში. ეს იყო საუცხოო პიროვნება. მან პირველმა გამიკეთა მეტანია და რაღაცა მითხრა რუსულად. მე ვუსმენდი ამ ადამიანს, ვუყურებდი მას და განცვიფრებული ვფიქრობდი: „აი ზეცის მოქალაქე, რომელიც ჯერ კიდევ მიწაზე იმყოფება“. რამდენჯერ გვინატრია ცხოვრებაში, შევხვედროდით ასეთ ადამიანებს! მე მჯერა, რომ ყველაზე გაქვავებულ, ერული აზრებით ყველაზე მეტად დამძიმებულ გულსაც კი ლმობიერებასა და შემუსვრილებაში მოიყვანს ეს სიდიადე: ამ მყუდრო ადგილ-სამყოფელისა და მშვიდი, უშფოთველი ადამიანების ხილვა.

მოხუცი ასკეტი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომელ სამმოსაც ვეკუთვნოდი, რადგან როცა ის ლაპარაკობდა და ცდილობდა ჩემთვის რაღაცა გაეგებინებინა, მე მომესმა ჩემი თანამოძმის – მამა იოაკიმეს სახელი. მალე ჩანთა გავხსენი და ბერის გამოგზავნილი „ლოცვა-კურთხევა“ ამოვალაგე. მამა ნიკონმა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა გამომართვა ეს „ლოცვა-კურთხევა“. მე მას ვთხოვე მოეტანა რაიმე ჭურჭელი კომშის მურაბისთვის. თავიდან იგი უარზე იყო, მაგრამ შემდეგ ჩემს

თხოვნას დაჰყვა და თიხის ჯამი გამოიტანა. ერთი შეხედვით შეამჩნევდით, რომ ის ამ ჯამს არასოდეს რეცხავდა: ზედ აშკარად ჩანდა საჭმლის ნარჩენები! ერთხანს შევეყოყმანდი, — ვფიქრობდი, შეიძლებოდა თუ არა ასეთ ჯამზე მურაბის დასხმა. ბერი მიხვდა ჩემს დაბნეულობას, გაიღიმა და დამტკრეული ბერძნულით მითხრა:

— მე მეუღაბნოე ვარ, მეუღაბნოე.

სხვა გზა აღარ იყო და მურაბა დავასხნი ჯამზე, რომელიც ზიზღისმომგვრელი იყო ჩვენთვის, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის. სულით ზორცამდე ვიყავი შეძრული მოხუცი ასკეტის ცხოვრების სიმკაცრით, მის მიერ ზორცისა და გრძნობების ასეთი დათრგუნვით. ვინ იცის, როგორ მოიხმარს იგი ამ მურაბას, იქნებ ძველი ასკეტების საქციელს მიბაძოს: ისინი წყალს ასხამდნენ საჭმელში, რომ გემო დაეკარგათ მისთვის და ჭამის დროს ტკბობა არ განეცადათ.

მე დავიხარე, მინდოდა ვმთხვეოდი მის კაბას, მაგრამ მან დამასწრო და ერთ წამში ჩემ წინ დაემხო, თავი მიწაზე დაღო და წაიჩურჩულა:

— მაღლობელი ვარ, მაღლობელი...

მე არასოდეს დამავიწყდება ეს მეუღაბნოე ბერი: რუსეთის არმიის უმაღლესი ოფიცრის ჩინით დაჯილდოებული, რამდენიმე ენის მცოდნე, მრავალმხრივ განათლებული მამა ნიკონი.

ღმერთო ჩემო! სადღა არიან ახლა ისეთი ადამიანები, თავიანთი წმინდა ცხოვრებით, გულისმიერი ლოცვითა და განმწმენდელი მარხვით შენს ნებას რომ აღასრულებდნენ, განდევნიდნენ ეშმაკებს, შენს სუფევას დაამკვიდრებდნენ დედა-



მიწაზე? შეგვინდე, უფალო, ჩვენი ეპოქის ეს სულიერი სიღატაკე!

ფიქრებში ჩაძირული, შეუმჩნეველად მივადექი ჩვენი მოძღვრის — მამა ქრისტეფორეს კალივას. მოძღვარმა სატრაპეზოში შემიყვანა და მოხარშული ბრინჯით გამიმასპინძლდა. ცოტა დავისვენე და გზა გავაგრძელე, რათა ის მამებიც მომენახულებინა, რომლებიც აღმოსავლეთ კარულში მოღვაწეობდნენ.

დასავლეთ კარულიდან აღმოსავლეთ კარულში გადასასვლელი გზა უაღრესად საშიშია. შუაში ჩადის ღრმა, უდაბური ხეობა, რომელიც მკვეთრად ეშვება ზღვაში. ჯერ კიდევ ძველ დროს ასკეტებმა ამ კლდეზე გზა გამოკვეთეს, მაგრამ მასზე მხოლოდ ერთი ადამიანი თუ გაივლის, ისიც დიდი გაჭირვებით. ხის კიბის, თოკებისა და ჯაჭვების მეშვეობით მე მივადექი კლდეში გამოკვეთილ უცნაურ ადგილს. ეს ადგილი შესახედავად შემზარავი იყო, მაგრამ მაინც უნდა გამევილო. ფრთხილად მივიწვედი წინ, თან ჯაჭვს ვეკიდებოდი. მოულოდნელად ერთ გამოქვაბულთან აღმოვჩნდი. ეს იყო გრძელი, განიერი გამოქვაბული. იქ, შიგნით, თავი სრულიად უსაფრთხოდ ვიგრძენი. გამოქვაბულის სხვადასხვა კუთხეში, მკრთალ სინათლეზე, მე შევამჩნიე ადამიანების ჩონჩხები. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ეს ჩონჩხები ეკუთვნოდა მეუღაბნოე მამებს, რომლებმაც მიწაზე განრთხმულ მდგომარეობაში მიიძინეს: ან გონებისმიერი ლოცვის დროს, ან კიდევ სიკვდილის ჟამის მოლოდინში, რის შესახებაც მათ ღმრთისაგან წინასწარ ეუწყათ.

ჩემს სულს შიში დაეუფლა. მე ალბათ მეუღაბნოე მამების წმინდა ნაწილების წინაშე ვიდექი. ეს გამოქვაბული უსიტყვოდ მიანიშნებდა მათ მკაცრ სულიერ ღვაწლზე. მათი ცხოვრება ძალიან ჰგავდა იმ მამების ცხოვრებას, რომელთა შესახებაც ჩვენ ასკეტურ ტექსტებში ვკითხულობთ; რომლებიც მიმოიქცეოდნენ „უღაბნოთა ზედა შეცთომილნი, მთათა და ქუაბთა შინა და ხურელთა ქუეყანისათა... ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძვირ-ხილულნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე“ (ებრ. 11,37-38).

კრძალვით შემოვიარე მთელი გამოქვაბული. შესასვლელიდან დაახლოებით ოც მეტრში გამოჩნდა კლდეზე გამოკვეთილი შვერილი. ყურადღებით რომ დავაკვირდი ამ შვერილს, ჩემდა გასაოცრად შევნიშნე, რომ მასზე მოხატულობა იყო შემორჩენილი. ღიახ, ეჭვიც აღარ რჩებოდა, რომ ეს შვერილი გამოქვაბულში მცხოვრებ ასკეტებს წმინდა ტრაპეზის მაგივრობას უწევდა. აქ ტარდებოდა საღმრთო ლიტურგია. აღევებულმა დავიჩოქე შვერილის წინ და ცრემლებით ვვამბორე მას.

– ღმერთო, ეს სად მოვხვდი, ეს რისი ღირსი გამხადე!..

როგორი მგზნებარე, ღვთაებრივი სიყვარული სუფევდა ამ უღაბნოში, რომლის მიწაზეც მე დავაბიჯებდი, ამ გამოქვაბულში, ამ „ხმელ ძვლებში“! ვის შეუძლია იცოდეს, ან ვის შესწევს ძალა, ეს გამოხატოს?! კიდევ ერთხელ დავხედე ასკეტთა ძვლებს და თვალწინ დამიდგა იმ მეუღაბნოეთა გმირული სულები, რომლებსაც ეს ძვლები ეკუთვნოდნენ. წარმოვიდგინე, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, როგორ შეუპოვრად იბრძოდნენ „მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფ-

ლისმპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთოჲსათა“ (ეფეს. 6,12), რა აუტანელ ნოსტალგიას გრძნობდნენ, რა მკაცრი იყო მათი მარხვა, თავშეკავება; ყოველმხრივ ნაკლულევანნი, ყოველგვარ ხორციელ ნუგეშინისცემას მოკლებულნი, ისინი ცხოვრობდნენ ამ ბნელ გამოქვაბულში, მაგრამ მათ ჰქონდათ ერთი დიდი ნუგეში — სულიწმიდისმიერი ბრწყინვალე მოხილვა. და ახლა ეს შიშველი ძვლები მოთმინებით ელოდებიან თავიანთ ხელმეორე დაბადებას, თავიანთ აღდგომას, — როდესაც გაისმება ანგელოზის საყვირის ხმა და მათს სმენას მისწვდება ის საღმრთო ბრძანება, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველ ეზეკიელთან ვკითხულობთ: „ძუალთა ხმელთა ისმინეთ სიტყვაჲ უფლისაჲ! ...აჰა, მე მოვიყუანო თქვენ ზედა სული სიცოცხლისაჲ... და თქუა ჩემდამო: წინასწარმეტყუელებდ სულისა ზედა, წინასწარმეტყუელებდ, ძეო კაცისაო, და არქუ სულსა: ამათ იტყვის აღონაჲ უფალი: ...მოვედინ სული და მიებერენ მკუდართა ამათ მიმართ და განცოცხლდენ... და შევიდა მათდამი სული და განცოცხლდეს, და დადგეს ფერხთა მათთა ზედა შესაკრებელი მრავალი ფრიად...“ (ეზეკ. 37,4-5; 9-10).

კრძალვით ვემთხვიე რამდენიმე ძვალს და სულიერი სიხარულით აღვსებულმა დავტოვე იქაურობა.

მე მოვინახულე მრავალი მეუღაბნოე მამა და შვინიშნე, რომ მათ, ყველას, ჰქონდათ ერთი საერთო თვისება: ისინი იყვნენ ნამდვილი მონაზვნები, ჭეშმარიტი ასკეტები. მათ შორის მინდა დავასახელო მამა ნილოსი — ხანში შესული რუსი ისიხასტი, რომელმაც საერთოდ არ იცოდა ბერძნული ენა; აგრეთვე — რუსი მღვდელ-მონაზონი პართენი, რომლის სიწ-

მინდის, სიბრძნისა და კეთილშობილური წარმომავლობის შესახებ მე აღრევე მსმენოდა.

როდესაც მამა პართენმა თავისი სენაკის კარი გამიღო, ის ჩემ თვალწინ გამოიკვეთა, როგორც ამსოფლიურ ამაოებაზე გამარჯვების სიმბოლო: არისტოკრატიული, კეთილშობილური ფიგურა დახეული ანაფორით!

თავისი დამტვრეული ბერძნულის წყალობით, მან გამოიკითხა ჩემი ვინაობა და გაიგო, რომელი კალივიდანაც ვიყავი. როგორც ამბობდნენ, ამ ბერთან საუბრისას ზოგიერთები გასაოცარ კეთილსურნელებას გრძნობდნენ. ჩვენ ცოტა ხანს ვილაპარაკეთ. მან მითხრა, რომ ბავშვობაში, პეტერბურგში ყოფნისას, ის თამაშობდა ჩვენს მეფესთან — გიორგი II-სთან ერთად.

ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იყო გამძლარიყავი მასთან საუბრით. ეჭვი არ იყო, რომ იგი თავისი ეპოქის ყველაზე დიდი ათონელი მამების რიცხვს ეკუთვნოდა. მაგრამ მე ვჩქარობდი: ისევ ჩემს მოძღვართან — მამა ქრისტეფორესთან უნდა შემეველო, იქიდან კი ჩემს კალივაში დავბრუნებულიყავი.

\* \* \*

მაგრამ ჩემი გეგმები შეიცვალა, როდესაც მამა ქრისტეფორემ დაჟინებით მთხოვა, დავრჩენილიყავი შობის ღამისთვის ლოცვაზე — მათი კალივის დღესასწაულზე.

მეორე დღეს მე და მამა სვიმეონმა — მამა ქრისტეფორეს მორჩილმა — დღესასწაულთან დაკავშირებით მთელი კალივა მოვაწესრიგეთ. სადილის შემდეგ მახლობელი კალივებიდან

ასკეტებმა იწყეს შემოკრება: მათ ჩვენთან ერთად უნდა ეხეი-მათ ქრისტეს შობის დღესასწაული.

მე ვიჯექი პატარა აივანზე და ვუყურებდი, როგორ ეშვე-ბოდნენ კლდეებიდან მეუდაბნოე მამები: ზოგი კიბეებით, ზოგი ჯაჭვებით — ერთიმეორის მიყოლებით. ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა! ახალგაზრდები, შუა ხნის მონაზვნები, მოხუცები — ყველა ერთად მედღესასწაულეთა ოქროს ჯაჭვს შეადგენ-და. ზურგზე ძველი, ჭუჭყიანი მახალაკები ეკიდათ, ტანზე დაბებკილი ანაფორები ეცვათ; მათი გამომეტყველება იყო მკაცრი და ამავე დროს მოკრძალებული. წელში მოხრით ესალმებოდნენ ერთმანეთს და თავიანთ ადგილებს იკავებდნენ სტასიდებში.

„ეს ღმრთის რჩეული ერია, — ვამბობდი გულში, — იესო ქრისტეს საყვარელი შვილები, და ისინი დღევანდელ ღამის-თევის ლოცვაში მიიღებენ მონაწილეობას“.

დარეკეს პატარა ზარი და ღამისთევა დაიწყო. საშინლად ციოდა. მამები მჭიდროდ გახვეულიყვნენ თავიანთ ღარიბულ ანაფორებში; კუნკულები არა მხოლოდ თავს უფარავდათ, არამედ თვალბეზეც ჰქონდათ ჩამოფარებული. მამა ქრისტე-ფორემ, ჩემმა მოძღვარმა, და მამა ბართლომემ, მეზობელი კა-ლივის ბერმა, კარგად იცოდნენ გალობა. ერთ-ერთი უმცროს-თავანი მკითხველად დაადგინეს. ორი-სამი კანდელი და ერთი ღარიბული ქორკანდელი მკრთალად ანათებდნენ ტაძარს. ყველაფერი იყო უბრალო, ასკეტური, ყოველგვარი გადამე-ტების გარეშე.

ამ წმინდა გარემოში მე უცხოდ და შეუფერებლად ვგრძნობდი თავს. მრავალი ცოდვა და უძლურება მქონდა,

რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ვალიარე ჩემი მოძღვრის წინაშე. მაგრამ მე არ ვიყავი გულგრილი ყველაფერი იმის მიმართ, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა. მინდოდა მეტი და მეტი გამეგო ამ ასკეტების შესახებ: როგორ მღვიძარებდნენ, როგორ ლოცულობდნენ, ან როგორ ეზიარებოდნენ.

პატარა ტაძრის საკურთხეველი კლდეში იყო შეჭრილი, ტაძრის მთავარი ნაწილი კი კლდის უბეს სცილდებოდა და აღწევდა ერთ-ერთ შვერილამდე, რომლის იქითაც მოჩანდა ზღვა. სიცივე უფრო და უფრო იმატებდა. ზუზუნებდა ქარი. მძიმედ ოხრავდნენ ტალღები და შეუბრალებლად ეხეთქებოდნენ კლდეებს. ზღვა ჰგავდა თავაწყვეტილ ნადირს...

ლოცვის დროს ერთ-ერთმა ხანდაზმულმა ასკეტმა ბერმა, რომელსაც ფეხსაცმელები არ ეცვა და საშინლად გაიყინა, ფეხებზე ტომრები შემოიხვია, ცოტა ხნის შემდეგ კი იქვე მდგარ პატარა ღუმელს მიუახლოვდა და ცდილობდა თავისი გაწითლებული ტერფები გაეთბო. იქ დიდხანს დარჩა. ლოცვაში ჩაძირულს, არც კი უგრძვნია, როგორ მოედო ტომრებს ცეცხლი და ალი ნელ-ნელა გაძლიერდა! ჩვენ, უმცროსებმა, მაშინვე მივირბინეთ მასთან და ცეცხლი ჩავაქრეთ. საბედნიეროდ, ბერს ფეხებზე დამწვრობის კვალიც კი არ ემჩნეოდა.

სხვა მამები ამ დროს ოდნავაც არ შერხეულან, ალბათ არც კი შეუმჩნევიათ, რა მოხდა. თავდახრილები იდგნენ, ხელში სკვნილები ეჭირათ და დაუღალავად ატრიალებდნენ...

ციცკარი დამთავრდა და დაიწყო საღმრთო ლიტურგია. დრო მოიწია. უფალი ახლოსაა. ასკეტი მამები მას კრძალვით, ცრემლიანი თვალებით ეგებებიან; ზოგიერთებს ისე დაუხრიათ თავი, რომ სახეები აღარც კი უჩანთ.

— მოხედენ! წმიდა წმიდათა! — ისმის მღვდელმსახურის ხმა.

ამ წუთიდან მამებმა დაიწყეს ერთმანეთის მიყოლებით, იერარქიულად, შენდობის წესის შესრულება: მეტანიების გაკეთება ხატებისა და იქ დამსწრე ძმების წინაშე, ხოლო როდესაც „შიშითა ღმრთისათა“ გაისმა, ისინი, ისევ იერარქიულად, მოკრძალებით მიუახლოვდნენ ბარძიმს ზეციური მარგალიტის მისაღებად.

მხურვალედ ვმადლობდი ღმერთს, იმის ღირსი რომ გამხადა, დავსწრებოდი ასკეტების ზიარებას. ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა. ბოლოს მეც მივედი საზიარებლად. მაგრამ არა როგორც „ძე“, მამების მსგავსად, არამედ როგორც „მონა“.

წირვის შემდეგ ყავით გაგვიმასპინძლდნენ. მე სუფრას ვემსახურებოდი, თან კი ყურადღებით ვაკვირდებოდი ასკეტებს და აღფრთოვანებული ვიყავი მათი დინჯი, აუჩქარებელი მოძრაობით, მათი საუბრით და, საერთოდ, მთელი მათი ყოფაქცევით. „ჭეშმარიტად, — ვამბობდი გულში, — უდაბნო არა მხოლოდ წმინდანებს შობს, არამედ დისციპლინირებულ და სრულყოფილ ადამიანებსაც“.

ყავას მოჰყვა სადღესასწაულო ტრაპეზი: თევზი, რომელიც ჩემმა ბერმა გამოუგზავნა მოძღვარს, და ცოტაოდენი ბრინჯი. ასკეტები მღუმარედ ჭამდნენ, თან საკითხავს უსმენდნენ. მათი გონება არა საკვებს, არამედ ლოცვასა და ღმრთის სიტყვას იყო მიმსჭვალული. აქეთ-იქით არავინ იხედებოდა; ვინც ჭამას ამთავრებდა, თავდახრილი, მოთმინებით ელოდებოდა სხვებს. ვინ იცის, რამდენი ხანი იყო, რაც თევზი აღარ ეჭამათ!

ტრაპეზის შემდეგ კურთხეული საზოგადოება დაიშალა. მე აღარასოდეს გავმხდარვარ ღირსი, დავსწრებოდი ასკეტების სადღესასწაულო შეკრებას, მაგრამ იმდღევანდელ შეკრებაზე დასწრებამ სურვილი აღმიძრა, უფრო ხშირად მომენახულებინა ხოლმე კარული. შემდეგში მთელი ექვსი თვეც კი დავყავი იქ, და ეს იყო ჩემი სულიერი ნათლობის პერიოდი, ჭეშმარიტი ჯილდო ღმრთისაგან!



წმინდა ბასილის უდაბნოში

უდაბნო — ეს ის ადგილია, სადაც ცხოვრობენ ასკეტი მეუდაბნოე მამები. მთაწმინდაზე უდაბნო მხოლოდ ერთი ადგილით როდი შემოისაზღვრება. აქ არის კარულის, კატუნაკის, მცირე წმინდა ანას, წმინდა ბასილის, ვიგლას და სხვა უდაბნოები.

ერთ დღეს ბერმა წმინდა ბასილის უდაბნოში გამაგზავნა და მაკურთხა, მომენახულებინა მამა გერასიმე, რომელიც ხშირი ზიარების საკითხში ჩვენი თანამოაზრე იყო.

დამქანცველი გზა რომ გავიარე და უკვე თითქმის მიზანს ვუახლოვდებოდი, მოულოდნელად თავსხმა წვიმამ დაუშვა, რის გამოც იძულებული გავხდი, მახლობელი კალივისთვის შემეფარებინა თავი.

ჩემდა გასაკვირად, მე აღმოვჩნდი მამა გერასიმე მენაგია-სის საძმოში. მე მას პირველად ვხედავდი. მისმა სიტყვამ, მისმა ჩემდამი გულთბილმა დამოკიდებულებამ, მისმა სიყვარულმა — საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ნუთუ ეს ის შესანიშნავი მონაზონია, რომელმაც ქრისტეს სიყვარულისთვის ყველაფერი უარყო — სახელიც, დიდებაც, მამულიც, ქონებაც და განათლებაც! იგი წარმოშობით ათენიდან იყო, არისტოკრატიული ოჯახიდან; ფლობდა რამდენიმე ენას და სწავლობდა ქიმიას საზღვარგარეთ. მაგრამ იქ, მატერიალისტური იდეების ლაბირინთებში, მან დაკარგა ღმერთი; თუმცა მალევე მოეგო გონს, ყველაფერი მიატოვა და მთაწმინდაზე მოვიდა. იგი უდაბნოში დასახლდა, რათა უფრო ადვილად შეეგრძნო ღმრთის სიახლოვე.

როგორც კი შევიტყვე, რომ მამა გერასიმეს საძმოში აღ-  
მოვჩნდი, გახარებული ჩამოვჯექი მის გვერდით. ჩემ წინაშეა  
სწავლული ასკეტი, – გონებისმიერი ლოცვის მოქმედის,  
მთელს მთაწმინდაზე ცნობილი ისიხასტის – მამა კალენიკეს  
მოწაფე.

წმინდა პავლეს მონასტრის მღვდელ-მონაზონი – მამა ან-  
დრია, შემდეგში ამავე მონასტრის ილუმენი, მამა გერასიმეს  
მორჩილი იყო. მასთან იმისთვის მოვიდა, რომ გონებისმიერი  
ლოცვა ესწავლა. მე კიდევ რამდენჯერმე გავხდი მამა გერა-  
სიმეს ხილვის ღირსი და ღრმად შემძრა მისმა სულიერებამ.

ის იყო მეტად მოხდენილი, მაგრამ ჰქონდა უბრალოება,  
რომელიც ღმრთისმიერ ცხოვრებას ყოველთვის თან ახლავს.  
როგორ გარემოშიც არ უნდა მოხვედრილიყო, ყველგან ძა-  
ლიან ბუნებრივად იქცეოდა. მისი სერიოზულობა და გონივ-  
რულობა მისსავე მაღალ სულიერ დონეზე მეტყველებდნენ.  
ოკუპაციის დროს წმინდა კინოტმა<sup>1</sup> იგი თარჯიმნად მიიწვია  
კარიესში, რადგანაც მას განათლება შვეიცარიაში ჰქონდა  
მიღებული.

იმ დღეს, მასთან საუბრისას, მე შევამჩნიე რაღაც ისეთი,  
რასაც ჩემზე გაცილებით უმეცარიც კი ადვილად შეამჩნევდა.  
კერძოდ ის, რომ მამა გერასიმეს ძალიან ძლიერი ხელმძღვა-  
ნელობა უნდა ჰქონოდა მონაზვნური ცხოვრების პირველ  
წლებში. ეტყობოდა, რომ მამა კალენიკეს დიდი მონღომებით  
ემუშავა მის სულსა და ხასიათზე. არის თუ არა მონაზონი

---

<sup>1</sup> წმინდა კინოტი – მთაწმინდის ცენტრალური კრებსითი მართვის ორ-  
განო, რომელშიც შედიან ათონის ყველა მონასტრის წარმომადგენლები.

კარგად „დამუშავებული“ — ეს მისი საუბრის მანერაშიც მკლავნდება და იმაშიც კი, თუ საით გაიხედავს ან სად დაჯდება.

მამა გერასიმე ბრწყინავდა არისტოკრატიული, ნატიფი გარეგნობით. დაე, ჩვენც შეგვეწიოს მისი ლოცვა.

წმინდა ბასილის უდაბნო იმ დროისათვის ასკეტებით იყო დასახლებული. რა თქმა უნდა, მათ ისეთი განათლება არ ჰქონდათ, როგორც მამა გერასიმეს, მაგრამ ისინი სათნოებებში მოღვაწე მონაზვნები იყვნენ.

უკეთილკრძალებული მონაზვნის — მამა დამასკინე მათესის ისინასტირიონის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ კალივიაში მღუმარებდა მამა ქერუბიმი. მან ორმოცდაათ წელიწადზე მეტი გაატარა უდაბნოში. მარტოდ დარჩენილმა, თავის თანამესენაკედ სიმშვიდე და გონების დაცვაზე ზრუნვა გაიხადა.

ის იყო მაღალი, ძალიან გამხდარი, ჰქონდა თეთრი წვერი და ნათელი სახე. როცა არ უნდა შეხვედროდით, მზერა მუდამ მიწისკენ ჰქონდა მიპყრობილი. რამეს რომ შეეკითხებოდით, ორიოდე სიტყვით გიპასუხებდათ. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებდა, რომ იგი არასოდეს წყვეტდა გონებისმიერ ლოცვასა და მღვიძარებას. ერთი შეხედვით შენიშნავდით, რომ მამა ქერუბიმი — წმინდა ბასილის უდაბნოს ისინასტი, სიტყვაძვირი და მღუმარე — ამ წუთისოფელს აღარ ეკუთვნოდა, არამედ აქვე, დედამიწაზევე, სასუფეველის მოქალაქე გამხდარიყო.

ამ მეუდაბნოე მამის შემხედვარეს, დაუოკებელი სურვილი აღმედრა, მიმებაძა მისთვის, მაგრამ რაკი არავითარი უნარი

არ გამაჩნდა, მომეპოვებინა სულიერი ნიჭები, ამიტომაც ჩემს ბერს ვთხოვე, უკიდურეს შემთხვევაში, ალკვეციის ღროს მისი სახელი მაინც დაერქმია ჩემთვის. ეს საშუალებას მომცემდა, სულიერი კავშირი მქონოდა მასთან იმქვეყნიურ ცხოვრებაში...

მეორე კალივაში მოღვაწეობდნენ მამა იონა რუმინელი და მისი მორჩილი — მამა მაკარი. მამა იონას ხელობა საათებისა და სხვადასხვა მექანიზმების შეკეთება იყო.

სკიტის კირიაკონი, ამჟამად მამა გერასიმეს კალივას რომ ეკუთვნის, წმინდა ბასილი დიდის სახელზეა ნაკურთხი. გადმოცემა გვაუწყებს, რომ ეს სკიტი დააარსეს მონაზონმა ბასილიანელებმა, რომლებიც კაბადოკიიდან იყვნენ ჩამოსულები და თან წმინდა მამის თავი ჰქონდათ ჩამოტანილი.

მამა გერასიმე წარმოშობით თესალიიდან იყო და თავდაპირველად ვოლოსის მახლობლად მდებარე ფლამურიის მონასტერში მოღვაწეობდა. როცა ჯერ კიდევ ღიაკენის ხარისხში იყო, შინაგანი ასკეტური ცხოვრებისადმი მოშურნეობით აღძრულმა, მან მიატოვა ვოლოსი და ამ უდაბნოში მოვიდა. აქ იგი მჭიდროდ დაუკავშირდა ისიხასტ ბერს — კალენიკე კატუნაკელს, მისგან ისწავლა გონებისმიერი ლოცვა და ცდილობდა ყველაფერში მისთვის მიებაძა. ჩვენ, ყველას, ღრმად გვწამდა, რომ მამა გერასიმე თავისი მასწავლებლის კვალს მიჰყვებოდა.

სხეულით პატარა იყო, მაგრამ სულით — ბუმბერაზი. გალელელი და გაძვალტყავებული, ის ჩონჩხს მოგაგონებდათ. ჰქონდა თხელი წვერი, იყო უბრალო, სიყვარულით აღსავსე. ჩვენს საძმოსთან ხშირად უწევდა ურთიერთობა. თავისი

არაჩვეულებრივი მორჩილი – მამა მაქსიმე – მან მისტიკური ცხოვრების ყველა საიდუმლოს აზიარა. მამა გერასიმეს ყოველდღიური ტკობის საგანს წმინდა მამათა თხზულებების კითხვა წარმოადგენდა, ყველაზე მეტად კი ამ თხზულებებს შორის „ფილოკალია“ უყვარდა.

მე რომ ვესტუმრე, ბუხართან იჯდა, თავის პატარა სენაკში, და „ფილოკალიას“ კითხულობდა. ჩემი დანახვა განსაკუთრებულად გაეხარდა. დამალევინა აბზინდის ცხელი ნაყენი, შემდეგ კი ერთად დავსხედით ბუხართან და საუბარი დავიწყეთ მის საყვარელ თემაზე – ხშირ ზიარებაზე. ამ დიდებულ თემაზე სასაუბროდ მას მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. ხშირად ცრემლებით მეტყვოდა ხოლმე: „რამხელა რამეს აკლდებიან ჩვენი კურთხეული მამები, წმინდა ბარძიმს რომ განემორებინან! მათ ყოველდღიურად სთავაზობენ ქრისტეს, ისინი კი უარს ამბობენ ამ შეთავაზებაზე“.

– მოდი ვნახოთ, – თქვა ბერმა, – რას ამბობენ ხშირი ზიარების შესახებ წმინდა მამები.

ჩვენ წავიკითხეთ ნაწყვეტები „ფილოკალიიდან“, აგრეთვე წმინდა ნიკოდიმოსისა და წმინდა მაკარი კორინთელის<sup>1</sup> ნაშრომებიდან. გარდა ამისა, მან მოიყვანა პირველი დიდი მამების შეხედულებები ამ საკითხზე. საუბარმა ოთხ საათზე მეტხანს გასტანა. მისი ხმა იყო არაჩვეულებრივად წმინდა და მკაფიო. ამგვარად, ბერის დახმარებით მეც საუკეთესოდ გავიაზრე ხშირი ზიარების მნიშვნელობა.

---

<sup>1</sup> მაკარი ნოტარასი – კორინთოს მიტროპოლიტი; წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელის თანამოღვაწე კოლივადურ მოძრაობაში.

მამა გერასიმეს მორჩილი – მამა მაქსიმე – ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა იატაკზე და მღუმარედ ისმენდა საუბარს. გარეთ ჩრდილოეთის ქარი ზუზუნებდა, რაც ქარბუქის მომასწავებელი იყო. ჩვენ კი, სითბოსა და სინათლეში ბუხრის გარშემო მსხდომარენი, ვერც კი ვგრძნობდით, როგორ გადიოდა დრო. ჩვენი გულთბილი საუბარი არა და არ მთავრდებოდა. მწუხრის დრო უკვე კარგა ხნის გადასული იყო.

– ახლა მწუხრი ვილოცოთ, – თქვა ბოლოს მამა გერასიმემ, – ოღონდაც აქვე. უამინდობის გამო კირიაკონში ვერ წავალთ, საშინელი ყინვაა.

კრძალვით, აუჩქარებლად, ასკეტური წესით ჩავატარეთ მწუხრი. შემდეგ ღვთისმშობლის დღის კანონი წავიკითხეთ. ესეც რომ დავამთავრეთ, მამა გერასიმემ გვითხრა:

– დაღამდა. მოდი, ბარემ სერობაც მივაბათ.

თუმცა ჩვენ არ გვევახშმა.

სერობაში ჩავურთეთ ღვთისმშობლის დაუჯდომელი, როგორც ამას თითქმის მთელს მთაწმინდაზე აკეთებენ. შემდეგ დასასვენებლად დავსხედით. მე ვფიქრობდი, რომ უკვე დაწოლის დრო იყო, რადგან მალე საცისკრო მსახურება უნდა დაწყებულიყო. მაგრამ მამა გერასიმეს, როგორც ჩანს, სხვა გეგმები ჰქონდა, და მან ძალიან ბუნებრივად წარმოთქვა:

– რაღას დავწვეთ დასაძინებლად, პირდაპირ შუალამიანი და ცისკარი ხომ არ დავიწყოთ?

ეს რომ გავიგონე, დიდ გასაჭირში ჩავვარდი, რადგან ძალიან დაღლილი ვიყავი. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: სანამ რამეს მოვიფიქრებდით, მამა გერასიმე უკვე ასამაღლებელს ამბობდა. ჩვენ დავიწვეთ შუალამიანი,

შუალამიანს კი ცისკარი მივაბით. როგორც კი ჟამნობა დავამთავრეთ, ბერმა გვითხრა:

— ახლა ნელ-ნელა წავიდეთ ეკლესიაში და ვეზიაროთ.

ბნელოდა. ჩვენ სამს მხოლოდ ერთი ფანარი გვქონდა და ძლივს ვხედავდით გზას. ზამთარი თავისი სისასტიკით გვემუქრებოდა. მალე კირიაკონსაც მივალწიეთ და კრძალვით შევალეთ კარი. წმინდა, არაამქვეყნიური წუთები! შინაგანად დამუხტულები ვიყავით. წავიკითხეთ ზიარების ლოცვები, ცოდვების შენდობა და შეწყალება შევთხოვეთ ღმერთს.

— რამეთუ შენ სთქუ, მეუფეო ჩემო, ყოველი მჭამელი ხორცისა ჩემისა და მსუმელი სისხლისა ჩემისაჲ ჩემ თანა ჰგიეს და მე მის თანა... რაჲთა არა მხოლო ვიყო თვინიერ შენსა, ცხოვრების მომცემელისა, სულთქუმისა ჩემისა, ცხოვრებისა ჩემისა, სოფლის მაცხოვრისა. ამისთვის შენდა მოსრულ ვარ, ვითარცა ჰხედავ, ცრემლითა... — გაისმოდა ტაძრის გაყინულ გუმბათებს ქვეშ ჩვენი ხმა — სავსე იმედით, ტკივილითა და ღვთაებრივი სიყვარულით.

— სერობასა საიდუმლოჲსა შენისასა დღეს, ძეო ღმრთისაო, ზიარებად შემიწყნარე...

მამა გერასიმემ წმინდა ძღვენი მოამზადა საკურთხეველში და სულ მალე აღსავლის კარიდან მოგვიხმო:

— შიშითა ღმრთისაჲთა და სარწმუნოებით მოვედით!

შიშით, ენით უთქმელი სიხარულით ვეზიარეთ წმინდა საიდუმლოს, შემდეგ სამადლობელი ლოცვები წავიკითხეთ და როცა კალივაში დავბრუნდით, უკვე ნელ-ნელა თენდებოდა.

აქ ყველგან სიღარიბე და უბრალოება იყო გამეფებული — ტაძარშიც, სენაკებშიც, ასკეტების გარეგნულ იერშიც. მაგრამ შინაგანად ჩვენ ფასდაუდებელ განძს ვფლობდით.

იმდღევანდელი საღამო არასოდეს დამავიწყდება: წმინდა მამების ნაშრომების კითხვით, ღვთისმსახურების აღსრულებით, ჩვენ იგი მთლიანად ღმერთს მივუძღვენით.

ასეთი იყო მამა გერასიმეს ცხოვრება: ასკეტური ღვაწლი, ხშირი ზიარება, სიმშვიდე, მღვიძარება, გონებისმიერი ლოცვა, — ცხოვრება, განუყრელად შერწყმული იესო ქრისტესთან.

ჩვენ კვლავ დავლიეთ ცხელი ნაყენი, ამის შემდეგ კი მადლობა გადავუხადე მამა გერასიმეს და ფრთაშესხმული გავეშურე ჩემი კალივისკენ.

როდესაც ბერს ვუამბე ყველაფერი, მან მითხრა:

— რაც მეტად გაიზრდები და მეტ თავმდაბლობას შეიძენ, მით მეტად გაგეცხადება ქრისტე. ასე რომ, რა გეჭირდება? — მოთმინება განსაცდელში და მდაბალი აზრი.

იმ ეპოქის კიდევ ერთი დიდი მოღვაწე იყო წმინდა ბასილის უდაბნოს მკვიდრი — მამა ლეონტი. იგი ცხოვრობდა თავის მორჩილთან — მამა დანიელთან ერთად. წლების მანძილზე ამერიკაში სავაჭრო საქმეს მისდევდა, მაგრამ ყველაფერი დატოვა და მთაწმინდას მოაშურა. მას თავისი მოსამსახურეც წამოჰყვა და ორივენი მონაზვნად აღიკვეცნენ. ჩემი მთაწმინდაზე ყოფნის პირველ წლებში მამა ლეონტი სიმონოპეტრას მონასტრის ერთ-ერთი კათიზმის<sup>1</sup> კათიზმატარისი<sup>2</sup> იყო. ყოველთვის, როცა კი კატერით მის კათიზმას ჩავუვლიდით,

---

<sup>1</sup> კათიზმა — ისინასტირიონის განსაკუთრებული სახე, რომელიც მდებარეობს დედა მონასტრის მახლობლად და არსებობს მისი ხარჯებით.

<sup>2</sup> კათიზმატარისი — მონაზონი, რომელიც ცხოვრობს კათიზმაში.



ღრმა მოწიწების გრძნობა გვეუფლებოდა. მისი სახელი მთელს მთაწმინდაზე იყო ცნობილი – როგორც სათნოებებით აღსავსე მოღვაწე ბერისა. მამა დანიელი, ერთ დროს მამა ლეონტის მოსამსახურე, ახლა კი მისი უერთგულესი მოწაფე, ცხადად მეტყველებდა იმ ხის უმაღლეს ხარისხზე, რომლის ნაყოფსაც თვითონ წარმოადგენდა.

მოგვიანებით ჩვენ კატუნაკის რაიონში ვნახეთ მამა ლეონტი. იგი დაბრმავებული იყო, მაგრამ დიდ სიხარულს განიცდიდა ამ განსაცდელის გამო და ამბობდა:

– მე ახლა ყველაფერს უკეთ ვხედავ და უკეთ შევიგრძნობ, ვიდრე მაშინ, როცა ჯანმრთელი თვალები მქონდა. ღმერთმა ახლა უფრო ძლიერი სინათლით დამაჯილდოვა.

მისი ერთგული მოწაფე, მამა დანიელი, როგორც შვილი ხორციელ მამას, ისე ემსახურებოდა მას. ამ სამსახურის გამო ბერი მისთვის დღეში ათას ლოცვას ამბობდა.

ახლომდებარე კალივებში მცხოვრები მამები აღნიშნავდნენ, რომ დაბრმავების შემდეგ მამა ლეონტიმ ძველ კატუნაკელებსაც კი გაუსწრო სულიერებაში. ათონის ისტორიაში იგი შევიდა ასეთი სახელით: „მამა ლეონტი – ბრმა და სათნოებებით შემოსილი“.

\* \* \*

აქ, წმინდა ბასილის უდაბნოში, მოხდა ღირსშესანიშნავი ამბავი. ერთი ჭაბუკი, რომელსაც მონაზვნობა უნდოდა და თანაც უდაბნოს მკაცრი პირობები იტაცებდა, ერთ-ერთ გამოცდილ ბერთან მივიდა და სთხოვა, ნება დაერთო, მასთან ერთად ეცხოვრა კალივაში. თავიდან ბერი მერყეობდა, მაგრამ

ბოლოს მაინც დაჰყვა ჭაბუკის თხოვნას და თავის მორჩილებაში მიიღო იგი.

ჭაბუკმა მთელი მოშურნეობით იტვირთა ახალდამწყების ღვაწლი, და ბერიც, რაკი მის ასეთ მონღომებას ხედავდა, ყოველმხრივ შეეწეოდა მას. ერთხელ თავისი მორჩილის ყელზე ბერმა ძვირფასი ოქროს საათი შენიშნა, ასეთივე ძვირფას ძეწკვზე ჩამოკიდებული. რამდენიმე დღე იცდიდა, ბოლოს კი, როცა ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ჰკითხა მას:

— ეს რა გაქვს, შვილო, ყელზე ჩამოკიდებული?

— ოქროს საათია, მამაჩემის სახსოვარი, — უპასუხა ადელვებულმა მორჩილმა. — ეს ჩემთვის უძვირფასესი განძია.

— ე, შვილო, არ შეიძლება მონაზონს თავისი ოჯახიდან რამე ჰქონდეს სამახსოვროდ, და, მით უმეტეს, ოქრო.

მორჩილი დაიბნა.

— თუ აქ ცხოვრება გინდა, — განაგრძობდა ბერი, — უნდა გაანადგურო ეგ სახსოვარი, რომელსაც ასე ძლიერად დაუმონებია შენი გული. სხვანაირად არ გამოვა.

მორჩილი გაქვავებული უსმენდა.

— მის გასანადგურებლად უნდა გამოიყენო აი ის დიდი ქვის როდინი, — დაასრულა ბერმა.

მალე მორჩილი მარტო დარჩა. ეშმაკის შემოტევა, აზრები, შინაგანი წინააღმდეგობა — ყველაფერი ეს ერთად დაატყდა თავს და დაეწყო საშინელი ბრძოლა, რომელმაც სამ დღე და ღამეს გასტანა. „მე ყველაფერი უარყავი, — ფიქრობდა იგი, — ერთხელ და სამუდამოდ გავწყვიტე ყველანაირი კავშირი ერთან და ოჯახთან, მხოლოდ ერთი ოქროს საათი დამ-

რჩა მამაჩემისგან და ესეც როდინში უნდა დავნაყო? ნუთუ ასეთი მკაცრია მონაზვნური ცხოვრება? ნუთუ ასეთი სასტიკია ბერი? არა, მირჩვენია ბერმა თვითონ დამნაყოს როდინში, ვიდრე მე ჩემი საათი დავნაყო...“

იგი უსასტიკეს შინაგან ბრძოლას განიცდიდა. ბერი აკვირდებოდა ამ ბრძოლას. და, აი, მეოთხე დილაღ გათენდა. ჭაბუკმა აიღო საათი, აკოცა მას, შემდეგ კი მამაცურად გადაიწერა პირჯვარი და მიიღო დიდებული გადაწყვეტილება. იგი მაშინვე გარბის ბერთან, – რომ მისი აზრი კვლავ არ შეიცვალოს, – და სიხარულით აუწყებს თავისი გამარჯვების შესახებ.

– მამაო, სად არის როდინი?

– იქ არის, შვილო.

ერთი წუთით ჩერდება. ახსენდება მშობელი მამა და ხელით ეფერება მის საათს... მაგრამ კვლავ იკრებს მხნეობას და ამბობს:

– მე შენ შეგმუსრავ, გაგანადგურებ! ქრისტეს სურს, რომ მთლიანად მას მივუძღვნათ თავი. არ უნდა, რომ ერთან რაიმეთი ვიყოთ დაკავშირებული, თუნდაც ერთი პატარა ძაფით, და თუნდაც ოქროსი იყოს ეს ძაფი!

შემდეგ მტკიცე, გაბედული მოძრაობით საათს როდინში ათავსებს და ქვასანაყს ურტყამს მას – თითქოს თავის საკუთარ ნებას ურტყამდეს, თავის საკუთარ გულს! ბერი ამ სცენას სენაკიდან ადევნებს თვალს, და როდესაც საათი დეტალეზის უფორმო გროვად იქცევა, ეუბნება მორჩილს:

– ახლა წადი და ეგ ყველაფერი უფსკრულში ჩაყარე.

მორჩილი გარბის და თავისი საათის ნარჩენებს თვალდახუჭული ყრის უფსკრულში: იმის დანახვაც კი არ უნდა, თუ რა ადგილზე დაეცემიან ეს ნარჩენები, – ეშინია, კვლავ არ ჩაუთესოს ეშმაკმა ბოროტი აზრი. ამგვარად, იგი გამარჯვებული და მოხარული ბრუნდება ბერთან.

– ახლა, შვილო, შენ უკვე გამოდგები მონაზვნად, – ეუბნება ბერი.

თვალცრემლიანი მორჩილი მუხლს უდრეკს მას და მადლობას უხდის იმისთვის, რომ მისი წყალობით ასეთ გამოცდას გაუძლო და გამარჯვებით დაასრულა თავისი ბრძოლა.

კავსოკალივის სკიტში

ყველა, ვინც მთაწმინდის სკიტში დასახლდება, თავისი მატერიალური მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად აუცილებლად უნდა ფლობდეს რაიმე ხელსაქმეს.

პირველად რომ მოვედი ჩვენს კალივაში, ორი ძმა — მამა იოაკიმე და მამა გრიგორი — ხატწერით იყო დაკავებული. მათ ჩემი გამოცდაც უნდოდათ, როგორც ზემოთაც ვთქვი, და სხვადასხვა ესკიზების გაკეთება დამავალეს, მაგრამ სულ მალე დარწმუნდნენ, რომ ამ საქმისთვის არ გამოვდგებოდი, და გადაწყვიტეს, კავსოკალივის სკიტში გავეგზავნე ხეზე ჭრის შესასწავლად. ჩემ დროს ეს ხელოვნება განვითარების მწვერვალზე იყო და დიდადაც ფასობდა. კავსოკალივში მონაზვნების უმრავლესობა ამ ხელსაქმით იყო დაკავებული. ისინი ჩინებულად ფლობდნენ თავიანთ ხელობას.

იქ ცხოვრობდა ჩვენი ნაცნობი ორი მონაზონი: მამა ოქროპირი და მისი მორჩილი — მამა აკაკი, რომელიც ჩემი ხორციელი ნათესავიც იყო.

მათი ისიხასტირიონი სკიტიდან დაახლოებით ოცი წუთის სავალზე, კლდიან, უწყლო ადგილას მდებარეობდა. მას ვერსაიდან შეამჩნევდით, რადგანაც ერთი მომცრო კლდის უბეში იყო შეჭრილი. ისიხასტირიონის შენობაში შედიოდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის პატარა ტაძარი, ორი-სამი სენაკი და სამზარეულო, რომელსაც სატრაპეზოდაც იყენებდნენ. ადრე აქ რუსი ისიხასტები ცხოვრობდნენ. მათ ეს ადგი-

ლი შეარჩიეს, როგორც ყველაზე მეტად მყუდრო მთელს რაიონში.

კავსოკალივში თვითონ ბერმა წამიყვანა და ორივე მამას სთხოვა, რამდენიმე ხნით დავეტოვებინე და ხეზე ჭრის ხელოვნება ესწავლებინათ ჩემთვის.

ამ ორმა კეთილმა, უსაზღვროდ მშვიდმა ბერმა, ქრისტეს ორმა კრავმა, სიხარულით განაცხადა თანხმობა ჩემს მიღებაზე. თუმცა ისიც თქვეს, რომ ცხოვრების პირობები აქ ძალიან მკაცრია, ადგილი – ყოვლად უნუგეშო, და დიდი გასაჭირის მოთმენა მომიწევს. მაგრამ ჩემთვის ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია. ბერის ლოცვამ და თვით ჩემმა სულიერმა განწყობამ ის გააკეთა, რომ მე მახარებდა კიდევ ამ უკაცრიელ უდაბნოში ცხოვრება.

კავსოკალივის მამები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მეპყრობოდნენ. ბევრ მათგანს მე ჯერ კიდევ ერში ვიცნობდი, რადგანაც, როდესაც ისინი ათენში ჩამოდიოდნენ საქმეებზე, ხშირად ვღებულობდი მათ მამისეულ სახლში.

სკიტი საუცხოო ადგილზეა აშენებული. აქაური ბუნების სილამაზეს ვერაფერი შეედრება: ბალები, მოჩუხჩუხე წყლები, მწვანეში ჩაფლული კალივები; საითაც არ უნდა გაიხედო, დაინახავ მუხებს, ვენახებს, ყვავილებსა და დეკორატიულ მცენარეებს. ბუნების ამ სილამაზეს ჰარმონიულად ერწყმის და კიდევ უფრო მეტად ამშვენებებს სკიტის თვალწარმტაცი ქვაფენილი და ისტორიული კათოლიკონი – მაღალი, ლამაზი სამრეკლოთი; ეს ყველაფერი კი – მატერიალურიც და სულიერიც – ცვლის თითოეული ადამიანის სულს, გარდაქ-

მნის და აღამაღლებს მათ, ვინც ამ მშვიდ, უშფოთველ გარემოში მოხვდება.

მამა ოქროპირის ისინასტირიონში 1939 წლის ოქტომბრიდან 1940 წლის მაისამდე ვცხოვრობდი. ამ ხნის მანძილზე მე არა მხოლოდ ხეზე ჭრის ხელოვნება შევისწავლე, არამედ ისიც შევძელი, რომ კარგად გავცნობოდი აქაური მონაზვნების მოღვაწეობასა და მათი ცხოვრების წესს: თავშეკავებას, მარხვას, სხეულის დათრგუნვას, ხანმოკლე ძილსა და მძიმე ფიზიკურ შრომას. აქ მღუმარება მშვენიერ მუსიკად გაისმოდა. მონაზვნები საუბრობდნენ მინიმალურად, მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ საქმეებზე, მთელ დანარჩენ დროს კი განუწყვეტელ გონებისძიერ ლოცვას უთმობდნენ.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი ჩემთვის ახალი არ იყო, ვინაიდან ჩვენი კალივის მამებიც დაახლოებით ამავე განაწესით ცხოვრობდნენ; და მე ვადიდებდი ღმრთის სახელს, როდესაც ვხედავდი, რომ სული წმიდა ყველგან ერთნაირად ვლინდება, ერთსა და იმავე სულიერ მდგომარეობას, სულთქმასა და სურვილებს ბადებს სულში.

მე იმ ადამიანებს შორის აღმოვჩნდი, რომლებიც, ჯერ კიდევ სხეულში მყოფნი, ანგელოზებრივად ცხოვრობდნენ. ამას სკიტის ყველა მამა აღიარებდა, ვინც იმათ იცნობდა; და ეს მამები შეჰნატრობდნენ ჩემს წმინდა ხვედრს: მათ გვერდით ყოფნის ღირსი რომ გამხადა ღმერთმა. რა საოცარ მაღლიერებას განიცდიდა ჩემი ახალგაზრდული გული, რა დიდებულ ღვთაებრივ ძრწოლას, აღფრთოვანებასა და აღმაფრენას — დაუვიწყარ, უტკბილეს კავსოკალივში ცხოვრებისას!..

რვა თვე დაკავშირებულია მამა ოქროპირისა და მამა აკაკის ისიხას-ტირიონში და მთელი ამ ხნის მანძილზე ბერებს ერთხელაც კი არ დაურღვევიათ თავიანთი მკაცრი ცხოვრების წესი. მამა აკაკისგან მხოლოდ „შემინდეთ“ და „მაკურთხეთ“ ისმოდა; მამა ოქროპირს კი არასოდეს სჭირდებოდა იმის გამეორება, რასაც თავის მორჩილს ეუბნებოდა. საუცხოო იყო მათ შორის დამყარებული ჰარმონია. იმ შეცდომებს, რომლებსაც ხელსაქმის შესწავლისას ვუშვებდი, უაღრესად თავაზიანი ფორმით მისწორებდნენ; ამავე დროს, როგორი სიფაქიზეც იგრძნობოდა მათს მშვენიერ ნამუშევრებში, ასეთივე სიფაქიზით ეპყრობოდნენ ისინი ჩემს ტლანქ, მოუხეშავ ხასიათს.

ჩემი სენაკი მამა ოქროპირის ასკეტური სენაკის გვერდით მდებარეობდა. ყოველ საღამოს, ერთსა და იმავე დროს, ბერი იწყებდა მეტანიების კეთებას: სულთქმით, გოდებით, კეთილკრძალულად. უნებურად იოანე კიბისაღმწერლის ეს სიტყვები მოგაგონდებოდათ: „გლოვა ჭეშმარიტი საღმრთოა — ესე არს მჭმუნვარება სულისა და გული მწუხარე, რომელი მარადის იურვენ საქმეთათვის სატკივართა, და ყოველსა ჟამსა ტრფიალისა მის მიმართ თვისისა წყურთელ არნ, და რაჟამს ვერ ეწიის, ეძიებნ მას ტკივილითა გულისაჲთა და შემდგომად მისსა გოდებით ხმობნ, კვნესით და სულთქუმიით“ (თავი 7,1).

ჩვენი ღვთისმსახურება შუალამის პირველ საათზე იწყებოდა და, ასკეტური წესის თანახმად, უმეტესად სკვნილზე აღესრულებოდა.

ხშირად, ღვთისმსახურების დროს, მამებს ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდათ და იძულებული ხდებოდნენ, შეეწყვიტათ



ლოცვა. მე ვგრძნობდი, რამდენად ძვირფასი იყო მათთვის, როგორც ყველა ჭეშმარიტი მონაზვნისთვის, იესო ქრისტეს დიდებული სახელი, რომელიც ყველა სახელზე მაღლა დგას...

\* \* \*

ერთ დღეს ბერმა მრავალი კავსოკალიველი მამა მოიპატიუ-  
ჟა ღამისთევის ლოცვაზე დასასწრებად.

მზის ჩასვლის შემდეგ მამებმა ერთმანეთის მიყოლებით და-  
იწყეს ვიწრო ბილიკზე ამოსვლა. ერთ აუწერელი სიხარული  
ვიგრძენი მათი დანახვისას. მალე ისიხასტირონის ეზო არა-  
ამსოფლიური ადამიანებით აივსო. მათ შორის იყვნენ – მამა  
პანტელეიმონი, მამა ანტონი, მამა იოანიკე და მამა სოფრონი,  
თავიანთი მორჩილებით. ლავრიდან გვესტუმრა მამა ამბაკუ-  
მი.

ვანშამზე საკმარისად მხოლოდ ჩაი და ყავა გვქონდა. ყვე-  
ლანი საზიარებლად ვემზადებოდით. ღვთისმსახურების აღ-  
სრულება მამა იოანიკეს დაევალა, მეტიპიკონეობა – მამა ან-  
ტონის. მაშ ასე, დაიწყო ღამისთევის ლოცვა პატარა, ღარი-  
ბულ ეკლესიაში. ჩვენ კარგად ვიცოდით, რა იყო ამ ღამისთე-  
ვის მიზანი: ზეციური მეუფის განდიდება და კულმინაციური  
წერტილი – ღვთაებრივი ევქარისტია. მოღვაწე მამები ქრის-  
ტეს მისაღებად ემზადებოდნენ, და ეს იყო ჯილდო მათ მიერ  
გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ, ამით განძლიერდებოდ-  
ნენ და განმტკიცდებოდნენ ისინი თავიანთ ბრძოლებში.

„დიდებაჲ შენდა, მამაო, დიდებაჲ შენდა, ძეო, დიდებაჲ  
შენდა, სულო წმიდაო, სამებაო წმიდაო, დიდებაჲ შენდა“. მო-  
ულოდნელად მეზობელი სტასიდიდან სლუკუნი მომესმა, რა-

მაც გულის სიღრმეებზე შემძრა. „ღღევანდელი ღამისთევა, — გავიფიქრე, — ალბათ რაღაც განსაკუთრებული იქნება“. აქ, ამ უდაბნოში, მამებს არაფერში სჭირდებოდათ, დაეფარათ თავიანთი გრძნობები: ჩვენ მარტონი ვიყავით ღმერთთან.

პოლიელეოსის „დიდებაზე“ მგალობელმაც კი ველარ შეიკავა ცრემლები, ხოლო „აწდაზე“ მეორე კლიროსის მგალობელი საერთოდ დადუმდა.

კანონებზე მე ვკანანარხოვდი. ერთ-ერთი მგალობელი მამა ამბაკუმი იყო. მას ყურში ცუდად ესმოდა, რამაც დიდი უწყესრიგობა გამოიწვია, მაგრამ მეტიპიკონემ დროულად შეცვალა იგი და კვლავ წესრიგი დამყარდა. ასე რომ, ღამისთევის ლოცვას თავისი კეთილკრძალებულება არ დაუკარგავს.

„კურთხეულ არს მეუფება...“ — გაისმა მღვდელ-მონაზვნის ხმა და საღმრთო ლიტურგიაც დაიწყო. ჩანდა, რომ ყველა მამა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანისთვის ემზადებოდა...

„შენთა შენთაგან...“

ყველამ, მიწამდე თავდახრილებმა, თავყანი ვეცით სული წმიდის გარდამოსვლას. იმ წამში პური და ღვინო ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაიქცა. ქრისტე ჩვენს შორისაა! ყველანი თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდნენ.

„განიცადენის“ გალობისას ხატებზე მთხვევა დაიწყო. ამის შემდეგ ყველა მორჩილი თავისი ბერისგან იღებს ლოცვა-კურთხევას და საზიარებლად მიდის. მათ კარგად იციან, რომ მხოლოდ ბერის კურთხევითა და შუამავლობით შეუძლიათ მიეახლონ ქრისტეს, რადგანაც მათთვის ბერი — ეს „ღმერთია შემდგომად ღმრთისა“ (წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი).

– „შიშითა ღმრთისაჲთა და სარწმუნოებით მოვედით!“

მამები იერარქიის მიხედვით ეზიარებიან.

– „სერობასა საიღუმლოჲსა შენისასა...“ – ვგალობ მე, როგორც ყველაზე უმცროსი.

ჩვენ მიუჯახლოვდით ღვთისმსახურების მწვერვალს: მივიღეთ ქრისტე და იგი შემოვიდა ჩვენში.

სამადლობელი ლოცვებიც მე წავიკითხე. თუმცა ძალიან მიმიძიდა კითხვა, რადგან შექმნილმა ატმოსფერომ საკმაოდ ამაღელვა.

როგორც კი ეკქარისტია დამთავრდა, ყავის მოსამზადებლად გავიქეცი. მაგრამ ცეცხლის დანთებაც კი ვერ მოვასწარი, რომ ყველა მამა წავიდა. მე გამოვედი ეზოში და დავინახე, როგორ ეშვებოდნენ ისინი სკიტისკენ.

– რატომ წავიდნენ ყავის გარეშე? – ვკითხე ბერს.

ბერმა მიპასუხა:

– ამ კურთხეული ღამისთვის შემდეგ შეეძლოთ კი ყავის დასალევად სუფრასთან დასხდომა? მათ ქრისტე მიიღეს, უძვირფასესი მარგალიტი, და მაშინვე წავიდნენ, რომ საუბარში არ დაეკარგათ ის, რითაც ღამისთვის ლოცვაზე დაჯილდოვდნენ.

– მამაო, მაინც რა საოცარი ღამისთვისა იყო!

– მე ვყოფილვარ ასეთ ღამისთვისებზე, შვილო. მაგრამ ეს რაღაც განსაკუთრებული იყო. შეიძლება იმიტომ, რომ მამები ერთი სულისანი იყვნენ და არ სჭირდებოდათ თავიანთი გრძნობების დაფარვა.

\* \* \*

ის ზამთარი ყინვიანი იყო. განუწყვეტლივ თოვდა. შეშა მალე გაგვითავდა და კეთილი მორჩილი — მამა აკაკი სშირად აღიოდა მთაზე, ნახევარმეტრიან თოვლში, და იქიდან შემით დატვირთული ბრუნდებოდა. შემდეგ ჩეხავდა შეშას და დასანთებად ამზადებდა. ეს მანამდე გაგრძელდა, სანამ სიცივე და უამინდობა იყო.

ჩვენ სულ მარტონი ვიყავით. ხალხს მხოლოდ მაშინ ვხედავდით, როცა ბოსტნეულის ამოსატანად სკიტში ჩავდიოდით. ამ უკიდევანო უდაბნოში არავინ იყო ჩვენ გარდა.

თუ ამინდი საშუალებას გვაძლევდა, სკიტში ვესწრობოდით ლიტურგიას და ვეზიარებოდით. სკიტის მამები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვინ მეტ სამსახურს გაგვიწევდა, გვაძლევდნენ ყველაფერს, რაც გვჭირდებოდა, და ჩვენ საჩუქრებით დატვირთულები ვბრუნდებოდით ისინასტირიონში.

შობის დღესასწაულს ჩემს კალივაში შევხვდი, დღესასწაულის შემდეგ კი კვლავ კავსოკალივში დავბრუნდი. ახლა მე უკვე საკმარის წარმატებულად ვფლობდი ხეზე ჭრის ხელოვნებას. თავისუფლად შემემძლო მესარგებლა წვრილი ინსტრუმენტებით, შემემძლო ამომეკვეთა წმინდანის „შესამოსელი“, დამემზადებინა ხატის მოჭედულობა, „სხეულის“ კვეთა კი სულ ბოლოს უნდა მესწავლა.

ხეზე ჭრა მოითხოვს კარგ მხედველობას, ხელის სიძლიერეს, მოძრაობის სიზუსტეს და უდიდეს მოთმინებას. ამიტომაც კავსოკალივში ხეზე მჭრელი მამები დღეში მხოლოდ ექვს საათს მუშაობდნენ. ჩემს მასწავლებლებს უხაროდათ ჩემი წარმატებები, მაგრამ ერთმა გაუთვალისწინებელმა შემ-

თხვევამ იძულებული გამხადა, სწავლა ცოტა ხნით შეემწყვიტა.

ერთხელ წმინდა ანადან კავსოკალივში ვბრუნდებოდი. საღამოს მამა გერასიმეს კალივაში დავრჩი, წმინდა ბასილის უდაბნოში, ხოლო დილით, თუმცა კი თოვდა, ჩემი გზა გავაგრძელე.

რაც უფრო წინ მივდიოდი, თოვლი უფრო და უფრო იმატებდა. დიდი გაჭირვებით გავიარე კერასა, რომელიც მთლიანად ზამთრის თეთრი კვართით იყო მოსილი, და კავსოკალივისკენ მიმავალ ბილიკს დავადექი. ქარბუქი ძლიერდებოდა.

სიარულმა ძალა გამომაცალა, მით უფრო, რომ სამოცდაათ სანტიმეტრიან თოვლში მივაბიჯებდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივადექი ღირსი ათანასე ათონელის ისიხასტირიონს, რომელიც კავსოკალიველ ბერს — მამა ანტონი მუსტაკასს ეკუთვნოდა. ისიხასტირიონი ნახევრად თოვლით იყო დაფარული. გაჭირვებით მივალწიე კარებამდე, მაგრამ იგი დაკეტილი აღმოჩნდა.

შიგნით არავინ იყო. საღამოდან ყველანი სკიტში ჩასულიყვნენ და უამინდობის გამო ველარ ბრუნდებოდნენ. კარი ურდულით იყო ჩაკეტილი. მე გარეთ ვიდექი და ვერ ვხვდებოდი, როგორ მოვქცეულიყავი. დრო გადიოდა, თოვლი კი ძალიან სქლად ბარდნიდა. აქეთ-იქით ვიხედებოდი, მაგრამ გარშემო აღარაფერი ჩანდა, ყველა ბილიკი დაიკარგა. მოუსვენრობამ შემიპყრო: წინ იყო ღამე, რომელიც მრავალ გაუთვალისწინებელ საფრთხეს მიქადდა.

მაშინ წმინდა ათანასეს შევევედრე, გაენათლებინა ჩემი გონება, რომ რაიმე ხერხი მომენახა სენაკში შესასვლელად.

მართლაც, ცოტა ხნის ძებნის შემდეგ ვიპოვე სამერცხული, ამოვადრე ურდული და ოთახში ჩავხტი. იქ კნავილით შემომეგებნენ კატები. ისინასტირიონში ბნელოდა. კანდელი ავანთე და ხატებს ვემთხვიე. შემდეგ თაროები მოვათვალიერე, კარტოფილი ვიპოვე და სულ ცოტა შევჭამე, რომ გონზე მოვსულიყავი, რადგან ძალიან დაუძლურებული ვიყავი. ღუმელი დავანთე, რაც კი პლედები ვნახე, ყველა მოვაგროვე და საწოლზე დავვარდი.

ღამე ლოცვისთვის ავდექი. მაგრამ ეკლესიაში აუტანელი სიცივე იყო, ამიტომაც წიგნები სენაკში წამოვიღე, საწოლზე დავჯექი, პლედები შემოვიხვიე და ასე ჩავატარე ცისკრის ლოცვა. უკვე გათენებული იყო, ოთახში კი კვლავ ბნელოდა. ფანჯრიდან გავიხედე და დავინახე, რომ კალივა სახურავამდე თოვლით იყო დაფარული! ღუმელი დავანთე, დავლიე ჩაი, რომ ცოტა გავმთბარიყავი, და გადავწყვიტე ღმრთის განგებას დავლოდებოდი. შეშა გამითავდა და მალე ღუმელიც ჩაქრა.

შუადღისას გარედან ლაპარაკი შემომესმა. ეს მამა ანტონი იყო, თავის მორჩილთან — ფილოთეოსთან ერთად. ისინი თოვლისგან ჩახერგილი კარის გათავისუფლებას ცდილობდნენ. ბევრი იწვალეს და ბოლოს, როგორც იქნა, გააღეს. ჩემს დანახვაზე ბერმა გაიღიმა და თქვა:

— შეხედე, ქურდი დავიჭირეთ!

გაოგნებულები მეკითხებოდნენ, როგორ აღმოვჩნდი კალივაში. მაშინ მე მათ ყველაფერი დაწვრილებით უყამბე. ამის შემდეგ სამივენი ერთად გავემართეთ კავსოკალივისკენ, რადგან, მამა ანტონის ვარაუდით, უამინდობა კვლავ უნდა გავ-

რძელებულიყო. ჩვენ თოვლში მივაბიჯებდით; ერთ-ერთ  
როთულ ადგილზე ფეხი დამიცდა, თოვლზე დავსრიალდი და  
ვიგრძენი, როგორ გავფრინდი უფსკრულისკენ, თან კლდეებს  
ვეხეთქებოდი...

სანამ გონს მოვიდოდი და დავრწმუნდებოდი, რომ არაფე-  
რი მქონდა მოტეხილი, დავინახე მამა ანტონი, რომელიც  
შველივით მოხტოდა თოვლში და როგორც ველური კატა, ებ-  
ლაუჭებოდა ხან ერთ, ხან მეორე ხეს. რამდენიმე წუთში ის  
უკვე ჩემ გვერდით აღმოჩნდა. მე ვიწექი დათოვლილ კლდეზე.  
მამა ანტონიმ სწრაფად ჩამავლო ფეხებში ხელი, რადგან ის  
ადგილი, სადაც გავჩერდი, ძალიან სახიფათო იყო. აქ იწყებო-  
და მეორე, კიდევ უფრო ღრმა უფსკრული. მისი ერთი გაუფ-  
რთხილებელი მოძრაობა და შეიძლებოდა ამ უფსკრულისკენ  
დავქანებულიყავი; და მაშინ ვინ იცის, გადავრჩებოდი თუ არა  
ცოცხალი...

მაგრამ მამა ანტონის სიყვარულმა, მისმა მოხერხებულო-  
ბამ და სიმარჯვემ სულ მალე ფეხზე წამომაყენა. იმ ადგილ-  
ზე, სადაც თავი მედო, თოვლი წითლად იყო შეფერადებული,  
რადგანაც ერთადერთი, რაც გავიტენე – ეს შუბლი იყო.

მამა ანტონიმ თავის კაბას პატარა ზოლი ჩამოახნია და  
იმით შემიხვია შუბლი. შიშისგან და სიცვივისგან სრულიად  
გახვეებული ვიყავი. როდესაც სისხლდენა შეწყდა, ბერმა თა-  
ვისი მორჩილის დახმარებით ზურგზე მომიკიდა და, მიუხედა-  
ვად გზის უსწორმასწორობისა, ჩემი მძიმე წონისა და გადა-  
ჩეხვის საშიშროებისა, სულ მალე სკიტამდე მიმიყვანა.

როგორ დავივიწყო ეს სიყვარული, რომლითაც მისი გული  
ფეთქავდა, – ქრისტეს სამკვიდრებელად ქცეული გული, –

და რომელიც ასეთ ბუნებრივ თავგანწირვაში გამოვლინდა? მამა ანტონი ჭეშმარიტი მთაწმინდელი იყო, და ჩემთვის იმ წუთებში — კეთილი სამარიტელი, რამეთუ მას ისე უყვარდა მოყვასი, „ვითარცა თავი თვისი“.

— ღმერთო ჩემო, — ვამბობდი ჩემთვის, სანამ მას ზურგზე მოკიდებული მივყავდი თოვლიან ხრამში. — ღმერთო ჩემო, — ვიმეორებ ახლაც, — სრულყოფილი მონაზონი სიყვარულის მონაზონია და სრულყოფილი ქრისტიანი — სიყვარულის ქრისტიანი. სრულყოფილება სიყვარულში მდგომარეობს. „ენათა-ღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ...“ (1 კორ. 13,1).

ამგვარად, მამა ანტონიმ ზურგზე მოკიდებული მიმიყვანა თავის სახლამდე — იოანე ღვთისმეტყველის კალივამდე. ის თვით იოანე ღვთისმეტყველისგან იყო შთაგონებული — სიყვარულის მოციქულისგან. ყოველთვის, როცა კი მის ხატს ემთხვეოდა, ყურში ჩაესმოდა მოციქულის სიტყვები: „ღმერთი სიყვარული არს და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგეის და იგი ღმრთისა თანა... რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“ (იოანე 4,16; 4,8).

პირველადი დახმარება მამა ანტონის კალივაში მისმა ხორციელმა ძმამ და სულიერმა შვილმა — მამა გრიგორიმ გამიწია.

მამა ანტონი წარმოშობით თესალიიდან იყო. მთაწმინდაზე ჯერ კიდევ ბავშვი მოვიდა და წმინდა ანას სკიტში დიდ ისინასტს — მამა აბიმელექს დაემოწაფა. იგი თავიდანვე ღრმა



აზროვნების უნარით გამოირჩეოდა; ერთ დროს სქოლარისი<sup>1</sup> იყო, და თავისი ცოდნისა და განუწყვეტელი სერიოზული გამოკვლევების წყალობით, მთაწმინდის სწავლულ მონაზვნად ითვლებოდა.

მას საკმაოდ ბევრი ნაშრომი ჰქონდა დაწერილი, განსაკუთრებით კი კალენდრის შეცვლის საკითხზე. სერიოზული, თავმდაბალი, უალრესად შრომისმოყვარე – ის მთელი თავისი ცხოვრება შეურიგებლად ებრძოდა ყოველგვარ განმაახლებლურ მოძრაობას ეკლესიაში. საქმის კაცი იყო, და არა ტყუილად მოლაყბე. არ არსებობდა ისეთი საეკლესიო თუ საღვთისმეტყველო თემა, რომლის თაობაზეც მას არ გამოეთქვას თავისი დასაბუთებული მოსაზრება.

როგორც თვითონ ჰყვებოდა, იგი ღარიბი ოჯახიდან იყო. მის მშობლებს იმის ფულიც კი არ ჰქონდათ, რომ სკოლის სახელმძღვანელოები ეყიდათ მისთვის. გაკვეთილებს ერთ-ერთი თავისი მდიდარი მეზობლისა და კლასელის წყალობით სწავლობდა: ეს იყო გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი, რომელიც საათების მანძილზე ხმამაღლა იზეპირებდა მოცემულ დავალებებს. ამგვარად, მისი მეშვეობით, მახვილგონიერი მამა ანტონი სკოლაში ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა!

მის საძმოში მკაცრად იცავდნენ ძველ ტრადიციებს და მაღალი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. კავსოკალივის სკიტში ეს საძმო თავისი სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა.

---

<sup>1</sup> სქოლარისი – სკოლის ხელმძღვანელი. აქ ლაპარაკია ათონის მთის საღვთისმეტყველო სკოლაზე – ეგრეთწოდებულ ათონიანაზე.

გაზაფხული იდგა. ერთ საღამოს იოასაფების ხატწერის სახელოსნოს ვეწვიე. სერობის შემდეგ ძმებმა აივანზე გამიყვანეს და ჩვენ ერთხანს ვტკბებოდით გაზაფხულის სავსე მთვარის ჭვრეტით. სკიტი მღუმარებას მოეცვა. მთვარე ისეთ უხვ ნათებას გამოსცემდა, რომ მკაფიოდ ვხედავდით თითოეულ კალივას. ერთ-ერთი მეზობელი კალივიდან იესოს ლოცვა მოისმოდა. რომელიღაც მონაზონი თავის აივანზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ასრულებდა კანონს. „ეს ძმა, — გავიფიქრე მე, — ღმერთს ესაუბრება, წყალობას ითხოვს მისგან. ადამი და ევაც რომ ასე მოქცეულიყვნენ თავიანთი შეცოდების შემდეგ, ღმერთი მათ შეუნდობდა და მაშინ კაცობრიობას აღარ მოუხდებოდა ამ ტრაგიკული გზის გავლა“.

ვინ იცის, კიდევ რამდენი მამა მიმართავდა იმ ღამეს სკიტში ყოვლადმოწყალე ღმერთს: „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე“.

— იესოს სახელს სიტყვა „წყალობა“ ახლავს თან, — შენიშნა ერთ-ერთმა ძმამ.

ჩვენ თვალწინ იშლებოდა ეგეოსის ზღვა, ერთიანად განათებული. რა სიჩუმე, რა სილამაზე, რა ღვთაებრივი მადლი და დიდებულება იგრძნობოდა იმ ღამეს! ჩვენ ხშირად ვწყვეტდით საუბარს, რომ ღმრთის სახელის მოწოდებისთვის მიგვეგლო ყური: „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე“.

მოულოდნელად ღამეული ბუნების ამ უსაზღვრო მღუმარებაში გამგმირავი გოდების ხმა შემოიჭრა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. გარემომ ერთბაშად დაკარგა თავისი მომხიბვლე-

ლობა. ჩვენ, ყველანი, ფეხზე წამოვდექით და ყურადღება დავ-  
ძაბეთ, რომ გაგვეგო, რა ხდებოდა.

„როგორც ჩანს, – გავიფიქრე მე, – ეშმაკი გააბოროტა ამ  
ღმობიერების აღმძვრელმა ღამემ და მამების ასაფორიაქებ-  
ლად ღრენა დაიწყო. ან იქნებ რომელიმე მონაზონს შეემთხვა  
რამე?“

– „რაჟამს გამოხვედ ღმრთისმშობელო ქალწულო...“ –  
მოისმა სირბილისგან აქოშინებული ადამიანის მელოდიური  
ხმა.

ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, რა ხდება?

– „იაკობ ძმა უფლისა და პირველი მღვდელთმთავარი...“

რა საოცარი ხმაა! შესრულების რა მშვენიერი მანერა! ეს,  
ვიღაცაა, კარგი მაგალობელი უნდა იყოს... მისი ხმის მიხედ-  
ვით მიხვდებოდით, რომ იგი ძალიან სწრაფად მორბოდა.

ვინ უნდა იყოს? რატომ დარბის და ყვირის ამ შუალამისას?  
რა ხდება, ღმერთო!

ათასმა აზრმა გამიელვა თავში. ვცდილობდი რაიმე ახსნა  
გამომეძებნა იმისთვის, რაც ხდებოდა.

სანამ მაგალობელი ჯერ კიდევ სკიტიის პირველ კალივებამ-  
დე მოაღწევდა, შორიდან მოისმა ვიღაცის გულგამგმირავი  
ხმა:

– მამებო, დაიჭირეთ, დამეხმარეთ... მოხუცი ვარ და აღარ  
შემიძლია სირბილი.

ღმერთო ჩემო, რა ხდება! იქნებ ეს ქურდია და მხოლოდ  
იმიტომ გალობს, რომ თავგზა აგვიბნიოს? იქნებ მორჩილია  
და თავის ბერს აუმხედრდა? ან იქნებ რამე ისეთი ხდება, რა-  
საც ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ?

აი, იგი უკანასკნელ კალივებს მოუახლოვდა, თან განუწყვეტლივ გალობით ადიდებდა ღვთისმშობელს. ამ დროს ორმა-სამმა ხანდაზმულმა მამამ მას გზა გადაუღობა. იგი დაიჭირეს, მაგრამ შეკითხვებზე არავითარ პასუხს არ იძლეოდა.

მთელი სკიტი აფორიაქდა. მდუმარება და სიმშვიდე შიშმა და მღელვარებამ შეცვალა: „რა მოხდა?“ მალე ბერმაც მოიბრინა.

— რა დაგემართა, შვილო, რატომ იქცევი ასე, დამშვიდდი, — გვესმოდა მისი ხმა. ამ ხმის მიხედვით ჩვენ მივხვდით, რომ ეს „ყოველთა წმიდათას“ ბერი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ის, ვინც გალობს, ალბათ მისი მორჩილია. იგი თავის ბერსაც არ სცემდა პასუხს, მხოლოდ გალობდა — გალობდა განუწყვეტლივ.

„ცხადია, ამ მორჩილს რაღაცა დაემართა, — ვფიქრობდი მე. — როგორ უძლებს ყველაფერ ამას საწყალი ბერი? თანაც ასეთი მოხუცი“.

ერთ-ერთმა მამამ მორჩილის გასაკოჭად თოკი მოითხოვა. შემდეგ ჩვენ, ყველანი ერთად, კირიაკონისკენ გავემართეთ. მორჩილი ისევ გაუჩერებლად გალობდა, მაშინ როცა მის ბერს ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა თვალებიდან და სთხოვდა მამებს, არ დაეტოვებინათ, სანამ რაიმეს გადაწყვეტდა.

იმ ღამეს არ გვიძინია, მთელი ძილის დრო ლოცვაში გავატარეთ: „ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, აცხოვნე მონაჲ შენი...“ დილით ამბის გასაგებად კირიაკონში წავედით. იქ ზუსტად გავიგეთ, რაც მომხდარა. მორჩილს უცხად პარანოია დამართნია და სენაკიდან გამოქცეულა, — ეჩვენებოდა, თით-

ქოს ვილაცა მოსდევდა. ბერი, უძლურების მიუხედავად, გამოჰკიდებია: შიშობდა, სადმე ხრამში არ გადაჩეხილიყო მისი მორჩილი. უნდოდა დახმარებოდა, გადაერჩინა, დაეფარა. ჰოჲ, ბერის ქრისტესმიერი სიყვარული მორჩილის მიმართ!

მეორე დღეს, როცა ნავით ჩვენს სკიტში ვბრუნდებოდი, ავადმყოფი მორჩილი და მისი საწყალი ბერი დამემგზავრნენ. ამ უკანასკნელს თესალონიკში მიჰყავდა მორჩილი, რომ ექიმებისთვის ეთხოვა დახმარება.

\* \* \*

ის დრო, რომელიც ხეზე ჭრის ხელოვნების შესწავლაში გავატარე ორი კავსოკალიველი მამის გვერდით, ჩემთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა, და სასარგებლო აღმოჩნდა არა მხოლოდ ხელობის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ მამების სამაგალითო ქცევამ, მათს ცხოვრებაზე დაკვირვებამ მე დიდი გამოცდილება შემძინა. ასეთივე სერიოზული როლი ითამაშეს ჩემს მონაზვნად ჩამოყალიბებაში სხვა კავსოკალიველმა მამებმაც.

არასოდეს დამავიწყდება მამა მიქაელი — მუდმივად მომდღიმარი, ბავშვური, ღრმა სულიერების მქონე მონაზონი. იგი, სხვებისგან შეუმჩნევლად, გონებისმიერი ლოცვით ლოცულობდა, და ეს ლოცვა რომელიღაც დიდ ბერს ესწავლებინა მისთვის.

ჩემს მეხსიერებას შემორჩა აგრეთვე მამა თეოფილაქტე — არაჩვეულებრივი მორჩილი, მამა სოფრონის საძმოს წევრი. გამოცდის ის გზა, რომელიც მან გაიარა, ალბათ ძალიან ცოტას თუ ექნება გავლილი. მისი უსიტყვო მორჩილება, იობი-

სებრი მოთმინება და დაუცხრომელი სწრაფვა იმისკენ, რომ არ შემკრთალიყო სიძნელეების წინაშე – ყველაფერი ეს მის-  
დამი უდიდესი მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით გან-  
მაწყობდა.

რამდენჯერაც არ უნდა შევხვედროდი მას – მე, პატარა და უბადრუკი მონაზონი, რომელიც პირველ ნაბიჯებს ვდგამ-  
დი ჩემს მონაზვნურ ცხოვრებაში, – ყოველთვის ვცდილობ-  
დი, მისგან რაიმე „ამელო“. როგორც ჩანს, ის ამას მიხვდა და  
ყოველ შეხვედრაზე რაღაცას მაწვდიდა თავისი სულიერი სა-  
განძურადან. მე კი ვყლაპავდი მის მიერ მოწოდებულ თითოე-  
ულ აზრს და სულის სიღრმეში ვინახავდი მათ.

ერთხელ მამა თეოფილაქტეს ვკითხე:

– რა არის ის, რასაც წიგნებში ვხვდები და რასაც მამები  
„უფლებას“ უწოდებენ?

– ძმაო, – მიპასუხა მან, – ეს ალბათ ღმერთმა ჩაგაგონა,  
შეხებოდი ამ თემას. მე სწორედ იმის განსახიერება ვარ, რა-  
საც მამები „უფლებას“ უწოდებენ. რომ შემძლებოდა ამომე-  
ძირკვა საკუთარი სულიდან ეს საშინელი დაბრკოლება, რო-  
მელიც ყველა მორჩილს ელობება წინ სრულყოფილებისკენ  
მიმავალ გზაზე, მაშინ წარმატებული მონაზონი ვიქნებოდი,  
მაგრამ, სამწუხაროდ, მე უფლებების „კონას“ განვასახიე-  
რებ.

– რომელი მამა ფიქრობდა, – განაგრძობდა ის, – რომ  
უფლება ჰქონდა თუნდაც იმ მცირეოდენ ორცხობილაზე, რო-  
მელსაც ჭამდა, და იმ ორიოდე წვეთ წყალზე, რომელსაც  
სვამდა იმისათვის, რომ ეარსება? არა, მამებს სჯეროდათ,  
რომ პურიც და წყალიც ღმერთისგან და ადამიანებისგან ებ-

ლევოდათ ძღვნად, და რომ ეს ძღვენი ღმრთისა და ადამიანების სიყვარულის გამოხატულება იყო მათდამი, და არა დამსახურებული საზღაური.

მამები, ძმავო, მრავალგზის მიუთითებდნენ, რომ „უფლების“ ვნებას დამლუპველი შედეგები მოსდევს; ჩვენ კი, საკუთარი გამოცდილებით, ყოველდღიურად მეტად და მეტად ვრწმუნდებით ამაში. წარმოიდგინე მორჩილი, რომელსაც მოსდის ასეთი აზრები: „დღეს ტრაპეზზე კარგი საჭმელი უნდა მქონდეს, რადგან მორჩილებამ საშინლად დამღალა და ყოველგვარი ძალები წამერთვა. მცირე რაოდენობის ზეთისხილი მე არ დამაკმაყოფილებს. ნუთუ არა მაქვს უფლება, რაღაცა სხვა ვითხოვო, რაკი უფროსები ამას ვერ ხვდებიან?.. ჩემი კაბა, პერანგი, წინდები — უკვე ძონძებად გადაიქცა. ნუთუ არა მაქვს უფლება, რაიმე წესიერი ჩავიცვა? სხვა ძმებს ხომ მონასტერი ყველაფერს აძლევს, რაც სჭირდებათ?.. ნუთუ მე ადამიანი არა ვარ და უფლება არ გამაჩნია, მომსვლელებს დაველაპარაკო და გავიგო რა ხდება ქვეყანაზე?“

არა! მონაზონს არავითარი უფლება არ გააჩნია. ის ვალდებულია უარი თქვას ყველაფერზე — თვით თავის კანონიერ და ბუნებრივ უფლებებზეც კი.

მოგიყვან ერთ უბრალო მაგალითს, რომელიც შენ შეგიძლია სხვა შემთხვევებსაც მიუსადაგო: ისეთ შემთხვევებს, როცა ეშმაკი ჩვენი მფარველის როლს თამაშობს და ჩაგვაგონებს, რომ ყველანაირად უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები. მოვიდა ტრაპეზის დრო. შენ ჯდები სუფრასთან და ხედავ, რომ ყველა ძმას წინ უდევს თეფში, შენ კი არ გიდევს. ამ დროს „უფლების“ ვნება შენში დაატრიალებს აზრების ქა-

რიშხალს: „ნუთუ უფლება არა მაქვს წინ მედგას თეფში, ისევე როგორც სხვებს? ნუთუ ეს უსამართლობა არ არის?“ თუ შენ ამ აზრებს შეეებრძოლები და ჩაახშობ შენში საკუთარი უფლებების დაცვის ყველანაირ მოძრაობას, თუ ღმრთის მადლის შეწევნით შენს გულში დაისადგურებს სრული სიმშვიდე და იფიქრებ, რომ შენი ცოდვების გამო ჭამის ღირსიცი კი არ გახდი, თუ სამადლობელ ლოცვაში ისე ჩაერთვები, თითქოს შენც გეტრაპეზოს სხვებთან ერთად, და აბსოლუტური სიმშვიდითა და სიმდაბლით დაელოდები მომდევნო ტრაპეზს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ სწორ მონაზვნურ გზას ადგახარ: საკუთარი უფლებების მოკვდინების გზას. ამ მოკვდინებას მოჰყვება შენი ძმებისა და, პირველ რიგში, ღმერთის უფლებების, მისი სიმართლის მშვენიერი აღდგომა. ჩვენ ხომ სწორედ ამას ვევედრებით ღმერთს ყოველდღიურად: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავვენ მე სიმართლენი შენნი“.

მე განმაცვიფრა მამა თეოფილაქტეს ამ აზრებმა, რომლებიც პირველად მესმოდა და რომელთაც გულის სიღრმემდე შემძრეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ვკითხე მას:

– მამა თეოფილაქტე, რა მიზეზით ჩნდება ჩვენს სულში ეს დამღუპველი ვნება?

– იმ მიზეზით, რომ არ გაგვაჩნია მთავარი და უპირველესი მონაზვნური სათნოება, რომელსაც თავის უარყოფა ჰქვია. ამ სათნოებას მრავალი სახე და მრავალი ხარისხი აქვს. იმისათვის, რომ ჭეშმარიტი მონაზვნები გაუხდეთ, საკმარისი არ არის მხოლოდ ნაწილობრივი უარყოფა, ანუ მხოლოდ ზოგიერთ საგანზე უარის თქმა: ჩვენ სრული უარყოფა გვჭირდება. უნდა გვახსოვდეს, რომ საკუთარ თავს კი არ ვეკუთვნით,



არამედ ღმერთს. ჩვენი ერთადერთი უფლება ისაა, რომ სუ-  
ლითაც და ხორციითაც, ყველგან და ყოველთვის — ვეკუთვნო-  
დეთ მხოლოდ ღმერთს. რამდენი ადამიანი აცთუნა ეშმაკმა ამ  
საშინელი ვნებით! მაშ ასე, დაწეპი ხის საწოლზე, აღდგომა  
დღეს დაკმაყოფილდი მხოლოდ ქაშაყით, შენს საჭმელ ბალა-  
ხეულში ჩაასხი მხოლოდ ერთი კოვზი ზეთი, და მადლობა  
შესწირე ღმერთს იმისათვის, რომ მოკლებული ხარ თვით სა-  
კუთარ ბუნებრივ უფლებებსაც კი. ნუ დაივიწყებ ამას მთელი  
შენი ცხოვრების მანძილზე, თუ გინდა, რომ კარგი მონაზონი  
გახდე.

— მადლობას გიხდით, მამა თეოფილაქტე, ამ სასარგებლო  
რჩევისთვის. გთხოვთ მომიხსენიოთ თქვენს წმინდა ლოცვებ-  
ში, რომ იქნებ შევძლო, უარი ვთქვა ყველაზე უმნიშვნელო და  
ყველაზე ბუნებრივ უფლებებზეც კი.

\* \* \*

კავსოკალივის სკიტს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მამა ევგენი  
ხატმწერის, მამა პავლესა და მამა დამიანეს საძმობები; წმინდა  
აკაკის კალივის ბერი — მამა აკაკი და მისი მორჩილები: მამა  
იეროთეოსი და ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელი მამა ტი-  
მოთე, რომლის თავაზიანობაც კავსოკალივის მონახულების  
პირველივე დღიდან შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

ამ კურთხეულ მონაზონთან ერთხელ უჩვეულო, ამაღელვე-  
ბელი შეხვედრა მქონდა. წმინდა ანას სკიტიდან მოვლიოდი და  
კერასის გავლით კავსოკალივისკენ ავიღე გეზი. უცბად უც-  
ნობი ხმა მომესმა: რომელიღაც მონაზონი თავისთვის, ჩუმად  
ლოცულობდა. ცოტა ხანს შევჩერდი, მინდოდა უკეთ დამეგდო

ყური. შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ლოცვა უფრო და უფრო დაძაბული და ამაღელვებელი ხდებოდა.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. უკვე სულ ახლოს ვიყავი მონაზონთან. ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ჩუმად მევლო, არ მინდოდა მისი შეწუხება.

„სად არის?“ — ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

მოულოდნელად კლდის იქით, გზის მოსახვევში, მამა ტიმოთეს მოვკარი თვალი. მახალაკი მიწაზე დაეგდო, სკუფია მოხდილი ჰქონდა, ხელში სკვნილი ეჭირა და, ზეცისკენ თვალპყრობილი, ცრემლებით, ღმობიერად მოუხმობდა ღმრთის სახელს. დარწმუნებული იყო, რომ ამ დროს იქ არავინ ჩაივლიდა, ამიტომაც თავდავიწყებით ეძლეოდა ლოცვას: მკერდში ხელს იცემდა, შეწყალებას ითხოვდა ღმრთისაგან.

როდესაც მოულოდნელად თავის წინ მდგარი დამინახა, საშინლად შეცბუნდა და მხოლოდ ესლა ჩაილაპარაკა:

— მაკურთხე, ძმაო, და შემინდე...

მე კი აღელვებულმა ვუპასუხე:

— ჩემთვისაც შეევედრე ღმერთს ორიოდ სიტყვით, მამაო. მე ძალიან უბადრუკი ვარ.

და მაშინვე დავტოვე იქაურობა, გამდიდრებულმა იმ ნიჭის ხილვით, რომლითაც წმინდა მთა უხვად აჯილდოვებს თავის მონაზვნებს.

\* \* \*

კავსოკალიველი მამები ყველანი მკაცრი მოღვაწეები და ასკეტები იყვნენ და ღვთივსათნოდ ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ შორის გამოირჩეოდა ორი მამა: მამა არსენი — ხეზე მჭრე-

ლი, და მამა ანტონი — კეთილკრძალული მონაზონი. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ბავშვი მოვიდა კავსოკალივში. ბერები მას ძალიან მკაცრად შეხვდნენ, — უნდოდათ გამოეცადათ, შეძლებდა თუ არა მონაზვნურ ცხოვრებას, ამიტომაც ხშირად შეურაცხყოფდნენ და ამცირებდნენ. ბოლოს იქამდეც მივიდნენ, რომ მოკვლითაც კი დაემუქრნენ. მაგრამ ის მაინც არ ტოვებდა ბერებს.

— მე ვგრძნობდი, — მითხრა მან ერთხელ, — რომ მამებს ვუყვარდი. რაც არ უნდა ეთქვათ, რაც არ უნდა გაეკეთებინათ ჩემთვის, მაინც აშკარად ჩანდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული ამოძრავებდათ. მე მჯეროდა, რომ ისინი მონაზვნური ცხოვრების სწორ გზაზე დამაყენებდნენ, რადგან თვითონაც მკაცრად მიჰყვებოდნენ ამ გზას.

ერთხელ მამა ანტონის ვკითხე, ხომ არ შეხვედროდა იგი თავის ცხოვრებაში რაიმე არაჩვეულებრივსა და ზებუნებრივს, ან ხომ არაფერი ჰქონდა საკუთარი თვალით ნანახი, ან ნაგრძნობი — საკუთარი სულით; ან იქნებ მისი სული ოდესმე ზეცაში იქნა აღტაცებული; ან კიდევ იქნებ ასეთი წყალობა რომელიმე ჩვენს საერთო ნაცნობს ზვდა წილად?

ეს შეკითხვა რომ დავუსვი, მამა ანტონის სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.

— შვილო, — მიპასუხა მან, — ეს ზებუნებრივი გამოცხადებები ძალიან იშვიათია და მათს ჭეშმარიტებაზე მეტყველებს მხოლოდ ის, რომ ვისაც ასეთი გამოცხადება აქვს, მალავს ამას, როგორც რაღაც ძალიან პირადსა და იღუმალს; იგი არასოდეს საუბრობს ამ გამოცხადების შესახებ, სულ მცირე ჟესტსა და გადაკრული სიტყვის თქმასაც კი გაუბრბის, — თუ-

კი ამ სიტყვითა და ჟესტით გამოძვლავნდება და საქვეყნოდ ცნობილი გახდება ეს ღმრთისაგან ბოძებული ნიჭი. თუ აქ, მთაწმინდაზე, შენ შეხვდები ისეთ მონაზონს, ვინც არ მალავს თავის გამოცხადებებს, ეჭვქვეშ დააყენე ამ გამოცხადებების ჭეშმარიტება. მას შემდეგ, რაც აქ მოვედი, მე შევხვდი სათნოებებით დაჯილდოებულ მრავალ მამას. ისინი მკაცრად მოღვაწეობდნენ და მდაბალი აზრი ჰქონდათ. და ჩვენ შინაგანი ხმა გვეუბნებოდა, რომ ამ მამებს, თავიანთი სიწმინდის გამო, ცხადია, ზეციური გამოცხადებებიც უნდა ჰქონოდათ. მაგრამ მათ ერთი სიტყვაც არასოდეს დასცდენიათ ამის შესახებ. სამაგიეროდ ხშირად იმეორებდნენ, რომ ცოდვილები არიან და მხოლოდ ღმრთის წყალობის იმედი აქვთ. აგრეთვე წმინდანთა ცხოვრებებშიც ხშირად ვკითხულობთ დიდ ბერებსა და ასკეტებს, რომლებიც მუდმივად გაურბიან თავიანთი გამოცხადებების საქვეყნოდ გამოფენას. პავლე მოციქულსაც კი, თუმცა იგი მოციქული იყო, საკუთარი თავისთვის არ მიუწერია მესამე ცამდე აღტაცება, არამედ ბრძნულად და გონივრულად თქვა: „ვიცი კაცი...“

გარდა ამისა, შენ წაკითხული გექნება წმინდა ანდრია სალოსის ცხოვრება. მის ცხოვრებაში ზეციური საგნები არ გამოიყოფოდა ამქვეყნიური, მიწიერი საგნებისაგან, არამედ ხშირად ერთმანეთს ერწყმოდა, და ამის მიზეზი მისი დიდი სიწმინდე და სიმდაბლე იყო. მას, მიწაზე მყოფსა და მრავალი „სისულელის“ მოქმედს, შეეძლო ამავე დროს ზეციური მოვლენები დაენახა. მაგრამ ამას საიდუმლოდ ინახავდა. ერთადერთი, ვისაც ამ საიდუმლოს უმხელდა — ეს მისი მოძღვარი იყო, და ამასაც იმიტომ აკეთებდა, რომ მოძღვრის მეთვალყუ-

რეობის ქვეშ ყოფილიყო და ეშმაკის ხიბლში არ ჩავარდნილიყო. მხოლოდ რამდენიმე ზეციური გამოცხადების შესახებ გაანდო მან თავის ერთგულ, ფარულ მოწაფეს – ეპიფანეს.

ამიტომაც გეუბნები, შვილო, ნურასოდეს დაინტერესდები ასეთი საგნებით, არამედ მხოლოდ ღმრთის წყალობა ეძიე და ცხონდები.

\* \* \*

ჩემს მესხიერებაში ღრმად აღიბეჭდა მამა მაქსიმე-მაგალობლის სახე. მე მას ერთ ძმასთან ერთად ვეწვიე. ის ამ დროს, მძიმე სნეულების გამო, ლოგინს იყო მიჯაჭვული. მისი მოკრძალებული გარეგნობა ნათლად მეტყველებდა იმაზე, რომ იგი სული წმიდის განსაკუთრებული ნიჭებით იყო შემკული. ის ადრე კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა და პროტოფსალტისი იყო, მაგრამ მან მოიძულა სახელი და დიდება, უარყო ამსოფლიური ამაოება და მთაწმინდას მოაშურა, რათა აქ, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, სულიერ ბუღბუღად ქცეულიყო.

მღუმარედ, მოთმინებით იწვა თავისი სნეულების სარეცელზე. ოცდაათი წელიწადი მან მამა კირილეს მორჩილებაში გაატარა. ახლა კი, როდესაც მის სხეულს ერთიმეორის მიყოლებით დაეუფლა სნეულებები, მამა კირილე, თავის მხრივ, სიმდაბლით, თავგანწირვით ემსახურებოდა მას. ჩვენ აღელვებულები ვიდექით მის საწოლთან – იმ იმედით, რომ იგი თავისი გალობის ხმას გაგვაგონებდა. ამის შესახებ მამა კირილესაც ვუთხარით და მან აკურთხა ავადმყოფი, დაეკმაყოფილებინა ჩვენი თხოვნა.

– მე უკვე დამავიწყდა გალობა, – მდაბლად წარმოთქვა მამა მაქსიმემ, – ახლა მხოლოდ იმაზელა ვფიქრობ, რომ მოთმინებით გავლიო ჩემი ავადმყოფობის დღეები, რათა, როდესაც ამქვეყნიდან განსვლის ჟამი დამიდგება, ჩემს სულში მტკიცე იმედი და საკუთარი ცნონების შინაგანი უწყება იყოს. თუმცა, მორჩილება რომ გავწიო, ცოტას ვიგალობებ.

როცა წამოჯდომას ცდილობდა, მან თქვა:

– ავად ვარ და ძალიან მიჭირს...

ჩვენ დავეხმარეთ და ზურგს უკან რამდენიმე ბალიში ამოკუდეთ.

– უკვე კარგა ხანია, დამისთევის ლოცვაზე აღარ მიგალობია. ახლა მხოლოდ ღვთისმშობელს ვუგალობ – ჩვენი უფლისა და ყველა მთავმინდელის დედას. ამიტომაც „ღირს არსს“ ვიგალობებ.

მთლად სმენად გადავიქეცი, რომ წმინდა მოწამის გალობით დავმტკბარიყავი: ასეთად ვთვლიდი პირადად მე მამა მაქსიმეს. როდესაც მან გალობა დაიწყო, მომეჩვენა, თითქოს ზეციური მელოდეები იღვრებოდა მისი ბაგეებიდან. პირველად, და შესაძლოა უკანასკნელადაც ვუსმენდი ასეთ ანგელოზებრივ გალობას.

ბოლო მარცვალი რომ ჩაამთავრა, აღელვებული და დაღლილი, კვლავ თავის ლოგინზე მიწვა.

ჩვენ მაღლობა გადავუხადეთ მამა მაქსიმეს და მაშინვე გამოვემშვიდობეთ. მისი სენაკიდან გამოსულმა, გარშემო შემოვუარე მთელს სახლს და უკანასკნელად მოვათვალიერე ყველაფერი. მას შემდეგ მე ეს სახლი აღარ მინახავს. თვითონ მამა მაქსიმე ახლა ზეციური იერუსალიმის მოქალაქეა და,

ყოვლადწმიდა სამებისა და ღვთისმშობლის წინაშე მდგარი, დაუღუპებლად გალობს „გალობასა ძლევისასა“ ანგელოზების დასთან ერთად: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს...“

\* \* \*

მამა დამიანე კავსოკალიველი წარმოშობით მესინიიდან იყო. კეთილი, გულთბილი, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, თეთრწვერა, მაღალი და დიდებული – ის თავისი გარეგნობით პატრიარქს მოგაგონებდათ.

მამა ათანასე – წარმოშობით სტრენძოვასელი – მადლმოსილი, მხიარული და ძალიან უბრალო ბერი იყო. სადაც უბრალოებაა, იქ ღვთაებრივი მაღლი მკვიდრობს, იქაა სული წმიდის ნიჭები და ღმრთის ლოცვა-კურთხევა. ყველა მონაზონი, ყველა მამა, ვინც კი მთაწმინდაზე გავიცანი, სწორედ ბავშვური, სანარებისეული უბრალოებით გამოირჩეოდა.

უბრალოება და სიყვარული კავსოკალიველების დამახასიათებელი თვისება იყო. მათ ერთი მშვენიერი ტრადიციაც ჰქონდათ: ყოველ პასექის დღესასწაულზე მამები ჯგუფ-ჯგუფად შეიკრიბებოდნენ, ყველა კალივას შემოივლიდნენ და ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდნენ: „ქრისტე აღდგა!“

იმ აღდგომა დღეს მე ჩემი ისინასტირიონიდან ვუყურებდი მამების ჯგუფებს. ისინი ერთი კალივიდან მეორეში გადადიოდნენ და როგორც ბავშვები, „ალილოს“ რომ გალობენ, ასე გულწრფელად, აღფრთოვანებით გალობდნენ „ქრისტე აღდგას“ და სხვა სააღდგომო ჰიმნებს.

ისე დაემთხვა, რომ რამდენიმე ჯგუფი მამა მიქაელის – კეთილი, გულთბილი და სტუმართმოყვარე ბერის კალივაში

შეხვდა ერთმანეთს. აღდგომის ტროპარების გალობა რომ და-  
ამთავრეს, ყველანი გარეთ, კალივის ეზოში დასხდნენ წასა-  
ხემსებლად. ჩვენი ისიხასტირიონიდან ყველაფერი კარგად  
ჩანდა. ისინი ხის კუნძებზე ისხდნენ. სუფრაზე ეწყო წითელი  
კვერცხები, ყველი და ღვინით სავსე თუნგი.

ამგვარად, მამებმა თავიანთი სულიერი სიხარული მიწიე-  
რი სიკეთით შეავსეს, ამის შემდეგ კი ხელში აიღეს ნევები  
და კვლავ ენითუთქმელი სიხარულით დაიწყეს გალობა... მა-  
თი სუფთა, მოხარული, მოზეიმე ხმები ექოდ გაისმოდა ხეო-  
ბაში, ეშვებოდა მშვიდ, მოლივლივე ზღვაში, სცილდებოდა  
ათონის მწვერვალს და აღწევდა თვით ციურ ვარსკვლავებამ-  
დე...



სამ სახელგანთქმულ კინოვიაში

მე განსაკუთრებულად მიყვარდა წმინდა დიონისეს მონასტერი. როცა დაფნიში ფეხით მივდიოდი, ხანდახან იქაც შევივლიდი ხოლმე და ჩემს საყვარელ, პატივცემულ მამებს — ბერ გაბრიელსა და მამა ლაზარეს მოვინახულებდი; აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის მარჯვენას ვემთხვეოდი, ლოცვა-კურთხევას ვიღებდი მისგან.

ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს ტაძრის სტოვაში დავინახე კუბო, რომელშიც გარდაცვლილი ძმა ესვენა. კუბოს გარშემო, სტასიდებში, მამები ისხდნენ, ფსალმუნის კითხვას უსმენდნენ და მიცვალებულის სულისთვის სკვნილზე ლოცულობდნენ.

როდესაც წმინდა ნაწილებს ვემთხვეოდა და იქაურობა მოვათვალიერე, ერთ-ერთ კუთხეში ღრმად პატივცემულ მამა ლაზარეს მოკვარი თვალი. მე მას დაწესებული მეტანია გავუკეთე და ვკითხე:

— ვინ გარდაიცვალა?

— მამა პოლიკარპე, — მიპასუხა აღელვებულმა.

საშინლად დავიბენი.

— კი მაგრამ, ამას წინათ, აქ რომ ვიყავი, თავს მშვენივრად გრძნობდა.

— წამოდი, გავიდეთ, — მითხრა მან, — გარეთ ვილაპარაკოთ.

ჩვენ ეკლესიიდან გავედით და მამა ლაზარემ მღელვარებით მომითხრო მამა პოლიკარპეს გარდაცვალების შესახებ:

– გარდაცვალებამდე სამი საათით ადრე მან ილუმენს კარზე დაუკაკუნა და უთხრა: „მამაო, მე მალე ამქვეყნას დავტოვებ. აილე ჩემი სენაკის გასაღები და მოამზადე სანთლები და ყველაფერი, რაც დაკრძალვისთვისაა საჭირო“. მან გასაღები ილუმენს გადასცა, თან ხელზე ემთხვია და, ამგვარად, თავისი ბერისგან უკანასკნელად აიღო ლოცვა-კურთხევა. ილუმენი თავიდან უარზე იყო, მაგრამ მამა პოლიკარპე თავისას არ იშლიდა. ის სასწრაფოდ მოვიდა ჩემთან საავადმყოფოში; მე ლოგინზე დავაწვინე და ვკითხე რა აწუხებდა. „თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, – მიპასუხა მან, – მალე წავალ. დაუძახე ილუმენს და ძმებს, რომ ზეთი მაცხონ და მაზიარონ“. მალე მონასტრის მთელი ძმობა შემოიკრიბა. მამა პოლიკარპეს ზეთის კურთხევის საიდუმლო ჩაუტარეს და ქრისტეს სისხლსა და ხორცს აზიარეს. ამასობაში მას სიცხე აუვარდა და სამი საათიც არ იყო გასული, რომ უცბად ბერს დაუძახა. მაგრამ სანამ ბერი მოვიდოდა, ის გარდაიცვალა...

– საოცარი გარდაცვალებაა, – თქვა ბოლოს მამა ლაზარემ, – ღირსის გარდაცვალება. ის ჭეშმარიტად დიდი მოღვაწე იყო. ღმერთმა შეგვიწყალოს მისი ლოცვით.

ამ ამბავმა მეც ძალიან ამაღელვა და წმინდა მღვდელ-მონაზვნის დაკრძალვაზე დავრჩი. მე ვუყურებდი მას, კუბოში მწოლიარეს, თავიდან ბოლომდე ანაფორაში გახვეულს, და საშუალება არ მქონდა, დამენახა მისი ღირსეული სახე (როდესაც მონაზვნები კვდებიან, მათ ისე ახვევენ ანაფორაში, რომ სახე აღარ უჩანთ). როგორც ამბობენ, მონაზონი, რომელიც ღმერთს შეეწირა, რომელიც მკაცრად მარხულობდა ღმრთის გულისათვის, რომელიც მღვიძარებდა, ოფლს ღვრი-

და და თავისი სენაკის დაძველებულ იატაკს სინანულისა და სიყვარულის მხურვალე ცრემლებით ალტობდა, — ასეთი მონაზონი უკვე აღარ ეკუთვნის ამ ცრუ წუთისოფელს, ის უკვე წმინდანთა რიგში დგას.

განსაკუთრებით ამაღელვებელი სურათი ვიხილეთ აკლდამაში. როდესაც ცხედარი კუბოდან ამოასვენეს და გახსნილი საფლავის გვერდით მოათავსეს, ამ დროს გაისმა წმინდა ილუმენის მდაბალი, ლმობიერი, მღელვარე ხმა:

— ძმანო და მამანო, ჩვენი ძმა, მღვდელ-მონაზონი პოლიკარპე, ამ წარმავალი სოფლიდან მარადიულ სავანეში გადავიდა. მოდით, ერთხელ „დავატრიალოთ“ სკვნილი მისი სულის მოსახსენიებლად.

და აღელვებულმა დაიწყო:

— უფალო იესუ ქრისტე, განუსვენე სულსა მონისა ამის შენისასა...

დიონისეს მონასტრის შესახებ კიდევ დაუსრულებლად შემოდგოა ვილაპარაკო, მაგრამ მხოლოდ მცირედითღა შემოვიფარგლები.

სკიტებისა და სენაკების მონაზვნებს ასეთი ჩვეულება აქვთ: მონასტრის ტაძრის დღესასწაულზე ისინი იკრიბებიან მონასტერში და ეხმარებიან მამებს. ერთხელ, დიონისეს მონასტრის დღესასწაულზე, ბერის კურთხევით მეც წავვედი იქაური მამების დასახმარებლად. ჩემთან ერთად კიდევ ორისამი ძმა წამოვიდა.

თითქმის მთელი მთაწმინდიდან შემოიკრიბნენ მონაზვნები და ერისკაცები წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის საზეიმოდ. ჩვენ გაცხარებულები ვმუშაობდით, ყველა მორჩილება-

ზე ვეხმარებოდით მამებს: დალაგებაზე, არქონდარიკში, სამ-  
ზარეულოში – ყველგან. დღესასწაულის წინა დღეს მონას-  
ტერს ეწვია მელეტოპოლის მიტროპოლიტი – აწ განსვენე-  
ბული იეროთეოსი. დაიწყო ზარების რეკვა, გალობა. იღუმენ-  
ნი, მგალობლებთან და მღვდელ-მონაზვნებთან ერთად, გავიდა  
მიტროპოლიტის შესახვედრად. შთამბეჭდავი სურათი იყო.

სალამოს, როდესაც მზე ჩაესვენა, კვლავ გაისმა ზარების  
რეკვა, და მალე, მთელი თავისი დიდებულებით, ღამისთევის  
ლოცვაც დაიწყო: „დიდება წმიდასა ერთარსსა და ცხოველ-  
სმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა...“

მარჯვენა კლიროსის მგალობელი იყო მამა დანიელ კატუ-  
ნაკელი, რომელსაც თავისი მორჩილები – გერონტი და ნი-  
ფონი ეხმარებოდნენ; მარცხნივ ვიდაცა ახალსკიტელი გა-  
ლობდა. მათი გალობის მოსმენისას ისეთი გრძნობა დამეუფ-  
ლა, თითქოს სადღაც, ზეციურ სავანეებში ვიმყოფებოდი. დი-  
აკვნებს ხელში კაციები ეჭირათ და საგალობლის ტაქტში აკ-  
მევდნენ. მამა დანიელმა თავისი ძლიერი ხმითა და რიტმის  
ხელოვნებით ისეთი საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემ-  
ზე, რომ ეს ღამისთევის ლოცვა სამუდამოდ დამამახსოვრდა.  
ან იქნებ გალობა არც იყო მთავარი: მამა დანიელი, პირველ  
რიგში, მაღალი სულიერების მქონე მონაზონი იყო.

დაიწყო საღმრთო ლიტურგია. მღვდელმთავარი, მღვდლე-  
ბი, დიაკვნები, მგალობლები, კანანარხი და ეკლესიარხები –  
ყველანი ერთად რაღაც არაამქვეყნიურ ელფერს აძლევდნენ  
ღვთისმსახურებას. ღმერთი და ადამიანები შეერთდნენ. ტაძარ-  
ი ზეცას დაემსგავსა. „ტაძარსა ამას დიდებისა შენისასა

მდგომარენი, ზეცას მდგომარეთა მივემსგავსებით...“ — ამ საგალობლის აზრი სწორედ ასეთ წუთებში ხდება გასაგები.

ტაძრის ბრწყინვალეობამ მალე სატრაპეზოში გადაინაცვლა. ტრაპეზს ესწრებოდა დაახლოებით სამას ორმოცდაათი მამა. სუფრის თავში ეპისკოპოსი იჯდა, მის გვერდით — მონასტრის ილუმენი, შემდეგ კი — მღვდლები და მონაზვნები. ყველანი ჭამდნენ და ამავე დროს მკითხველს უსმენდნენ. ტრაპეზის ბოლოს შესრულდა პანაგიის წესი. ჩვენ ვიგალობეთ „ღირს არსი“ და ყველამ ავიღეთ პატარა ნაწილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სეფისკვერიდან.

მე მწუხრის ლოცვას აღარ დავსწრებივარ: ბერის ლოცვა-კურთხევა მქონდა, მეორე დღესვე დავბრუნებულიყავი სკიტიში.

ღამისთევის ლოცვები დიდ სულიერ სარგებელს აძლევდა ყველა მთაწმინდელს, და მეც ჩემი სულის დამუშავების საუკეთესო საშუალებად მიმაჩნდა ისინი. რაკი თვითონ სულიერად ღარიბი და უბადრუკი ვიყავი, ცვდილობდი ღამისთევის ლოცვის დროს სხვა მამებისგან ამელო რაღაც ისეთი, რაც ღმერთთან მიახლოებაში დამეხმარებოდა.

ჩემი თანამოძმე — მამა იოაკიმე ხშირად ამბობდა, რომ თუ ღამისთევის ლოცვისას მონაზონი გულით ვერ მიუახლოვდება ღმერთს, მაშინ მისი შრომა და მისი მსხვერპლი ამაოა. მონაზვნის ყოველი სულიერი მოძრაობის დასაწყისი და დასასრული ღმერთი უნდა იყოს. ამიტომაც ვიწყებთ ღამისთევის ლოცვას კმევითა და ცხოველსმყოფელი სამების განდიდებით, და ამიტომაც მთელი გულითა და გონებით ღვთაებრივი დიდების ტახტთან უნდა ვიმყოფებოდეთ.

\* \* \*

ჩემს დროს გრიგორიუს მონასტერი ერთ-ერთ საუკეთესო მონასტრად ითვლებოდა მთაწმინდაზე. იქაური მამები მკაცრი მოღვაწეები იყვნენ. მათი ილუმენი — არქიმანდრიტი ათანასე — სწორ მიმართულებას აძლევდა საგანის სულიერ ცხოვრებას. ჰოე, დიდებული ხატება! მე შევეცადა აღმებეჭდა იგი „თანამედროვე მთაწმინდური სახეების“ მეორე ტომში.

აწ განსვენებული მამა დიმიტრი გრიგორიატელი ჭეშმარიტი მოწამე იყო. იგი ოც წელიწადზე მეტხანს იტანჯებოდა თიაქარის გართულებული ფორმით. მთელი მისი შიგნეულობა ერთ ტომრად გადაიქცა, და ეს მაშინაც კი შესამჩნევი იყო, როდესაც მას ანაფორა ეცვა. ექიმები დაჟინებით სთხოვდნენ, გაეკეთებინა ოპერაცია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ღვთისმსახურებაზე სიარული მაინც შეეწყვიტა, და, მით უფრო, თვითონ არ აღესრულებინა მსახურება. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, იგი ოცი წლის მანძილზე ყოველდღე აღასრულებდა საღმრთო ლიტურგიას და არც ერთ საღვთისმსახურო ღოცვას არ აცდენდა. ვინც გრიგორიუს მონასტერში დადიოდა, ყველა განცვიფრებული იყო მისი გმირობით.

კიდევ ერთი გმირი მოთმინებისა — ეს იყო მამა კონსტანტინე: არაჩვეულებრივი მონაზონი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ტანჯვასა და სნეულებებში გაატარა. ღმერთმა ღირსეული აღსასრული მიჰმადლა მას: ის გარდაიცვალა იმავე წამს, როგორც კი წმინდა საიდუმლოს ეზიარა.

არ შემიძლია, არ გავიხსენო აგრეთვე ბერი არტემი გრიგორიატელი. როგორც მისი თანამედროვე მამები ამბობდნენ, ღვთისმსახურების დროს ის არასოდეს ჯდებოდა სტასიდაში.

რამდენიმე ხანს მამა არტემი არტაში მსახურობდა, მონასტრის ერთ-ერთ მეტოქეში. იქაური მაცხოვრებლები განცვიფრებულები იყვნენ მისი კაცთმოყვარეობით. მაგალითად, ის მიდიოდა ბაზარში საყიდლებზე, მაგრამ იქიდან ხელცარიელი ბრუნდებოდა, რადგან გზაში ყველაფერს მოხუცებულებსა და მათხოვრებს ურიგებდა.

იგი საოცრად უბრალო იყო. ერთხელ მონასტრის საქმეებზე პირეაში ჩავიდა. ნავსადგურში მას მეძავი ქალი გამოელაპარაკა და თავის სახლში დაპატიჟა. გულუბრყვილო ბერმა მაშინვე მიიღო ქალის წინადადება.

— მაღლობა ღმერთს, — თქვა მან, — ამ აუარება ხალხში ერთი ადამიანი მაინც გამოჩნდა, ვინც თავის სახლში გამათევინებს ღამეს!

ქალმა ის ერთ-ერთ ოთახში შეიყვანა, სუფრა გაუწყო და ცოტა ხანს მარტო დატოვა. მამა არტემმა სკვნილზე ლოცვა დაიწყო. მალე ქალმაც დააკაკუნა, მაგრამ ბერი მიჩვეული იყო, კაკუნთან ერთად ლოცვაც გაეგონა, თვითონ „ამინი“ ეპასუხა და მხოლოდ ამის შემდეგ გაეღო კარი.

— თქვი „ლოცვითა“, — გასძახა მან ქალს, როდესაც ამ უკანასკნელმა დაჟინებით დაიწყო კაკუნი. — თქვი „ლოცვითა“, თორემ არ გაგიღებ.

„რაკი „ლოცვითას“ არ ამბობს, — ფიქრობდა ბერი, — ესე იგი, ნამდვილად რაღაც დემონური სულია“, — და იგი კვლავ

სკვნილზე ლოცვას აგრძელებდა, კაკუნს კი არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა.

მეორე დღეს, როდესაც ქალმა ნახა, რომ მამა არტემმა ღამის გათევის ფულიც კი არ გადაიხადა, წავიდა და საეპისკოპოსოში უჩივლა მას. ბერი თავს იმით იმართლებდა, რომ ქალმა თვითონ მოისურვა მისი მიღება — ისე, რომ ფული არ უთხოვია. საეპისკოპოსოს მსახურები განცვიფრდნენ მამა არტემის უბრალოებით და მისი ღამის გათევისა და კვების ფული თვითონ გადაიხადეს.

\* \* \*

კონსტამონიტუს მონასტერი — ეს ჩემი ბერის სინანულის მონასტერი იყო,<sup>1</sup> ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენ იქ ხშირად დავდიოდით, განსაკუთრებით კი დღესასწაულებზე. ამ მონასტერში მე თითქმის ყველა მოღვაწე მამას ვიცნობდი: მამა ფილარეტი, მამა სტეფანე, მამა ნიფონი, მამა მოდესტი, მამა სვიმეონი — ყველა ეს მამები მონაზვნური სრულყოფილებისათვის იღვწოდნენ.

მონასტრის ერთ-ერთი დღესასწაული აღესრულება წმინდა კონსტანტინეს ხსენების დღეს. ერთ წელიწადს, ამ დღეს, ჩვენი სკიტიდან რამდენიმე ძმა კონსტამონიტუს ვესტუმრეთ, რათა იქაური მამების სიხარული გაგვეზიარებინა.

თითქმის მთელი მთაწმინდიდან შემოიკრიბნენ აქ მომლოცველები. ღამისთევის ლოცვას ძალიან სახეიმო ელფერი ჰქონ-

---

<sup>1</sup> ანუ პირველი მონასტერი, რომელშიც დამკვიდრდა მთაწმინდაზე ჩამოსული მამა გრიგორი და რომელშიც აღიკვეცა.



და. ყველა და ყველაფერი ღმერთს განადიდებდა და იმპერატორ კონსტანტინეს მიაგებდა პატივს.

სამზარეულოს მორჩილება რომ დავამთავრე, ეკლესიის სტოვაში შევედი და ერთ-ერთ სტასიდაში დავჯექი. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვენა, მეზობელი სტასიდიდან მშვიდი ჩურჩული მომესმა, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდებოდა და მე უკვე კარგად ვარჩევდი სიტყვებს: „უფალო ჩემო, შემიწყალე მე“. მალე ამ ლოცვასთან ერთად სლუკუნიც გაისმა. მე გავივინდე. ვინ არის ეს ძმა, რომელიც ასეთი დაძაბული ლოცვითი ცხოვრებით ცხოვრობს და თვით სადღესასწაულო ღამისთვის დროსაც კი არ წყვეტს მას? სულ მალე მივხვდი, რომ ეს იყო ძმა N – ცნობილი თავისი კეთილკრძალო ცხოვრებით. იგი ოცი წლისა მოვიდა მთაწმინდაზე. იმ დროს კონსტანტინეს სულიერ ლაშქარში მრავალი წმინდა მამა შედიოდა და N მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მათს მაგალითს ბაძავდა: ასრულებდა ყველაზე მძიმე მორჩილებებს და სულიერ ღვაწლშიც პირველი იყო. ახლაც, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, მამა N სულიერი ცხოვრების იმავე გზას ადგას. მოღვაწე მონაზვნები ყველანაირად ცდილობენ, დაფარონ თავიანთი ღვაწლი, მაგრამ ეს მათ არ გამოსდით, – მათი ღვაწლი ყოველთვის ცხადდება, თვალსაჩინო ხდება.

ღამისთვის ლოცვამ, რომელიც პატივცემულ იღუმენს – მამა სვიმეონს მიჰყავდა, დიდ სულიერ დაძაბულობაში ჩაიარა.

რამდენჯერ შევსწრებივარ მამების სულთქმასა და ცრემლებს, – მამებისა, რომლებიც ასე ღრმად შეიგრძნობდნენ ღმრთის სიანგლოვს!

ზემოხსენებულ მონაზვნებს შორის განსაკუთრებულად მინდა გამოვყო მამა მოლესტი. იგი ღმერთს უხვად დაეჯილდოებინა სათნოებებით. მრავალი წელიწადი მოანდომა მან წმინდა მამების თხზულებების შესწავლას. წლების მანძილზე სანიტრის მორჩილებას ასრულებდა მონასტრის საავადმყოფოში და ავადმყოფ ძმებს ემსახურებოდა, ამავე დროს ბიბლიოთეკარიც იყო. ურთიერთობაში — ფაქიზი და დიდსულოვანი; მონასტერში ყველა მონაზონს თავის ძმად თვლიდა და ამით ცოცხლობდა.

ერთხელ, როდესაც მე და მამა მოლესტი ასწლიანი ხეების ქვეშ ვსვირნობდით, მან მითხრა:

— თუ იმის შეგრძნება არ გაგვაჩნია, რომ ყველა ძმა ჩვენია, ჩვენ კი — მათი, მაშინ ჩვენს გულში არასოდეს დაიმკვიდრებს სული წმიდა. ძმების მიმართ ჩვენი სიყვარული არ უნდა იყოს დამოკიდებული მათს სულიერ ღირსებებზე. აქ თვით ღმერთი გვაძლევს მაგალითს: მას ყველანი ერთნაირად ვუყვარვართ, ყველა ჩვენგანზე ერთნაირად ზრუნავს, — მიუხედავად ჩვენი სხვადასხვა სულიერი მდგომარეობისა. უკანასკნელი ცოდვილი მას ისევე უყვარს, როგორც მართალი და წმინდა. ამიტომ ჩვენც უნდა შევიყვართ ყველა ადამიანი და, მით უფრო, ყველა მონაზონი მთაწმინდაზე. სიყვარულს ბევრის მოთმენა შეუძლია, ბევრის დათმობა. და ასე მოწესრიგდება ჩვენი ურთიერთობა ჩვენს თანამოღვაწეებთან. ღმერთი, ძმაო, სიყვარულია...

სიყვარული მუდამ თან სდევდა მამა მოლესტის და იგი ხშირად საუბრობდა ამ თემაზე. მისი ყველა მოქმედება უტყუარი და სარწმუნო იყო, რადგანაც ღმერთის ნებასთან იყო

შერწყმული. მე მას დიდ პატივს ვცემდი და კონსტამონიტუს მონასტერში სტუმრობისას ყოველთვის ვცდილობდი, მეტი დრო გამეტარებინა მის გვერდით. იგი დამეხმარა იმის შეცნობაში, რომ სიყვარულის წინაპირობა ღმერთთან ერთობაა, რაც ლოცვისა და საიდუმლოებებში მონაწილეობის გზით მიიღწევა.

წლების მანძილზე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მამა ნიფონსა და მამა მოდესტის მოწინავე ადგილი ეკავათ კონსტამონიტუს მონასტრის სულიერ ცხოვრებაში. შესაძლოა, ახლა ვცოდავდე კიდევ მათ წინაშე, რადგანაც ისინი კვლავ ამ ცოდვილ მიწაზე იმყოფებიან. მაგრამ იმედი მაქვს, მამები შემინდობენ და თავიანთი სიყვარულით დაფარავენ ჩემს შეცოდებას.

ათონის მიტროპოლიაში

ერთხელ ბერმა მაკურთხა, ლავრაში წამელო რაღაც წერილი და გადამეცა კრებისთვის. კალივიდან შუალამისას უნდა გავსულიყავი, რომ დილით კანცელარიის გახსნისთვის მიმესწრო. ამ შემთხვევაში უფრო სწრაფად გავაკეთებდი საქმეს და სწრაფადვე გამოვბრუნდებოდი უკან.

– ფრთხილად იყავი, ქერუბიმ, – მითხრა ბერმა წასვლის წინ, – თუ ღამე ტყეში ვინმე შეგხვდება, არ დაელაპარაკო. ხომ იცი, ვისაც ვგულისხმობ (ის გულისხმობდა ერთ კონკრეტულ პირს), ადრეც მითქვამს შენთვის. გზაში იესოს ლოცვა თქვი და სანამ ლავრამდე მიხვალ, მთელ სკვნილის კანონს შეასრულებ.

მე მეტანია გავუკეთე ბერს, ლოცვა-კურთხევა ავიღე მისგან და კალივიდან გამოვედი.

ღამეა. მივდივარ ტყეში. ისმის რაღაც უცნაური ხმები, რაც დაძაბულობას იწვევს ჩემში. „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეგვიწყალებ ჩვენ“; „ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ“; „წმიდაო ღმრთისაო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის“. მთელი ცისკრის შედეგი სკვნილზე უნდა შემესრულებინა. უცბად ჯორის ფეხების თქარათქური მომესმა. შევწუხდი. იქნებ ეს სწორედ ის „არასასურველი“ პიროვნებაა? თუმცა, ვინც არ უნდა იყოს, მე თავდახრილი ვივლი და „მაკურთხესაც“ კი არ ვეტყვი. ასეთია ბერის ლოცვა-კურთხევა.

მალე მართლაც „არასასურველი“ პიროვნების გვერდით აღმოვჩნდი.

— მომისმინე, მონაზონო! — შესძახა მან. — ვიცი, რაც გითხრა შენმა ბერმა: გითხრა, რომ თუ გზაში შემხვდებოდი, არათუ ხმა არ უნდა გაგეცა ჩემთვის, არამედ არც კი უნდა შემოგეხედა. მაგრამ მე ძალიან მინდა, რაღაც გაგიზიარო საკუთარი გამოცდილებიდან.

მე არ შევჩერებულვარ, ჩემი გზა გავაგრძელე. თუმცა ცნობისმოყვარეობამ მძლია და ოდნავ შევანელე ნაბიჯი, რომ გამეგო რას მეტყოდა. ღამის სიჩუმეში მკაფიოდ გაისმოდა მისი ხმა:

— მოწამეებად მართო ის ადამიანები კი არ ითვლებიან, რომლებიც ცეცხლში დაიწვენენ, ან მხეცებმა დაგლიჯეს, ან თავები წარეკვეთათ. არა, მოწამეები არიან ისინიც, ვინც კერპების წინაშე ხელის ერთ პატარა მოძრაობაზეც კი უარი თქვა. გესმის? კარგი მონაზონი მხოლოდ მაშინ დადგები, როცა შენი მორჩილების საქმეში წვრილმანებსაც კი დიდ ყურადღებას მიაქცევ.

აღელვებულმა გავაგრძელე გზა: მე ამაღელვა არამართო ამ პიროვნებასთან შეხვედრამ, არამედ იმანაც, რაც მისგან მოვისმინე. მაინც სად შეაგროვა მოხუცმა ვ-მ ამხელა სიმდიდრე? და მე ვმადლობდი ღმერთს, რომ „პიროვნებასაც“ გავეჩქეცი და სულიერი სარგებელიც მივიღე.

დილით, სანამ მონასტერი გაიღებოდა, უკვე მის გალავანთან ვიდექი. ანაფორა ჩავიცვი, მახალაკი მოვაწესრიგე და როგორც კი მეკარემ ჭიშკარი გააღო, შევედი და პირდაპირ არქონდარიკისკენ გავემართე. მონასტრის მესტუმრემ, აწ

განსვენებულმა მამა აგათანგელოსმა, დაწესებული ყავა დამალევინა, ყავის შემდეგ კი, კანცელარიის გაღებამდე, ეზოში გავისეირნე. იქ ჩემი უსაყვარლესი და უპატივცემულესი მამა თეოფილე-მეკუჭნავე შემხვდა. ეს იყო ჭეშმარიტად წმინდა ადამიანი. მონასტერში ის თავისი მკაცრი ცხოვრებითა და სათნოებებით გამოირჩეოდა.

— მამა ქერუბიმ, — მითხრა მან, — მინდა გნახო, სანამ წახვიდოდე.

რა შეიძლება ითქვას ამაზე? არც უღაბნო, არც კინოვია, არც იდიორიტმი — ადამიანს წმინდანად არ აქცევს. მას წმინდანად აქცევს ღმრთისადმი და მორჩილებისადმი საკუთარი თავის სრული მიძღვნა.

რაკი ჩემს განკარგულებაში საკმაო დრო იყო, მამა ამბაკუმსაც ვეწვიე სენაკში. როცა კი ლავრაში ღამის გათევას დავაპირებდი, ეს ადამიანი — სიყვარულის ეს განსახიერება — ყოველთვის თავისთან მტოვებდა საავადმყოფოში.

— მონასტერში რომ მოხვალ, — მითხრა მან ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ, — მაშინვე ჩემთან შემოდი.

თვეების და წლების მანძილზე — დღისით თუ ღამით, ზამთარში თუ ზაფხულში — მამა ამბაკუმი ვარცლზე დახრილი ურეცხავდა და ბანდა ჩავარდნილ ავადმყოფებს, — არა მხოლოდ მონასტრის ძმებს, არამედ მრავალ უპატრონო, მიტოვებულ ერისკაცსაც. ვარცლისა და რეცხვის შემდეგ სამზარეულოში გარბოდა ტრაპეზის მოსამზადებლად. ის აჭმევდა ავადმყოფებს, უცვლიდა მათ ტანსაცმელს და ყოველთვის სუფთად ჰყავდა ისინი.

ამ მორჩილებებს რომ დაამთავრებდა, იგი იწყებდა თავისი მონაზვნური მოვალეობის შესრულებას: საავადმყოფოს სამლოცველოში კითხულობდა მთელ ოცდაათხსაათიან ლოცვის შედეგს, ამასთან ერთად კი თავის „კანონსაც“ ასრულებდა. წლების მანძილზე იცავდა იგი ამ წესს. როდის იძინებდა ან რამდენ ხანს ეძინა — ეს მე არ ვიცი, თუმცა ხშირად ვრჩებოდი მასთან ღამის გასათევად.

დიდ ღაღრაში კიდევ ბევრი საუკეთესო მამა ცხოვრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ყველა მათგანს არ ვიცნობდი.

მამა ათანასე კამბანაოსი სახელგანთქმული სწავლული ექიმი იყო, ნიჭიერი და გულთბილი ადამიანი. იგი ყველას კეთილგანწყობით სარგებლობდა. მის სიახლოვეს ადამიანები სულიერ სიხარულს განიცდიდნენ.

ჩემი ბერისგან შევიტყვე, რომ ეს იყო მოღვაწე მონაზონი და ხშირად დადიოდა მეუღაბნოე მამებთან. იმასაც კი ამბობენ, რომ იგი დაკავშირებული იყო თორმეტ ასკეტთან, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, ათონის მთის ყველაზე წმინდა მონაზვნებად ითვლებიან და სრულიად განმარტოებით ცხოვრობენ. მათ არავინ იცნობს, მხოლოდ მამა ათანასეს ჰქონდა მათთან ურთიერთობა: სეფისკვერით და ღვინით ამარაგებდა, რომ საღმრთო ლიტურგია აღესრულებინათ. იგივე გადმოცემა გვაუწყებს, რომ დედამიწაზე უკანასკნელ ლიტურგიას სწორედ ეს თორმეტი უხილავი მონაზონი ჩაატარებს. მათი რიცხვი არასოდეს იცვლება. როცა რომელიმე მათგანი კვდება, მის ადგილს მთაწმინდის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მონაზონი იკავებს. ეს ხმები, როგორც ჩემი ბერი მეუბნებო-

და, ძველთაგანვე იყო გავრცელებული მთაწმინდელებს შორის.

მამა ათანასეს მორჩილი – მამა პავლე, თვითონაც ექიმი, თავისი აღმოსავლური კეთილკრძალებით განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა ლავრის ცხოვრებას. მას ძალიან უყვარდა ღვთისმსახურება და ხშირი ზიარების საკითხში წმინდა ნიკოდიმოსის ჭეშმარიტი მიმდევარი იყო.

ლავრის წინამძღვარი – მამა ამბროსი, რომელიც მეტად გონივრულად მართავდა მონასტერს, გაოცებას იწვევდა თითოეულ მნახველში. მის მორჩილებზე – ფილიპესა და ნათანელზე ცხადად შეიმჩნეოდა სწორი მონაზვნური ხელმძღვანელობის კვალი.

ლავრის ძმებს შორის გამოირჩეოდა აგრეთვე მამა იოაკიმე – მამა ამბროსის მჭიდრო თანამოღვაწე მონასტრის მართვის საქმეში, მასთან ერთად კი – მამა ისააკი, მამა ოქროპირი, მამა გერასიმე, მამა ალექსანდრე – საკმაოდ ნიჭიერი და განათლებული ადამიანი, სხვა მამა ალექსანდრე, მამა იეროთეოსი, მამა ტარასი – ფარული მოღვაწე, მამა პანტელეიმონ-ბიბლიოთეკარი, მამა ნილოს პელოპონესელი, მამა გრიგორი – მეორე მდივანი, და სხვა მამები – ღირსი ათანასეს ერთგული მემკვიდრენი, რომლებიც იმ დროისათვის ბრწყინავდნენ ლავრაში.

ლავრა – თავისი უდაბნოებით, სკიტებითა და სხვა განშტოებებით – მთაწმინდის მონაზვნობის აკროპოლს წარმოადგენს. იგი თვით მთაწმინდაა, მთაწმინდა კი – თვით ლავრა.



სანამ წავიდოდი, მამა თეოფილესთან შევიარე. მან მახალაკი სურსათით გამივსო და მე „კურთხევებით“ დატვირთული გამოვემართე ჩემი სკიტისკენ.

\* \* \*

ერთხელ ბერმა წმინდა კონსტანტინეს კათიზმაში გამაგზავნა. იგი ლავრიდან დაახლოებით ორასი მეტრის მოშორებით, ერთ მყუდრო ადგილზე მდებარეობს და ველური მცენარეებითაა გარემოცული. კათიზმის საძმოს ბერი იყო მამა გიორგი, რომლის ასკეტურობის შესახებ მე ძალიან ბევრი რამ მსმენოდა.

კარი ახალგაზრდა მორჩილმა გამიღო და მაშინვე ბერთან შემიძღვა. ეს იყო ასაკში შესული, ჭაღარა მონაზონი — მხიარული და მომდიმარი სახით, ცხვირზე ჩამოშვებული სათვალთა და ახალგაზრდული გამომეტყველებით.

იგი ფეხშიშველი იყო. მისი კაბა საცოდავად გამოიყურებოდა: იატაკის ტილოდ უფრო გამოდგებოდა, ვიდრე შესამოსელად. მე მას მეტანია გავუკეთე და, მისივე კურთხევით, გრძელ, ძველისძველ სკამზე ჩამოვჯექი. მან ჩემი ბერისა და საერთოდ ჩვენი საძმოს შესახებ გამომკითხა. თვითონ ფეხზე იდგა, რის გამოც თავს უხერხულად ვგრძნობდი. რამდენჯერმე შევეცადე ავმდგარიყავი, რადგანაც ჩვენს საძმოში უმცროსს უფლება არ ჰქონდა მჯდარიყო, როცა უფროსი იდგა. თუმცა არაფერი გამომივიდა, — ბერმა მაიძულა კვლავ ჩემს ადგილზე ვმჯდარიყავი.

ამ კალივის ძმები ხატწერით იყვნენ დაკავებული. სწორედ მათგან ისწავლა ჩემმა თანამოდემ — მამა იოაკიმემ ეს ხელოვნება.

კალივაში შესაბრალისი მდგომარეობა იყო: ჭუჭყი, უწესრიგობა, მიუხედაობა.

წახემსების შემდეგ ეკლესიაში ჩავედი. იგი წმინდა კონსტანტინეს სახელობისა იყო. როდესაც ერთ-ერთმა მორჩილმა, სახელად პაისიმ, ეკლესიის კარი გამიღო და შიგნით შემიძღვა, მე გავხვედი: აქ იყო საოცარი სისუფთავე, სამაგალითო წესრიგი და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ხატები; კანდელები ელვარებდნენ, საკურთხეველი ბრწყინავდა. ტაძარსა და საცხოვრებელს შორის იმდენად დიდი კონტრასტი იყო, რომ მე გაურკვეველობაში აღმოვჩნდი.

როგორც მამა იოაკიმე გვეუბნებოდა, მამა გიორგი იყო ასკეტი ხელოვანი, საკუთარი თავის მიმართ მკაცრი და მომთხოვნი. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რას ნიშნავს ეს წუთიერი ცხოვრება და რას — მარადიული, ამიტომაც სრულ გულგრილობას იჩენდა ყველაფერი ამქვეყნიურისადმი. ამას მისი ერთი დანახვითაც მიხვდებოდი, ყოველგვარი გასაუბრების გარეშე. დაუვიწყარი პიროვნება!..

\* \* \*

ერთხელ, დიდი ღაზრიდან რომ ვბრუნდებოდი, მე მივალწვიე იმ ადგილს, საიდანაც ჩემ თვალწინ იშლებოდა უკიდვარნო ეგეოსის ზღვა.

1941 წლის აპრილის დასაწყისი იდგა. უცხად ზღვაში დავინახე ოთხი-ხუთი გემი, რომლებიც ჩრდილოეთისკენ მიე-

მართველდნენ: კავალა — ალექსანდროპოლისი. მე შევჩერდი და ველოდებოდი, როდის მოახლოვდებოდნენ ისინი: მინდოდა კარგად დამეთვალეირებინა, რადგანაც იმ დროს ჩვენ, ყველას, ძალიან გვაღელვებდა ომის ამბები, და რაც ამ ამბებთან იყო დაკავშირებული, ყველაფერი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჩვენში.

როდესაც გემები საკმაოდ მოახლოვდნენ, მე დავრწმუნდი, რომ ეს ბადრაგა იყო: სამი-ოთხი პატარა სამხედრო ხომალდი გარშემორტყმოდა ორ-სამ ძალიან დიდ სატრანსპორტო გემს. მე ამაღელვა ამ სურათის დანახვამ. მაშასადამე, ჩვენი სამშობლო ისევ იბრძვის, ჯერ არ დაუყრია იარაღი. იმავე წამს ჩემს გონებაში ათასნაირი აზრი შემოიჭრა: ჩვენი ახალგაზრდა ძმები ომში არიან; ქალაქები, სადაც ქალები და ბავშვები ცხოვრობენ, განუწყვეტლად იბომბებიან; თავშესაფრები, დაჭრილებით სავსე ჰოსპიტალები, დასახიჩრება, სიკვდილი და კიდევ რამდენი რამ...

ჩემი გონების თვალი თავისთავად ღმერთისკენ მიიქცა. მე მხურვალედ ვევედრებოდი მას, დაგვხმარებოდა ამ დიდ განსაცდელში, რომელშიც ახლა ჩვენი სამშობლო იმყოფებოდა.

— ღმერთო, ისე მოაწყვე, რომ ამ ბადრაგამ ვერ მიაღწიოს თავის მიზანს, და ეს ხომალდები, რომლებიც ჩემ წინ მიცურავენ, მალე დაიღუპონ... ღმერთო, შეაჩერე ისინი, — ვჩურჩულებდი აღელვებული.

ჩემი გული ღმერთისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული იმის გამო, რომ მან წმინდა მთა დაიფარა ომის საშინელებებისაგან. მე დამეუფლა სრული უსაფრთხოების განცდა.

მაგრამ ამის კარგად გააზრებაც ვერ მოვასწარი, რომ მოულოდნელად ხმამაღალი სისინი მომესმა და, როდესაც დავინახარე, ჩემს ფეხებთან დაკლაკნილი გველგესლა შევნიშნე. იგი თავს ნელ-ნელა ზემოთკენ სწევდა, უნდოდა ჩემთვის ეკბინა. იმავე წამს ერთი ინსტინქტური მოძრაობით მე მისგან შორს აღმოვჩნდი და ჩემი კვერთხით მოვკალი იგი. და მაშინ ვიფიქრე, რომ თუკი ღმრთის მფარველობა არა გვაქვს, არსად არაა უსაფრთხოება. იმ გველს რომ ჩემთვის ეკბინა, სიკვდილი გარდაუვალი იქნებოდა, რადგანაც მისი შხამი, როგორც ვიცით, სასიკვდილოა. თანაც იქ, იმ უდაბნოში, არავინ იყო დამხმარე. დიდება ღმრთის სახელს! ამის შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი: „ქერუბიმ, ნურაფერი მოგხიბლავს ამ წუთიერ ცხოვრებაში. უსაფრთხოებას ვერსად იგრძნობ — მხოლოდ ღმრთის გვერდით“.

ბადრაგა ძალიან სწრაფად მიცურავდა და მალე ჩემი მხედველობის არედან გაქრა. პატრიოტული გრძნობებით აღელვებულმა და ღმრთისადმი მადლიერების გრძნობით გამსჭვალულმა, — იმის გამო, რომ მან უეჭველ სიკვდილს გადამარჩინა, — მე გავავგრძელე ჩემი გზა.

როდესაც „ცივ წყლებს“ მივუახლოვდი, ერთი ხანდაზმული მონაზონი დავინახე. მას თავისი ჯორი ბუჩქის ტოტზე დაება და, ფეხებგადაჯვარედინებული, წყაროსთან იჯდა მიწაზე. წინ მახალაკი ჰქონდა გაშლილი, მახალაკზე კი ეწყო რამდენიმე ორცხობილა, რომლებსაც იგი წყალში ალბობდა და თაფლთან და ნიგოზთან ერთად ჭამდა.

მე ამ მონაზონს არ ვიცნობდი. როცა მივესალმე, მივხვდი, რომ რუმინელი უნდა ყოფილიყო. იგი დამტკვრეული ბერძნუ-

ლით ცოტას გამეხსაუბრა, შემდეგ კი თავის უმშვენიერეს სუფრასთან მიმიპატიჟა და კვლავ ტრაპეზი გააგრძელა. მე ვივარაუდე, რომ ეს ალბათ მამა კორნილიუსი იქნებოდა — წმინდა იოანე ნათლისმცემლის რუმინული სკიტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ცივი წყალი, ტყე, მონაზვნის დასაჯდომელი, სუფრის ნაცვლად — მახალაკი, მოშორებით პირუტყვი, რომელიც ბუჩქის ტოტზე მიბმული ძოვს ბალახს: ნებისმიერი ფერმწერი ისურვებდა ამ პეიზაჟის ტილოზე გამოსახვას და იშვიათი სურათიც გამოუვიდოდა.

\* \* \*

ლავრის რაიონში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა აგრეთვე წმინდა პეტრესა და ვიგლას შორის მდებარე უდაბნო.

1941 წლის ნოემბერში, ტაძრად მიყვანების დღესასწაულის წინაღვეს, მამა ანტონი მუსტაკას კავსოკალიველთან ერთად ამ ადგილის გავლა მომიხდა. ჩვენ მივდიოდით ვიგლასში — ჩვენს ნაცნობ ორ ისინასტთან, რომლებიც თავიანთი კალივის დღესასწაულს ზეიმობდნენ.

გზის უდაბური, ფლატეებიანი მონაკვეთი მალე უკან მოვიტოვეთ და საფეხურებზე ასვლა დავიწყეთ. მოულოდნელად ისეთი კეთილსურნელება ვიგრძენი, რომ სუნთქვაც კი შემიკრა. მე შევჩერდი და ჩემს პატივცემულ თანამგზავრს ვკითხე:

— მამაო, რა კეთილსურნელებაა, ვეღარც კი ვსუნთქავ!

— მე ვერაფერს ვგრძნობ, — მიპასუხა მან. — მაგრამ მოდი, ცოტაც გავიაროთ, მერე კი სადმე ჩამოვსხდეთ და ყველაფერს აგისხნი.

ბერს წინადადებაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კეთილსურნელება გაქრა. მალე დასასვენებლადაც ჩამოვსხედით და მე მას კვლავ გავუძეორე ჩემი შეკითხვა.

— ეს კეთილსურნელება ორჯერ მეც ვიგრძენი, — მითხრა მან, — და აქ გავლილი სხვა მამებიც — ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად — ტკებოდნენ ხოლმე ღმრთის ამ საბოძვართ, რომელიც კაცმა არ იცის, საიდან მოდის. თუმცა კეთილსურნელების წყაროდ ჩვენ, ყველანი, მაინც ღირსი პეტრე ათონელის გამოქვაბულს ვთვლით. ეტყობა, აქ სადღაც ახლოსაა დასაფლავებული. მისი გამოქვაბული აქვეა, ცოტა ზემოთ. არის თუ არა აქ დაკრძალული რომელიმე სხვა წმინდანი და მისგან მოდის თუ არა ეს კეთილსურნელება, ჩვენ ზუსტად არ ვიცით. მამა ოქროპირს, ღირსი პეტრეს გამოქვაბულის ამჟამინდელ მკვიდრს, ბევრი რამის თქმა შეუძლია ჩვენთვის ამ სასწაულის შესახებ.

მამა ოქროპირი აქ თავის ბერთან ერთად ცხოვრობდა. ისინი, ორივენი, მკაცრი ასკეტები იყვნენ. მათ თითქმის არაფერი გააჩნდათ. რამდენიმე წაბლი, ცოტაოდენი ორცხობილა, რომელსაც ლავრა უგზავნიდა, და პატარა ბოსტანი — ეს იყო მთელი მათი ამქვეყნიური მონაპოვარი. მაგრამ მათ სძლიეს სხეულის მოთხოვნებს და მიიღეს გმირული გადაწყვეტილება, მიებაძათ ღირსი პეტრე ათონელისთვის.

დიდი ძლეღვარებით იხსენებდა ამ ადამიანებს ტრიკისა და სტაგის მიტროპოლიტი — ნეტარხსენებული დიონისე, რომელიც ლავრაში ცხოვრებისას მამა ზოსიმეს მორჩილი იყო. ხშირად, როგორც მიტროპოლიტი ჰყვებოდა, ბერს იგი ღირსი პეტრეს გამოქვაბულში მიჰყავდა, სადაც ისინი დიდ ტკბო-

ბას განიცდიდნენ ორი წმინდა ასკეტის საზოგადოებაში ყოფნით. „შეუძლებელია, – მეუბნებოდა მიტროპოლიტი, – დავივიწყო მათი თავშეკავება, მათი გულის სიწრფელე, ან კიდევ მათი საოცარი უპოვარება: ისინი თვით ყველაზე აუცილებელ ნივთებზეც კი უარს ამბობდნენ. ძველი, დაბეჭდილი კაბები ეცვათ, მუდმივად ფეხშიშველები იყვნენ. დაუბანლობა შეუხედავს ხდიდა მათს სახეებსა და წვერებს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ასე უსუფთაოდ და საცოდავად გამოიყურებოდნენ, მე გამუდმებით ვთხოვდი ბერს, წავეყვანე მათთან, რადგან ამ ორი მონაზვნის გვერდით სულიერ გაცისკროვნებასა და სიმშვიდეს ვგრძნობდი“.

მე და მამა ანტონი ისე გავერთეთ წმინდა პეტრე ათონელზე საუბარში, რომ შეუმჩნევლად მივუახლოვდით ჩვენი მოგზაურობის მიზანს. ჩემი სული ვერ ჩასწვდა ამ ღირსი მამის დიდებულ ხატებას. კიდევ ბევრი შეიძლებოდა გველაპარაკა მასზე – მთაწმინდის ისიხაზმის პირველ წარმომადგენელზე. როგორც გადმოცემა გვაუწყებს, ღვთისმშობელმა აღუთქვა წმინდა პეტრეს, რომ განსაკუთრებულად იზრუნებდა თავის წილხვედრ მიწაზე და იმ მონაზვნებზე, რომლებიც აქ იცხოვრებდნენ:

„ამიერიდან ამ ადგილს „წმინდა მთა“ დაერქმევა – ჩემი საკუთარი ბაღი. მე განსაკუთრებით მიყვარს და ვეხმარები მათ, ვინც აქ მოდის და მთელი სულით ემსახურება ღმერთს. დადგება ღრო, და ეს ადგილი კიდით კიდემდე მონაზვნებით აივსება. ამიტომ ჩემი სული ხარობს მათ გამო. მე განვადიდებ ამ წმინდა ადგილს, მთელს ქვეყანაზე გავავრცელებ მის სახელს – აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ჩრდილოეთსა და

სამხრეთში, ხოლო მათ, ვინც ამ ადგილზე მწუხარებასა და შეჭირვებას დაითმენს, ფრიად სასყიდელს მივაგებ ჩემი ძის დიდებული მოსვლის ჟამს“ (ღირსი პეტრე ათონელის ცხოვრებიდან).



მთაწმინდის ჩრდილოეთში

ერთხელ ბერმა მაკურთხა, ჩვენი კალივის საქმეებზე ვატოპედის მონასტერში წავსულიყავი. ეს არის ძალიან მდიდარი იდიორიტმული მონასტერი. სანამ კალივიდან გავილოდი, ბერმა ყველაფერი მომიყვა, რაც ამ მონასტერს შეეხებოდა და რამდენიმე რჩევაც მომცა. ბოლოს კი მითხრა:

— პირველ რიგში მამა ევგენი-მეკუჭნავე ნახე და ის ყოველმხრივ მოგემსახურება.

მე კურთხევა ავიღე ბერისგან და შორ, მაგრამ სასიამოვნო გზას დავადექი. გზის უმეტესი ნაწილი ფეხით გავიარე. შემხვდა განსაკუთრებულად მშვენიერი ადგილები: იშვიათი სილამაზის პეიზაჟები, ტყეები, ცივი, მორაკრაკე ნაკადულები.

ათსაათიანი მგზავრობის შემდეგ ღონემიხდილი მივადექი ვატოპედის მონასტერს. „ნუთუ ვატოპედში ვარ?“ — შიშითა და განცვიფრებით ვეკითხებოდი საკუთარ თავს. პირველივე შემხვედრ მონაზონს ვთხოვე, მამა ევგენის სენაკი ეჩვენებინა. როდესაც სენაკთან მივედი და რამდენჯერმე დავაკაკუნე, ნაბიჯების ხმა მომესმა და მალე ჩემ წინ წარმოდგა საკმაოდ ხანდაზმული მონაზონი. მე მას მეტანია გავუკეთე და ვუთხარი, საიდანაც მოვდიოდი და ვისი მორჩილიც ვიყავი. როგორც კი ჩემი ვინაობა გაიგო, მან ხელი მომკიდა და სენაკში შემიყვანა, თან სიტყვითაც და ქცევითაც ჩემ მიმართ საოცარ სიყვარულს ამჟღავნებდა.

ატმოსფერო იყო უკიდურესად ასკეტური. მიუხედავად იმისა, რომ მამა ევგენი მდიდარი იდიორიტმული მონასტრის

მკვიდრი იყო, იგი მაინც სკიტური ცხოვრების წესს მისდევდა. მისი გარეგნობა, მისი სიტყვა და, განსაკუთრებით, მისი სენაკი – ორატორულად მეტყველებდნენ მისსავე ასკეტურობაზე.

მალე მამა ევგენი სენაკიდან გავიდა, რომ ჩემთვის წასახემსებელი მოემზადებინა, მე კი ამასობაში პერანგი გამომეცვალა, – ისევე როგორც ყველა მთაწმინდელი აკეთებს ამას ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ. მისი არყოფნისას მთელს სენაკს მოგავლე თვალი. კედელზე, ორ ლურსმანზე, ანაფორა და პერანგი ეკიდა; ოთახის ერთ-ერთ კუთხეში, იატაკზე, ცხვრის ტყავი იყო დაფენილი; ცოტა მოშორებით ხელით ნაკეთები მაგიდა იდგა; მაგიდასთან – სკამი, რომელზეც მე ვიჯექი; სენაკის მორთულობას აგვირგვინებდა კედელზე ჩამოკიდებული ორი-სამი ხატი. „ღმერთო ჩემო, ვატოპედში ვართუ კარულში?“ – ვფიქრობდი განცვიფრებული.

მალე ბერმა წასახემსებელიც მომიტანა. მე ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მოსული, და მან ამიხსნა, როგორ უნდა მოექცეულიყავი, შემდეგ კი მზრუნველობითა და სიყვარულით აღსავსე ხმით მითხრა:

– ღამის გასათევად არქონდარიკში წაგიყვან, რადგანაც ჩემს სენაკში ამის საშუალება არ არის.

– მამაო, მე თქვენთან ვისურვებდი დარჩენას, თუნდაც სკამზე გამეთენებინა ღამე.

– სამწუხაროდ, სკამიც ერთი მაქვს, – მიპასუხა მან. – ხვალ დილით, შენს საქმეებს რომ მოაგვარებ, შემომიარე და ერთად ვისადილოთ. მაშინ კი ჩვენს განკარგულებაში საკმაოდ რო იქნება და უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს.

იმ ღამეს დიდხანს ვფიქრობდი მამა ევგენიზე — მის ასკეტურ გარეგნობასა და სენაკის ასკეტურ მოწყობილობაზე: ცხვრის ტყავი, ერთადერთი სკამი, მაგიდა, წარღვნამდელი საკიდი, რამდენიმე ხატი... „ესე იგი, ვამბობდი გულში, — მას ცხვრის ტყავზე სძინავს, იმ ერთადერთ სკამზე ზის და იმ ხელით ნაკეთებ, შეკოწიწებულ მაგიდასთან ჭამს. ნუთუ არსებობენ ასეთი ასკეტები აქ, ვატოპედში, სადაც ყველაფერი უხვადაა. ღმერთო ჩემო, როდის გათენდება!..“

ღილით, მოვაგვარე თუ არა ჩემი საქმეები, მაშინვე მამა ევგენისთან გავიქეცი. ის სადილს ამზადებდა. დაწესებული დროისთვის აღარ დაუცდია, როგორც კი სადილი მომზადდა, სუფრის გაშლა დაიწყო: ცხვრის ტყავზე დადგა დაახლოებით ოცი სანტიმეტრის სიმაღლის მაგიდა, ზედ კი ღარიბული საჭმელი დააწყო. ჩვენ ცხვრის ტყავზე დავსხედით და ჭამა დავიწყეთ. ბერი, თავახიანი ღიმილით, განუწყვეტლივ მიმეორებდა:

— ჭამე, შვილო, ჭამე, დიდი გზა უნდა გაიარო, სანამ შენს სკიტამდე მიაღწევ.

ამ დროს თვითონ ძალიან ცოტა შეჭამა.

— მამაო, დიდი ხანია მონასტერში ხართ?

— ოცდაათი წელიწადია. სანამ აქ მოვიდოდი, ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან, ვატოპედის სკიტში ვცხოვრობდი. მონასტერში კი იმიტომ გადმოვედი, რომ მამებს მეკუჭნავე სჭირდებოდათ.

— ამ სენაკში ცხოვრობთ?

— კი, რაც მოვედი, მას შემდეგ აქ ვცხოვრობ. ეს კარგი სენაკია. ჩრდილოეთის ქარი ისე ძლიერად არ ურტყამს და ზამთარში თბილა. პატარა ღუმელს ვანთებ და ღამე კარგად ვარ.

– მონასტრის ღვთისმსახურებას ესწრებით თუ თქვენი ტიპიკონი გაქვთ?

– შვილო, მე ვცდილობ დამეები ღმერთთან საუბარში გაატარო, მაგრამ იწირავს თუ არა ღმერთი ჩემს ლოცვებს, ამას ვერ ვიტყვი. მკერდში ხელს ვიცემ, როგორც მეზვერე, და როგორც უძღები შვილი, ვხმობ: „ვცოდე!“ – რათა განვმართლდე და „პირველი სამოსელი“ მივიღო.

როცა ბერი ამ სიტყვებს ამბობდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, – ეს წმინდანის ცრემლები იყო. ყველაფერი მის სიწმინდეზე მეტყველებდა. და ჩემმა ბერმაც სწორედ იმიტომ გამომიშვა მასთან, რომ წმინდა ადამიანს გავცნობოდი, მე სხვა არაფერი მჭირდებოდა.

კალივაში დაბრუნებულმა, ბერსა და ძმებს ვუამბე, რაც ვნახე და რაც მოვისმინე, და ჩვენ მაღლობა შევსწირეთ ღმერთს იმისათვის, რომ მთაწმინდას ყველგან, ყოველ ნაბიჯზე, თავისი წმინდა ადამიანები ჰყავს დაფარული.

\* \* \*

მე წილად მხვდა ბედნიერება, დავბადებულიყავი ზემო მესინიის ერთ-ერთ სოფელში – კერძოდ, კონსტანტინში. ამ სოფელმა ცხრა მონაზონი უშვა ჩემს ეპოქას! ზოგიერთი მათგანი ადრე გარდაიცვალა, ცოცხლებს შორის კი მე გახლავართ ყველაზე ახალგაზრდა.

ორი მათგანი აქ, მთაწმინდაზე მოღვაწეობდა. აქედან ერთ-ერთი, სახელად აკაკი, ჩემი ნათესავი იყო. ის კავსოკალივის სკიტიის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ქსეროკალივაში ცხოვრობდა – სადაც მე ხეზე ჭრას ვსწავლობდი. ამ კურ-

თხეულ მონაზონზე უკვე საკმაოდ ბევრი ვისაუბრე „კავსოკალივის“ თავში.

მეორე, მამა ანთიმოზი, სტავრონიკიტას მონასტრის მკვიდრი იყო. იმ წლებში, როცა მე მთაწმინდაზე ვცხოვრობდი, იგი მეწისქვილის მორჩილებას ასრულებდა. ჩემი ბერი და წმინდა ანას რაიონის სხვა მამები კარგად იცნობდნენ მას და მოღვაწე მონაზვნების რიგში აყენებდნენ.

ორი წლით ადრე, სანამ მთაწმინდაზე წამოვიდოდი, მისი დედა — აწ განსვენებული ბებია მარინენა შემხვდა. როდესაც ვკითხე, როგორ მიდის თქვენი საქმეები-მეთქი, მან მიპასუხა:

— შვილო, ჩემი ვაჟიშვილი მონასტერში რომ არ წასულიყო, ამდენ ხანს არც ვიცოცხლებდი. მაგრამ სულ ვფიქრობ: „როგორ არის ახლა? ცოცხალია? გარდაიცვალა?“ და აი, დაგტირი ჩემს მარტოხელობასა და მწარე ხვედრს...

— ნუ ამბობ ამას, — გუთხარი მე, — შენ შენი შვილი ღმერთს აჩუქე, და როცა ამქვეყნიდან გახვალ, ანგელოზები შენს სულს პირდაპირ ღმრთის საყდართან აიყვანენ.

— ამინ, შვილო ჩემო, ამინ!

ჩემს თანამედროვეებს ღმრთის შიში და ძლიერი რწმენა ჰქონდათ. მარხვის დროს ხორცის დუქნები საერთოდ იკეტებოდა, ხორცს მხოლოდ ავადმყოფებიდა თუ ჭამდნენ. სკოლაში მასწავლებელი ხშირად გვეკითხებოდა, ხომ არ ვარღვევდით მარხვას. დიდი დღესასწაულების წინა საღამოს, როგორც კი ზარები დაირეკებოდა, ყველანი ეკლესიისკენ მიეშურებოდნენ აღსარების სათქმელად. ეკლესიის ეზო ხალხით ივსებოდა. ერთ მხარეს, ბაქანზე, კაცები ისხდნენ, მეორე მხარეს კი — ქალები. ყველას, დიდსა თუ პატარას, აწ განსვენებული მამა ანტონისთვის უნდა ჩაებარებინა აღსარება, ამის

გარეშე ვერავინ გაბედავდა საზიარებლად მისვლას. მამა ანტონი ყველა ჩვენგანს იცნობდა, იცოდა ვის ჰქონდა ნათქვამი აღსარება და მხოლოდ მათ აზიარებდა.

ბებია მარინენას სახლი ტაძრიდან ოცი მეტრის მოშორებით მდებარეობდა. ამ ტაძრის გვერდით გაატარა მამა ანთიმოზმა თავისი ბავშვობის წლები.

ერთხელ, როდესაც ბერი კალივის საქმეებზე კარიესში მაგზავნიდა, ვთხოვე კურთხევა მოეცა, ჩემი თანამემამულე — მამა ანთიმოზიც მომენახულებინა სტავრონიკიტას წისქვილში. ბერი, რომელიც განსაკუთრებულად ძუნწი იყო ასეთი კურთხევების გაცემაში, ჩემდა გასაკვირად ამჯერად დამთანხმდა.

— წადი, მონახულე შენი თანამემამულე, — მითხრა მან, — ის ამას იმსახურებს.

კარიესიდან ერთი საათის სიარულის შემდეგ მე უკვე წისქვილთან ვიყავი. ეს იყო რაღაც ეგზოტიკური ადგილი — თავისი სიმწვანითა და ანკარა წყლებით. მამა ანთიმოზმა, რომელიც თავიდან ფეხებამდე ფქვილში იყო ამოსვრილი, გულწრფელი სიყვარულით მიმიღო.

— საიდანა ხარ? — მკითხა მან.

— წმინდა ანას სკიტიდან, მამაო.

— რომელ კალივაში ცხოვრობ?

— ღვთისმშობლის შობის კალივაში.

— ამერიკელების<sup>1</sup> საძმოდან ხარ? მამა გრიგორის მორჩილი? როგორ აღმოჩნდი ჩემთან, ამ მიყრუებულ ადგილზე? გაქვს კი ბერის კურთხევა?

---

<sup>1</sup> ჩვენი საძმო ამ სახელს ატარებდა, რადგანაც, როგორც გითხარით, სამი ძმა ამერიკიდან იყო ჩამოსული (არქიმანდრიტ ქერუბიმის შენიშვნა).

– მაქვს. უკვე დიდი ხანია, თქვენი ნახვა მინდოდა და იმიტომ მოვედი.

– კარგი. კეთილი იყოს შენი მოსვლა. დაჯექი.

მან პატარა სკამზე ჩამომსვა, შემდეგ ხილი და ცივი წყალი მომიტანა და ჩვენ საუბარი დავიწყეთ.

– შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, შვილო, მხოლოდ ახლა იწყებ, გრძელი გზა გაქვს გასავლელი. მონაზვნის გზა კი ეკლესიითაა სასუე. ხშირად გეტკინება გული, ხშირად მოგეჩვენება, რომ უსამართლოდ გექცევიან. ხანდახან ბერი ან რომელიმე უფროსი ძმა შენს ნებას მოკვეთს და ეს შენთვის ძალიან მტკივნეული იქნება. ან იქნებ ღამე ადგომა არ არის ძნელი? დიდი ბრძოლაა საჭირო, რომ შუალამისას, თოვლსა და სიცივეში, კანონის შესასრულებლად ადგე, შემდეგ კი ღვთისმსახურებას დაესწრო დილაძდე. და კიდევ რამდენი გაჭირვების, რამდენი სიძნელის მოთმენა მოგიწევს! ერთადერთი, რაც ამ სიძნელების გადალახვაში დაგეხმარება, ის იქნება, თუ საკუთარ თავს მთლიანად ქრისტეს მიუძღვნი. მაშინ აღარაფერს ჩათვლი სიძნელედ, აღარაფერი შეაფერხებს შენს სვლას. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას შენი კალივის მამებიც გეტყობდნენ, აქედან გამომდინარე კი, ჩემი რჩევები ზედმეტია. მაგრამ ჩვენ ხომ მონაზვნები ვართ და სხვა რა თემაზე უნდა ვისაუბროთ, რით უნდა დავკავდეთ, თუ არა იმის ძებნით, რისი გულისთვისაც დავტოვეთ სახლი, მშობლები, ნათესავები.

– მაშაო, თქვენ საიდან ხართ წარმოშობით?

– რატომ მეკითხები? ძალიან შორიდან, პელოპონესიდან.

აქ ხელსაყრელი შემთხვევა მეძლეოდა, გამემხილა ჩემი ვინაობა, მაგრამ იმ წუთში თავი შევიკავე, ვამჯობინე, რომ

სანამ ხილს ვჭამდით, იმ საოცარი სიმშვიდით დავმტკბარიყავი, რომელიც მისი გარეგნობიდან, მისი საუბრიდან იღვრებოდა. ამასობაში იგი ჩვენი კალივის შესახებ მეკითხებოდა: აინტერესებდა, როგორ ვცხოვრობდით, როგორი იყო ჩვენი ტიპიკონი, გქონდა თუ არა „ლოცვა“. როცა გაიგო, რომ ჩემი თანამოძმენი საკმაოდ წარემატებოდნენ „ლოცვაში“, სახე გაუცისკროვნდა და მითხრა:

– მაშინ შენ ყველანაირი პირობა გქონია იმისათვის, რომ თვითონაც ისწავლო „ლოცვა“.

მთელი ჩემი ყურადღება მისდამი იყო მიპყრობილი. მე მას ვუყურებდი, მე მას ვუსმენდი და განცვიფრებული ვიყავი მისით. მაგრამ, ამავე დროს, ძლიერ სურვილს ვგრძნობდი, რაც შეიძლებოდა მალე გამომემჟღავნებინა საკუთარი თავი. ამის საბაბი, საბედნიეროდ, თვითონვე მომცა.

– შენ შემთხვევით ათენიდან ხომ არა ხარ? – მკითხა.

– არა. თუმცა საკმაოდ დიდხანს ვცხოვრობდი პირეაში. წარმოშობით მესინიიდან ვარ.

– კალამატიდან?

– არა, ჩრდილო მესინიიდან, სოფელ კონსტანტინიდან.

პირდაპირ თვალებში შევხედე, – მინდოდა დამენახა, რა რეაგირება ექნებოდა, თავისი სოფლის სახელს რომ გაიგონებდა. ის ოდნავ შეტრიალდა და რაღაც უცნაური მზერა გაუხდა. მივხვდი, რომ აღარ უნდოდა, გაეგრძელებინა ამ თემაზე საუბარი. მე კი პირიქით, მინდოდა კვლავ იმავე თემას დავბრუნებოდი.

– მამაო, თუკი პელოპონესიიდან ხართ, რა თქმა უნდა, მესინიაც გეცოდინებათ.



– კი, ვიცი, – მშრალად მიპასუხა მან.  
– ყოფილხართ ოდესმე კონსტანტინში?  
– ოდესღაც ვიყავი.  
– ესე იგი, წარმოშობით ამ სოფლიდან ხართ?  
– ჰო, მაგრამ ორმოც წელიწადზე მეტია, რაც იქიდან წა-  
მოვედი.

– მე კარამბელების ოჯახიდან ვარ, თქვენ?  
– ჩემს ოჯახში ალბათ უკვე აღარავინაა ცოცხალი. შენ  
იმათ დროს პატარა იქნებოდი, არ გემახსოვრება ისინი.  
– ბებია მარინენას შვილი ხომ არა ხართ?  
– კი, ოდესღაც მისი შვილი ვიყავი.

მას ჩემთვის არაფერი უკითხავს – არც დედამისზე, არც  
სხვა ნათესავებზე, არც საკუთარ სოფელზე. მაგრამ მე აღარ  
შემეძლო დავრჩენილიყავი იმ ღონეზე, რომელზეც ის მაკა-  
ვებდა მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში. მინდოდა წინ  
წავსულიყავი.

– მამაო, ცოტა ხნით ადრე, სანამ მთაწმინდაზე წამოვიდო-  
დი, დედათქვენი შემხვდა, ძალიან დაბერებული იყო, და ჩვენ  
თქვენზე გავისაუბრეთ. ისიც კი ვუთხარი, რომ რაკი მან სა-  
კუთარი შვილი ღმერთს მიუძღვნა, ღმერთი მას სიკვდილის  
ჟამს ანგელოზებს გაუგზავნის, ისინი კი მის სულს ღმრთის  
საყდართან აიყვანენ; და დედათქვენმა მიპასუხა: „ამინ, შვი-  
ლო ჩემო, ამინ!“ რაც შეეხება მამათქვენს, ის უკვე ღიდი ხა-  
ნია, რაც გარდაიცვალა.

– ვიცი, – თქვა მან, ჩემკენ მოტრიალდა და მღუმარედ შე-  
მომხვდა: უნდოდა შეეწყვიტა ეს საუბარი. შემდეგ ისევ თავის  
საყვარელ სულიერ თემებს დაუბრუნდა, ბოლოს კი სურვილი

გამოთქვა გაეგო, როგორ მიდიოდა ჩემი მონაზვნური ცხოვრება.

მე კელარ ვხვდებოდი, მისი ხასიათის რომელი თვისება დამეყენებინა უფრო მაღლა: სიმშვიდე, გულთბილობა თუ სოფლისგან გაუცხოება.

მაგრამ დრო გადიოდა და მე კარიესში უნდა დავბრუნებულიყავი, იქიდან კი — საკუთარ სკიტში. უსაზღვრო იყო ჩემი აღფრთოვანება ამ ადამიანით. მთელი გზა, სანამ კარიესამდე მივიდოდი, მასზე ვფიქრობდი, ღრმად ვიყავი შეძრული მისი გმირული თავის უარყოფით: მან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა საკუთარ ოჯახთან და სრული გაუცხოების ნეტარ მდგომარეობას მიაღწია. გულისა და გონების თვალი მხოლოდ ღმერთისკენ ჰქონდა მიმართული. ნეტარია ის სული, რომელიც საკუთარი შრომის ნაყოფით ტკბება სასუფეველში.

\* \* \*

კუთლუმუშის სკიტი კარიესის ქვემოთ, ივერონისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. როდესაც ეს სკიტი მოვინახულე, ზაფხული იდგა, ივლისის თვე. დილით ძალიან ადრე გავემგზავრე — ლავრა-პროვატის გზით. წმინდა ათანასეს წყაროსთან დასასვენებლად ჩამოვჯექი, ცოტა შეეჭამე და ცივი წყალიც დავაყოლე. გადმოცემის მიხედვით, ამ ადგილზე წმინდა ათანასეს ღვთისმშობელი გამოეცხადა, ანუგემა იგი და იმის დასტურად, რომ ყოველგვარი სიძნელების გადალახვაში დაეხმარებოდა, უბრძანა კლდისთვის კვერთხი დაერტყა — როგორც ეს ერთ დროს მოსემ გააკეთა უდაბნოში; დარტყმისთანავე კლდე გაიხსნა და იქიდან ანკარა წყალმა ამო-

ხეთქა. ეს წყარო დღემდე მოჩქევს კლდიდან. ამ ადგილზე შესანიშნავი პავილიონი და პატარა სამლოცველოა აშენებული; აქვე დგას მომცრო კარადა, რომელშიც, ლავრის მამების სიყვარულისა და მზრუნველობის წყალობით, ყოველთვის ინახება პური, ყველი, ზეთისხილი, კიბორჩხალა და სხვა საკვები დაღლილი მგზავრების განსამტკიცებლად. დალოცვილი წეს-ჩვეულებაა: სიყვარული – საქმით განცხადებული.

მზის ჩასვლისას კუთლუმუმის სკიტს მივაღექი და, როგორც დავალებული მქონდა, მამა ნიკოლოზ კვიპრელის კალივაში მივედი. იქ დიდი სიყვარულით მიმიღეს. ვახშმის შემდეგ ერთ-ერთ სენაკში შემიყვანეს მოსასვენებლად. მაგრამ თვალის მოხუჭვაც ვერ მოვასწარი – უეცრად მთელ ტანში დამსუსხა. მაშინვე წამოვხტი და დავინახე, რომ ლეიბი და პლედი ბალღინჯოებით იყო სავსე, და მათ... შეტევაზე გადმოსვლა ჰქონდათ განზრახული!

კეთილმა მამებმა ყური მოჰკერეს ხმაურს და ჩემს სენაკში შემოვიდნენ. არ მინდოდა ნამდვილი მიზეზი გამემხილა მათთვის – თუ რატომ ავღექი ასე სწრაფად, მაგრამ მამა ნიკოლოზმა თვითონვე მითხრა:

– როგორც ჩანს, ჩვენმა ძვირფასმა მეგობრებმა ერთ-ერთ ჩვენგანად მიგიჩნიეს და თავიანთი საკვების მისაღებად მოვიდნენ. ჩვენ, მამა ქერუბიმ, ისინი ძალიან გვეხმარებიან: ნახევარ საათზე მეტხანს ძილის საშუალებას არ გვაძლევენ. ამიტომაც მაღლიერების გრძნობით ვართ მათ მიმართ გამსჭვალული. უკვე ორმოცდაათი წელიწადია, რაც აქა ვარ და ამ ხნის მანძილზე ჩვენს ძვირფას მეგობრებს ერთ ღამესაც კი არ მიუუტოვებიათ. ისინი დიდ სიკეთეს გვიკეთებენ: არ აძ-

ლევენ ძილს იმის საშუალებას, გაბატონდეს ჩვენზე, რითაც გვანსენებენ, რომ მონაზონმა რაც შეიძლება მეტი დრო უნდა დაუთმოს ღმერთს.

ბერის ამ საუბარმა საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ ჩემ წინ დიდი მოღვაწეები იდგნენ. „მამაო ნიკოლოზ, – ვამბობდი გულში, – თუ შენ ღმრთის სიყვარულის გამო კეთილისმყოფელებად მიიჩნევ ბაღლინჯოებს, რომლებიც მთელს მსოფლიოს აწუხებენ, მაშინ კარგად ვხვდები, როგორი უნდა იყოს შენი ცხოვრების წესი“. მაგრამ ჩემი ასაკი და მდგომარეობა არაფრის თქმის უფლებას არ მაძლევდა, მხოლოდ და მხოლოდ აღფრთოვანებით ვუსმენდი მას და შევნატროდი მის ორ მორჩილს – მამა მაქსიმესა და მამა სპირიდონს: ისინიც ხომ ალბათ თავიანთი ბერის მსგავსად მოღვაწეობდნენ!

როდესაც ჩემს სკიტში დავბრუნდი და ყველაფერი ვუამბე ბერს, ისიც, თავის მხრივ, განცვიფრდა მათი ღვაწლით და დარწმუნდა იმაში, რაც სხვებისგან ჰქონდა მათზე გაგონილი.

\* \* \*

იტალია-საბერძნეთის ომი მძვინვარებდა. ჩემს ბერს ძალიან აწუხებდა ის კრიზისული მდგომარეობა, რომელშიც იმ დროს ჩვენი სამშობლო იმყოფებოდა, და ერთხელ, როდესაც კარიესში მივდიოდი, დამავალა მომეტანა მისთვის რაიმე ცნობა ომის მსვლელობის შესახებ.

კარიესში ჩასულმა, მაშინვე მთავარანგელოზების სენაკს მივაშურე. იქ მამა ამბერკი-მესკვნილე ცხოვრობდა, და როცა რამე საქმე გვქონდა კარიესში, ყოველთვის მასთან მივდიოდით. კურთხეული იყო მისი საძმო! თითქოს საგანგებოდ შე-

ერჩიათ მამები — მამა გიორგიდან დაწყებული, უკანასკნელი მონაზვნით დამთავრებული.

მამა ამბერკი სერიოზული, მკაცრი და კეთილშობილი მონაზონი იყო და თავისი საძმოც მკაცრი მოღვაწეობის გზით მიჰყავდა, — რაც კარიესის ხასიათს სრულიად არ შეეფერებოდა. მისი კალივა შესანიშნავი მონაზვნის — მამა პახომის „უვეცხლოთა“ საძმოს ეჯიბრებოდა. აქაური მამები კოლივადების სულიერი შთამომავლები, მათი გადმოცემის დამცველები, მათი მიმდევრები იყვნენ.

მე კვითხე მამა ამბერკის, რა გზით შეიძლებოდა მომეპოვებინა რაიმე ცნობა საომარი მოქმედების შესახებ. მან ხუმრობით მიპასუხა:

— შენს ბერს ალბათ ჰგონია, რომ ისევ საბერძნეთის არმიის ოფიცერია, და იმიტომ დაინტერესდა ბრძოლის ამბებით. გადაეცი მას, რომ ჩვენ უკვე დავბერდით და აღარ ვეკუთვნივთ სამშობლოს ჯარისკაცების რიცხვს, არამედ ჩვენმა ინტერესებმა ზეცისკენ გადაინაცვლეს. თუმცა შენ ყველა შემთხვევაში უნდა შეასრულო მორჩილება. შენს საქმეებს რომ მოითავებ, მამა სტეფანესთან მიდი სენაკში. მას რადიომიმღები აქვს და იქ გაიგებ უკანასკნელ ცნობებს.

მაშ ასე, იმისათვის, რომ მორჩილება შემესრულებინა, მამა სტეფანეს ვეწვიე სენაკში და რადიომიმღებით ომის ამბებს მოვუსმინე. სკიტში რომ დავბრუნდი, ღვთისმშობლის ხატთან მეტანია გავაკეთე, შემდეგ კი ხელზე ვემთხვიე ჩემს კეთილ ბერს და, მონასტრული წესის თანახმად, ყოველი წვრილმანი ვუამბე, რაც კალივიდან გასულს შემემთხვა.

მე კარგად მქონდა შეთვისებული მონაზვნური ცხოვრების ეს ფუძემდებელი პრინციპი: ბერმა თავისი მორჩილის თითოეული ნაბიჯი უნდა იცოდეს, თითოეული წამი მისი ცხოვრებისა, — მან ყველაფერი უნდა იცოდეს. რაც ბერმა არ იცის თავისი მორჩილის შესახებ, იმის ცოდნა ღმერთსაც არ უნდა, რადგანაც მორჩილთან კავშირი ღმერთს მხოლოდ ბერის მეშვეობით სურს.<sup>1</sup> ამ წესის პირველსახეს, როგორც ჩემმა მოძღვარმა — მამა ქრისტეფორემ ამიხსნა, წარმოადგენდა ის, რაც ხდებოდა ისრაელი ერის უდაბნოში მსვლელობისას. ღმერთთან მათი დამაკავშირებელი იყო მოსე. როცა მოსე მათთან არ იმყოფებოდა, მათ ღმრთის მფარველობა სცილდებოდათ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა დროის წმინდა მამა ერთმანეთთან სრულ თანხმობაშია.

როცა ბერს ჩვენი არმიის შესახებ სანუგეშო ცნობები მივაწოდე, მას ძალიან გაეხარდა, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ ეს ცნობები რადიომიმღებით მოვისმინე კარიესში, მაშინვე შეეცვალა სახის გამომეტყველება და ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, შემდეგ კი ძალიან მკაცრად მისაყვედურა იმისათვის, რომ მე, მონაზონმა, გავბედე და რადიოს მოვუსმინე. მან სასჯელიც დაჰადო: უზიარებლობა გარკვეულ ხანს და ასე მეტანია.

ბერმა აღნიშნა, რომ მონაზონი შორს უნდა დადგეს იმ სიანხლეებისგან, რომლებიც ცხოვრებას მსუბუქსა და მოხერხე-

---

<sup>1</sup> ცხადია, ღმერთმა ყველაფერი იცის, მათ შორის ადამიანთა საიდუმლო ზრახვები. აქ ხატოვანი ნათქვამია, რომლის განმარტება მომდევნო წინადადებებშია გადმოცემული.

ბულს ხდიან, და რომ იგი ერთი მტკაველითაც არ უნდა გადაცდეს ვიწრო და საჭირველ გზას.

– ყურადღებით იყავი, – მითხრა მან, – რადგანაც სიახლეები და საერო ნივთები სრულიად უცხო და საზიანოა ასკეტური მონაზვნური სულისთვის. თუ დაინახავ, რომ რომელიმე მონაზონს ნებისმიერი სახის სიახლე აქვს მონასტერში, მისგან წარმატებას ნულარ ელოდები. იქ აღარ არის საერო ნივთებისგან განდგომა და, მაშასადამე, აღარ არის ღმერთი. ხოლო სადაც ღმერთი არ არის, იქ რა შეიძლება არსებობდეს?

– მთაწმინდაზე, – განაგრძობდა ბერი, – ისევე როგორც ყველგან, ყველა მონასტერში, ყველაზე საშიში მტერი სიახლეა: სულ უმნიშვნელო წვრილმანიდან დაწყებული, სერიოზული სიახლით დამთავრებული. ეს არის ის, რის შესახებაც მოციქული პავლე ამბობს: „ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას“ (რომ. 12,2). აი, წარმოიდგინე: შენ კითხულობ რომელიმე წმინდა მამის თხზულებას, დახურავ წიგნს, მოტრიალდები და ხედავ, რომ ძალიან მდიდრულ, ერულად მოწყობილ ოთახში იმყოფები. რამხელა უფსკრულია მაშინ წაკითხულსა და დანახულს შორის! რამდენად შორსაა ის, რასაც მონაზონი კითხულობს, იმისგან, რითაც იგი ცხოვრობს და მოქმედებს. ამიტომაც, თუ გინდა, რომ მონაზვნური სული შეინარჩუნო, ჩვენი მამების ერთგული დარჩე, – ეს კი ცხოვნების ერთადერთი საშუალებაა, – რაც შეიძლება შორს გაექცეცი წყეულ სიახლეებს. შენს მონაზვნურ შესამოსელში, სენაკსა და საჭმელ-სასმელში უნდა ჩანდეს წმინდა მამებისეული წარსულის კვალი.

მე მეტანია გავუკეთე ბერს, შენდობა ვთხოვე და როგორც უძვირფასესი ოქროს საგანძური, ისე დავიმარხე საკუთარ გულში მისი სულიერებით სავსე სიტყვები.



ექვსი თვე კარულში

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უკეთ ვულრმავდებო-  
დი მონაზვნური ცხოვრების აზრს. ჩემს გულში ყველაფერი  
გამოძახილს პოულობდა; ყველაფერს ღმრთის ხმად აღვიქ-  
ვამდი, და ღირსი მამების ხმად, რომელთა წმინდა გადმოცე-  
მამაც ჩვენს ეპოქამდეც მოაღწია და მთელი ჩვენი ყოფა განა-  
სურნელა. თითოეულ შემხვედრ მონაზონში მე ვცდილობდი  
დამენახა იმ წმინდა მამების ხატება, რომლებმაც გაიარეს და  
აკურთხეს ჩვენი ანგელოზებრივი ცხოვრების გზა.

იმდენ რამეს განიცდის ადამიანი მონაზვნური ცხოვრების  
გარემოცვაში, რომ ყველაფრის აღწერა შეუძლებელია. ამ  
წიგნში მე აღვწერე მხოლოდ ის, რაც ჩემი თვალთახედვით  
ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ახლა კი გავისხენებ ჩემი მთაწ-  
მინდაზე ყოფნის უკანასკნელ ექვს თვეს, გატარებულს კარუ-  
ლის უდაბნოში. ამ ექვს თვეს ღმრთის უდიდეს წყალობად მი-  
ვიჩნევ, რადგანაც, თუმცა მცირე ხნით, მაგრამ მაინც გამოვ-  
ცადე კარულის ცხოვრება, იქაურ მამებთან ურთიერთობა.

\* \* \*

მას შემდეგ, რაც კავსოკალივიდან დავბრუნდი, ორი წე-  
ლიწადიც არ იყო გასული, რომ ჩემმა ბერმა, აწ განსვენე-  
ბულმა მამა გრიგორიმ, გატანჯულმა სხვადასხვა სიძნელეე-  
ბით, ითხოვა მცირე სულიერი დასვენება კარულში.

მე დამევალა წავყოლოდი ბერს, მეცხოვრა მის გვერდით  
და მოვმსახურებოდი მას ამ წმინდა ადგილზე.

კარულში ჩასულებმა, ერთი მიტოვებული სენაკი ვიპოვეთ და დედა-მონასტრის – წმინდა ლავრის ნებართვით მასში დავსახლდით. ეს იყო 1942 წლის გაზაფხულზე.

ჩვენი კალივა ორი სენაკისგან და ერთი პატარა სამზარეულოსგან შედგებოდა. იყო აგრეთვე ვერანდა, რომელსაც სამლოცველოდ ვიყენებდით. კალივის დასავლეთ კედელი უფსკრულის ფლატეზე გადიოდა, ეს ფლატე კი მკვეთრად ეშვებოდა ზღვაში. ჩვენი ცხოვრება კარულში ძალიან მკაცრი იყო. პროდუქტებიდან თითქმის არაფერი გვქონდა. კვირაში ორჯერ ან სამჯერ მე მივიღიოდი წმინდა ანას სკიტში და იქიდან მომქონდა საკვები. ბერის ლოცვით, ამას დიდი გულმოდგინებითა და მოთმინებით ვაკეთებდი.

ერთადერთი ნუგეში ჩვენს ქსეროკალივაში იყო ორი ნუშის ხე – სხვა არაფერი. რეზერვუარიც კი არ დაგვიდგამს წვიმის წყლის შესაგროვებლად. წყალს მეზობელ კალივაში მცხოვრები რუსი მონაზონი – მამა ნილოსი გვაძლევდა.

სწყურია სულს, უჩვეულოდ სწყურია ღმერთი კარულის უდაბნოში, მასთან ერთად კი სხეულსაც სწყურია: უწყლო, უნაყოფო, უდაბური, საშინელი კარული...

მაგრამ როგორი უმოწყალო და უღმობელიც არ უნდა იყო, როგორ აუტანლად, საზარლად და მიუკარებლადაც არ უნდა ეჩვენებოდე ხალხს, დგება ისეთი წამი, როდესაც სული შენს წიაღში სიხარულის იდუმალ, გრილ მობერვას განიცდის...

არ ვიცი, იქნებ ახალგაზრდა რომ ვიყავი, იმიტომ შევიგრძნობდი ამ იდუმალ სიხარულს: ახალგაზრდა ვიყავი, ენთუზიაზმით სავსე, და ამ ჩემს ენთუზიაზმს უფლება მივეცი, მიეტოვებინა ჩემივე სულის კერა, ამოეხეთქა მისი ნაპირებიდან

და გადაღვრილიყო იმ კლდეებზე, რომლებზეც ილესებოდა მოღვაწეობისადმი ჩემი სიყვარულის ორღესული მახვილი.

ან იქნებ თვით ამ ადგილის გამო ხდებოდა ყველაფერი – ამ უდაბნო ადგილის, რომელიც სიმტიცესა და ჭაბუკურ შემართებას ანიჭებს თითოეული ასკეტის გულს.

მეუდაბნოე მამებმა, რაკილა ერთხელ იხილეს სიმშვიდის, მღვიძარებისა და გონებისმიერი ლოცვის გემო, აღარსად ისურვეს აქედან წასვლა და მრავალი წელიწადი დაყვეს აქ: ზოგმა ათი, ზოგმა ოცი, ზოგმა კი ოცდაათი.

როგორ ირჩენდნენ ისინი თავს? როგორ ცხოვრობდნენ რამდენიმე ორცხობილაზე, აბზინდაზე, ნუშსა და ოპუნციაზე?

მაგრამ მიუხედავად სრული უპოვარებისა და სიღარიბისა, კარულის მამები ბედნიერები იყვნენ. ისინი გრძნობდნენ სულიერ უსაფრთხოებას; აქვე, ამ სოფელშივე ტკბებოდნენ მარადიული სიკეთეების განცდით. ეს ასკეტები, ზეციური მამის ეს ბედნიერი ბავშვები, ახლაც კი ცოცხლად მიღგანან თვალწინ. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული მადლი ჰქონდა, თავისი განსაკუთრებული სულიერი ღირსება: მამა ნილოსი, მამა ზოსიმე, თავის ბერთან – ნიკოდიმოსთან ერთად; დიდსულოვანი მამა პართენი – არისტოკრატიული ოჯახის შვილი, მამა ბართლომე...

მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ორი რჩეული ბერი: რუსი მღვდელ-მონაზონი – მამა სოფრონი (სახაროვი) და მკაცრი მეუდაბნოე – მამა გაბრიელი.

მამა სოფრონი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. მე წილად მხვდა უდიდესი პატივი, ის გამხდარიყო ჩემი სულიერი მოძ-

ღვარი, რადგანაც იმ დროს ჩვენი კალივის მოძღვარი — მამა ქრისტეფორე კარულიდან ვატოპედის სკიტში გადასახლდა.

მამა სოფრონისთან სიახლოვემ ნათლად დამანახა, თუ როგორ ამდიდრებს ადამიანის სულს უდაბნოს სიმშვიდე და განუწყვეტელი ლოცვა. მე ვტკბებოდი მისი ცოდნითა და გამოცდილებით, მისი სიწმინდით. მე დამატყვევა მისი სულის სიდიადემ და მინდოდა სამუდამოდ დავრჩენილიყავი კარულში, თუმცა იქ ჩემთვის, როგორც ახალგაზრდისთვის და ახალდამწყებისთვის, ბევრი სიძნელე არსებობდა.

მამა სოფრონი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო. იცოდა ენები: ყველაზე უკეთ — ბერძნული, უპირველესად კი — ძველი ბერძნული. მაგრამ მე მისი განათლებულობა როდი მნიშავდა, — მე მიზიდავდა მისი სათნოებები, მისი ლოცვა, მისი სულიერი ბრწყინვალეობა.

მან კარულის მეუღაბნოე მამების ლოცვის მრავალი ხერხი აღმიწერა. თვითონ კი შემდეგი წესით ლოცულობდა (დაე, მაპატიოს, მის საიდუმლოს რომ ვამხელ): ზეცისკენ ხელაპყრობილი იმეორებდა უფლის ლოცვას — „მამაო ჩვენო“, და ეს გამეორება ხდებოდა ნელ ტემპში, მარცვალ-მარცვალ, რათა გულსა და გონებას კარგად აღექვათ და თავიანთ საკუთრებად გაეხადათ ღვთივობიებული ლოცვის თითოეული სიტყვა, ჩასწვდომოდნენ ამ სიტყვების ღრმა აზრს. იგი ლოცვას საღამოდან იწყებდა და ამთავრებდა მზის ამოსვლისას. ცხადია, მას გონებისმიერი და გულისმიერი იესოს ლოცვაც ექნებოდა. თვითონვე მეუბნებოდა, რომ „მამაო ჩვენო“ — ესაა მოსამზადებელი ეტაპი, წინასწარი ვარჯიში სრული სულიერი, გონებისმიერი ლოცვის მოსაპოვებლად.

როგორც ცნობილია, მამა სოფრონი ახლა ინგლისში იმყოფება. იგია დამაარსებელი წმინდა იოანე ნათლისმცემლის სტავროპიგიალური მონასტრისა – ესეკსის საგრაფოში, ლონდონის მახლობლად.

მამა გაბრიელი ჩვენი კალივის ოდნავ ზემოთ ცხოვრობდა. სანამ მთაწმინდაზე მოვიდოდა, ის პოლიციელი იყო, მაგრამ მიატოვა თავისი საქმიანობა და კარულის უდაბნოში დასახლდა, სადაც მან, როგორც თვითონ ამბობდა, დაიწყო სასტიკი, ულმობელი ბრძოლა საკუთარი ავაზაკური „მე“-ს წინააღმდეგ.

თავისი მარხვით იგი ძველ ასკეტ მამებს უახლოვდებოდა. ზეთს მხოლოდ შაბათ-კვირას ჭამდა, ისიც – თუკი ჰქონდა. წმინდა საიდუმლოს კვირაში ორჯერ ეზიარებოდა. მუდმივად გაურბოდა ერისხალხთან ურთიერთობას, რადგანაც ზოგიერთები მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობისა და უსაქმურობის გამო მოდიოდნენ მასთან, ყოველგვარი სულიერი და ინტერესების გარეშე. გარდა ამისა, მას სძულდა ქება-დიდება და პატივი, და ამის გამოც ერიდებოდა ერის ადამიანებს.

პირადად მე ის მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ ვნახე, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით. ერთხელ (ამას იმიტომ ვამხელ, რომ მისი სული ახლა ზეციურ სავანეებშია და მზვაობრობის საშიშროება არ ემუქრება) მე იგი ვნახე ზაფხულის მწველი მზის სხივებქვეშ აივანზე მჯდომარე. ხელები ზეცისკენ ჰქონდა აღპყრობილი, წელს ზემოთ შიშველი იყო – ცხადია, სხეულის დასათრგუნად. მას მუდამ ახსოვდა იოანე კიბისაღმწერლის სიტყვები: „მონაზონება არს იძულებაჲ ბუნებისაჲ სამარადისო“, და ცდილობდა

პრაქტიკულად აღესრულებინა ეს სიტყვები ნებისმიერ ცხოვრებისეულ შემთხვევაში.

\* \* \*

რაც დრო გადიოდა, უკეთ და უკეთ ვეგუებოდი კარულის სულიერ კლიმატს, მაგრამ ბუნებრივ კლიმატთან შეგუება ვერაფრით ვერ შევძელი. ჩემთვის აუტანელი იყო ზაფხულის სიცხე ამ მკაცრ, სულშემხუთველ კლდეებში. აქ მცხოვრები მამები ჭეშმარიტად მოწამეები იყვნენ. მე ვებრძოდი საკუთარ ბუნებას და ამგვარად საქმით ვახორციელებდი იმას, რასაც ჩემი ბერი ხშირად სიტყვით მიმეორებდა: „მონაზვნის ცრემლები მაშინ იძენს სულის განმწმენდელ ძალას, როდესაც იგი მონაზონისავე ოფლს შეერევა“.

აქ, კარულში, მე საშუალება მომეცა, შემესწავლა წმინდა მამების თხზულებები ასკეტობაზე. კარულის უდაბნო – ეს იდეალური „სკოლა“, უნიკალური ადგილია მეცნიერების შესასწავლად: ადგილი ფილოსოფიისა და ცრემლებისა, ადგილი ღმრთის შეცნობისა და ღვთაებრივი სიყვარულისა.

ჩემს ბერს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა, ჩაღრმავებოდა წმინდა მამების ტექსტებს და განემარტა ისინი. საკუთარი სულის სახლი მან ამ უძველესი, საუკუნეების მანძილზე შემოწმებული მასალისგან ააგო. ყველაზე მეტად მას მოსწონდა ღირსი მარკოზ მოღვაწის სწავლებების კითხვა „ფილოკალიაში“. მოვიყვან რამდენიმე მარგალიტს ამ სწავლებებიდან, რომლებსაც ბერი ხშირად მიკითხავდა:

„ნუ გაამაყდები, როდესაც ლოცვისას ცრემლები წამოგივა. ეს – ქრისტე შეეხო შენს თვალებს და შენ სულიერად აღიხილე“.

„თუ შენს გონებაში დაიბადება აზრი, რომელიც გიბიძგებს ადამიანური ღიღებისკენ, კარგად იცოდე, რომ სულ მალე სირცხვილს იწვნევ“.

„გონებას აბრმავეებს შემდეგი სამი ვნება: ვერცხლისმოყვარეობა, ღიღებისმოყვარეობა და გემოთმოყვარეობა“.

„მწუხარების ჟამს ყურადღებით იყავი, რომ ტკბობამ არ დაგიმონოს, რამეთუ მწუხარებაში ნუგეშის მიღების საბაბით ადვილად ვეძლევიტ ტკბობას“.

რამდენად მართლები იყვნენ ბიზანტიელები, როდესაც ამბობდნენ: „ყველაფერი გაყიდე და მარკოზი იყიდე“!

ასეთი მაგარი საკვებით იკვებებოდა ჩვენი სულელები კარულის უდაბნოში — საკვებით, რომელიც სავსე იყო ღვთაებრივი მადლით, ღვთაებრივი ჭეშმარიტებითა და ბრწყინვალეობით. ეს საკვები სულს ხდიდა ძლიერს, ამტანს, გრანიტულს, მოქნილს, სულიერ ბრძოლაში ძლევაძმოსილს; სხეულს კი — უწონოს, გამობრძმედილს, მორჩილს. უფლის სიტყვები, რომლებიც „გულის-სათქუმელ არიან უფროდს ოქროდსა და ანთრაქთა პათიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროდს თაფლისა და გოლეულისა“, განაძლიერებდა ჩვენს გულს ამ უდაბნოში.

კარულში გატარებული ექვსი თვე ჩემი ცხოვრების დაუვიწყარ ხანად დარჩება. ამ ექვს თვეში მე შევიძინე იმის გამოცდილება, რასაც ვკითხულობდი ან რაც მესმოდა მეუღაბნოე ცხოვრებისა და წმინდა ასკეტების შესახებ.

\* \* \*

მე ვფიქრობდი, რომ კიდეც ერთხანს ვიცხოვრებდი ჩემს ბერთან ერთად კარულის უდაბნოში, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავდი, რომ სკიტში დაბრუნება გახდებოდა საჭირო. ღმრთის ნება კი სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. ამ ცხოვრებაში არაფერი არ არის შემთხვევითი. ღმერთი, რომელიც ზრუნავს თითოეული ადამიანის წარმატებასა და ცნობებაზე, თავისი განგებულებით წარმართავს ყველაფერს.

მე შემეყარა სერიოზული დაავადება — მწვავე ტონზილიტი (ნუშისებრი ჯირკვლების ანთება), რომელმაც გართულება მომცა გულსა და თირკმელებზე. ამასთან დაკავშირებით, სწავლულმა ექიმმა — მამა ნიკოლოზ გრიგორიატელმა უთხრა ჩემს ბერს:

— მამა გრიგორი, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და თუ ახლავე არ გაუშვებ საავადმყოფოში, იცოდე, რომ მონაზონს დაკარგავ.

ამ მუქარამ გადააწყვეტინა ბერს, ათენში გავეშვი საოპერაციოდ. 1942 წლის ოქტომბერი იღვა. გერმანელთა ოკუპაციამ მოწამებრივი საბერძნეთის თითოეულ კუთხეში შეაღწია. მიმოსვლის საშუალება არ არსებობდა. ამიტომაც მე უნდა გავმგზავრებულიყავი თევზსაჭერი ხომალდით, ათასგვარი საფრთხის მოლოდინში მევლო ეგეოსის ზღვაზე, — რომელიც სავსე იყო ნალმებით და რომლის თავზეც ხშირად დაფრინავდნენ გერმანელების თვითმფრინავები, — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შეწევნით მიმეღწია ვოლოსამდე, იქიდან კი რაიმე საშუალებით ჩავსულიყავი ათენში.

უსაზღვრო იყო ჩემი მწუხარება, ჩემი სევდა — ენით აუწერელი. კარგად ვიცოდი, რომ ეგეოსის ზღვა, ნალმები, გერმა-



ნელთა თვითმფრინავები, რომლებსაც შეიძლებოდა შევემჩნინეთ და სროლა აეტეხათ ჩვენი ხომალდისთვის (რაც მოხდა კიდევ სინამდვილეში) – ყველაფერი ეს ახალი რეალობის სიმბოლო იყო, ეს იყო სიმბოლო ცხოვრების ზღვისა, რომელშიც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მე უნდა შემეცურა; ეს იყო სიმბოლური განსახიერება ეშმაკის ნაღმებისა, ბნელეთის ძალების თავდასხმისა. მაგრამ მე ჩემი ბერის ლოცვის იმედი მქონდა: მჯეროდა, რომ მისი ლოცვა დამიფარავდა ყველგან, ყოველ ნაბიჯზე.

გულისტკივილით ვემთხვიე ბერს. მან აღელვებულმა გადამსახა ჯვარი, და მე, უსაზღვროდ დამწუხრებულმა, დაბრუნების იმედით აღსავსემ, დავტოვე იქაურობა...

ნოსტალგია

ის ოთხი წელიწადი, რომელიც ღვთისმშობლის შეწევნით მთაწმინდაზე გავატარე, ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. მე ცხადად დავინახე დრამა ადამიანის დაცემისა და მისი შემობრუნებისა პირველქმნილი სიკეთისაკენ. ეს დრამა მეორდება ყველა იმ ჭეშმარიტი მონაზვნის მოწამებრივ ცხოვრებაში, რომელიც ქრისტესთან ზიარებით ბოლოს და ბოლოს ამარცხებს ხორციელ ვნებებს, ხორციელ სიკვდილს და მარადიული, უკვდავი ცხოვრების, მარადიული აღდგომის თანაზიარი ხდება.

ამ ოთხ წელიწადში ღმერთმა ღირსი გამხადა გამეცნო მამები, რომლებმაც დამარხეს თავიანთი ცოდნა, არისტოკრატული, მეფური წარმომავლობა, თანამდებობა, პატივი, საზოგადოებრივი თუ სამხედრო წოდებები: დამარხეს უდაბნოს კლდეებში, სკიტებსა და კინოვიებში — როგორც რალაც ზედმეტი და უსარგებლო, და ყველაფერი ამის ნაცვლად ზეციური მარგალიტი მოიპოვეს. მათი ღარიბული ანაფორების, ასკეტური სხეულების მიღმა იხილვებოდა ფასდაუდებელი საუნჯე — ქრისტე.

ჩემ მიერ მოხსენიებულ მამათაგან დღეს მხოლოდ მცირედნილა არიან დარჩენილნი ამ წუთისოფელში, უმრავლესობა კი უკვე ზეციურ სავანეებშია. სამეფო გვირგვინითა და თეთრი სამოსით შემოსილნი, ისინი ენით უთქმელ ნეტარებას განიცდიან თავიანთი მეუფის გვერდით და გალობენ „გალობასა ახალსა“, როგორც ასორმოცდაოთხ ათასიანი მხედრობის

წევრები, „სყიდულნი ქუეყანისაგან, რომელნი შეუდგენ კრავსა მას, სადაცა ვილოდის“ (გამოცხ. 14,3-4).

მამანო ჩემნო, კურთხეულნო მამანო! ახლა რომ თქვენი სულიერი ფერისცვალების ადგილზე – ათონის წმინდა მთაზე შეგეძლოთ თუნდაც მცირე ხნით დაბრუნება, იხილავდით კი ცხოვრების იმ წესს, რომელიც თქვენ დააფუძნეთ და რომლის დაცვასაც ამხელა შრომა და ღვაწლი შეალიეთ? იხილავდით კი იმ სულიერ გარემოს, რომელშიც თქვენ ცხოვრობდით, რომელშიც იღვწოდით ძველი გადმოცემების დაცვისათვის? იხილავდით კი ოფლს იქაური მონაზვნების შუბლზე, ან სიხარულნარევი მწუხარების ცრემლებს მათს თვალებში? იხილავდით კი თქვენეულ სიგლახაკეს, ყოველგვარი სიახლის მოძულებას, განდგომას ყველაფერი ამსოფლიურისაგან, გულისა და გონების სრულად მიმართვას ღმერთისკენ? იხილავდით კი თქვენს მღუპარებას, თქვენს გაცვეთილ სკვნილებს, თქვენს დაბეჭილ, გახუნებულ შესამოსელს, ასკეტურ გარეგნობას, ძირს დახრილ თვალებს? იხილავდით კი იმას, რითაც თქვენ ცოცხლობდით – მარადისობაში დამკვიდრების წყურვილს, – იხილავდით კი ყველაფერ ამას? თუ იმედგაცრუებულნი, გულგატეხილნი დაუბრუნდებოდით ზეციურ სავანეებს?

მამანო წმინდანო, უკვდავნო მამანო ჩემნო! მე პირველი ვარ, ვინც ვულალატე მეძკვიდრეობით მიღებულ თქვენს გადმოცემებს. იქნებ სხვაც იყოს ჩემი მსგავსი. ამიტომაც გთხოვთ, შეისმინეთ ჩვენი ვედრება, თქვენი უღირსი შვილებისა, გვიშუამდგომლეთ ათონის დედოფალ – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან ერთად მისი ძის – ჩვენი უფლის წინაშე,

ვისი სახელიც ღრმად იყო აღბეჭდილი თქვენს გულსა და გონებაში, ვინც დაატკბობდა თქვენს პირს „უფროდს თაფლისა და გოლეულისა“. ევედრეთ ღმერთს, ყოველნო წმინდანო, ათონის მთაზე სიწმინდითა და ღვაწლით გაბრწყინებულნო, რომ მოგვცეს ძალა თქვენს შთამომავლებს, შეურყვნელად დავიცვათ თქვენი ნაანდერძევი; ევედრეთ, რომ არ გაწყდეს მთაწმინდური ტრადიციების ჯაჭვი, არამედ ღირსი პეტრე ათონელიდან დაწყებული – ბოლო ჟამის მთაწმინდელი მონაზვნებით დამთავრებული, ყველამ შეინარჩუნოს ის სული, ის მისწრაფება, რაც თქვენ გაგაჩნდათ, და რაც წარმოადგენს ათონური ცხოვრების არსს.

ათონი სამუდამოდ უნდა დარჩეს იმ სახელოსნოდ, რომელშიც დამუშავდებიან ადამიანების სულები და წარიგზავნებიან მარადიული ნათლის სამეუფოში. თქვენ, ყოვლადპატიოსანნო მამანო, თქვენ უნდა იყოს ცოცხალი მაგალითი მონაზვნების შემდგომი თაობებისთვის. დაე, იმათაც ისე იცხოვრონ, როგორც თქვენ ცხოვრობდით, ჭამონ ისე, როგორც თქვენ ჭამდით, ჩაიცვან ისე, როგორც თქვენ იცვამდით, ისაუბრონ ისე, როგორც თქვენ საუბრობდით, ისხდნენ ისე, როგორც თქვენ ისხედით, იძინონ ისე, როგორც თქვენ გეძინათ, ილოცონ ისე, როგორც თქვენ ლოცულობდით, ემსახურონ ღმერთს ისეთივე მგზნებარებით, როგორითაც თქვენ ემსახურებოდით...

მამანო ჩემნო, ყოვლადსანატრელნო! თქვენმა ხატებამ, თქვენმა არაამქვეყნიურმა ხატებამ, მე დამანახა, „რამეთუ ტკბილ არს უფალი“... თქვენ ხომ ცოცხალ ჭურჭელს წარმოადგენდით სული წმიდისას, თქვენ ხომ სამოთხის სურნელოვან ყვავილებს ჰგავდით, თქვენ ხომ განუწყვეტლად იღ-

ვწოდით და მოთმინებით ელოდებოდით იმ სანატრელ წუთს, როდესაც თქვენი სულები ღვთისმშობლის წილხვედრი მიწიდან ზეციურ სავანეებში გადაინაცვლებდნენ.

თქვენს ასკეტურ სახეებში თქვენი მოწამეობრივი ღვაწლის გზაზე დათხეული სისხლის ლაქები ჩანს! თქვენ მაგალითი იყავით ჩემთვის, გზის მაჩვენებლები და მანათობლები ზეციური სიძის ძიებაში. არსებობდა კი ისეთი დღე ჩემს ცხოვრებაში, თქვენ რომ არ გამხსენებოდით, არ მესაუბრა თქვენზე: თქვენს სულიერ ბრძოლებზე, თქვენს ოფლზე, რომელიც მოწამეობრივი სისხლივით ბრწყინავს ღმრთის ტახტის წინაშე.

მე მივაღწიე თქვენდამი, თქვენი ანგელოზებრივი ცხოვრებისადმი ტრფიალების ზღვარს, ყველა სიტყვა გამოვიყენე თქვენს სადიდებლად, რაც კი შეიძლებოდა მომსვლოდა ამ ჩემს მწირ გონებაში, მე გამოვიყენე თითოეული დარტყმა საკუთარი ნატანჯი გულისა, რათა ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ქება შემესხა თქვენთვის, — რადგან ვიცოდი, რომ ჭეშმარიტებას ვამბობდი, ხალხისთვის დაფარულ ჭეშმარიტებას: თქვენს შეუმჩნეველ, იღუმალ ღვაწლზე, შეუდარებელ გმირობაზე, მამაცურ ბრძოლებზე ვნებებისა და დემონის წინააღმდეგ. მაგრამ თუნდაც იოანე ოქროპირის ძალა და ბაგეები მქონდეს, მაშინაც კი ვერ შევძლებდი, სრულად მეჩვენებინა ის, რითაც მთელი მსოფლიოა დავალებული თქვენ წინაშე — თქვენი ჩუმი, შეუმჩნეველი არსებობის წინაშე.

მთელმა თქვენმა ცხოვრებამ, თქვენმა ბრძოლამ, მისწრაფებებმა — უჩუმრად ჩაიარა უდაბნოს ისიხასტურ გარემოში,

მაგრამ ზეციური მეუფე იმ საშინელ დღეს ცხადად მოგაგებთ დამსახურებულ საზღაურს, რათა მთელმა მსოფლიომ შეიცნოს „სივრცე და სივრძე, სიმაღლე და სიღრმე“ (ეფეს. 3,18) იმ ანგელოზებრივი არსებებისა, რომელთაც მთაწმინდის მონაზვნები ჰქვიათ, და რათა ნათლად გამოჩნდეს, თუ რა უსაზღვროდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათს არსებობას საზოგადოებისთვის, ეკლესიისთვის და მთელი კაცობრიობისთვის.

## დასასრული

## შენიშვნებისთვის

